

აღსრულება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2015, №7

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2015, №7

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2015, №7

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2015, №7

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. სააღსრულებო წარმოება

აღსრულების კანონიერება

განჩინება

№ბს-464-459(კ-12)

12 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

16.09.11წ. თ. ვ-ემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სა-
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე-
ების – თბილისის სააღსრულებო ბიუროს, ნოტარიუს თ. ბ-ისა
და საჯარო რეესტრის მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 55-
ე, 61-ე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 47-ე და
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლების საფუძ-
ველზე 29.10.10წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, სა-
აღსრულებო ბიუროს 12.07.11წ. განკარგულებისა და 15.08.11წ.
რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის
მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2009 წლის ოქტომბერში ლ. კ-
ასაგან აიღო სესხის სახით 12000 აშშ დოლარი. თანხის დროუ-
ლად გადაუხდელობის გამო, საარბიტრაჟო სასამართლოს გა-
დაწყვეტილებით დაეკისრა 14000 აშშ დოლარის გადახდა. ვინა-
იდან თ. ვ-ემ ვერ შეძლო დაკისრებული თანხის გადახდა, საშუ-
ამავლო ფორმა „...“ საშუალებით 01.03.10წ. ე. წ-ესთან გააფორმა
სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება 3 თვის ვადით 20000 აშშ
დოლარზე. ხელშეკრულების თანახმად, იპოთეკით დაიტვირთა
ქ. თბილისში, ... ქ. №30-32-ში მდებარე 810 კვ.მ მიწა და 333,6
კვ.მ შენობა-ნაგებობები №1-დან №8-ის ჩათვლით. აღნიშნული
თანხიდან 14000 აშშ დოლარი მოსარჩელემ გადაუხადა ლ. კ-ას.
თ. ვ-ემ ვერ შეძლო ე. წ-ის მიმართ ნაკისრი ვალდებულების
შესრულება, რის გამოც იპოთეკისაგან გათავისუფლდა №4 შე-
ნობა-ნაგებობა, რომელიც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულე-

ბით დაიტვირთა ბ. ვ-ის სასარგებლოდ. იმავე დღესვე – 29.10.10წ. მეორე ხელშეკრულება გაფორმდა ე. წ-ესთან უკვე 30000 აშშ დოლარზე და იპოთეკით დაიტვირთა №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობები, ხოლო შეთანხმებით 01.03.10წ. ხელშეკრულება შეწყდა.

მოსარჩელის მითითებით, მას ნოტარიუსისაგან განემარტა, რომ №4 შენობა-ნაგებობაზე მის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად დამოუკიდებლად გავრცელდებოდა იპოთეკა ბ. ვ-ის სასარგებლოდ და იგი არ შევიდოდა ე. წ-ესთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. მოსარჩელემ 29.10.10წ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა, შესაბამისად, ნოტარიუს თ. ბ-ის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი. 07.07.11წ. გამართულ აუქციონზე მოხდა იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, ხოლო 15.08.11წ. საჯარო რეესტრში აუქციონზე გამარჯვებული პირის – თ. თ-ის სახელზე აღირიცხა სრული ფართი №4 და №9 შენობა-ნაგებობებთან ერთად იმ მოტივით, რომ აღნიშნული ქონება წარმოადგენდა მიწის ნაკვეთის განუყოფელ ნაწილს. ბ. ვ-ესთან გაფორმებული ხელშეკრულებით №4 შენობა-ნაგებობაზე ნილობრივად არ არის დამაგრებული მიწის ნაკვეთი, ხოლო ე. წ-ესთან დადებული ხელშეკრულებით შენობა-ნაგებობებზე 810 კვ.მ მიწა სრულადაა მიკუთვნებული, რის შედეგადაც იპოთეკის მთლიან საგნად ჩაითვალა მიწა №4 შენობასთან ერთად და გასხვისდა აუქციონზე.

მოსარჩელის მოსაზრებით, აუქციონი ჩატარდა უხეში დარღვევებით, კერძოდ, უძრავი ქონება შეფასდა არასწორად, ვინაიდან შეფასება არ მოიცავდა №4 და №9 შენობა-ნაგებობებს, რაც 810 კვ.მ მიწის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. აღნიშნული ობიექტები კაპიტალურად გარემონტებულ ნაგებობებს წარმოადგენდა, შესაბამისად, სარეალიზაციო ქონების ღირებულება უფრო დაბალი ფასით განისაზღვრა, რითაც ზიანი მიადგა მესაკუთრეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.10.11წ. და 09.12.11წ. საოქმო განჩინებებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ ე. წ-ე, თ. თ-ე, მ. თ-ე და ზ. გ-ი. 11.11.11წ. განჩინებით სასარჩელო მოთხოვნა ნოტარიუს თ. ბ-ის მიმართ, 29.10.10წ. ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე გამოიყო ცალკე წარმოებად და განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს საოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 30.12.11წ. გადაწყვეტილებით თ. ვ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 01.03.10წ. თ. ვ-ესა და ე. წ-ეს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა თ. ვ-ის კუთვნილი უძრავი ქონება – 810 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 333,6 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობებით №1-დან №8-ის ჩათვლით. აღნიშნული ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით 29.10.10წ. გაუქმდა. ამავე დღეს თ. ვ-ესა და ე. წ-ეს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა თ. ვ-ის კუთვნილი უძრავი ქონება – 810 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობები. 29.10.10წ. თ. ვ-ესა და ბ. ვ-ეს შორის ასევე გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა თ. ვ-ის კუთვნილი 49 კვ.მ ფართის №4 შენობა-ნაგებობა. ე. წ-ის განცხადების საფუძველზე ნოტარიუსის მიერ 03.05.11წ. გაიცა სააღსრულებო ფურცელი იპოთეკის საგნის – მიწის ნაკვეთი 810 კვ.მ და მასზე განლაგებული №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობების რეალიზაციის შესახებ. აღსრულების ეროვნული ბიუროს დაყადაღებული ქონების შეფასების სამსახურის 13.06.11წ. დასკვნის თანახმად, თ. ვ-ის კუთვნილი ქონების (810 კვ.მ მიწა, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 საერთო ფართით 284,6 კვ.მ., №4 შენობა – 49 კვ.მ, №9 შენობა) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 110000 ლარით, ხოლო 27.06.11წ. დასკვნით თ. ვ-ის ქონება (810 კვ.მ მიწა და მასზე დამაგრებული №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 284,6 კვ.მ.) შეფასდა 101000 ლარით. თ. ვ-ის მიერ სააღსრულებო ფურცლის თანახმად დაკისრებული თანხის ნებაყოფლობით გადაუხდელობის გამო დაინიშნა აუქციონი გ. ვ-ის კუთვნილი ქონების რეალიზაციის მიზნით. აღმასრულებლის 12.07.11წ. განკარგულებით აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა თ. თ-ე, რომელმაც ქონება შეიძინა 51005 ლარად. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 19.07.11წ. წერილით სარეგისტრაციო სამსახურს ეცნობა, რომ თ. თ-ის სახელზე უნდა აღრიცხულიყო თ. ვ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობები მიწის ნაკვეთის ფართით 810 კვ.მ., ხოლო №4 შენობა საერთო ფართით 49 კვ.მ და №9 (მშენებარე) ნაგებობა იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად არ წარმოადგენდა იპოთეკის საგანს. საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს თბილისის სა-

რეგისტრაციო სამსახურის 15.08.11წ. გადაწყვეტილებით თ. თ-ის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა ქ. თბილისში, ... ქ. №30-32-ში მდებარე 810 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობებზე საერთო ფართობით 284,6 კვ.მ, 49 კვ.მ №4 შენობა და №9 (მშენებარე) ნაგებობა. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნული ქონება აღირიცხა მ. თ-ის და ზ. გ-ის სახელზე.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.01.11წ. №21 ბრძანებით.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი ქონების არასწორად შეფასებისა და ღირებულების დაბალი ფასით განსაზღვრის შესახებ უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ იდავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფასზე, ხოლო ამავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ენიჭება გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან პირდაპირ სასამართლოში – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში. მითითებული კანონის 18.4 მუხლის შესაბამისად, ქონების საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებულ დავაზე დაუშვებელია ამ ქონების შეფასების და მის საფუძველზე განხორციელებული სააღსრულებო მოქმედების, ასევე აუქციონის შედეგის გაუქმება, თუ პირველ აუქციონზე გამოცხადებული ქონების საწყისი ფასი არ აღემატება ამ ქონების საბაზრო ღირებულებას. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტით დასტურდებოდა 13.05.11წ. აღმასრულებლის გზავნილის თ. ვ-ისათვის პირადად ჩაბარების ფაქტი. ქონების შემფასებლის მიერ თ. ვ-ის სახელზე რიცხული, ე. წ-ის სასარგებლოდ დატვირთული უძრავი ქონების ნაწილი შეფასდა 101000 ლარად, რომლის 50%-ით განისაზღვრა სარეალიზაციო ქონების საწყისი ფასი, რაც მიეთითა იძულებითი ინტერნეტ აუქციონის შესახებ სპეციალურ საჯა-

რო განცხადებაში და გამოქვეყნდა კანონით დადგენილი წესით. თ. ვ-ეს აღმასრულებლის ქმედება სადავოდ არ გაუხდია კანონით დადგენილ ვადაში, ამასთან, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ქონების შეფასების გამაბათილებელი მტკიცებულება მოთხოვნის საფუძვლიანობის დასასაბუთებლად.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სამოქალაქო კოდექსის 286-ე, 289-ე, 311¹, 301-ე მუხლების შესაბამისად დადასტურებულად მიიჩნია, რომ იპოთეკის საგანს არ წარმოადგენდა №4 და №9 შენობა-ნაგებობები, რაც აღმასრულებლის მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით არ იქნა გატანილი სარეალიზაციოდ, თუმცა 810 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც შენობებია განთავსებული, მხარეთა ნების გამოვლენის შედეგად სრულად დაიტვირთა იპოთეკით და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაექვემდებარა იძულებით აუქციონზე რეალიზაციას, რომლის შემძენიც გახდა თ. თ-ე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 149-ე, 150-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთზე გარკვეული უფლების მოპოვების შემთხვევაში, იგივე უფლება ვრცელდება მის არსებით შემადგენელ ნაწილზეც. მოცემულ შემთხვევაში იპოთეკით დაიტვირთა თ. ვ-ის კუთვნილი 810 კვ.მ მიწის ნაკვეთი, შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც თ. თ-ეს აღმასრულებლის განკარგულების საფუძველზე საკუთრების უფლება წარმოეშვა 810 კვ.მ მიწაზე, საკუთრების უფლება უნდა გავრცელებულიყო მის არსებით შემადგენელ ნაწილზეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მარეგისტრირებელმა ორგანომ კანონის მოთხოვნათა დაცვით განახორციელა რეგისტრაცია და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. ამასთან, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ თ. თ-ეს საკუთრების უფლება №4 და №9 ნაგებობებზე წარმოეშვა რა მითითებული ქონების საფასურის გარეშე, მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა შესაძლებელია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რაც ვერ გახდება ადმინისტრაციული სასამართლოს მსჯელობის საგანი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ვ-ემ, რომელმაც საქალაქო სასამართლოს 30.12.11წ. გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.03.12წ. განჩინებით თ. ვ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს 30.12.11წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს დაყადაღებული ქონების შეფასების სამსახურის შემფასებლის გამაბათილებელი მტკიცებულება, რაც მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობაზე მიუთითებს. შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსარჩელის არგუმენტი, რომ მის საკუთრებაში არსებული ქონების შეფასება განხორციელდა არასწორად და სანქსის გასაყიდი ღირებულება განისაზღვრა დაბალი ფასით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოთხოვნა რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნებს და მიუთითა, რომ იპოთეკის უფლებით დაიტვირთა თ. ვ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით 810 კვ.მ. თ. ვ-ის აღმასრულებლის განკარგულებით საკუთრების უფლება წარმოეშვა 810 კვ.მ მიწაზე. შესაბამისად, საკუთრების უფლება მართებულად გავრცელდა მის არსებით შემადგენელ ნაწილზეც და მართებულად აღირიცხა სარეგისტრაციო სამსახურის მიერ თ. თ-ის სახელზე საკუთრების უფლება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა თ. ვ-ის მიერ, რომელმაც სააპელაციო სასამართლოს 15.03.12წ. განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სასამართლოებმა ვერ დაასაბუთეს და არასწორად მიუთითეს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომ არ დარღვეულა თ. ვ-ის უფლებები. აღმასრულებელმა სადავო ქონება ისე გაიტანა აუქციონზე, რომ არ განსაზღვრა მისი მახასიათებლები, არ შეიტანა შესწორება ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში, რომელთანაც დადებული იყო ორი ხელშეკრულება – თ. ვ-ესა და ე. წ-ეს შორის – 810 კვ.მ-ზე განთავსებულ №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობებზე და თ. ვ-ესა და ბ. ვ-ეს შორის – 810 კვ.მ მიწაზე განლაგებულ №4 შენობა-ნაგებობაზე, ხოლო საკადასტრო ნახაზში მითითებული №9 დაუმთავრებელი შენობა საერთოდ არ ფიგურირებდა არც ერთ ხელშეკრულებაში. აღმასრულებელმა სააღსრულებო ფურცლის გამცემისაგან არ მოითხოვა სადავო ქონების გამიჯვნა და აუქციონზე გაიტანა ქონება №4 და №9 შენობა-ნაგებობების გარეშე. ასევე საჯარო რეესტრის მიერ თ. თ-ის დაურეგისტრირდა იმაზე მეტი ქონება, ვიდრე შეიძინა აუქციონზე და არ იქნა მოთხოვნილი ქონების გამიჯვნა.

საკასაციო სასამართლოს მიერ დასაშვებად იქნა ცნობილი თ. ვ-ის საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ვ-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გასაჩივრებული განჩინების მიღებისას ადგილი არა აქვს კანონის არასწორ გამოყენებასა თუ მის მცდარ განმარტებას, სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საპროცესო სამართლის ნორმები, რის გამოც არ არსებობს განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე–394-ე მუხლებით განსაზღვრული საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სადავო სააღსრულებო წარმოების პროცესის კანონდარღვევით ჩატარების თაობაზე და თვლის, რომ აუქციონი განხორციელებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25.1 მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

საქმეში წარმოდგენილია ნოტარიუს თ. ბ-ის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომლის მე-7 პუნქტი შეიცავს მითითებას ვალდებულებით დატვირთული იმ ქონების რეალიზაციის თაობაზე, რომლითაც უნდა მოხდეს მხარეთა შორის წარმოშობლი ვალდებულების აღსრულება. ასეთად მითითებულია მინის ნაკვეთი 810 კვ/მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1, №2, №3, №5, №6, №7 და №8 მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, ... ქუჩა №30-32.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს რა სააღსრულებო ფურცლის შინაარსს, თვლის, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო აუქციონის განხორციელებისა და ქონების შეფასების პროცესში მოქმედებდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული კანონის საფუძველზე განმარტავს, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილებას განეკუთვნება სააღსრულებო პროცედურების განხორციელება და მას არ გააჩნია საკანონმდებლო კომპეტენცია შეცვალოს ან კორექტირება შეიტანოს სათანადო უფლებამოსილი პირის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში. საქმეში წარმოდგენილი სააღსრულებო ფურცელი კი ცხადყოფს, რომ აღსრულება შემდგარია სწორედ იმ ობიექტზე, რომელიც მითითებულია სააღსრულებო ფურცელში. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ აღმასრულებელს სააღსრულებო ფურცლის გამცემი პირისაგან უნდა მოეთხოვა სადავო ქონების გამიჯვნა, საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული ვერ იქნება, რამდენადაც კასატორი ვერ უთითებს იმ ნორმაზე, რომელიც აღმასრულებელს ავალდებულებს მსგავსი ქმედების განხორციელებას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სააღსრულებო ფურცელი არ შეიცავს ბუნდოვან და ორაზროვან მითითებებს სარეალიზაციო ქონებასთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე არ გამორიცხავს იმ სავარაუდო მიზანს, რის გამოც შენობა-ნაგებობა №4 არ არის დაკონკრეტებული ე. წ.-სთან 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორის მიზანს შესაძლოა მართლაც წარმოადგენდა მითითებული ფართის ამორიცხვა, მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ასეთ პირობებში სამართლებრივი შეუსაბამობა დაშვებულია არა აუქციონის გამოცხადებისა და შემდგომ ქონების ახალ მესაკუთრეზე რეგისტრაციის პროცესში, არამედ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას. კერძოდ, იპოთეკის ხელშეკრულება შეიცავს ცალსახა მითითებას იპოთეკის საგნის 810 კვ/მ მიწის ნაკვეთის თაობაზე. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (ამონაწერის მომზადების თარიღი 03/11/2010წ.) ელ. წ-ის სახელზე რეგისტრირებულ იპოთეკის საგანს წარმოადგენს 810 კვ/მ მიწის ნაკვეთი, რაც შეეხება ბ. ვ-ძეს ამავე ამონაწერის საფუძველზე რეგისტრირებულია მხოლოდ შენობა-ნაგებობა №4, მიწის ნაკვეთის გარეშე.

სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს, არსებითი შემადგენელი ნაწილის იურიდიული ბედი მთლიანად დაკავშირებულია ნივთთან (მიწასთან) და როგორც წესი, იგი არ

შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი ანუ შემადგენელი ნაწილი სრულად იზიარებს მთავარი ნივთის ბედს. შეუძლებელია მინის შემადგენელი ნაწილის მინისაგან დამოუკიდებლად განკარგვა და აღნიშნული სამართლებრივი წესრიგი დამოკიდებული არ არის ხელშეკრულების მონაწილე პირთა ნებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმ პირობებში თუ მხარე მიზნად ისახავდა შენობა-ნაგებობა №4-ის იპოთეკის საგნისაგან გამიჯვნას, ამ შემთხვევაში ნაგებობა №4 დარეგისტრირებული უნდა ყოფილიყო ცალკე უფლების ობიექტად.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 7.4 მუხლის შესაბამისად, ამონაწერი შეიძლება გაიცეს მინის ნაკვეთზე, რომელზეც განლაგებულია რამოდენიმე დამოუკიდებელი უფლების ობიექტი. ასეთ შემთხვევაში ამონაწერი უძრავ ნივთზე უფლებათა რეესტრიდან უნდა ასახავდეს ინფორმაციას მინის ნაკვეთის საიდენტიფიკაციო მონაცემების, ფართის, მინის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების საკუთრების ფორმის, უფლებრივი დატვირთვისა და საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვების შესახებ.

წინამდებარე შემთხვევაში საკასაციო სასამართლო გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ფაქტს იმის თაობაზე, რომ იპოთეკის ხელშეკრულებაში, უფლებათა რეესტრში და შესაბამისად სააღსრულებო ფურცელში იპოთეკის საგანს წარმოადგენს 810 კვ/მ მინის ნაკვეთი. როგორც უკვე აღინიშნა, იმ პირობებში, როცა იპოთეკის საგანს წარმოადგენს მინის ნაკვეთი, მასზე არსებული ნაგებობა თუ ნაგებობები ექვეყიან იპოთეკის ქვეშ. იმისათვის, რომ უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი ჩაითვალოს იპოთეკისაგან თავისუფლად, მისი გასხვისება და ჩამოცილება უნდა მოხდეს ნივთის გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოვალე კარგავს მასზე უფლებას. რამდენადაც №4 შენობა დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით არ იქცა ცალკე უფლების ობიექტად ის, როგორც მინის არსებითი შემადგენელი ნაწილი, გადაწყვეა 810 კვ/მ მინის ნაკვეთს.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75.5 მუხლის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოებისას გაყიდული ქონების ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში ამ ქონების ფლობასთან ან/და ამ ქონების სარგებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ადასტურებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მო-

ტივაციას იმის თაობაზე, რომ მას შემდეგ რაც თ. თ-ე გამოცხადდა 810 კვ/მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ, მან დაიკავა ძველი მესაკუთრის ადგილი და გახდა ყველა იმ უფლების მატარებელი, რაც მიწას, როგორც უძრავ ნივთს უკავშირდება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებს სადავო აქტების გამოცემის პროცესში არ დაურღვევიათ მატერიალური სამართლის ნორმები და სახეზე არ არის აქტის ბათილობის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით განსაზღვრული საფუძვლები. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ თ. თ-ემ საკუთრების უფლება №4 და №9 შენობებზე მოიპოვა ისე, რომ მისი მხრიდან არ მომხდარა ობიექტის ღირებულების გადახდა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით მოსარჩელისათვის სასურველი მიზნის მიღწევა არის შეუძლებელი, რამეთუ საკასაციო სასამართლო კვლავაც ხაზგასმას აკეთებს იმ სამართლებრივ ხარვეზზე, რაც თან ახლავს ქონების იპოთეკით დატვირთვის პროცესს, რაც არ წარმოადგენს წინამდებარე დავის საგანს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ვ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის "2012 წლის 15 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღსრულების საფასურის გადახდის წესი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-416-411(კ-12)

28 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელების დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 13 ივლისს თ. შ-მა სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ აღსრულების ეროვ-
ნული ბიუროს და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარი-
სა და გურიის სააღსრულებო ბიუროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ბათუმის საქალაქო სასამარ-
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22
მარტის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომ-
ლის თანახმად, თ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართვე-
ლოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით და ძირითადი სას-
ჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 5 000 ლარის ოდენობით, ხო-
ლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 395 000 ლარის ოდენ-
ობით. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში სასამართლოს მიერ
დაშვებულ იქნა უზუსტობა, კერძოდ, გამორჩენილ იქნა მითი-
თება, რომ განსასჯელზე დაკისრებული თანხის ნაწილი 300 000
ლარი უნდა გადახდილიყო ერთი თვის ვადაში, ე.ი. 2011 წლის 22
აპრილამდე და შეცდომით გამოწერილ იქნა სააღსრულებო
ფურცელი, რომელიც გადაიგზავნა აჭარისა და გურიის სააღ-
სრულებო ბიუროში. სააღსრულებო ბიურომ ვადაზე ადრე, 2011
წლის 15 აპრილს, თ. შ-ის მიერ ნებაცოფლობით გადახდილი 300
000 ლარიდან, სააღსრულებო ბიუროს ბიუჯეტში გადარიცხა აღ-
სრულების საფასური.

მოსარჩელის მითითებით, 2011 წლის 28 აპრილს განაჩენის
გამომტანმა სასამართლომ თავისი განჩინებით აღმოფხვრა
უზუსტობა, კერძოდ, დააზუსტა სარეზოლუციო ნაწილი და მი-

უთითა, რომ დარჩენილი თანხის – 300 000 ლარის გადახდა უნდა მომხდარიყო განაჩენის გამოტანიდან ერთი თვის ვადაში, კერძოდ, 2011 წლის 22 აპრილამდე. განჩინებაში ჩაინერა, რომ აღნიშნული სარეზოლუციო ნაწილი 2011 წლის 22 მარტის განაჩენის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. 2011 წლის 28 აპრილის განჩინება აღსრულების ბიუროში გადაიგზავნა იმ მოთხოვნით, რომ შეწყვეტილიყო თ. შ-ის მიმართ სააღსრულებო წარმოება და დაბრუნებულიყო სახელმწიფო ბიუჯეტში შეცდომით გადარიცხული აღსრულების საფასური, რაც არ დაკმაყოფილდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-15 პუნქტის იგნორირებით, რომლის თანახმადაც, საპროცესო შეთანხმების დროს ჯარიმის სახით დაკისრებული თანხების ნებაყოფლობით დადგენილ ვადაში გადახდის შემთხვევაში აღსრულების საფასური არ გადაიხდება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად აღსრულება შეწყდებოდა თუ განწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გაცემული იყო სააღსრულებო ფურცელი, გაუქმებული იყო. შესაბამისად, თ. შ-ის მიმართ აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს მიერ უნდა შეწყვეტილიყო სააღსრულებო წარმოება, მაშინ, როდესაც სააღსრულებო ბიუროში წარდგენილ იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 აპრილის განჩინება, რომლითაც აღმოსვრილ იქნა 2011 წლის 22 მარტის განაჩენში დაშვებული უზუსტობა 300 000 ლარის განაჩენის დადგენიდან ერთი თვის ვადაში გადახდის შესახებ, რაც გამორიცხავდა მასზე იძულებით აღსრულების საფასურის დაკისრებას.

მოსარჩელის მოსაზრებით, სააღსრულებო ბიუროსათვის ოფიციალურად ცნობილი მასალებით მას გადანწყვეტილების ნებაყოფლობით ან იძულებით აღსრულების არანაირი საფუძველი არ გააჩნდა. ადმინისტრაციულმა ორგანომ ნაცვლად იმისა, რომ თავად სასამართლოდან მოეთხოვა განმარტებები, მითვისა აღსრულების საფასური და ის, რომელმაც პირდაპირ და კეთილსინდისიერად ვადაზე ადრე შეასრულა სახელმწიფო ბრალმდებლის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები, მაინც გახადა სახელმწიფო ბიუჯეტის მოვალედ, რაც განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ განაჩენის გამომტანი სასამართლოს მექანიკური შეცდომით, რითაც უკანონოდ ისარგებლა სააღსრულებო ბიურომ და ისე, რომ არანაირი ქმედება არ განუხორციელებია, ჩამოაჭრა აღსრულების საფასური ბიუჯეტის კუთვნილ თანხას და ის და სასამართლო დატოვა დავის რეჟიმში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 14 ივნისის №488 ბრძანების ბათილად ცნობა, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის ვ. მ-ის მიერ დაწყებული №A11017812 საქმის წარმოების შეწყვეტა ან გაუქმება და მოპასუხისათვის იძულებითი აღსრულების საფასურის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების და უძრავ ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ყადაღის მოხსნის დავალდებულება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 ივლისის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 მარტის განაჩენით დამტკიცდა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება და თ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 24-ე მუხლის პირველი ნაწილით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამავე განაჩენით მას ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 395 000 ლარის ოდენობით.

2011 წლის 28 მარტს ზემოაღნიშნულ განაჩენზე გაიცა №1-134/2011 სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, თ. შ-ს ძირითადი და დამატებითი სასჯელების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა – 400 000 ლარის ოდენობით, საიდანაც მან ჯარიმის თანხის ნაწილი – 100 000 ლარი წინასწარ, 2011 წლის 18 მარტს შეიტანა შესაბამის ანგარიშზე. სააღსრულებო ფურცელი, განაჩენთან და ჯარიმის სახით 100 000 ლარის გადახდის ქვითართან ერთად იმავე დღეს გადაეგზავნა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს და 2011 წლის 3 აპრილს მიღებული იქნა სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თ. შ-ის მიერ ჯარიმის თანხის დარჩენილი ნაწილი – 300 000 ლარი, 2011 წლის 15 აპრილს შეტანილ იქნა შესაბამის ანგარიშზე, რისი დამადასტურებელი ქვითრის ასლიც 2011 წლის

26 აპრილს წარდგენილ იქნა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში.

№1-134/2011 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე კი აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში №A11017812 სააღსრულებო საქმეზე დაიწყო წარმოება და თ. შ-ს აღმასრულებლის მიერ გაეგზავნა წინადადება გადანყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, რომლის თანახმად, მას დაეკისრა აღსრულების საფასური – მის მიერ გადასახდელი თანხის (300 000 ლარის) 7 პროცენტის ოდენობით. 2011 წლის 27 აპრილს აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის №02-05 მიმართვით, ბიუროს უფროსის თანხმობით, თ. შ-ის მიერ ჯარიმის სახით გადახდილი 300 000 ლარიდან ჩამოჭრილი და აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე გადარიცხულ იქნა აღსრულების საფასური.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 აპრილის განჩინებით, თ. შ-ის ადვოკატის განცხადების საფუძველზე, ამავე კოლეგიის 2011 წლის 22 მარტის განაჩენში შეტანილ იქნა დაზუსტება მასზედ, რომ თ. შ-ისათვის ძირითადი და დამატებითი სასჯელის სახით დაინიშნული 400 000 ლარის ოდენობის ჯარიმის თანხიდან, საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, 100 000 ლარის გადახდა უნდა მომხდარიყო საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე, ხოლო ჯარიმის თანხის დარჩენილი ნაწილის – 300 000 ლარის გადახდა უნდა მომხდარიყო საპროცესო შეთანხმების დამტკიცებიდან (განაჩენის გამოტანიდან) ერთი თვის ვადაში. ზემოაღნიშნული განჩინება 2011 წლის 29 აპრილს წარდგენილ იქნა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ აღმასრულებლის მიერ მოვალის გაფრთხილების შემდეგ დაყადაღებული იქნა მისი უძრავ-მოძრავი ქონება – ქ. ბათუმში, ... №5-ში მდებარე მანსარდა და ავტომანქანა. აღმასრულებლის ზემოაღნიშნული ქმედებები თ. შ-ის წარმომადგენლის მიერ გასაჩივრებული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში, რომელმაც მოითხოვა აღმასრულებლის უკანონო ქმედების აღკვეთა, №A11017812 საქმის წარმოების შეწყვეტა და აღსრულების საფასურის დაბრუნება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 14 ივნისის №488 ბრძანებით თ. შ-ს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილე-

ბაზე იმ მოტივით, რომ სისხლისსამართლებრივი წესით დაკისრებულ ჯარიმასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების საფასურის გადახდა მოვალეს აღსრულების დაწყებისთანავე ეკისრება, შესაბამისად, თ. შ-ს საფასურის გადახდის ვალდებულება წარმოეშვა აღსრულების დაწყებისთანავე და იგი ვალდებული იყო გადაეხადა აღსრულების საფასური აღსასრულებელი მოთხოვნის 7%-ის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ 2011 წლის 28 მარტის №1-134/2011 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში დაიწყო სააღსრულებო წარმოება, რაც შეესაბამებოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნას, რომლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებდა იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით დადგენილი იყო და მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ თ. შ-მა განაჩინო დაკისრებული ჯარიმის თანხის ნაწილი – 100 000 ლარი წინასწარ, 2011 წლის 18 მარტს შეიტანა შესაბამის ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი ნაწილი – 300 000 ლარი (რომელიც საპროცესო შეთანხმების პირობების შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებიდან (განაჩენის გამოტანიდან), 2011 წლის 22 მარტიდან ერთი თვის ვადაში უნდა გადაეხადა) 2011 წლის 15 აპრილს შეიტანა შესაბამის ანგარიშზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-11 ნაწილის (2011 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რედაქციით) შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი თანხების აღსრულების საფასური წინასწარ არ გადაიხდებოდა. აღსრულების საფასურის გადახდა მოვალეს აღსრულების დაწყებისთანავე ეკისრებოდა.

ანალოგიური იყო დადგენილი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „საფასურების ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №144 ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით (2011 წლის 1 ივლისის ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციით), რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი წესით დაკისრებულ ჯარიმებთან, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახ-

დელ თანხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების აღსრულების საფასური წინასწარ არ გადაიხდებოდა. ამ გადაწყვეტილებების აღსრულების საფასურის ოდენობა იყო აღსასრულებელი მოთხოვნის 7%. აღსრულების საფასურის გადახდა მოვალეს აღსრულების დაწყებისთანავე ეკისრებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო იყო მოსარჩელე მხარის მტკიცება იმის თაობაზე, რომ თ. შ-ზე არ ვრცელდებოდა აღსრულების საფასურის გადახდის ვალდებულება, რამდენადაც მან ჯარიმის დარჩენილი თანხა – 300 000 ლარი გადაიხადა დანიშნულ ვადამდე ადრე. მითითებული ნორმების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ თ. შ-მა ჯარიმის თანხა – 300 000 ლარი, გადაიხადა განაჩენით დანიშნულ ვადაში, მას აღსრულების საფასურის გადახდის ვალდებულება წარმოეშვა აღსრულების დაწყებისთანავე, ხოლო სააღსრულებო წარმოება დაიწყო სასამართლოს მიერ გადაგზავნილი სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროში რეგისტრაციისთანავე, რის გამოც საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. შ-ი ვალდებული იყო გადაეხადა აღსრულების საფასური აღსასრულებელი მოთხოვნის 7%-ის ოდენობით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, მოთხოვნის არასრულად ან ეტაპობრივად დაკმაყოფილების შემთხვევაში პირველ რიგში იფარებოდა საფასური ამოღებული თანხის პროპორციულად და აღსრულების ხარჯი, ხოლო შემდეგ – აღსასრულებელი მოთხოვნა. ამდენად, საქალაქო სასამართლოს განმარტებით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, თ. შ-ის მიერ აღსრულების დაწყების შემდეგ გადახდილი ჯარიმის თანხიდან – 300 000 ლარიდან სასამართლო აღმასრულებელმა პროპორციულად სწორად ჩამოაჭრა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე გადარიცხა აღსრულების საფასური, რაც არ ეწინააღმდეგებოდა კანონის მოთხოვნას.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, აღმასრულებელი კანონის შესაბამისად მოქმედებდა და მას არ დაურღვევია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. ასევე დადგენილი იყო, რომ თ. შ-ის მიერ ამ ეტაპზე სრულად არ იყო გადახდილი მასზე განაჩენით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული ჯარიმის თანხა, ვინაიდან, აღნიშნული თანხიდან აღსრულების საფასური გადაირიცხა აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშ-

ზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარის მოთხოვნა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ვ. მ-ის მიერ დაწყებული №A11017812 საქმის წარმოების შეწყვეტის, იძულებითი აღსრულების საფასურის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებისა და თ. შ-ის ქონებაზე ყადაღის მოხსნის შესახებ უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. შ-ს კანონის მოთხოვნათა დაცვით ეთქვა უარი საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რის გამოც არ არსებობდა მისი უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისა და ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. შ-მა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინებით თ. შ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიუთითა მათზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. შ-მა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 მარტის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, თ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 395 000 ლარის ოდენობით. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში სასამართლოს მიერ დაშვებულ იქნა უზუსტობა, კერძოდ, გამორჩენილ იქნა მითითება, რომ განსასჯელზე დაკისრებული თანხის ნაწილი 300 000 ლარი უნდა გადახდილიყო ერთი თვის ვადაში, ე.ი. 2011 წლის 22 აპრი-

ლამდე და შეცდომით გამოწერილ იქნა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც გადაიგზავნა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში. სააღსრულებო ბიურომ ვადაზე ადრე, 2011 წლის 15 აპრილს, თ. შ-ის მიერ ნებაყოფლობით გადახდილი 300 000 ლარიდან, სააღსრულებო ბიუროს ბიუჯეტში გადარიცხა აღსრულების საფასური.

კასატორის მითითებით, 2011 წლის 28 აპრილს განჩინების გამომტანმა სასამართლომ თავისი განჩინებით აღმოფხვრა უზუსტობა, კერძოდ, დააზუსტა სარეზოლუციო ნაწილი და მიუთითა, რომ დარჩენილი თანხის – 300 000 ლარის გადახდა უნდა მომხდარიყო განაჩენის გამომტანიდან ერთი თვის ვადაში, კერძოდ, 2011 წლის 22 აპრილამდე. განჩინებაში ჩაიწერა, რომ აღნიშნული სარეზოლუციო ნაწილი 2011 წლის 22 მარტის განაჩენის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. 2011 წლის 28 აპრილის განჩინება აღსრულების ბიუროში გადაიგზავნა იმ მოთხოვნით, რომ შეწყვეტილიყო თ. შ-ის მიმართ სააღსრულებო წარმოება და დაბრუნებულიყო სახელმწიფო ბიუჯეტში შეცდომით გადარიცხული აღსრულების საფასური, რაც არ დაკმაყოფილდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-15 პუნქტის იგნორირებით, რომლის თანახმადაც, საპროცესო შეთანხმების დროს ჯარიმის სახით დაკისრებული თანხების ნებაყოფლობით დადგენილ ვადაში გადახდის შემთხვევაში აღსრულების საფასური არ გადაიხდება.

კასატორის მოსაზრებით, სააღსრულებო ბიუროსათვის ოფიციალურად ცნობილი მასალებით მას ნებაყოფლობით ან იძულებით არანაირი საფუძველი არ გააჩნდა გადანყვეტილების აღსრულებისა. ადმინისტრაციულმა ორგანომ ნაცვლად იმისა, რომ თავად სასამართლოდან მოეთხოვა განმარტებები, მითვისა აღსრულების საფასური და ის, რომელმაც პირდაპირ და კეთილსინდისიერად ვადაზე ადრე შეასრულა სახელმწიფო ბრალმდებლის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები, მაინც გახადა სახელმწიფო ბიუჯეტის მოვალედ, რაც განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ განაჩენის გამომტანი სასამართლოს მექანიკური შეცდომით, რითაც უკანონოდ ისარგებლა სააღსრულებო ბიურომ და ისე, რომ არანაირი ქმედება არ განუხორციელებია, ჩამოაჭრა აღსრულების საფასური ბიუჯეტის კუთვნილ თანხას და ის და სასამართლო დატოვა დავის რეჟიმში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარ-

მოებაში იქნა მიღებული თ. შ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა ცნობილი თ. შ-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2012 წლის 13 დეკემბერს 13:00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ თ. შ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. შ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს სრულად.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 მარტის განაჩენით დამტკიცდა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება და თ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 24-ე მუხლის პირველი ნაწილით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამავე განაჩენით მას ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 395 000 ლარის ოდენობით. 2011 წლის 28 მარტს ზემოაღნიშნულ განაჩენზე გაიცა №1-134/2011 სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, თ. შ-ს ძირითადი და დამატებითი სასჯელების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა – 400 000 ლარის ოდენობით, საიდანაც მან ჯარიმის თანხის ნაწილი – 100 000 ლარი წინასწარ, 2011 წლის 18 მარტს შეიტანა შესაბამის ანგარიშზე. სააღსრულებო ფურცელი, განაჩენთან და ჯარიმის სახით 100 000 ლარის გადახდის ქვითართან ერთად იმავე დღეს გადაეგზავნა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს და 2011 წლის 3 აპრილს მიღებული იქნა სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თ. შ-ის მიერ ჯარიმის თანხის დარჩენილი ნაწილი

– 300 000 ლარი, 2011 წლის 15 აპრილს შეტანილ იქნა შესაბამის ანგარიშზე, რისი დამადასტურებელი ქვითრის ასლიც 2011 წლის 26 აპრილს წარდგენილ იქნა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში.

№1-134/2011 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე კი აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში №A11017812 სააღსრულებო საქმეზე დაიწყო წარმოება და თ. შ-ს აღმასრულებლის მიერ გაეგზავნა წინადადება გადანყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, რომლის თანახმად, მას დაეკისრა აღსრულების საფასური – მის მიერ გადასახდელი თანხის (300 000 ლარის) 7 პროცენტის ოდენობით. 2011 წლის 27 აპრილს აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის №02-05 მიმართვით, ბიუროს უფროსის თანხმობით, თ. შ-ის მიერ ჯარიმის სახით გადახდილი 300 000 ლარიდან ჩამოჭრილი და აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე გადარიცხულ იქნა აღსრულების საფასური.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 აპრილის განჩინებით, თ. შ-ის ადვოკატის განცხადების საფუძველზე, ამავე კოლეგიის 2011 წლის 22 მარტის განაჩენში შეტანილ იქნა დაზუსტება მასზე, რომ თ. შ-ისათვის ძირითადი და დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული 400 000 ლარის ოდენობის ჯარიმის თანხიდან, საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, 100 000 ლარის გადახდა უნდა მომხდარიყო საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დღეს, ხოლო ჯარიმის თანხის დარჩენილი ნაწილის – 300 000 ლარის გადახდა უნდა მომხდარიყო საპროცესო შეთანხმების დამტკიცებიდან (განაჩენის გამოტანიდან) ერთი თვის ვადაში. ზემოაღნიშნული განჩინება 2011 წლის 29 აპრილს წარდგენილ იქნა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში.

აღმასრულებლის მიერ მოვალის გაფრთხილების შემდეგ დაყადაღებული იქნა თ. შ-ის უძრავ-მოძრავი ქონება – ქ. ბათუმში, ... №5-ში მდებარე მანსარდა და ავტომანქანა. აღმასრულებლის ზემოაღნიშნული ქმედებები თ. შ-ის წარმომადგენლის მიერ გასაჩივრებული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში, რომელმაც მოითხოვა აღმასრულებლის უკანონო ქმედების აღკვეთა, №A11017812 საქმის წარმოების შეწყვეტა და აღსრულების საფასურის დაბრუნება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 14 ივნისის

№488 ბრძანებით თ. შ-ს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ სისხლისსამართლებრივი წესით დაკისრებულ ჯარიმასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების საფასურის გადახდა მოვალეს აღსრულების დაწყებისთანავე ეკისრებოდა, შესაბამისად, თ. შ-ს საფასურის გადახდის ვალდებულება წარმოეშვა აღსრულების დაწყებისთანავე და იგი ვალდებული იყო გადაეხადა აღსრულების საფასური.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-11 ნაწილის (2011 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რედაქციით) შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი თანხების აღსრულების საფასურის გადახდა მოვალეს აღსრულების დაწყებისთანავე ეკისრება. თუმცა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა იმ გარემოების დადგენას, სააღსრულებო წარმოების დაწყების შემდეგ რამდენად უნდა დაკისრებოდა პირს აღსრულების საფასური, არამედ იმ საკითხის დადგენას, მოცემულ შემთხვევაში საერთოდ არსებობდა თუ არა სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ერთი მხრივ ბრალმდებლის სახით – აჭარის პროკურატურასა და მეორე მხრივ დაცვის მხარეს – თ. შ-ს შორის შედგა საპროცესო შეთანხმება და გაფორმდა ბრალის აღიარებით მასზე, რომ დაცვის მხარე სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო ჯამში გადაიხდიდა – 400 000 ლარს, აქედან – 100 00 ლარს საპროცესო შეთანხმების სასამართლოს მიერ დამტკიცებამდე, ხოლო დარჩენილ – 300 000 ლარს კი ამ შეთანხმების დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში.

ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე გაფორმდა შესაბამისი საპროცესო შეთანხმების ოქმი, დაცვის მხარემ ნაკისრი ვალდებულებიდან გამომდინარე ჯარიმის თანხა – 100 000 ლარი 2011 წლის 18 მარტს შეიტანა და განათავსა აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, სათანადო გადახდის ქვითარი კი წარუდგინა სახელმწიფო ბრალდებას, რის შემდგომაც ბრალდების მხარემ შუამდგომლობით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და საქმის არსებითი განხილვის გარეშე საპროცესო შეთანხმების დამტკიცება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა კოლეგიის 2011 წლის 22 მარტის განაჩენით დაკმაყოფილ- და პროკურატურის შუამდგომლობა და დამტკიცდა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება სრულად, რომლის მიხედვითაც განსასჯელი თ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 24-ე მუხლის პირველი ნაწილით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამავე განაჩენით მას ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაე- ნიშნა ჯარიმა – 395 000 ლარის ოდენობით. 2011 წლის 28 მარტს ზემოაღნიშნულ განაჩენზე გაიცა №1-134/2011 სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, თ. შ-ს ძირითადი და დამატები- თი სასჯელების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა – 400 000 ლარის ოდენობით, საიდანაც მან ჯარიმის თანხის ნაწილი – 100 000 ლარი წინასწარ, 2011 წლის 18 მარტს შეიტანა შესაბამის ანგარიშზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, გამომდინარე იქიდან, რომ თ. შ-თვის დეტალურად იყო ცნობილი საპროცესო შეთან- ხმების პირობები და ის გარემოებაც, რომ სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცება განხორციელდა სწორედ იმ ფორმით და პირობებით, რა ფორმითაც დამტკიცდა მხარე- ებს შორის, თ. შ-მა მიიჩნია, რომ დარჩენილი თანხის – 300 000 ლარის გადახდა უნდა განხორციელებულიყო საპროცესო შე- თანხმების დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში ანუ 2011 წლის 22 აპრილამდე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემო- ებას, რომ დარჩენილი თანხა – 300 000 ლარი თ. შ-მა აღსრულე- ბის ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანა და განათავსა 2011 წლის 15 აპრილს ანუ დათქმული ვადის გას- ვლამდე ერთი კვირით ადრე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2011 წლის 28 მარ- ტის სააღსრულებო ფურცელი სააღსრულებო ბიუროში შესუ- ლად აღირიცხა 2011 წლის 3 აპრილს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქარ- თველოს კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აღ- სრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულების დაწყების შე- სახებ სააღსრულებო წარმოების მხარეთა ინფორმირება ხდება ამ კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სამოქა- ლაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო უწყების გადაცემი- სათვის დადგენილი წესითა და საშუალებით. ამავე კანონის 28-

ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კი, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში უგზავნის მოვალეს წინადადებას სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული მოთხოვნის 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით შესრულების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სააღსრულებო ბიურომ თ. შ-ს წინადადებით ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ 2011 წლის 7 ივნისს ანუ სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან ორი თვის შემდეგ მიმართა, ამდენად, თ. შ-ისათვის მის მიერ 2011 წლის 15 აპრილს – 300 000 ლარის გადახდის ეტაპზე საერთოდ არ იყო ცნობილი სააღსრულებო წარმოების დაწყების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 300 000 ლარის გადახდის ქვითარი თ. შ-მა სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილს წარუდგინა, რის შემდეგაც 2011 წლის 21 აპრილს ბათუმის საქალაქო სასამართლომ №1-134/2011 წერილით მიმართა სააღსრულებო ბიუროს და განმარტა, რომ იგზავნებოდა 2011 წლის 22 მარტის განაჩენით დაკისრებული ჯარიმის – 300 000 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, 2011 წლის 28 მარტს გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე დასართავად. აღნიშნული მიმართვა სააღსრულებო ბიუროში 2011 წლის 26 აპრილს შევიდა. თუმცა, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სააღსრულებო ბიურომ 2011 წლის 27 აპრილის №02-05 მიმართვით დაავალა ამავე ბიუროს ზედამხედველობის სამსახურს, რომ ამოღებული თანხიდან – 280 373,83 ლარის გადარიცხვა განხორციელებულიყო სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო – 19 626,17 ლარის კი, როგორც აღსრულების საფასური მიმართულიყო აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღსრულების საფასურის ჩამოჭრიდან გამომდინარე სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის არასრული ჩარიცხვა ცნობილი გახდა თ. შ-ისათვის, სწორედ ამიტომ თ. შ-მა განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და 2011 წლის 22 მარტის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ხარვეზის გასწორება მოითხოვა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 აპრილის განჩინებით ამავე კოლეგიის 2011 წლის 22 მარტის განაჩენში შეტანილ იქნა დაზუსტება მასზედ, რომ თ. შ-ისათვის ძირითადი და დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული 400 000 ლარის ოდენობის ჯარიმის თანხიდან, საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამის

სად, 100 000 ლარის გადახდა უნდა მომხდარიყო საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე, ხოლო ჯარიმის თანხის დარჩენილი ნაწილის – 300 000 ლარის გადახდა უნდა მომხდარიყო საპროცესო შეთანხმების დამტკიცებიდან (განაჩენის გამოტანიდან) ერთი თვის ვადაში. ამავე განჩინებაში ჩაინერა, რომ აღნიშნული განჩინება 2011 წლის 22 მარტის განაჩენის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნული განჩინება ბათუმის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი მიმართვით 2011 წლის 29 აპრილს წარდგენილ იქნა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართვაში აღნიშნული იყო ის გარემოება, რომ 2011 წლის 28 აპრილის განჩინება 2011 წლის 22 მარტის განაჩენის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და მასთან ერთობლიობაში უნდა განხილულიყო.

ამდენად, ნათელი და უდავოა ის გარემოება, რომ 2011 წლის 3 აპრილს სააღსრულებო ბიუროში 2011 წლის 28 აპრილის განჩინების იდენტური სარეზოლუციო ნაწილის წარდგენის შემთხვევაში სააღსრულებო წარმოება არ დაიწყებოდა, რადგან ვალდებულების შესრულების ვადა თ. შ-ს – 2011 წლის 22 აპრილს ეწურებოდა, მან კი მის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულად – 2011 წლის 15 აპრილს ანუ 7 დღით ადრე შეასრულა. საბოლოოდ კი ცალსახაა, რომ თ. შ-მა საპროცესო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულა, რაც ყოველგვარი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომას გამორიცხავს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 22 მარტის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში შესაბამისი ცვლილების არ არსებობის პირობებშიც, თ. შ-ს ჯარიმის თანხის – 300 000 ლარის გადახდის ვალდებულება 2011 წლის 22 აპრილამდე ეკისრებოდა, რადგან აღნიშნული გარემოება საპროცესო შეთანხმებით იყო დამტკიცებული, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის თანახმად სასამართლო არ არის უფლებამოსილი შეცვალოს მხარეთა შორის დამტკიცებული საპროცესო შეთანხმება. მასში ცვლილების შეტანა მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით და თანხმობით დაიშვება. ამდენად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 აპრილის განჩინებით უბრალოდ უფრო ნათელი და ცალსახა გახდა ვალდებულების შესრულების ვადა და ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ თ. შ-მა მის მიერ ნაკისრი ვალდებულება დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულა.

ამასთან, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ 2011 წლის 28 აპრილის განჩინება აღსრულების ბიუროში გადაიგზავნა იმ საფუძვლით, რომ გაუქმებულიყო თ. შ-ის მიმართ დაწყებული სააღსრულებო წარმოება და დაბრუნებულიყო სახელმწიფო ბიუჯეტში შეცდომით გადარიცხული აღსრულების საფასური, რაც არ განხორციელდა. სასამართლოს მიმართვისა და შესაბამისი განჩინების წარდგენის მიუხედავად, სააღსრულებო ბიურო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო საერთოდ არ დაინტერესებულა იმ გარემოების დადგენით, თუ რამდენად სწორად დაიწყო სააღსრულებო წარმოება, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც 2011 წლის 28 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილით აღნიშნული ამკარა იყო. სააღსრულებო ბიურომ სრული იგნორირება გაუკეთა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-15 პუნქტს, რომლის თანახმადაც, საპროცესო შეთანხმების დროს ჯარიმის სახით დაკისრებული თანხების ნებაყოფლობით დადგენილ ვადაში გადახდის შემთხვევაში აღსრულების საფასური არ გადაიხდება.

ამდენად, თ. შ-ის მიერ ვალდებულების დროულად და ჯეროვნად შესრულების პირობებში, სააღსრულებო ბიუროს არ გააჩნდა არც სააღსრულებო წარმოების დაწყების და არც აღსრულების საფასურის თ. შ-ისათვის დაკისრების კანონიერი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. შ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდება სრულად.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის გათვალისწინებით, მოპასუხეს – სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს თ. შ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ლ. მ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 100 ლარის, ბ. კ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 150 ლარისა და ჟ. გ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი –

1050 ლარის (პირველი ინსტანციის სასამართლოში – 100 ლარის ოდენობით; სააპელაციო სასამართლოში – 150 ლარის ოდენობით; საკასაციო სასამართლოში – 1050 ლარის ოდენობით) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. თ. შ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს სრულად;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 14 ივნისის №488 ბრძანება, გაუქმდეს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის ვ. მ-ის მიერ დანყებული №A11017812 საქმის წარმოება თანმდევი შედეგებით და სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს დავეალოს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე გადარიცხოს აღსრულების ანგარიშზე გადატანილი იძულებითი აღსრულების საფასური;
5. დავეალოს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მოხსნას ყადაღა თ. შ-ის უძრავ ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე;
6. სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს თ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ლ. მ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 100 ლარის, ბ. კ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 150 ლარისა და ყ. გ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 1050 ლარის ანაზღაურება;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადანყვეტილების აღსრულების დავალდებულება

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-476-464(კ-13)

24 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 20 ივნისს ო. ხ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მასსა და მოვალე ო. კ-ეს შორის დავა 2003-2004 წლებში დაიწყო. დაბა წყნეთში, ... ქ. №24-ში მდებარე კოტეჯის სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის თაობაზე კანონიერ ძალაშია შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება, რომელიც განმარტებულ იქნა 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით; ხოლო სააღსრულებო ფურცელი თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემულია 2009 წლის 10 მარტს. თბილისის სააღსრულებო ბიუროში კი უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება. ამ დროის განმავლობაში მოვალისა და სააღსრულებო ბიუროს მიზეზით არაერთხელ მოხდა აღსრულების შეჩერება, გადადება და მთლიანობაში, დაკმაყოფილებული მოთხოვნის აღსრულების დროში განეღვა. მოსარჩელის განმარტებით, მან განცხადებით მიმართა სააღსრულებო ბიუროს და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ, იძულებით აღსრულების უზრუნველყოფა მოითხოვა მოვალის ან სააღსრულებო ბიუროს რესურსით, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია. შესაბამისად მან წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი ქმედების განხორციელების დავალდებულების მოთხოვნით, რაც ასევე რეაგირების გარეშე დარჩა.

ამდენად, მოსარჩელემ 2012 წლის 20 აპრილის ადმინისტრაციული საჩივრის №22696 დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციისათვის, სააღსრულებო ბიუროს რესურსებითა და ხარჯებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს №2ბ/138-06 საქმეზე 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 2 აგვისტოს საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება ო. კ-ე.

2012 წლის 21 სექტემბერს მესამე პირმა ო. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და ო. ხ-ის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებაზე მის მიმართ წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის კრედიტორისათვის დაბრუნების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 2 ნოემბრის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება ო. ხ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 2 ნოემბრის განჩინებით ო. კ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების დავალების შესახებ, დაუშვებლობის გამო შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით ო. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციას დაევალა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს რესურსებითა და ხარჯით, აღსრულოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/138-

06, რომელიც განმარტებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით, საქმეზე №2ბ/907-08 სააღსრულებო საქმე №01/09-15-01016; დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის №2ბ/138-06 გადაწყვეტილებით ო. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ო. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ო. კ-ეს დაევალა დაბა წყნეთში, ... ქ. №24-ში მდებარე №36 კოტეჯის სარდაფის და ეზოს აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 19 სექტემბერს და 2008 წლის 18 თებერვალს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. ამავე სასამართლოს 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით (საქმე №2ბ/907-08) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი – „ო. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ო. კ-ეს დაევალა დაბა წყნეთში, ... ქუჩა №24-ში მდებარე №36 კოტეჯის სარდაფის და ეზოს აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში“ – განიმარტა იმგვარად, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა გამოიხატოს შემდეგ მოქმედებებში: ა) ეზოს გამყოფი ქვის ღობის მონგრევა; ბ) ტერასის დანგრევა 100 კვ.მ. მოზაიკის იატაკითა და კიბით; გ) ო. კ-ის მიერ მოწყობილ ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმება და საერთო შესასვლელი ჭიშკრის დატოვება; დ) ეზოს კეთილმოწყობის მოშლა; ე) სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება. აღნიშნული განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 17 ნოემბერს და 2009 წლის 10 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც აღსასრულებლად წარედგინა თბილისის სააღსრულებო ბიუროს.

თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის გ. დ-ის 2009 წლის 29 აპრილის №01/09-01/31-გ-8951 წერილით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და 28-ე მუხლების შესაბამისად, მოვალე ო. კ-ეს სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის შესასრულებლად მიეცა 7 დღის ვადა. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და აღსრულების ხელშეწყობის მიზნით მოითხოვა სააღსრულებო

ფურცლის „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტების განმარტება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის განჩინებით თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის განცხადება ამავე პალატის 2008 წლის 28 ივნისის განჩინების განმარტების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მითითებული განჩინების „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები განიმარტა იმგვარად, რომ ეზოს კეთილმოწყობის მოშლა და სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება გამოიხატა შემდეგ მოქმედებებში: დ.ა. კეთილმოწყობის მოსაშლელად ეზოში აღებული უნდა იქნეს მონოლითური მოზაიკითა და ბაზალტის კიბით მოპირკეთებული ტერასა დაახლოებით 100 კვ.მ.-ზე. ე.ა. სარდაფის ადრე არსებულ დონემდე მოყვანა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ შენარჩუნებულ იქნეს მისი ფუნქციური დატვირთვა (შესაძლებელი იყოს მისი სარდაფის სახით გამოყენება). საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის განჩინებით უცვლელად დარჩა მითითებული სასამართლო აქტი.

თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის შ. ვ-ის №01/09-15-01016-002/001 წერილით მოვალე ო. კ-ეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და 90¹ მუხლების თანახმად, მიეცა წინადადება გაფრთხილების მიღებიდან 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით მოეყვანა სისრულეში სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებითი აღსრულება მოხდებოდა 2010 წლის 14 დეკემბერს. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის შ. ვ-ის №01/09-15-01016-005/001 და №01/09-15-01016-008/002 წერილებით მოვალეს კვლავ მიეცა წინადადება სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის ნებაყოფლობით 7 დღის ვადაში შესრულების თაობაზე, ასევე განემარტა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებითი აღსრულება მოხდებოდა 2011 წლის 20 იანვარს, შემდგომ 2011 წლის 9 თებერვალს. ამასთან, მოსარჩელეს აღმასრულებლის №01/09-15-01016-006/001 წერილით ეცნობა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 84-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, იგი ვალდებული იყო დასწრებოდა აღსრულებას და შეესრულებინა კრედიტორზე ნაკისრი ვალდებულებები.

2011 წლის 21 იანვარს ო. კ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ინფორმაცია მასზე, ესაჭიროებოდა თუ არა მშენებლობის ნებართვა შენობა-ნაგებობის დემონტაჟის განსახორციელებლად (რკინა-ბეტონის ნაგებობა 100 კვ.მ. 2 მ სიმაღლის, რომელიც შემოღობი-

ლია 2 კვ.მ. და 20 სმ. ქვის კედლით). სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 21 იანვრის №12/4414-13 წერილით ო. კ-ეს ეცნობა, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, II კლასის შენობა-ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოების მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამშენებლო დოკუმენტის პროექტის საფუძველზე. ამდენად, დემონტაჟის ნებართვის აღებისათვის მიეთითა სამსახურში წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2011 წლის 25 თებერვლის №167 ბრძანებით უკანონოდ იქნა ცნობილი აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის შ. ვ-ის მოქმედება – 2011 წლის 9 თებერვალს დაგეგმილი იძულებითი აღსრულება. თბილისის სააღსრულებო ბიუროს დაევალა სააღსრულებო ფურცელში მითითებული სააღსრულებო მოქმედებების განხორციელების მიზნით მოეხდინა ადგილზე დათვალიერება. ო. კ-ეს ეთხოვა სააღსრულებო ფურცელში მითითებული მონოლითური მოზაიკითა და ბაზალტის კიბით მოპირკეთებული ტერასის დემონტაჟის ნებართვის 30 კალენდარულ დღეში წარდგენა. ამავე ბრძანებით სააღსრულებო საქმეზე №01/09-15-1016 განახლდა საქმის წარმოება. აღნიშნულ ბრძანებაში მიეთითა, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული მონოლითური მოზაიკითა და ბაზალტის კიბით მოპირკეთებული ტერასის დემონტაჟი საჭიროებს ნებართვას, რაც დასტურდება ო. კ-ის მიმართვის საფუძველზე, თბილისის არქიტექტურის მიერ 2011 წლის 21 იანვრის №12/4414-13 წერილით. ამდენად, ბრძანების ავტორმა მიიჩნია, რომ სააღსრულებო მოქმედება – ტერასის დანგრევა 100 კვ.მ. მოზაიკის იატაკითა და კიბით, რაც ასევე გულისხმობს ეზოს კეთილმოწყობის მოშლას, განხორციელდეს დაუყოვნებლივ სათანადო ნებართვის წარდგენის შემდეგ.

2011 წლის 10 ივნისს ო. ხ-მა განცხადებით მიმართა თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ინფორმაცია მასზე, რომ მიმართა თუ არა ო. კ-ემ სამსახურს განცხადებით დემონტაჟის ნებართვის გაცემის თაობაზე. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ივნისის №12/7041613 წერილით ო. ხ-ს

ეცნობა, რომ სამსახურს 2011 წლის 21 იანვარს განცხადებით მიმართა ო. კ-ემ და მოითხოვა ინფორმაცია საჭიროებდა თუ არა მშენებლობის ნებართვას ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, ... ქ. №24-ში მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის განხორციელება. სამსახურის მიერ გაცემული იქნა ზოგადი პასუხი დემონტაჟის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის თაობაზე. 2011 წლის 21 იანვრის შემდგომ ო. კ-ეს დემონტაჟის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით სამსახურისათვის არ მიუმართავს.

თბილისის სააღსრულებო ბიუროს მესამე ჯგუფის უფროსის 2011 წლის 24 ივნისის №36212 წერილით ო. ხ-ს ეცნობა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის №28/907-08 სააღსრულებო ფურცელი აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2011 წლის 18 თებერვლის №134 ბრძანების საფუძველზე 2011 წლის 10 ივნისს აღსასრულებლად გადაეცა აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურულ ერთეულს – აღსრულების პოლიციის სამმართველოს.

აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს თბილისის განყოფილების უფროსის შ. მ-ის 2011 წლის 22 ივლისის №01/09-15-01016-013/003 წერილით კრედიტორ ო. ხ-ს ეცნობა, რომ სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით სააღსრულებო მოქმედებების განხორციელება დანიშნულია 2011 წლის 25 ივლისს. ასევე ეცნობა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 86-ე მუხლის შესაბამისად, უნდა უზრუნველყო დემონტაჟის ფინანსური ხარჯების დაფარვა. კრედიტორმა ო. ხ-მა განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის უფროსს და მოითხოვა 2011 წლის 25 ივლისს დანიშნული დემონტაჟის გადადება 2011 წლის 22 აგვისტოსათვის. აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს თბილისის განყოფილების უფროსის შ. მ-ის მიერ შედგენილი ოქმით დასტურდება, რომ აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით აღსრულების პოლიციელები გამოცხადნენ სააღსრულებო ფურცელში მითითებულ მისამართზე და კრედიტორის განცხადების საფუძველზე გადაიდო იძულებითი აღსრულება. აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს თბილისის განყოფილების უფროსის შ. მ-ის №01/09-15-01016-013/007 წერილით კრედიტორ ო. ხ-ს ეცნობა, რომ სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით სააღსრულებო მოქმედებების განხორციელება დანიშნული იყო 2011 წლის 22 აგვისტოს.

2011 წლის 19 აგვისტოს დაბა წყნეთში, ... ქუჩა №21-ში მცხოვრებმა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა კოლექტიური განცხადებით მიმართეს ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ შორის, აღსრულების ეროვნულ ბიუროს, სადაც მიუთითეს, რომ მათი საცხოვრებელი კოტეჯების მოპირდაპირე მხარეს, რამდენიმე მეტრის დაცილებით განთავსებულ №36 კოტეჯში ცხოვრობენ ო. კ-ე და ო. ხ-ის ოჯახები, რომელთაც დაგეგმილი აქვთ საკუთარი ეზოს კეთილმოწყობის მიზნით სხვადასხვა სახის კაპიტალური ხასიათის სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, რაც მოიცავს, მერიის შესაბამისი სამსახურების ნებართვისა და შესაბამისი პროექტის გარეშე, გზის საყრდენი კედლის გამოთხრას, რაც უდავოდ გამოიწვევს ნაიდაგის რყევებს და მათი ისედაც ავარიული კოტეჯებისა და კომუნიკაციების ნგრევა-დაზიანებას. ამდენად, განმცხადებლებმა მოსალოდნელი უკანონო ქმედებების აღკვეთა მოითხოვეს.

2011 წლის 30 სექტემბერს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს თბილისის განყოფილების უფროსმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის განმარტება, კერძოდ, დასაშვებია თუ არა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულება, იგივე ქმედება ასეთ პირობებში განახორციელოს კრედიტორმა საკუთარი ხარჯებით მშენებლობის ნებართვის გარეშე, ან აღსრულების ეროვნულმა ბიურომ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განჩინებით მითითებული განცხადება გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 თებერვლის განჩინებით აღნიშნული განჩინება უცვლელად იქნა დატოვებული. ასევე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფა. ასევე დადგენილია, რომ მითითებული გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა.

2012 წლის 20 აპრილს ო. ხ-მა საჩივრით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს, რომლითაც აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციისათვის დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში, სააღსრულებო

ბიუროს ხარჯით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების დავალე-
ბა მოითხოვა. დადგენილია, რაც სადავოდ მხარეებსაც არ გა-
უხდიათ, რომ აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით აღსრულე-
ბის ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს გადაწყვეტილება არ
მიუღია.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონ-
სტიტუციის 82.2. მუხლის შესაბამისად, სასამართლოს აქტები
სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის
ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო გადაწყვეტილება
მართლმსაჯულების აქტია და მისი სამართლებრივი შედეგები
თვით კონსტიტუციითაა რეგლამენტირებული. ამას გარდა, სა-
ქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სასამართლო გა-
დაწყვეტილების სავალდებულო ძალა ასახულია ასევე სამოქა-
ლაქო საპროცესო კოდექსში, რომლის მე-10 მუხლის თანახმად,
კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები
(განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამო-
სილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული
მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართვე-
ლოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებ-
რივი თუ კერძო სანარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგა-
ნიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და
ისინი უნდა შესრულდეს. სასამართლო გადაწყვეტილების სა-
ვალდებულობა დღის წესრიგში აყენებს მისი აღსრულებადო-
ბის უზრუნველყოფის საკითხს. თუ პირი, რომლის მიმართაცაა
სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს
ამ გადაწყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველ-
ზე, საქმეში ერთეება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრა-
ციული ორგანო – აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც
უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას.

სასამართლომ მოიხმო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“
საქართველოს კანონი, რომლის პირველი მუხლის თანახმად, ეს
კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაცი-
ული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რეს-
ტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის,
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სა-
მართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტე-
ბის და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გა-
დაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს. ამავე კა-
ნონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით
აღსრულებას ექვემდებარება სასამართლო აქტები, მათ შორის,

კერძო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება. მითითებული საკანონმდებლო აქტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. სასამართლომ ასევე მიუთითა ხსენებული კანონის მე-17 მუხლზე, რომლითაც რეგლამენტირებულია აღმასრულებლის უფლება-მოვალეობანი. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული აღმასრულებლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა; ხოლო ამავე მუხლის მე-7 პუნქტი ავალდებულებს აღმასრულებელს მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ აღსასრულებელი გადაწყვეტილება განმარტებულია არაერთხელ, ასევე მკაფიოდ და ნათლადაა დადგენილი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის წესი. შესაბამისად, იძულებითი აღსრულების ფარგლებში სააღსრულებო ორგანო აღჭურვილია ყველა შესაძლებლობით მოახდინოს გადაწყვეტილების აღსრულება შესაბამისი ზომების მიღების გზით, რაც დღემდე არ განხორციელებულა.

სასამართლომ მოიხმო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 90¹ მუხლი, რომლითაც რეგლამენტირებულია მშენებლობის შეჩერების, უნებართვო დემონტაჟის შეჩერების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის და მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების და დემონტაჟის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილების აღსრულების წესი. მითითებული მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ დადგენილების იძულებითი აღსრულებას აღსრულების ეროვნული

ბიურო იწყებს იმ შემთხვევაში, თუ ინფორმირებიდან 7 დღის ვადაში დამრღვევმა ნებაყოფლობით არ შეასრულა ვალდებულება. ამასთან, ამავე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ თუ დამრღვევი არ ემორჩილება აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნას, აღსრულების ეროვნული ბიურო დახმარებისათვის მიმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს ან/და აღსრულების პოლიციას. ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილია, რომ მშენებლობის შეჩერების, უნებართვო დემონტაჟის შეჩერების ან/და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის და მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების და დემონტაჟის შესახებ დადგენილების იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება დამრღვევ პირს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხსენებული ნორმით დადგინდა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილებანი, ასევე იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 86-ე მუხლთან დაკავშირებით და განმარტა, რომ თუ მოვალე არ ასრულებს ისეთ ვალდებულებას, რომელიც შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, მაშინ აღნიშნული ნორმის საფუძველზე კრედიტორს ენიჭება უფლება, აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით, თავისი ხარჯით, თვითონ შეასრულოს სასამართლო წესით მოვალისათვის დაკისრებული მოქმედება, რაც არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებული იქნეს იმგვარად, რომ აღმასრულებელმა ორგანომ თავიდან აირიდოს კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულება, მხოლოდ იმ მოტივით, რომ კრედიტორი თავისი ხარჯით ვერ უზრუნველყოფს ამ მოქმედების შესრულებას. მითითებული ნორმის დანაწესი ითვალისწინებს კრედიტორის ინტერესების ხელშეწყობის მიზნით, სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფი და ეფექტური აღსრულებისათვის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს და იმპერატიულად არ ადგენს კრედიტორის ვალდებულებას. ამდენად, საქალაქო სასამართლომ უმართებულოდ მიიჩნია და არ გაიზიარა მოპასუხე აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციე-

ლის მითითება აღნიშნული მუხლის საფუძველზე დემონტაჟის ფინანსური ხარჯების კრედიტორის მიერ დაფარვის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებულია მისი რესურსებითა და ხარჯით მოახდინოს აღსრულების უზრუნველყოფა, ხოლო საბოლოოდ, იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მოვალეს.

გარდა ამისა, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააღსრულებო მოქმედებების შესრულების გაჭიანურება სხვა პირთა (იძულებით გადაადგილებულ პირთა) უფლების შესაძლო დარღვევის მოტივით, ვინაიდან, სააღსრულებო მოქმედების მანარმოებელი პირი, გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლების გათვალისწინებით, თავად არის ვალდებული, მიიღოს ყველა გონივრული ზომა გადაწყვეტილების რაც შეიძლება ნაკლები ზიანის გამოწვევის გზით აღსრულების თაობაზე. რაც შეეხება მესამე პირის მითითებას გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისათვის სამშენებლო ნებართვის მოპოვების შეუძლებლობის შესახებ, სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან დადასტურებულია, რომ 2011 წლის 21 იანვრის შემდგომ ო. კ-ის დემონტაჟის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით სამსახურისათვის არ მიუმართავს. გარდა ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებულია ო. კ-ის მიერ სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება სათანადო ნებართვის გარეშე, რაც მისთვის №36 კოტეჯის სარდაფის და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის დავალდებულების ერთ-ერთი საფუძველი გახდა. ამდენად, იგი წარმოადგენდა დამკვეთს – ანუ შენობა-ნაგებობების მოსარგებლეს, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, მისი აღსრულება დამატებით ნებართვის მოპოვებას არ საჭიროებდა.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის მოქმედება უკანონოა, ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, რის საფუძველზეც მას უნდა დაევალოს არაუგვიანეს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადისა, იძულებით აღასრუ-

ლოს სააღსრულებო ბიუროს რესურსებითა და ხარჯით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე №2ბ/138-06, რომელიც განმარტებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით საქმეზე №2ბ/907-08 – სააღსრულებო საქმე №01/09-15-01016. ამას გარდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ, სარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დავალდებულების თაობაზე უსაფუძვლოა. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განსახორციელებელია გარკვეული სააღსრულებო მოქმედებები, რისთვისაც გონივრულ ვადას 1 თვე წარმოადგენს. რაც შეეხება სარჩელის მოთხოვნას იგივე ქმედების თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის დავალების შესახებ, სასამართლომ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან სასამართლო დავალების საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიუროდან წარმოდგენილი ინფორმაციით დადასტურებულია, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2011 წლის 18 თებერვლის №134 ბრძანების საფუძველზე ხსენებული საქმე აღსასრულებლად გადაეცა აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურულ ერთეულს – აღსრულების პოლიციის სამმართველოს. ამდენად, სარჩელის მოთხოვნა მიმართულია არასათანადო მოპასუხის მიმართ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18³ მუხლის საფუძველზე სააღსრულებო წარმოების მხარესა და დაინტერესებულ პირს, რომელთა კანონიერ ინტერესზედაც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს აღმასრულებლის ქმედება, მიენიჭათ უფლება, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ერთჯერადად გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, ამავე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საჩივარს განიხილავს მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და საჩივრის შემტანს აცნობებს საჩივრის დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია, საქმის სირთულიდან გამომდინა-

რე, არა უმეტეს 15 კალენდარული დღით გააგრძელოს საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების ვადა, რის შესახებაც იგი აცყობინებს საჩივრის შემტანს. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის უარი საჩივრის დაკმაყოფილებაზე დასაბუთებული უნდა იყოს. საჩივრის შემტანი უფლებამოსილია საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ამ კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების ვადის დარღვევა ჩაითვლება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად. სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 20 აპრილს ო. ხ-მა საჩივრით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს და აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციისათვის დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში, სააღსრულებო ბიუროს ხარჯით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების დავალება მოითხოვა. ასევე დადგენილია, რაც სადავოდ მხარეებსაც არ გაუხდიათ, რომ აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს გადაწყვეტილება არ მიუღია, რაც ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე მიიჩნევა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად. იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია სააღსრულებო ბიუროს პოლიციის ის ქმედებები, რომლითაც დაუსაბუთებლად ჭიანჭურდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება, სასამართლომ ასევე უკანონოდ მიიჩნია აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ და ო. კ-ემ, რომლებმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და ო. კ-ის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ო. ხ-ს

უარი ეთქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ, დავის საგნიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს იმ საკითხის დადგენა, მოცემული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოება წარმოადგენს თუ არა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ იმ კატეგორიის საქმეს, რომლის აღსრულების პროცესშიც აღსრულების ეროვნულ ბიუროს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წარმოეშვება ვალდებულება მისი რესურსებითა და ხარჯით მოახდინოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილებების, აგრეთვე, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნესით დაკისრებული ჯარიმების, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი თანხების, მათ შორის, სახელმწიფო ბაჟის, ამ კანონის 90¹ მუხლით გათვალისწინებული აქტების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების, ამავე კანონის 38-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღსრულების დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით განეული ქონების შენახვის, ტრანსპორტირების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლების აღიარების ან/და დადგენის პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით განეული ხარჯი დაეკისრება მოვალეს და ამოილება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად, თუ ეს ხარჯი გაიღო აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და შესაძლებელია მისი დადასტურება შესაბამისი დოკუმენტაციით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხ-

ლის მე-9 და მე-15 პუნქტებზე, რომლის თანახმად მშენებლობის შეჩერების, უნებართვო დემონტაჟის შეჩერების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის და მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების და დემონტაჟის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილების მიმღები ორგანო არის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო, რომლის მიერ მიღებული დადგენილება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და აღსრულება ამ კოდექსითა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნული გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 90¹ მუხლთან მიმართებით და მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა არ ადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს ვალდებულებას მოცემული კატეგორიის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, თავისი რეესურსებითა და ხარჯით მოახდინოს აღსრულების უზრუნველყოფა. მითითებული ნორმა ეხება საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ დადგენილ სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილების აღსრულებისას, აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილებასა და იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესს, შესაბამისად, მოცემული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 90¹ მუხლი ვერ გავრცელდება და მოსარჩელის არგუმენტები აღნიშნულის თაობაზე გაზიარებული ვერ იქნება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 86-ე მუხლთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ მითითებული ნორმის დანაწესი ითვალისწინებს კრედიტორის ინტერესების ხელშეწყობის მიზნით, იმ კეტეგორიის საქმეების აღსრულების წესს, როდესაც კრედიტორს ეძლევა უფლება (და არა ვალდებულება) აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით, თავისი ხარჯით, შეასრულოს მოვალისათვის დაკისრებული მოქმედება, შესაბამისად, აღნიშნული ნორმა ვერ იქნება გაგებული იმგვარად, რომ აღსრულების ეროვნუ-

ლი ბიურო ვალდებულია გასწიოს ხარჯები მოცემული კატეგორიის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, რამდენადაც კანონის ეს ნორმა პირდაპირ უთითებს, რომ მითითებული კატეგორიის საქმეების აღსრულება ხდება კრედიტორის ხარჯით და არ ადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს ვალდებულებას თავისი რესურსებითა და ხარჯით მოახდინოს აღსრულების უზრუნველყოფა. ამდენად, აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის მოქმედება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მხედრული მუხლის საფუძველზე დემონტაჟის ფინანსური ხარჯების კრედიტორის მიერ დაფარვის მითითების თაობაზე სააპელაციო სასამართლომ კანონშესაბამისად მიიჩნია და აღნიშნულთან დაკავშირებით არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე მიიჩნია, რომ მოცემული კატეგორიის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოება არ წარმოადგენს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ იმ კატეგორიის საქმეს, რომლის აღსრულების პროცესშიც აღსრულების ეროვნულ ბიუროს პოლიციას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წარმოეშვება ვალდებულება გასწიოს ხარჯები მოცემული კატეგორიის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნა თბილისის სააღსრულებო ბიუროს პოლიციისათვის ქმედების დავალების თაობაზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს რესურსებითა და ხარჯით მოახდინოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და გაზიარებული ვერ იქნება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება და მოსარჩელის მიერ ვერც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება (სსსკ 102-ე მუხლი), რაც შეიძლება გამხდარიყო, სადავო ნაწილში, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 90¹ მუხლთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ სასარჩელო მოთხოვნა თავსდება აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ „კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობის მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის აღსრულების“ შემთხვევაში. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კი სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ დაავინროვა შინაარსობრივად ფართო ჩანაწერი. კასატორის მითითებით, კანონმდებლობის დარღვევებს ადგენს როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ასევე სასამართლო. სასამართლოს კომპეტენცია სწორედ ის არის, რომ დაადგინოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი. შესაბამისად, კასატორი არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევად მხოლოდ სამშენებლო სამართალდარღვევა ითვლება.

ამასთან, კასატორის განმარტებით, სადავო ნამდვილად არ არის ის გარემოება, რომ „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 86-ე მუხლი კრედიტორისათვის გარკვეული უფლების და არა ვალდებულების მიმნიჭებელია, მაგრამ კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ აღნიშნული ნორმა აღსრულებას კრედიტორის ხარჯით ითვალისწინებს. კასატორის მითითებით, ნორმათა ამგვარი განმარტებით გაუგებარი ხდება რაში მდგომარეობს ამ ტიპის საალსრულებო ფურცლების იძულებით აღსრულებაში საალსრულებო ბიუროს როლი. გაურკვეველია რას ემსახურება აღსრულების საფასური (რომელიც მას თავის დროზე გადახდილი აქვს) დემონტაჟის კატეგორიის საალსრულებო ფურცლის აღსრულებისათვის, თუკი დემონტაჟი კრედიტორის ხარჯით უნდა განხორციელდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ო. ხ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ო. ხ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2014 წლის 16 იანვარს, 12:30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხართა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სადავო საკითხს; სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების წლების განმავლობაში აღუსრულებლობამ გამოიწვია. წარდგენილი სარჩელიც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს ემსახურება. ამასთან, საკასაციო სასამართლოში 2014 წლის 10 აპრილს გამართულ სასამართლო სხდომაზე კასატორმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის №2ბ/138-06 გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით აღსრულება მოითხოვა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის №2ბ/138-06 გადაწყვეტილებით ო. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ო. კ-ეს დაევალა დაბა წყნეთში, ... ქუჩა №24-ში მდებარე №36 კოტეჯის სარდაფის და ეზოს აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 19 სექტემბერს და 2008 წლის 18 თებერვალს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. ამავე სასამართლოს 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი განიმარტა

იმგვარად, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა გამოიხატოს შემდეგ მოქმედებებში: ა) ეზოს გამყოფი ქვის ღობის მონგრევა; ბ) ტერასის დანგრევა 100 კვ.მ. მოზაიკის იატაკითა და კიბით; გ) ო. კ-ის მიერ მოწყობილ ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმება და საერთო შესასვლელი ჭიშკრის დატოვება; დ) ეზოს კეთილმოწყობის მოშლა; ე) სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება. აღნიშნული განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 17 ნოემბერს და 2009 წლის 10 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც აღსასრულებლად წარედგინა თბილისის სააღსრულებო ბიუროს. ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის განჩინებით თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის განცხადება ამავე პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინების განმარტების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მითითებული განჩინების „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები განიმარტა იმგვარად, რომ ეზოს კეთილმოწყობის მოშლა და სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება გამოიხატა შემდეგ მოქმედებებში: დ.ა. კეთილმოწყობის მოსაშლელად ეზოში აღებულ უნდა იქნეს მონოლითური მოზაიკითა და ბაზალტის კიბით მოპირკეთებული ტერასა დაახლოებით 100 კვ.მ.-ზე; ე.ა. სარდაფის ადრე არსებულ დონემდე მოყვანა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ შენარჩუნებულ იქნეს მისი ფუნქციური დატვირთვა (შესაძლებელი იყოს მისი სარდაფის სახით გამოყენება).

საკასაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ აღსასრულებელი გადაწყვეტილება განმარტებულია არაერთხელ, მკაფიოდ და ნათლად და აღდგენილი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის წესი. შესაბამისად, იძულებითი აღსრულების ფარგლებში სააღსრულებო ორგანომ უნდა მოახდინოს გადაწყვეტილების აღსრულება შესაბამისი ზომების მიღების გზით, რაც დღემდე არ განხორციელებულა. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ აღსრულების პროცესი მოქნილობით უნდა ხასიათდებოდეს და უსაფუძვლო დაბრკოლებებს არ უნდა ქმნიდეს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, რა დროსაც გადაწყვეტილების განმარტება უნდა ემსახურებოდეს სწრაფი და ეფექტური აღსრულების განხორციელების მიზანს და არა აღსრულების გაჭიანურებას.

თავად სააღსრულებო სისტემის არსებობის მიზანი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული აღსრულებას დაქვემდებარებული აქ-

ტების სისრულეში მოყვანაა. სააღსრულებო სამართლის უმთავრეს პრინციპებს კი სწრაფი, ეფექტური და რაც უმთავრესია, კანონშესაბამისი აღსრულების განხორციელება წარმოადგენს. სააღსრულებო სისტემას წაეყენება ეფექტური აღსრულების მოთხოვნა იმდენად, რამდენადაც კრედიტორმა ისედაც დიდი დრო დაკარგა უფლების აღსადგენად და მოთხოვნის აღსასრულებლად. სახელმწიფო სააღსრულებო ორგანოებს ანიჭებს უფლებამოსილებას აღასრულონ აღსრულებას დაქვემდებარებული გადაწყვეტილებები, რის საფუძველზეც სააღსრულებო წარმოება უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფოს მიერ იძულებითი აღსრულების განხორციელებას. იძულებითი სააღსრულებო სამართალი უნდა წარმოადგენდეს უფლებადაცვის მოქნილ სისტემას, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს ინტერესში შედის. აღსრულების პროცესი კი იმგვარად უნდა იქნეს წარმართული, რომ აზრი არ დაეკარგოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება სააღსრულებო ბიუროს მიერ ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე ნებაყოფლობით არ ასრულებს ვალდებულებას. შესაბამისად, თუ პირი, რომლის მიმართაცაა სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – სააღსრულებო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს; ხოლო მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება კერძო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება. ამავე კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, აღსრულების ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ამასთან, სააღსრულებო ფურცელი ამოიწერება და გაიცემა გადაწყვეტილების აღსრულებადობის უზრუნველსაყოფად, მისი იძულებითი აღსრულების მიზნით. სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოება კი თავის მხრივ დღის წესრიგში აყენებს მისი აღსრულების უზრუნველყოფის საკითხს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის №2ბ/138-06 გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით სააღსრულებო ფურცელი ო. ხ-ს სააღსრულებო ბიუროში ჯერ კიდევ 2008 წელს აქვს წარდგენილი. ამასთან, დაუსრულებელი მიზეზებით აღსრულების გადადებით, აღსრულების შეჩერებით გადაწყვეტილების განმარტების, დემონტაჟის ნებართვის მოპოვების მოტივით, საქმე დღემდე აღუსრულებელი რჩება. უგულებელყოფილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სავალდებულობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. აღსანიშნავია, რომ „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფლებებს, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არცნობას იმდენად, რამდენადაც იგი მოჩვენებითს ხდის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, როგორც „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების ელემენტი, დაცული და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 82.2. მუხლით, რომლის მიხედვითაც „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“. კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი კი იმპლემენტირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლში.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებლის საჩივარი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლების დაცვას ეხება.

ყვეტილების აღსრულების უფლებას ეხება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლება, რომელიც აშკარად კონვენციის არც ერთ დებულებაში არ არის მოცემული, კონვენციის ორგანოების მიერ განმარტებულ იქნა, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე „შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40).

ამდენად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებლობა არღვევს პირის როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას (კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი). ყოველივე აღნიშნული კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სააღსრულებო ორგანოების საქმიანობის მნიშვნელობას და მათზე დაკისრებული ვალდებულების ხარისხს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 90¹ მუხლთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმა ვერ გავრცელდება განსახილველ სამართალურიერთობაზე, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებასთან, ხოლო მითითებული ნორმა ეხება სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილების და არა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს. ბუნებრივია, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით დგინდება შენობა-ნაგებობების საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენების ფაქტი, სასამართლო თავადვე წყვეტს უკანონოდ აშენებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის საკითხსა და წესს. განსახილველ შემთხვევაში კი სწორედ კა-

ნონიერ ძალაში შესული აღსასრულებელი გადაწყვეტილებით დაბა წყნეთში, ... ქ. №24-ში მდებარე №36 კოტეჯის სარდაფის და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა პირდაპირ ო. კ-ეს დაევალა.

საყურადღებოა ასევე მოსარჩელის – ო. ხ-ის დამოკიდებულება სადავო საკითხის მიმართ, რომელიც წლების განმავლობაში არაერთი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის გზით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას ცდილობდა. საქმის მასალებში წარმოდგენილია მოსარჩელის დაუსრულებელი განცხადებები სხვადასხვა უწყებების მიმართ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

აღნიშნულის პარალელურად, სააღსრულებო ორგანო განცხადებებით მიმართავდა სასამართლოს აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით, რასაც მხარს მოვალე – ო. კ-ეც უბამდა. სასამართლომ 28.07.2008 წლისა და 11.06.2010 წლის განჩინებებით ორჯერ მოახდინა აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტება, ხოლო შემდგომი განცხადებები უსაფუძვლოდ მიიჩნია და უარი განაცხადა გადაწყვეტილების განმარტებაზე. აღნიშნულის შემდგომ, სააღსრულებო ორგანომ კრედიტორს აღსრულების ხარჯების დაფარვა მოსთხოვა და საფუძვლად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 86-ე მუხლზე მიუთითა. თუმცა სააღსრულებო ბიუროს უნდა გაეთვალისწინებინა განსახილველ შემთხვევაში ო. ხ-ი წარმოადგენდა თუ არა სუბიექტს, რომელზეც აღნიშნული ნორმის გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი. საკაცო სასამართლო სააღსრულებო ბიუროს ყურადღებას ამახვილებს აღნიშნული მუხლის შინაარსზე, რომლის თანახმად, თუ მოვალე არ ასრულებს ისეთ ვალდებულებას, რომელიც შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, მაშინ აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით კრედიტორს უფლება აქვს, თავისი ხარჯით, რომელიც სასამართლო წესით ეკისრება მოვალეს, თვითონ შეასრულოს ეს მოქმედება. შესაბამისად, მოცემული ნორმა კრედიტორისათვის გარკვეული უფლების მიმნიჭებელია, რომლის განხორციელება კრედიტორის ნებაზევეა დამოკიდებული. თუმცა, საყურადღებოა, რომ აღნიშნული მუხლი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც კრედიტორს შესაძლებლობა აქვს მოვალესათვის დაკისრებული ვალდებულება თავად შეასრულოს.

ამ მხრივ საკაცო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს თავად აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნა-

ნილზე, რომლის თანახმად, დაბა წყნეთში, ... ქ. №24-ში მდებარე №36 კოტეჯის სარდაფის და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა უშუალოდ ო. კ-ეს აქვს დავალებული, რომელსაც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 94.2 მუხლის თანახმად, არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა, ხოლო ო. ხ-ს კანონმდებლობა არ ათავისუფლებს აღნიშნული ნებართვის მოპოვების ვალდებულებისაგან. ამასთან, აქვე საკითხავია, მიიღებს კი ო. ხ-ი ასეთ ნებართვას, იმ პირობებში, როდესაც აღსასრულებელი გადაწყვეტილება ო. კ-ისკენ არის მიმართული. ამდენად, სწორედ აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა ქცეულიყო სახელმძღვანელოდ სააღსრულებო ბიუროსთვის. აღსრულების ხელშეწყობის მიზნით კრედიტორისათვის გარკვეული უფლებამოსილების მიმნიჭებელი ნორმა კი მის საზიანოდ და მისივე ინტერესების იგნორირებით არ უნდა იქნას გაგებული და გამოყენებული. გადაწყვეტილების აღსრულება უპირველესყოფლისა კრედიტორის უფლებების დაცვას უნდა ემსახურებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააღსრულებო ბიუროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის №2ბ/138-06 გადაწყვეტილების აღსრულებისას კანონით დადგენილი წესით არ უხელმძღვანელია, კერძოდ, სააღსრულებო ბიურომ გამოიყენა ნორმა – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 86-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოეყენა ნორმა – ამავე კანონის 87-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 87-ე მუხლის თანახმად, თუ მოქმედება არ შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, რადგან ეს დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ნებაზე, რომელიც არ ასრულებს ამ მოქმედებას, მაშინ მოვალეს შეიძლება დაეკისროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სააღსრულებო ბიუროს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობის ფაქტზე პროკურატურისათვის არ მიუმართავს, ეს იმ პირობებში, როდესაც 7 წლის განმავლობაში მოვალე – ო. კ-ეს სააღსრულებო ბიურო არაერთგზის მიმართავდა გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით, რადროსაც ო. კ-ეს სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის შესრუ-

ლება ევალეობადა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მას სააღსრულებო ბიურო აფრთხილებდა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ფაქტზე კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისა და იძულებითი აღსრულების თაობაზე წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით ქ. თბილისის პროკურატურისათვის მასალების გადაცემის შესახებ. თუმცა, სააღსრულებო ბიუროს აღნიშნული შესაძლებლობა 7 წლის განმავლობაში არ გამოუყენებია. აღნიშნული პერიოდი კი უდავოდ სცილდება გადაწყვეტილების აღსრულების გონივრულ ვადებს, რაც გადაწყვეტილების აღსრულებლობას უთანაბრდება და არღვევს პირის როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, ვინაიდან, კრედიტორისათვის მის სასარგებლოდ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მნიშვნელობა მხოლოდ მის აღსრულებაშია. ამასთან, მართალია აღსასრულებელ საქმეთა სპეციფიკიდან გამომდინარე კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სააღსრულებო პროცედურების განხორციელების კონკრეტულ ვადებს, მაგრამ თავად აღსრულების მიზნებიდან გამომდინარე, აღსრულება უნდა იყოს ეფექტური და გონივრულ დროში განხორციელებული, რა დროსაც აღსრულების კონკრეტული ვადების განუსაზღვრელობამ აღსრულების ორგანოებს არაკეთილსინდისიერებისა და საქმის გაჭიანურებისკენ არ უნდა უბიძგოს. აღსრულების ორგანოები მათი საქმიანობიდან გამომდინარე არ უნდა უგულებელყოფდნენ მათი შექმნის მიზნებს, რაც აღსრულებას დაქვემდებარებული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანასა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაში გამოიხატება.

ამასთან, აღნიშნული ქმედების განუხორციელებლობის პირობებში საინტერესოა ის გარემოება, რომ სააღსრულებო ბიურო ოფიციალურ ვებ-გვერდზე კრედიტორებს სთავაზობს მომსახურების განევას თუ მოვალე სააღსრულებო ფურცლით მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს არიდებს და ბიურო პირდაპირ მიუთითებს სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შედეგებზე, რომ ასეთ შემთხვევაში არსებობს აღსასრულებელი მოთხოვნის დაცვის მექანიზმი – აღმასრულებელი უფლებამოსილია სააღსრულებო საქმე გადააგზავნოს საქართველოს მთავარ პროკურატურაში, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების განზრახ შეუსრულებლობა.

სააღსრულებო ბიუროს ფუნქცია კანონით მკაცრადაა განსაზღვრული და მან უნდა უზრუნველყოს სააღსრულებო ფურ-

ცელში მითითებული მოქმედებების ზუსტ შესაბამისობაში აღსრულება. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა უბრალოდ გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან, არამედ თავად აღსრულების პირველი უზრუნველმყოფის – სააღსრულებო ბიუროს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით აღუსრულებლობასთან. სააღსრულებო ბიურომ მისი მიზნების, ფუნქციების უგულებელყოფით და საკითხისადმი ფორმალური მიდგომით ვერ უზრუნველყო კანონით დადგენილი წესით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება. ამდენად, სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, მისი არსებობის მიზნების, სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობისა და ო. ხ-ის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღსრულება, რა დროსაც სააღსრულებო ბიურომ მისთვის კანონით მინიჭებული ყველანაირი შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ო. ხ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ო. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ო. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაევალოს უზრუნველყოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღსრულება, რა დროსაც სააღსრულებო ბიურომ მისთვის კანონით მინიჭებული ყველანაირი შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს.

მეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააღსრულებო ნარმოების შეჩერება

განჩინება

№ბს-428-423(კ-12)

6 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ტ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ.თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მესამე პირის ნ. ბ-ის მიმართ მოპასუხის 29.10.2010წ. განკარგულებისა და 28.10.2010წ. საჯარო აუქციონის ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 08.04.2010წ. მისი სახელით, მის მიერ ნების გამოვლენის გარეშე, დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება. სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემდეგ – 16.09.2010წ. ნოტარიუსის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც ნ. ბ-ის მიერ წარდგენილ იქნა თბილისის სააღსრულებო ბიუროში იძულებით აღსასრულებლად. იძულებითი აღსრულების შედეგად ქონების შემძენი გახდა ნ. ბ-ი, რომელმაც გაყალბებული დოკუმენტების გამოყენების გზით შეცდომაში შეიყვანა სააღსრულებო ბიურო. მ. ტ-ს რაიმე დოკუმენტი აღსრულების მიმდინარეობის შესახებ არ მიუღია, შესაბამისად, მისთვის არც იპოთეკის ხელშეკრულების და არც აღსრულების შესახებ არაფერი იყო ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.03.2011წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა ცნობილი, რომ 08.04.2010წ. ნ. ბ-სა და მ. ტ-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მ. ტ-ს სესხის სახით გადაეცა 30 000 აშშ დოლარი, 3 თვის ვადით, თვეში 5 %-იანი სარგებლის დარიცხვითა და ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის პირგასამტეხლოს სახით ძირითადი თანხის 0,3 %-ის დარიცხვით. ამავე ხელშეკრულებით, სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მ. ტ-ის საკუთრებაში რიცხული ქ.თბილისში, ... მე-2ა მ/რ, კორპ.23-ში მდებარე 90 კვ.მ ფართის №103 ბინა. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველზე ნოტარიუსის მიერ 16.09.2010წ. გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც დადგინდა იპოთეკის საგნის რეალიზაცია. კრედიტორმა ნ. ბ-მა 16.09.2010წ. მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია. არაერთი მცდელობის მიუხედავად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოვალე მ. ტ-ს ვერ ჩაბარდა წინადადება სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის ნებაყოფლობითი შესრულების თაობაზე. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 07.10.10წ. განკარგულებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25-ე და სსკ 78-ე მუხლების შესაბამისად, მოვალე მ. ტ-ის მიმართ წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ გამოქვეყნდა საჯაროდ. 06.10.2010წ. აღმასრულებლის მიერ განხორციელდა მ. ტ-ის კუთვნილი უძრავი ქონების დაყადაღება. ქონება შეფასდა (57 000 ლ.) და გამოცხადდა იძულებითი აუქციონი. 28.10.2010წ. პირველი საჯარო იძულებითი აუქციონი გახსნილად გამოცხადდა, აღმასრულებლის მიერ აუქციონში მონაწილე პირებს განემარტათ აუქციონის წესი და პირობები, აუქციონზე უძრავი ქონება შეიძინა ნ. ბ-მა 35 000 ლარად. სასამართლომ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25-ე, 26-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით იძულებითი აღსრულება დაწყებულია სააღსრულებო ფურცელში მითითებული კრედიტორის – ნ. ბ-ის განცხადების საფუძველზე. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 29.10.2010წ. განკარგულებით პირველ იძულებით აუქციონზე მოვალე მ. ტ-ის უძრავი ქონების შემძენი გახდა ნ. ბ-ი. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სადავო სამართალურთიერთობის დროს მოქმედ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის 25-ე, 28-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მას წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ სათანადო წესით არ ჩაბარებია, რადგან მ. ტ-ისთვის გაფრთხილების ჩაბარების მიზნით მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების მისამართზე გაგზავნილ იქნა გაფრთხილების წერილი, რომელიც მოვალე მ. ტ-ს ვერ ჩაბარდა, რის გამოც აღმასრულებლის მიერ სსკ-ის 78-ე მუხლის შესაბამისად, წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ გამოქვეყნდა საჯაროდ – გაზეთ „...“ მეშვეობით, რითაც შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვალა გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.07.2010წ. №141 ბრძანებით დამტკიცებულ „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმებისა და წესის“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტზე და აღნიშნა, რომ აუქციონის ჩატარების შესახებ მხარეებს პერსონალურად არ ეცნობებათ, რადგან გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადებაში ასახულია გაფრთხილება მოვალის მიერ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში იძულებითი აღსრულებისათვის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ მისთვის აღმასრულებელს აუქციონის ჩატარების შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნა. ამასთანავე, სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სააღსრულებო წარმოების მასალებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ სააღსრულებო წარმოება კანონშესაბამისად განხორციელდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.03.2011წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. ტ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.06.2011წ. განჩინებით მ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.03.2011წ. გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრა მ. ტ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.12.2011წ. განჩინებით მ. ტ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.06.2011წ. განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად და-

უბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 06.02.2012წ. განჩინებით მ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. ამავე სასამართლოს 22.02.2012წ. განჩინებით მ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 31.03.2011წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 390.3 მუხლის საფუძველზე სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ განსახილველ დავაში სადავოდ არ არის გამხდარი ნ. ბ-სა და მ. ტ-ს შორის 08.04.2010წ. დადებული სესხისა და ნასყიდობის ხელშეკრულება და მის საფუძველზე 16.09.2010წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის კანონიერება. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ.ტ-ის მოსაზრება ყალბი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულების განხორციელების შესახებ, ვერ გახდება სადავო აქტების ბათილობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 22.02.2012წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა მ. ტ-ის მიერ.

კასატორმა აღნიშნა, რომ 08.04.2010წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო მ. ტ-ის მიერ ნების გამოვლენის გარეშე, მას ხელი არ მოუწერია ხელშეკრულებაზე და არც სესხი აუღია ნ. ბ-ისგან. აღნიშნული დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რომელშიც აღნიშნულია, რომ მ. ტ-ის ნაცვლად გაყალბებული პირადობის მონმობის საფუძველზე მისი სახელით ხელშეკრულება დადო ბ. დ-მა. კასატორის მითითებით, ნ. ბ-ის ჩვენებიდან, რომელიც გამომძიებლის მიერ 30.09.2010წ. დაიკითხა, დასტურდება, რომ ნ. ბ-მა იცოდა აღნიშნული სიყალბის შესახებ, თუმცა მიუხედავად ამისა მან მოახერხა უკანონო სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულების განხორციელება, რითაც უკანონო გზებით შეიძინა მ. ტ-ის ქონება. ამასთან, ნ. ბ-ი სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის პარალელურად ახორციელებდა მოლაპარაკებას მ. ტ-ის მეუღლესთან – ფ. ტ-თან, რომელსაც მიმდინარე აღსრულების შესახებ რაიმე სახის ინფორმაცია არ გააჩნდა. კასატორი მიიჩნევს, რომ აუქციონი, რომელზეც ნ. ბ-მა მ. ტ-ის ქონება შეიძინა, კანონის უხეში დარღვევით არის ჩატარებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.05.2012წ. განჩინებით მ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილ-

ველად. ამავე სასამართლოს 19.09.2012წ. განჩინებით მ. ტ-ის წარმომადგენლის – ქ. უ-ის განცხადება ახლადდამოწინილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.05.12წ. განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა, განახლდა საქმის წარმოება მ. ტ-ის საკასაციო საჩივარზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.01.2013წ. განჩინებით მ. ტ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შეჩერდა საქმის წარმოება სამოქალაქო საქმეზე სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებისა და სააღსრულებო ფურცლის სიყალბის დადგენისა და ბათილად ცნობის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

17.10.13წ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა მ. ტ-ის წარმომადგენელმა თ. კ-იმ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო საქმე, რომლის გადაწყვეტამდეც შეჩერებული იყო მიმდინარე ადმინისტრაციული საქმის განხილვა, დასრულებულია. აღნიშნულის დასადასტურებლად თ. კ-იმ წარმოადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.03.2013წ. გადაწყვეტილება მ. ტ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 03.10.2013წ. განჩინება ნ. ბ-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.10.2013წ. განჩინებით მ. ტ-ის წარმომადგენლის თ. კ-ის შუამდგომლობის საფუძველზე განახლდა წარმოება №ბს-428-423(კ-12) ადმინისტრაციულ საქმეზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ტ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში დაცულია 08.04.2010წ. ნ. ბ-სა და მ. ტ-ს შორის დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მ. ტ-ს სესხის სახით გადაეცა 30 000 აშშ დოლარი, 3 თვის ვადით, თვეში 5%-იანი სარგებლის დარიცხვითა და ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის პირგასამტეხლოს სახით ძირითადი თანხის 0,3%-ის დარიცხვით. ამავე ხელშეკრულებით, სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მ. ტ-ის სა-

კუთრებაში რიცხული ქ.თბილისში, ... მე-2ა მ/რ, კორპ. 23-ში მდებარე 90 კვ.მ. ფართის №103 ბინა. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველზე ნოტარიუსის მიერ 16.09.2010წ. გაიცა სააღსრულებო ფურცელი, მოვალე მ. ტ-ის მიმართ, კრედიტორ ნ. ბ-ის სასარგებლოდ. კრედიტორმა ნ. ბ-მა 16.09.2010წ. მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია. 16.09.2010წ. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ 28.10.2010წ. ჩატარდა იძულებითი საჯარო აუქციონი, რომელზეც მ. ტ-ის კუთვნილი უძრავი ქონება შეიძინა კრედიტორმა ნ. ბ-მა. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 29.10.2010წ. განკარგულებით ქ.თბილისში, ... მე-2ა მ/რ, კორპ.23-ში მდებარე 90 კვ.მ. №103 ბინის მესაკუთრედ განისაზღვრა ნ. ბ-ი.

საქმეში დაცულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 19.10.2011წ. განაჩენი, რომლითაც ბ. დ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. აღნიშნული განაჩენით დადგინდა, რომ ბ.დ-მა, მის მიერ დამზადებული ყალბი პირადობის მოწმობის გამოყენებით, მ.ტ-ის სახელით ნოტარიუს მ.ბ-ის სანოტარო ბიუროში 08.04.2010წ. გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ნ.ბ-თან, რომლისგანაც ისესხა 30 000 აშშ დოლარი (52 500 ლარი), ხოლო სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა მ.ტ-ის კუთვნილი ქ.თბილისში, ..., მე-2ა მ/რ-ში, კორპ. №23-ში მდებარე 90 კვ.მ ფართის №103 ბინა. ამავე განაჩენით დადგენილია, რომ ნ.ბ-მა, მას შემდეგ რაც შეიტყო ზემოაღნიშნული სიყალბის შესახებ, 16.09.2010წ. ნოტარიუს მ. ბ-ისგან აიღო სააღსრულებო ფურცელი, წარადგინა თბილისის სააღსრულებო ბიუროში, რის შედეგადაც თაღლითური გზით იპოთეკით დატვირთულ მ. ტ-ის კუთვნილ ბინაზე განხორციელდა აღსრულება ნ. ბ-ის სასარგებლოდ. კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 19.10.11წ. განაჩენი განსახილველ დავაში მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული.

საქმეში დაცულია აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 03.10.2013წ. განჩინება ნ. ბ-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ. აღნიშნული განჩინებით კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

05.03.2013წ. გადანყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მ. ტ-ის სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი 08.04.2010 წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება და 16.09.2010 წ. ნოტარიუს მ. ბ-ის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 08.04.2010წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ნ. ბ-თან მ. ტ-ს არ დაუდია, მას გარიგების დადების ნება არ გამოუვლენია, ხელშეკრულება მისი სახელით, გაყალბებული პირადობის მონაწილის გამოყენებით, ხელმოწერილ იქნა ბ. დ-ის მიერ. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სკ-ის 50-ე, 111-ე, 170-ე, 623-ე, 286.1 მუხლებით და აღნიშნა, რომ მ. ტ-ის კუთვნილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა განხორციელდა მესაკუთრის ნამდვილი ნების გამოვლენის გარეშე, შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებისას რეალურად მოხდა არანამდვილი მესაკუთრე პირისა და იპოთეკარის ნებათა თანხვედრა. ამდენად, კონტრაპენტად მითითებული პირის ნების გამოვლენის არარსებობის გამო, სადავო გარიგება უცილოდ ბათილად იქნა მიჩნეული. ასევე ბათილად იქნა ცნობილი 08.04.2010წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე 16.09.2010წ. გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

საქმეში დაცულ თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.10.2011წ. განაჩენში აღნიშნულია, რომ ნ. ბ-მა მას შემდეგ, რაც შეიტყო ბ. დ-ის მიერ ჩადენილი სიყალბის შესახებ, 16.09.2010წ. ნოტარიუს მ. ბ-ს გააცემინა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც წარადგინა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროში. აღნიშნული გარემოება დადგენილად იქნა მიჩნეული აგრეთვე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 05.03.2013წ. გადანყვეტილებით. საქმეში ასევე დაცულია დაზარალებულის სახით ნ. ბ-ის 09.12.2010წ. დამატებითი დაკითხვის ოქმი, სადაც ნ. ბ-ი აღნიშნავს, რომ აგვისტოში ან სექტემბერში მასთან მივიდა ორი პიროვნება, მათ შორის, ერთ-ერთი ბინის მესაკუთრის მეუღლე – ფ. ტ-ი, რომლებმაც აცნობეს, რომ ხელშეკრულება არ დადებულია ბინის მესაკუთრესთან, ბ. დ-მა დაახლოებით სექტემბრის ბოლოს აღიარა, რომ ის არ იყო მ. ტ-ი. ნ. ბ-ის 09.12.2010წ. დამატებითი დაკითხვის ოქმით დასტურდება, აგრეთვე, რომ 30.09.10წ. ნ. ბ-ი გამოიძახეს ძველი თბილისის პოლიციაში დაკითხვაზე და შეატყობინეს, რომ მასთან ხელშეკრულება დადებული ჰქონდა არა მ. ტ-ს, არამედ ბ. დ-ს, მ. ტ-ის სახელით. აღნიშნული ინფორმაციის მიღებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდგომ (28.10.10წ.) მოხდა მ. ტ-ის საკუთრებაში

რიცხული, ქ.თბილისში, ... მე-2 „ა“ მ/რ, კორპ.23-ში მდებარე 90 კვ.მ. ფართის №103 ბინის იძულებითი რეალიზაცია საჯარო აუქციონის გზით.

განსახილველ დავაში მ. ტ-ი ითხოვს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 28.10.2010წ. საჯარო აუქციონის ოქმისა და მის საფუძველზე მიღებული 29.10.2010წ. განკარგულების ბათილად ცნობას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააღსრულებო წარმოება დაწყებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 05.03.2010წ. გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი 08.04.2010წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებისა და 16.09.2010წ. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 20.1 მუხლის მიხედვით სააღსრულებო წარმოება დაუშვებელია სააღსრულებო ფურცლის (დედნის) გარეშე, გარდა ამავე მუხლით დადგენილი გამონაკლისებისა. სააღსრულებო ფურცელი არის უფლებამოსილი ორგანოს მიერ აღსრულების ქვემდებარე აქტის საფუძველზე გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომლის საფუძველზე იწყება და შემდგომ მის ფარგლებში მიმდინარეობს იძულებითი აღსრულება. სააღსრულებო ფურცლის არსებობა აღსრულების კანონიერად მიჩნევის უმთავრესი პირობათაგანია. აღსრულება ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მოვალის გარკვეული უფლებების შეზღუდვასთან, თუმცა აღნიშნული შეზღუდვები მართლზომიერად მიიჩნევა, რადგან მათ განხორციელებას კანონით განსაზღვრული საფუძველი აქვს, კერძოდ, იძულებით აღსრულებას ქვემდებარე აქტი და მის საფუძველზე გაცემული კანონშესაბამისი სააღსრულებო ფურცელი, რომელიც აღჭურავს აღმასრულებელს სააღსრულებო ფურცელში ასახული მისაღწევი შედეგის თანახომიერი სააღსრულებო ქმედებების განხორციელების უფლებამოსილებით. სწორედ სააღსრულებო ფურცელში ასახული მისაღწევი შედეგით არის დეტერმინირებული თითოეული სააღსრულებო ქმედება. ამჟამად სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად არის ცნობილი არა მხოლოდ სააღსრულებო ფურცელი, არამედ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი. სააპელაციო პალატა აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა იქონიოს მსჯელობა განსახილველ დავაში სადავო 28.10.10წ. ოქმისა და მის საფუძველზე მიღებული აღმასრულებლის 29.10.10წ. განკარგულების მართლზომიერებაზე. მოწინააღმდეგე მხარე – თბილისის სააღსრულებო ბიურო აღნიშნავს, რომ აღმასრულებელმა არ იცოდა სააღსრულებო ფურცლისა და იპოთეკის ხელშეკრულების სამარ-

თლებრივი ხარვეზის შესახებ, რის გამო სააღსრულებო ფურცლის ბათილობის მიუხედავად, დაუშვებელია თბილისის სააღსრულებო ბიუროს 28.10.2010წ. საჯარო აუქციონის ოქმისა და მის საფუძველზე მიღებული 29.10.2010წ. განკარგულების ბათილად ცნობა. საკასაციო პალატა თვლის, რომ მართლზომიერება ობიექტური კატეგორიაა და ქმედების კანონშესაბამისად მიჩნევა დამოკიდებული არ არის პირის სუბიექტურ აღქმაზე.

არ დასტურდება აგრეთვე ნ. ბ-ის მოსაზრება შეძენის ფაქტის მიმართ მისი კეთილსინდისიერების შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეძენის კეთილსინდისიერება განისაზღვრება პირის სუბიექტური დამოკიდებულებით შეძენის არამართლზომიერი საფუძვლის მიმართ. ამასთან, შეძენი მიიჩნევა კეთილსინდისიერად, უკეთუ მან ქონებაზე საკუთრების შეძენამდე არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა გასხვისების ნაკლის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში საქმეში დაცული მხარეთა ახსნა-განმარტებების, ბ. დ-ის დაკითხვის ოქმის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 05.03.2013წ. გადაწყვეტილების და თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.10.2011წ. განაჩენის საფუძველზე დგინდება, რომ ნ. ბ-მა უძრავი ნივთის შეძენამდე, უფრო მეტიც – სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროში წარდგენამდე, იცოდა იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას ბინის მესაკუთრის – მ. ტ-ის მიერ ნების გამოვლენის არარსებობის თაობაზე. აღნიშნული გარემოებების ცოდნის მიუხედავად, ნ. ბ-მა აიღო ნოტარიუსისაგან სააღსრულებო ფურცელი, მოითხოვა მისი აღსრულება, მონაწილეობა მიიღო გამართულ იძულებით საჯარო აუქციონში და შეიძინა მ. ტ-ის კუთვნილი ბინა. მართალია მ. ტ-ი საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო იპოთეკით დატვირთული, შემდგომში გასხვისებული ბინის მესაკუთრედ და ნ. ბ-ს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადების მომენტში არ ჰქონდა ინფორმაცია ბ. დ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, თუმცა ეს არ არის საკმარისი კეთილსინდისიერ შემძენად ცნობისათვის, რადგან ნ. ბ-მა, როგორც შემძენმა, აუქციონის გამართვამდე და მასში გამარჯვებამდე იცოდა, რომ უძრავი ნივთი იპოთეკით დაიტვირთა არაუფლებამოსილი პირის მიერ, ხოლო იპოთეკით დატვირთული ბინა არც სესხის ხელშეკრულების დადების მომენტში და არც მის შემდეგ სესხის ამლებზე რეგისტრირებული არ ყოფილა. უძრავი ნივთის მესაკუთრეს არც თავისი და არც მესამე პირის სასარგებლოდ საკუთრების, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, გამოყენებაზე ნება არ გამოუვლენია. ამდენად, არ იკვეთება ნ. ბ-ის ქ.თბი-

ლისში, ... მე-2ა მ/რ-ში, კორპ.23-ში მდებარე 90 კვ.მ. №103 ბინის კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნევის საფუძვლები. ვინაიდან ნ. ბ-ს, მ. ტ-ის ნების არარსებობის გამო, არ შეუძენია რაიმე უფლება, ხოლო ბ. დ-ი ნების გამოვლენისას წარმოადგენდა არაუფლებამოსილ პირს, ამასთან საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიხედვით ბ. დ-ი იპოთეკით დატვირთული ბინის მესაკუთრედ არასდროს ყოფილა რეგისტრირებული, არ არსებობს სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სკ-ის 185-ე და 312-ე მუხლების გამოყენების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებების გამოკვლევის გარეშე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 31.03.11წ. გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში არ არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 19.10.11წ. განაჩენი და არც სამოქალაქო საქმეთა პალატის 05.03.13წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ გასაჩივრებული განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებების გაზიარება აღმასრულებლის მიერ აღსრულების პროცედურის (ვალკეულა მოთხოვნების დაცულობა, (კერძოდ, თბილისის სააღსრულებო ბიუროს 21.09.10წ. მიმართვის საფუძველზე ყადაღის რეგისტრაცია, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს დაყადაღებული ქონების შეფასების სამსახურის მიერ 15.10.10წ. გაცემული დასკვნით სადავო ქონების საბაზრო ფასის განსაზღვრა, აღმასრულებლის 20.10.10წ. განკარგულებით იძულებითი აუქციონის დანიშვნა, აუქციონის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ჩატარება, უძრავი ქონების მისამართზე ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების გაგზავნა, საჯარო შეტყობინების პერიოდულ ორგანოში გამოქვეყნება) არ ადასტურებს გასაჩივრებული სააღსრულებო ბიუროს 28.10.10წ. აუქციონის ოქმისა და 29.10.10წ. განკარგულების მართლზომიერებას, მით უფრო, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ გამოიკვლიეს სააღსრულებო წარმოების ის გარემოებები, რომელზედაც ყურადღებას ამახვილებდა მოსარჩელე, სააღსრულებო წარმოების მხარის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის იძულებითი აღსრულების დაწყების შესახებ მხარის ინფორმირება სსკ-ით დადგენილი წესით (კანონის 25.6 მუხ.). მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 16.09.10წ. კრედიტორ

ნ.ბ-ის განცხადებაზე იძულებითი აღსრულების მიზნით სააღსრულებო დოკუმენტის წარმოებაში მიღების შესახებ მითითებული იყო ბინის მესაკუთრის მ.ტ-ის მეუღლის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც მოსარჩელის მტკიცებით ნ.ბ-ისათვის ცნობილი იყო. ბინის მეპატრონის ტელეფონის ნომერი აღნიშნული იყო აგრეთვე შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს №485510 გზავნილზე. ამდენად, დარეკვის შემთხვევაში აღმასრულებელს შეეძლო მიეღო ინფორმაცია ბინის მესაკუთრისა და ბინის იპოთეკით დატვირთვის შესახებ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, ამავე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, აღმასრულებელი უფლებამოსილია მხარეებისგან მიიღოს ზეპირი და წერილობითი ინფორმაცია, თუ ეს აუცილებელია აღსრულების მიზნებისთვის. ამდენად, სააღსრულებო მოქმედებათა მხოლოდ ფორმალური განხორციელება არ პასუხობს კანონმდებლის მოთხოვნას ეფექტურ აღსრულებაზე, რისთვისაც კანონი აღმასრულებელს ფართო უფლებამოსილებებით აღჭურავს (მე-17 მუხ.). შესაბამისად, აღმასრულებელი, კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ვალდებული იყო მიეღო ყველა შესაძლო ზომა სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა ინფორმირებისათვის. სწორედ სააღსრულებო წარმოების დაწყების შესახებ მოვალისათვის სათანადო ცნობების მიწოდება განაპირობებს კანონის იმ დანაწესს, რომლის მიხედვით მოვალეს იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნობება (25.8 მუხ.), იგულისხმება, რომ მოვალეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიღებული აქვს სააღსრულებო წარმოების დაწყების ეტაპზე, რის გამო აღარ ხდება იძულებითი აღსრულების ღონისძიების შესახებ მოვალისათვის დამატებითი შეტყობინების გაგზავნა, პერსონალური შეტყობინება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოვალის ქონებაზე აღსრულების მიქცევა განპირობებულია დავალიანების ოდენობით. საქმის მასალებით არ დასტურდება ბინის მესაკუთრის დავალიანება ნ. ბ-ის მიმართ, არ დასტურდება აგრეთვე მოვალის ბ. დ-ის უფლება უძრავ ქონებაზე, რომელზედაც მიექცა აღსრულება. აღნიშნული გარემოებების გარკვევა არის განსახილველი დავის კანონიერი გადაწყვეტის სავალდებულო პირობა, რაც ქვედა ინსტანციის სასამართლოებს მოცემულ საქმეზე დადგენილი არ აქვთ.

საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ ნ. ბ-ის მიერ 16.09.2010 წ. სააღსრულებო ფურცლის თბილისის სააღსრულებო ბიუროში წარდგენისას, მ. ტ-ის საკუთრებაში რიცხული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი დაყადაღებული იყო. ამავე უძრავ ნივთს კრედიტორ – ნ. ბ-ის სასარგებლოდ აღმასრულებლის 21.09.10წ. განკარგულებით დაედო ყადაღა, რასაც შედეგად მოჰყვა ქ.თბილისში, ... მე-2ა მ/რ, კორპ.23-ში მდებარე №103 ბინის იძულებით აუქციონზე რეალიზაცია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ ქონების დაყადაღება არ არის აღსრულების პროცესში აღნიშნული ქონების იძულებითი რეალიზაციის ხელშეშლელი გარემოება. ამ წესიდან გამონაკლისს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36.3 მუხლი ადგენს, რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად დადებული ყადაღა აჩერებს აღსრულებას პროკურორის წერილობითი თანხმობის მიღებამდე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს არ უმსჯელია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36.3 მუხლით განსაზღვრული სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძვლის არსებობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო წესით გასაჩივრებული სააპელაციო პალატის განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ქმნის განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. შესაბამისად, სახეზეა სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა პალატის 22.02.2012წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. სასამართლოს ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სჩივრდება.

აღსრულების საფასური

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-66-64(კ-14)

19 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 16 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 17 დეკემბრის №93406 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ მოპასუხისთვის 32769.84 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელის მტკიცებით, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აღსრულების მომსახურების საფასურის (მის მიერ წინასწარ გადახდილი 32769.84 ლარის) დაბრუნებაზე უარი იმ პირობებში განაცხადა, როდესაც მას ასეთი სახის მომსახურება არ გაუწევია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით საქარ-

თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 17 დეკემბრის №93406 გადაწყვეტილება და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მოსარჩელის განცხადებაზე მსჯელობა და ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 12 ნოემბერს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა აპლიკაციით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს შპს „...“ მიმართ და მოითხოვა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული წარმოების დაწყება, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ რესპოდენტისათვის 1 638492 ლარის ოდენობით დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემისა და მისი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის მიზნით. 2012 წლის 5 დეკემბერს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ რესპოდენტის შპს „...“ წინააღმდეგ, აპლიკანტის სსიპ „დაცვის პოლიციის“ დეპარტამენტის 2012 წლის 12 ნოემბრის №12111330/7335 განცხადების საფუძველზე, განახორციელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული წარმოება №12111330.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინებით, საქმე №2/14897-12, განცხადება შპს „...“ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების თაობაზე წარმოებაში იქნა მიღებული. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მეურვედ დაინიშნა აღსრულების ეროვნული ბიურო და სხვა მოქმედებებთან ერთად შპს „...“ მიმართ აიკრძალა ახალი იძულებითი ღონისძიების დაწყება. აღნიშნული განჩინება სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ჩაბარდა 2012 წლის 5 დეკემბერს.

2012 წლის 6 დეკემბერს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომლითაც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს №12 111 330/8938 ბრძანების მე-2 პუნქტში ცვლილების შეტანა (რომელიც დაუყოვნებლივ აღსრულებას ითვალისწინებდა) და გამარტივებული წარმოების სამსახურისათვის აღსრულების საფასურის საგარანტიო თანხის 2%-ის – 32 769.84 ლარის ოდენობით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ანგარიშზე გადა-

რიცხვის დავალება მოითხოვა.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 17 დეკემბრის №93406 გადაწყვეტილებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს უარი ეთქვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს №12 111 330/8938 ბრძანების მე-2 პუნქტში ცვლილების შეტანასა და გამარტივებული წარმოების სამსახურის მიერ აღსრულების საფასურის საგარანტიო თანხის 2%-ის – 32 769.84 ლარის ოდენობით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ანგარიშზე გადარიცხვაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს გამარტივებული წარმოების სამსახურის წარმოებაში იყო აპლიკანტის – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ №12111330 განცხადება რესპონდენტის – შპს „...“ (ს/ნ ...) მიმართ. აპლიკანტმა „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ №12111330 განცხადების შეტანისას გამოიყენა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁴ მუხლით მისთვის მინიჭებული უფლება და იმთავითვე მოითხოვა დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულება, ასევე შეასრულა ამავე პუნქტით დადგენილი ვალდებულება, ანუ აპლიკანტმა საგარანტიო თანხის სახით აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეიტანა იმავე კანონით გათვალისწინებული აღსრულების წინასწარი საფასური. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპლიკანტმა გამოხატა ნება, „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, მისი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე, რაც შესაბამისი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე წარმოადგენს შეუქცევად მოთხოვნას. რესპონდენტს – შპს „...“ 2012 წლის 22 ნოემბერს ჩაბარდა შეტყობინება გამარტივებული წარმოების დაწყების თაობაზე. რესპონდენტის – შპს „...“ მიერ არ განხორციელებულა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული არც ერთი მოქმედება. შესაბამისად, 2012 წლის 5 დეკემბერს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოიცა №12111330/8938 „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ ბრძანება აპლიკანტის მოთხოვნის სრულ ოდენობაზე.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გასაჩივრება დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ არსებითად დარღვეულია გამარტივებული წარმოების შესაბამისი ნორმებით დადგენილი პროცედურა. კონკრეტულ შემთხვევაში, აღსრუ-

ლების ეროვნული ბიუროს მხრიდან ადგილი არ ჰქონია გამარტივებული წარმოებისთვის დადგენილი პროცედურების დარღვევას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁹ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან. იგი მიექცევა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ აპლიკანტი ითხოვს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას და საგარანტიო თანხის სახით შეტანილი აქვს აღსრულების წინასწარი საფასური. გადანყვეტილებით დგინდება, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 5 დეკემბერის №12111330/8938 ბრძანება იმავე დღეს შევიდა ძალაში ანუ იქცა აღსასრულებელ გადანყვეტილებად და დაექვემდებარა დადგენილი წესით აღსრულებას. შესაბამისად, აპლიკანტის მოთხოვნისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁹ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ბრძანება დაუყოვნებლივ მიაქცია აღსასრულებლად.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებისა და კრედიტორის განცხადების საფუძველზე. თუ ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოებისას წინასწარ მოთხოვნილი იყო დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულება, კრედიტორი აღარ წარადგენს განცხადებას აღსრულების დაწყების მოთხოვნით. ამავე კანონის 38-ე მუხლის 7¹ პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებით სააღსრულებო წარმოების დაწყებისას აღსრულების წინასწარი საფასური ჩაითვლება კრედიტორის მიერ გადახდილად, თუ გამარტივებული წარმოებისას მან აღნიშნული საფასური საგარანტიო თანხის სახით სრულად შეიტანა აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

გადანყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მითითებული მუხლების შინაარსის გათვალისწინებით, აპლიკანტის მიერ გამარტივებული წარმოების დაწყებისას დაყენებული მოთხოვნა, „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, მისი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე, შეუქცევადია. ამასთან, აპლიკანტის მიერ საგარან-

ტიო თანხის სახით გადახდილი აღსრულების წინასწარი საფასური იცვლის სტატუსს და ითვლება სააღსრულებო წარმოების დასაწყებად კრედიტორის მიერ გადახდილ აღსრულების წინასწარ საფასურად, მას შემდეგ რაც აპლიკანტის მოთხოვნისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁹ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აღსრულების ეროვნული ბიურო მიაქცევს „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ ბრძანებას დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 2012 წლის 6 დეკემბერს „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ №12111330/8938 ბრძანება დაუყოვნებლივ მიაქცია აღსასრულებლად, რაც დასტურდება 2012 წლის 6 დეკემბრის №100957275 მიღების ბარათით. შესაბამისად, აპლიკანტის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების შეტანისას გადახდილი საგარანტიო თანხა 2012 წლის 6 დეკემბერს აღსრულების დაწყების მომენტიდან გადავიდა კრედიტორის მიერ გადახდილი აღსრულების წინასწარი საფასურის რეჟიმში. ამასთან, გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ საუბარია აღსრულების დაწყებაზე და არა კონკრეტული სააღსრულებო ღონისძიების განხორციელებაზე, რაც ურთიერთშენაცვლებად ცნებებს არ წარმოადგენს. „გადახდილ უუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები კრძალავს შესაბამისი განცხადების წარმოებაში მიღების შემდგომ ახალი სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას, ხოლო საკუთრივ სააღსრულებო საქმის წარმოების დაწყება არ იკრძალება, ვინაიდან, „გადახდილ უუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები ახალი სააღსრულებო ღონისძიებების განხორციელების აკრძალვის მსგავსად ერთიან რეჟიმში აყენებს მიმდინარე სააღსრულებო ღონისძიებების შეჩერებასაც. მიმდინარე სააღსრულებო მოქმედებები ექვემდებარება შეჩერებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს საკუთრივ სააღსრულებო წარმოების შეწყვეტას და საფასურის დაბრუნების საფუძვლის წარმოშობას.

აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტებით, ზემოაღნიშნული გარემოებები საინტერესოა მხოლოდ საკითხის ანალიზისათვის და მისი სწორი შეფასებისათვის, ვინაიდან, პრაქტიკულად აღსრულების დაწყების დროისათვის განჩინება შპს „...“ გადახდილ უუნარობის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ არ იყო გამოქვეყნებული და ის გამოქვეყნებულ იქნა მხოლოდ მომდევნო დღეს. გამომდინარე აქედან, სააღსრულებო წარმოება (კრედიტორი – შპს „დაცვის პოლიციის დე-

პარტამენტი, მოვალე – შპს „...“) დაიწყო 2012 წლის 6 დეკემბერს აღსრულების ეროვნული ბიუროს გამარტივებული წარმოების სამსახურის (როგორც (კრედიტორის) დავალიანების გადახდევინების შესახებ დაუყოვნებლივ აღსასრულებად მიქცევის თაობაზე, აპლიკანტის მოთხოვნის შემსრულებელი სუბიექტის) მიმართვის საფუძველზე.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში მოვალის ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გარდა სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავებისა, განსახილველად გადაეცემა ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ სასამართლოებს. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინება გამოქვეყნებულ იქნა 2012 წლის 7 დეკემბერს, რაც დასტურდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ ვებ. გვერდზე განთავსებული ცნობით. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ №12111330/8938 ბრძანება გამოიცა 2012 წლის 5 დეკემბერს. შესაბამისად, არ არსებობდა აღსრულების ეროვნული ბიუროს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება – დავის გადახდისუუნარობის საქმის განმხილველი სასამართლოსათვის გადაცემის თაობაზე, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუკი პროტესტის წარმოუდგენლობის გათვალისწინებით, განსახილველი საკითხი მაინც მიჩნეული იქნებოდა დავად.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინების საფუძველზე ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, აღსრულების ღონისძიების განხორციელების უფლებამოსილება აქვს აღმასრულებელს. სააღსრულებო მოქმედება მიმართულია უშუალოდ მოვალის ქონებაზე, რაც საბოლოოდ იწვევს ქონების სამართლებრივი მდგომარეობის

ცვლილებას. შესაბამისად, მოპასუხე მხარემ გამართლებულად მიიჩნია, რომ უნდა შეჩერდეს ან არ დაინცოს იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიება და არა სააღსრულებო წარმოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღსრულების ეროვნული ბიუროს მოსაზრებით, არ დარღვეულა გამარტივებული წარმოებისათვის დადგენილი პროცედურული მოთხოვნები, რაც გამორიცხავდა სადავოდ ქცეული ბრძანების სრულად ან/და ნაწილობრივ გაუქმების ფაქტობრივი ან სამართლებრივი წინაპირობების არსებობას.

ამასთან, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით მოხდა „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ №12111330/8938 ბრძანების აღსასრულებლად მიქცევა, ხოლო სააღსრულებო საქმე ამჟამად არის შეჩერებული ზემოაღნიშნული განჩინების გათვალისწინებით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა გადახდის ბრძანებაში ცვლილების განხორციელებისა და საგარანტიო თანხის აპლიკანტისათვის დაბრუნების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის განმარტება და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინებით, საქმე №2/14897-12, განცხადება შპს „...“ გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების თაობაზე წარმოებაში იქნა მიღებული. გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების პროცესში მეურვედ დაინიშნა აღსრულების ეროვნული ბიურო და სხვა მოქმედებებთან ერთად შპს „...“ მიმართ აიკრძალა ახალი იძულებითი ღონისძიების დაწყება, რაც სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ჩაბარდა 2012 წლის 5 დეკემბერს, როდესაც თავად 5 დეკემბერს გამოსცა დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება და სასამართლო განჩინების და დეპარტამენტის წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, ფორმალურად მაინც მიიღო გადახდის ბრძანება აღსასრულებლად წარმოებაში. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აღსრულების მომსახურების საფასურის დაბრუნებაზე უარი განაცხადა, როდესაც მას ასეთი მომსახურება არ გაუწევია. ასეთი ქმედების განხორციელება სასამართლო განჩინებით აკრძალული იყო.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უნდა ემსჯელა მოსარჩელის განცხადებაზე და გა-

მოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „აღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁴ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას. სასამართლოს მითითებით, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს გამარტივებული წარმოების სამსახურის წარმოებაში იყო აპლიკანტის – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ №12111330 განცხადება – შპს „...“ (ს.ნ „...“) მიმართ, რომლის საფუძველზე აპლიკანტი ითხოვს გადახდის ბრძანების აღსრულებას. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ აპლიკანტი ითხოვს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას, აპლიკანტმა საგარანტიო თანხის სახით აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე უნდა შეიტანოს ამ კანონით გათვალისწინებული აღსრულების წინასწარი საფასური.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აპლიკანტმა საგარანტიო თანხის სახით აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეიტანა კანონით გათვალისწინებული წინასწარი საფასური, რაც ნიშნავს იმას, რომ აპლიკანტმა გამოხატა ნება „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ ბრძანების გამოცემის შემთხვევაში მისი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ

2012 წლის 5 დეკემბერს გამოსცა №12111330/8938 ბრძანება, რომლის საფუძველზეც შპს „...“ მიმართ დაიწყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული გამარტივებული წარმოება, რაც ძალაში შევიდა იმავე დღეს და დაექვემდებარა დადგენილი წესით აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების საფუძველზე. თუ ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოებისას წინასწარ მოთხოვნილი იყო დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულება, ამ შემთხვევაში კრედიტორი აღარ წარადგენს განცხადებას აღსრულების დაწყების მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 7¹ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებით სააღსრულებო წარმოების დაწყებისას აღსრულების წინასწარი საფასური ჩაითვლება კრედიტორის მიერ გადახდილად, თუ გამარტივებული წარმოებისას მან აღნიშნული საფასური საგარანტიო თანხის სახით სრულად შეიტანა აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

მითითებული მუხლების შინაარსის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ აპლიკანტის მიერ გამარტივებული წარმოების დაწყებისას დაყენებული მოთხოვნა „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ ბრძანების გამოცემის თაობაზე, მისი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შეუქცევადი იყო. შესაბამისად, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 2012 წლის 6 დეკემბერს „დავალიანების გადახდის შესახებ“ ბრძანება დაუყოვნებლივ მიაქცია აღსასრულებლად და აპლიკანტის მიერ დავალიანების შესახებ განცხადების შემოტანისას გადახდილი საგარანტიო თანხა, 2012 წლის 6 დეკემბერს, აღსრულების დაწყების მომენტიდან, გადავიდა კრედიტორის მიერ გადახდილ აღსრულების წინასწარ საფასურად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „გადახდისუვნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადახდისუ-

უნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება და მიიჩნია, რომ დასახელებული ნორმით დაუშვებელია სააღსრულებო საქმის წარმოების დაწყება, ანუ მითითებული ნორმა კრძალავს შესაბამისი განცხადების წარმოებაში მიღების შემდგომ, ახალი სააღსრულებო მოქმედების განხორციელებას და არა სააღსრულებო ფურცლის წარმოებაში მიღებას. სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველს, როგორც აღინიშნა, წარმოადგენს კრედიტორის წერილობითი განცხადება და განცხადების წარმოებაში მიღება და აღსრულების ამ სახით დაწყება არ წარმოადგენს აღსრულების ახალ ღონისძიებას.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სააღსრულებო საქმე აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია და სააღსრულებო მოქმედებები შეჩერებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინების საფუძველზე. შეჩერების საფუძველების აღმოფხვრის შემთხვევაში, კანონის შესაბამისად, აღსრულება ჩვეულებრივ უნდა გაგრძელდეს, რაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის თანახმად, საფასურის გადახდის გარეშე დაუშვებელია. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, უსაფუძვლოა სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ უკანონოა წინასწარ გადახდილი საფასურის დაბრუნების მოთხოვნაზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს უარი, რამდენადაც მას ასეთი მომსახურება არ გაუწევია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის გარემოებები და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება. კასატორი მიუთითებს, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს მოქმედებები იძულებით აღსრულების ღონისძიებას წარმოადგენდა, რაც მას სასამართლოს განჩინებით ეკრძალებოდა. ამასთან, კასატორი მიიჩნევს, რომ დავალიანების გადახდევინების შესახებ 2012 წლის 5 დეკემბრის ბრძანება არ არის შედგენილი კანონის მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 მაისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით 2014 წლის 10 ივლისს 13:00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2012 წლის 12 ნოემბერს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა აპლიკაციით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს შპს „...“ მიმართ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული წარმოების დანყებისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ რესპოდენტისათვის 1 638492 ლარის ოდენობით დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემის მიზნით. ამასთან, აპლიკანტმა ბრძანების აღსასრულებლად მიქცევა მოითხოვა.

2012 წლის 5 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აპლიკანტის – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2012 წლის 12 ნოემ-

ბრის №12111330/7335 განცხადების საფუძველზე რესპოდენტის – შპს „...“ წინააღმდეგ განახორციელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული წარმოება №12111330 და გამოსცა დავალიანების გადახდევინების შესახებ №12111330/8938 ბრძანება, რომლითაც შპს „...“ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ 1638492.00 ლარის ოდენობით დავალიანების გადახდა დაეკისრა; ხოლო ბრძანება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინებით, საქმე №2/14897-12, შპს „...“ განცხადება მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში შპს „...“ მეურვედ დაინიშნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო და სხვა მოქმედებებთან ერთად შპს „...“ მიმართ აიკრძალა იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიების დაწყება. აღნიშნული განჩინება სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს 2012 წლის 5 დეკემბერს ჩაბარდა.

2012 წლის 6 დეკემბერს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და 2012 წლის 5 დეკემბრის №12111330/8938 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტის ამოღება, რომელიც ბრძანების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას ითვალისწინებდა და აღსრულების საფასურის საგარანტიო თანხის 2%-ის – 32 769.84 ლარის სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ანგარიშზე გადარიცხვა მოითხოვა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 17 დეკემბრის №93406 გადაწყვეტილებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს უარი ეთქვა ბრძანებაში ცვლილების განხორციელებისა და საგარანტიო თანხის დაბრუნების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო ფორმალურად მიუდგა სადავო საკითხს და გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა განსახილველ სამართალურიერ-

თობას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავას სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა იწვევს; კასატორი სადავოდ არ ხდის შპს „...“ მიმართ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემას. შესაბამისად, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 17 დეკემბრის №93406 გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და მის მიერ საგარანტიო თანხის სახით გადახდილი აღსრულების წინასწარი საფასურის – 32769.84 ლარის დაბრუნებას მოიხოვს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2012 წლის 12 ნოემბრის განცხადება ორ დამოუკიდებელ მოთხოვნას – 1. დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემასა და 2. მის აღსასრულებლად მიქცევას მოიცავდა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის XVI¹ თავი განსაზღვრავს ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოების პირობებს. აღნიშნული კანონის 91⁴ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გამარტივებული წარმოების დანყების საფუძველია დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემას. ამასთან, აპლიკანტს შესაძლებლობა ეძლევა აღნიშნული განცხადების წარდგენისას დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულება მოითხოვოს (კანონის 91⁴ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების შეტანისას აპლიკანტი იხდის სააპლიკაციო საფასურს, რომლის ოდენობა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება (კანონის 91⁴

მუხლის მე-5 პუნქტი). საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №144 ბრძანების მე-10 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების თაობაზე მოთხოვნებთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოებისას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურის ოდენობა შეადგენს აპლიკანტის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების წარდგენისას (სააპლიკაციო საფასური) – 100 ლარს თითოეული სამართლებრივი საფუძვლით წარდგენილ მოთხოვნაზე. სააპლიკაციო საფასური წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემისათვის დადგენილ სავალდებულო გადასახდელს, რომელიც გადაიხდევინება დამოუკიდებლად იმისა, ითხოვს თუ არა აპლიკანტი ბრძანების აღსრულებას. ხოლო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁴ მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ აპლიკანტი ითხოვს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას, აპლიკანტმა საგარანტიო თანხის სახით აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე უნდა შეიტანოს ამ კანონით გათვალისწინებული აღსრულების წინასწარი საფასური. საკაცო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს გადახდილი აქვს 1. სააპლიკაციო საფასური – 100 ლარის ოდენობით, რომელიც დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემისთვის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განეული მომსახურების სავალდებულო გადასახდელს წარმოადგენს და 2. საგარანტიო თანხის სახით აღსრულების წინასწარი საფასური – 32 769.84 ლარის ოდენობით, რომელიც აპლიკანტს აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ბრძანების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით შეაქვს.

საკაცო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 2012 წლის 5 დეკემბრის თარიღით გამოსცა დავალიანების გადახდევინების შესახებ №12111330/8938 ბრძანება, რომელიც მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. საქმეზე ასევე დადგენილია, რომ ამავე თარიღით სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ჩაბარდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინება, რომლითაც შპს „...“ მიმართ აიკრძალა იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიების დაწყება. საყურადღებოა, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ დავალიანების გადახდევინების შესახებ

ბრძანების გამოცემამდე მათთვის ცნობილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინების თაობაზე. ამდენად, სასამართლო განჩინებით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნის (აღსრულების აკრძალვის) მიუხედავად სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ბრძანება მიაქცია დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

განსახილველ შემთხვევაში დავის სწორად გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სააღსრულებო ორგანოების მოქმედებათა კანონიერების შეფასება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის იმპერატიულ მოთხოვნათა გათვალისწინებით. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული იმპერატიული მოთხოვნის უმთავრეს მიზანს ყოველგვარი სააღსრულებო პროცედურის, მოქმედების დაწყების დაუშვებლობა წარმოადგენს. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინების გაცნობის მომენტიდან აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებული იყო არ დაეწყო ახალი სააღსრულებო წარმოება.

ამასთან, მოსარჩელემ შეიტყო რა შუპს „...“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე, მან დაუყოვნებლივ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების მე-2 პუნქტის (რომელიც ბრძანების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას ეხება) ამოღებისა და 32 769.84 ლარის დაბრუნების მოთხოვნით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში. აღნიშნული მოთხოვნის პარალელურად, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ იცოდა რა ბრძანების აღსრულების შეუძლებ-

ლობის შესახებ, მიზანმიმართულად ფორმალურად მიიღო წარმოებაში აღსასრულებელი საქმე, მიიღო აღსრულების საფასური და შეაჩერა სააღსრულებო წარმოება. ეს იმ პირობებში, როდესაც აღსრულების დაწყების შემდგომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი გამოორიცხავს კრედიტორისათვის წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის დაბრუნების შესაძლებლობას (38.8. მუხლი). ასეთ შემთხვევაში ახალი სააღსრულებო წარმოების დაწყება მხოლოდ აღსრულების საფასურის მიღებას ემსახურება, რაც საკასაციო სასამართლოს დაუშვებლად მიაჩნია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემისას აღნიშნული ბრძანების აღსრულების მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა თავისი არსით კრედიტორისთვის პროცედურის გამარტივებას ისახავს მიზნად და მისი ინტერესების დაცვას ემსახურება. აღნიშნული აპლიკანტს აძლევს შესაძლებლობას გამარტივებული გზით, ერთ განცხადებაში მოაქციოს ორი დამოუკიდებელი მოთხოვნა. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გამარტივებული საქმის წარმოება და სააღსრულებო წარმოება სრულიად სხვადასხვა პროცედურებს წარმოადგენს, რაც საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელმაც დაადასტურა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გამარტივებული წარმოების მიზანი დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაა, ხოლო აღსრულების მიზანს აღსრულებას დაქვემდებარებული აქტების სისრულეში მოყვანა წარმოადგენს. საგარანტიო თანხის სახით შეტანილი აღსრულების წინასწარი საფასური კი აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულების მიზნით განეული მომსახურების სავალდებულო გადასახდელს წარმოადგენს. ამასთან, აღსრულების პროცესის დაწყება კრედიტორის ნებაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, აღსრულების დაწყებამდე აპლიკანტს არ შეიძლება შეეზღუდოს დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნაზე უარის თქმისა და წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის დაბრუნების შესაძლებლობა. სააღსრულებო პროცედურის გამარტივების მიზნით წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის აპლიკანტისთვის დამატებით ფინანსურ ტვირთად არ უნდა იქცეს. აპლიკანტი რისკის ქვეშ არ უნდა დადგეს აღნიშნული საფასურის გადახდის მომენტიდან. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების

დანყებისათვის საჭირო ხარჯების მომჩინისათვის დაკისრება სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის ნამდვილი არსის დარღვევად მიიჩნია (Apostol v. Georgia, §65).

მოცემულ შემთხვევაში სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ საგარანტიო თანხის სახით გადახდილი აღსრულების წინასწარი საფასურის გადახდა მიმართული იყო დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემის შემდგომ დამატებითი განცხადების გარეშე ბრძანების აღსრულების უზრუნველსაყოფად. მოსარჩელის ინტერესსა და მიზანს აღსრულების რეალურად განხორციელება და კუთვნილი თანხის მიღება წარმოადგენდა; ხოლო აღსრულების დანყების დაუშვებლობის პირობებში, დაუშვებელია შეიზღუდოს საგარანტიო თანხის სახით გადახდილი აღსრულების წინასწარი საფასურის დაბრუნების შესაძლებლობა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 17 დეკემბრის №93406 გადაწყვეტილება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საგარანტიო თანხის სახით გადახდილი აღსრულების წინასწარი საფასური – 32769.84 ლარი.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის გათვალისწინებით,

მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (პირველი ინსტანციის სასამართლოში – 983 ლარის ოდენობით, საკასაციო სასამართლოში – 300 ლარის ოდენობით) სულ – 1283 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 17 დეკემბრის №93406 გადაწყვეტილება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს დაუბრუნდეს მის მიერ საგარანტიო თანხის სახით გადახდილი აღსრულების წინასწარი საფასური – 32769.84 ლარი;

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1283 ლარის (983+300) ანაზღაურება;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სააღსრულებო ფურცელი სააღსრულებო ფურცლის გაცემა

ბანკინება

№ბს-613-591(კ-კს-13)

30 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 7 აპრილს ა. გ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ის“ მიმართ.

მოსარჩელემ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 12 იანვრის №298863 და 2010 წლის 14 იანვრის №882010443701-03 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ქ. თბილისში, ... ქ. №2/4-ში მდებარე მიწის ფართზე 2010 წლის 14 იანვრის 17:22 სთ. მდგომარეობით ა. გ-ას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დავალდებულება მოითხოვა. ასევე, მოსარჩელემ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის მისთვის მიყენებული ზიანისათვის 30000 ლარის ანაზღაურების დაკისრება, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის უფროს კ. ი-ისათვის პირადად 30000 ლარის ანაზღაურების დაკისრება, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსისათვის პირადად 30000 ლარის ანაზღაურების დაკისრება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის 30000 ლარის ანაზღაურების დაკისრება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნ. გ-ისათვის 30000 ლარის ანაზღაურების დაკისრება, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ისათვის“ 100000 ლარის ანაზღაურების დაკისრება და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ის“ თავმჯდომარეობის დაკისრება.

მარე ი. დ-ისათვის 100000 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 ივნისის საოქმო განჩინებით ა. გ-ას სარჩელი მოპასუხე – ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ის“ მიმართ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ისათვის“ 100000 ლარის ანაზღაურების დაკისრებისა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ის“ თავმჯდომარე ი. დ-ისათვის 100000 ლარის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ამავე საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. გ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებით ა. გ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. გ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 დეკემბრის განჩინებით ა. გ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 12 იანვრის №298863 და 2010 წლის 14 იანვრის №882010443701-03 გადაწყვეტილე-

ბების ბათილად ცნობისა და ქ. თბილისში, ... ქ. №2/4-ში მდებარე მიწის ფართზე 2010 წლის 14 იანვრის 17:22 სთ. მდგომარეობით ა. გ-ას უფლების პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება ა. გ-ასათვის ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 თებერვლის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება ც. მ-ი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით ა. გ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 12 იანვრის №298863 და 2010 წლის 14 იანვრის №882010443701-03 გადაწყვეტილებები, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება და აღდგენილი იქნა პირვანდელი მდგომარეობა ქ. თბილისი ... ქ. №2/4-ში მდებარე მიწის ფართზე, 2010 წლის 14 იანვრის განცხადების №882010443587 17:22 საათის მდგომარეობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ინდ. ბინათმენაშენეთა ამხანაგობა „...-ის“ წევრებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტი-

ლების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განჩინებით კასატორის – ინდ. ბინათმენაშენეთა ამხანაგობა „...-ის“ უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა ინდ. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ქ...“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისა და ინდ. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ქ...-ის“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 12 იანვრის №298863 და 2010 წლის 14 იანვრის №882010443701-03 გადაწყვეტილებები, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება 36 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში და აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა ქ. თბილისი, ... ქ. №2/4-ში მდებარე 36 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში, 2010 წლის 14 იანვრის განცხადების №882010443587 17:22 საათის მდგომარეობით. ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 12 იანვრის №298863 და 2010 წლის 14 იანვრის №882010443701-03 გადაწყვეტილებები, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება 166.5 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში და აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა ქ. თბილისი, ... ქ. №2/4-ში მდებარე 166.5 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში, 2010 წლის 14 იანვრის განცხადების №882010443587 17:22 საათის მდგომარეობით.

2013 წლის 17 სექტემბერს ა. გ-ამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის განჩინებით მის მიმართ 166.5 კვ.მ. მიწის ფართზე (მდებარე – ქ. თბილისი, ...

ქ. №2/4) საკუთრების უფლების აღდგენის თაობაზე 2010 წლის 14 იანვრის 17:22 საათის მდგომარეობით მიღებულ იქნა გადან-ყვეტილება, სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 23 სექტემბრის განჩინებით არ დაკ-მაყოფილდა ა. გ-ას განცხადება სააღსრულებო ფურცლის გა-ცემის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 267-ე მუხლის თანახმად, გა-დანყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ; ხოლო 267¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება განხი-ლულ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე; ამავე მუხლის მე-2 ნაწი-ლის თანახმად კი გადანყვეტილება მიიღება განჩინების ფორ-მით. გადანყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული სა-კითხების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერ-ძო საჩივრის შეტანა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სააღ-სრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის პირ-ველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასა-მართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კო-მისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამარ-თლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინე-ბული აღსასრულებელი გადანყვეტილებების აღსრულების წეს-სა და პირობებს. ამდენად, აღნიშნული კანონით აღსრულებას ექვემდებარება და შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის გა-ცემა ხდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ და ამავე-დროულად აღუსრულებელ გადანყვეტილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ 2013 წლის 10 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რე-ესტრიდან, რომლის შესაბამისად დასტურდება, რომ 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით, თბილისში, ... ქ. №2/4-ში მდებარე 166.5 კვ.მ. მიწის ფართის მესაკუთრეა ა. გ-ა, რაც ნიშნავს იმას, რომ მის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმი-ნისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადან-ყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სა-
რეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 12 იანვრის №298863 და
2010 წლის 14 იანვრის №882010443701-03 გადაწყვეტილებები,
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 5 მარ-
ტის გადაწყვეტილება 166.5 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში და აღ-
დგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა ქ. თბილისი, ... ქ. №2/
4-ში მდებარე 166.5 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში, 2010 წლის 14
იანვრის განცხადების №882010443587 17:22 საათის მდგომარ-
ეობით აღსრულებულია. შესაბამისად, სააპელაციო სასამარ-
თლოს მოსაზრებით, არ არსებობდა სააღსრულებო ფურცლის
გაცემის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2013 წლის 23 სექტემბრის განჩინებაზე ა. გ-
ამ წარადგინა კერძო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული გან-
ჩინების გაუქმება და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაო-
ბაზე მისი განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოს ჩანაწერი 166.5. კვ. მეტრზე არასრულია
და არასრულყოფილი, ხოლო აღნიშნულ ნაწილში კანონიერ ძა-
ლაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო
ფურცლის გაცემაზე გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი
უარი – თითქოსდა არ არსებობს სააღსრულებო ფურცლის გა-
ცემის საფუძველი – დაუსაბუთებელია.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მოწინააღმდეგე
მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ საჯარო რე-
ესტრის ამონაწერში, რაც საფუძველად დაედო გასაჩივრებულ
განჩინებას, მესაკუთრის განყოფილებაში მითითებულია: მესა-
კუთრე – ა. გ-ა 166.5 კვ.მ. მიწის ფართი; და მესაკუთრე – ინდი-
ვიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...“ 1453 კვ.მ. გარდა 166.5
კვ.მ. მიწის ფართისა. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სა-
ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არ-
სებულ ჩანაწერებში არ იკვეთება და არ ჩანს 1453 კვ.მ. მიწის
ნაკვეთიდან მის საკუთრებაში რეგისტრირებული 166.5 კვ.მ.
ფართი კონკრეტულად რომელ ნაწილშია განთავსებული და სად
მდებარეობს. მის საკუთრებაში არსებული 166.5. კვ.მ. მიწის
ფართი, როგორც მისი ზედაპირი, ასევე მის ქვეშ არსებული ფარ-
თი მასში აღმართული რკინა-ბეტონის კონსტრუქციით, არ არის
მთლიანი 1453 კვ.მ. მიწის ფართიდან გამიჯნული და გამოყოფი-
ლი. იგი სწორედ აღნიშნულის გამო ითხოვს 166.5 კვ. მიწის ფარ-
თის ნაწილში კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვე-
ტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემას, რათა მოახდინ-

ნოს მის საკუთრებაში არსებული 166.5 კვ.მ. მიწის ფართის გამოყოფა და გამოიჯვნა სრული 1453 კვ.მ. მიწის ფართიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, წარმოებაში იქნა მიღებული ა. გ-ას კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ა. გ-ას კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისა და ინდ. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ქ...-ის“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 12 იანვრის №298863 და 2010 წლის 14 იანვრის №882010443701-03 გადაწყვეტილებები, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება 36 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში და აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა ქ. თბილისი, ... ქ. №2/4-ში მდებარე 36 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში, 2010 წლის 14 იანვრის განცხადების №882010443587 17:22 საათის მდგომარეობით. ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; ამასთან, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30

აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 12 იანვრის №298863 და 2010 წლის 14 იანვრის №882010443701-03 გადაწყვეტილებები, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება 166.5 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში და აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა ქ. თბილისი, ... ქ. №2/4-ში მდებარე 166.5 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში, 2010 წლის 14 იანვრის განცხადების №882010443587 17:22 საათის მდგომარეობით.

აღნიშნულის საფუძველზე 2013 წლის 17 სექტემბერს ა. გ. ამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც 166.5 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, თუ პირი რომლის მიმართაცაა სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – სააღსრულებო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს; ხოლო ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას. ამდენად, აღნიშნული კანონით აღსრულებას ექვემდებარება და შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის გაცემა ხდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ და ამავდროულად, აღუსრულებელ გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააღსრულებო ფურცელი ამოიწერება და გაიცემა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით. სააღსრულებო მოქმედებებიც სწორედ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას ემსახურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეზე წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვით, 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით, ქ. თბილისში, ... ქ. №2/4-ში მდებარე 166.5 კვ.მ. მიწის ფართის მესაკუთრეა ა. გ-ა; ხოლო უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებში მითითებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის განჩინება. ზემოაღნიშნული კი ადასტურებს იმას, რომ ა. გ-ას მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება (იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 12 იანვრის №298863 და 2010 წლის 14 იანვრის №882010443701-03 გადაწყვეტილებები, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება 166.5 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში და აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა ქ. თბილისი, ... ქ. №2/4-ში მდებარე 166.5 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში, 2010 წლის 14 იანვრის განცხადების №882010443587 17:22 საათის მდგომარეობით) აღსრულებულია. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე აღსრულებო ფურცელი გაიცემა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის პირობებში, ანუ მითითებულ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულებლობის შემთხვევაში. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება 166.5 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში აღსრულებულია, არ არსებობს სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველი, ვინაიდან, სააღსრულებო ფურცელი სწორედ გადაწყვეტილების აღსრულებას ისახავს მიზნად; განსახილველ შემთხვევაში კი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება 166.5 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში მოპასუხის მიერ ნებაყოფლობითაა აღსრულებული.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის – ა. გ-ას მიზანს წარმოადგენდა აღდგენილიყო პირვანდელი მდგომარეობა ქ. თბილისი, ... ქ. №2/4-ში მდებარე მიწის ფართზე, 2010 წლის 14 იანვრის განცხადების №882010443587 17:22 საათის მდგომარეობით. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-

მინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით ა. გ-ას 166.5 კვ.მ. მიწის ფართის ნაწილში საკუთრების უფლება იმ მოცულობით აღუდგა, რაც არსებობდა სადავო რეგისტრაციის გაუქმებამდე. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ არასრულია საჯარო რეესტრის ჩანაწერი 166.5 კვ.მ მიწის ფართზე. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს 166.5 კვ. მიწის ფართის ნაწილში კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემას ა. გ-ას საკუთრებაში არსებულ 166.5 კვ.მ. მიწის ფართის სრული 1453 კვ.მ. მიწის ფართიდან გამოყოფისა და გამიჯვნის მოტივით, ვინაიდან, სააღსრულებო ფურცელი კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე ამოინერება და მისი მოცულობა აღსასრულებელი გადაწყვეტილების იდენტურია, რომელიც მხოლოდ ადასტურებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში ყოფნის ან აღსასრულებლად მიქცევის ფაქტს. სააღსრულებო ფურცელი მოპასუხის უფლებათა და მოვალეობათა წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის დამოუკიდებელ წყაროს არ წარმოადგენს. სააღსრულებო მოქმედებები კი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას ემსახურება და არა მათ სრულყოფას, სასამართლო აქტების გაგრძელებას. ამდენად, არ არსებობს აღნიშნული მოტივით სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველი, ვინაიდან, სააღსრულებო ფურცელი ვერ გახდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების სხვაგვარად აღსრულების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. გ-ას კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. გ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 23 სექტემბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირმო საჩივარი საალსრულებო ფურცლის გაცემაზე

განჩინება

№ბს-213-211(კს-14)

17 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე**

დავის საგანი: საალსრულებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ტ-ომ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოპასუხის ქოზულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 აპრილის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ს. მ-ე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ნ. მ-ე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. ტ-ოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ტ-ომ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით გ. ტ-ოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გა-

უქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება და გ. ტ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის 5 მარტის №ტ-09 გადაწყვეტილება, ქ. ქობულეთში, ... ქ. №163 ვ-ში მდებარე №48 საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის თაობაზე; ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გ. ტ-ოს განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ქობულეთში, ... ქ. №162 ვ-ში მდებარე №48 საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ივნისის განჩინებით გასწორდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტებში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად „48-ის“ მიეთითა №41“.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2014 წლის 6 თებერვალს გ. ტ-ომ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 თებერვლის განჩინებით გ. ტ-ოს განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა (გარდა სახელმწიფო ბაჟის მოპასუხისათვის დაწესების მოთხოვნის ნაწილისა), რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ მხარის მიერ წარდგენილი 2014 წლის 28 იანვრის მიმართვისა და მასზე თანდართული ქობულეთის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის 2014 წლის 23 იანვრის №01-19/33 ბრძანებით დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება გ. ტ-ოს 2012 წლის 29 თებერვლის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც განმცხადებელი ითხოვდა ქ. ქობულეთში, ... ქ. №162 ვ-ში მდებარე ბინა №41-ის საკუთრებაში გადაცემას. 2014 წლის 23 იანვრის №01-19/33 ბრძანებით უარი ეთქვა გ. ტ-ოს განცხადების დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ ფართი არ ირიცხება სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო საცხოვრებელ ფონდში.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღსრულებას ექვემდებარება კერძო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება. ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილით, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. მე-20 მუხლის მე-2 ნაწილით, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი დღეის მდგომარეობით მოვალის – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ნებაყოფლობით აღსრულებულია 2014 წლის 23 იანვრის №01-19/33 ბრძანებით, შესაბამისად, გადაწყვეტილების ამ ნაწილზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ გ. ტ-ოს მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. ტ-ომ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და სააღსრულებო ფურცლის გაცემა იმ მოტივით, რომ არ აღსრულებულა ქუთაისის

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება მისი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე და უხეშად არის დარღვეული მისი კონსტიტუციური უფლება, საბინაო უფლება და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის უფლება.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ისე მიიღო ახალი 2014 წლის 23 იანვრის №01-19/33 ბრძანება, რომ საერთოდ არ უმსჯელია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე, რის გამოც უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი და აღსრულდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ტ-ოს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 26 თებერვლის განჩინება და განცხადების განხილვის სტადიიდან საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეიცავს დასაბუთებას, რის გამოც სახეზეა მისი სსსკ-ის 393-394-ე მუხლებით გათვალისწინებული გაუქმების საფუძვლები.

საქმის მასალებით ირკვევა:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გ. ტ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის საკრებულოს გამგეობასა და ს. მ-ეს შორის 2006 წლის 17 თებერვალს გაფორმებული ქ. ქობულეთში, ... ქ. №162-ვ, ბინა 41-ში მდებარე ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება.

2. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიმართა ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურს ცვლილება შეეტანა სარეგისტრაცი-

ციო ჩანაწერებში და იმ საცხოვრებელ ფართზე, რომელიც პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებული იყო ს. მ-ის საკუთრებად, გაეუქმებინა ჩანაწერები და ფართი მუნიციპალურ საკუთრებად დაერეგისტრირებინა, რაზედაც ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურიდან მიიღო უარი იმ მოტივით, რომ გ. ტ-ოს განცხადების საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განჩინებით სადავო ფართს ედო ყადაღა.

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიმართა სასამართლოს მითითებული ყადაღის მოხსნის მოთხოვნით, რაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა; გ. ტ-ოს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განჩინებით ს. მ-ის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ქობულეთში, ... ქ. 162-ვ, ბინა 41-ში მდებარე უძრავი ქონების □ ნაწილზე დადებული ყადაღა გაუქმდა.

4. აღნიშნულ განჩინებაზე გ. ტ-ომ საჩივარი შეიტანა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ ყადაღის მოხსნის შემთხვევაში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა დაირეგისტრირებდა ქონებას, რომელიც შეეძლო გაესხვისებინა, შემძენი გახდებოდა კეთილსინდისიერი და იგი ვერ შეძლებდა თავისი უფლებების დაცვას.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 თებერვლის განჩინებით გ. ტ-ოს საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის განჩინება და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განცხადება არ დაკმაყოფილდა ყადაღის მოხსნის თაობაზე.

6. გ. ტ-ომ განცხადებით მიმართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მოითხოვა არაპრივატიზებული საცხოვრებელი ფართის ქ. ქობულეთში, ... ქ. №162-ვ, ბინა №41-ის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, რაც ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის 5 მარტის №ტ-09 გადაწყვეტილებით განცხადება არ დაკმაყოფილდა.

7. გ. ტ-ომ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის 5 მარტის №ტ-09 გადაწყვეტილების, ქ. ქობულეთში, ... ქ. 162-ვ, ბინა №41-ის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის თაობაზე, ბათილად ცნობა. აღნიშნულ სარჩელზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის კანონიერ ძალა-

ში შესული გადაწყვეტილებით გ. ტ-ოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება და გ. ტ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის 5 მარტის №ტ-09 გადაწყვეტილება, ქ. ქობულეთში, ... ქ. №162 ვ-ში მდებარე №48 საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის თაობაზე; ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გ. ტ-ოს განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ქობულეთში, ... ქ. №162 ვ-ში მდებარე №48 საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად: კანონიერი მოსარგებლის სტატუსის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასაცემ ფართობზე დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) სარგებლობის უფლების მართლზომიერების საკითხი. ფაქტობრივი სარგებლობისას კი გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ სარგებლობის უფლება მოიცავს ასევე შესაძლებლობას, არ ისარგებლოს პირმა თავისი ნივთით. აღნიშნული საკითხების გამოკვლევა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს კომპეტენციაა, რაც მან უნდა განახორციელოს ბრძანებულებით დამტკიცებული წესისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების გზით.

სააპელაციო პალატის მითითებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ სარეგისტრაციო სამსახურის მონაცემებით სადავო ფართი რეგისტრირებულია ფიზიკური პირის, ს. მ-ის, საკუთრებად, არ შეიძლება გახდეს საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან რეგისტრაციის საფუძვლად მითითებული 2006 წლის 17 თებერვლის პრივატიზაციის ხელშეკრულება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად არის ცნობილი.

სააპელაციო პალატის მითითებით, გ. ტ-ოს მიერ წარდგენილი და დამატებით მოძიებული დოკუმენტების, ასევე სადავო ბინასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე

პირთა განმარტებების მოსმენის შედეგად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უნდა დაადგინოს დასტურდება თუ არა გ. ტ-ოს მიერ სადავო საცხოვრებელი ბინის კანონიერი სარგებლობის ფაქტი, ვინაიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა თავისი წერილით ისე უთხრა გ. ტ-ოს უარი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე, რომ აღნიშნულზე არ უმსჯელია კანონით დადგენილი წესით.

8. სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ნებაყოფლობით შეასრულა იგი 2014 წლის 23 იანვრის №01-19/33 ბრძანების გამოცემით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე, თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების გამოტანისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის განჩინებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-110-103(2კ-13) გ. ჩ-ას სარჩელისა გამო მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ, კერძოდ:

„საქართველოს კონსტიტუციის 82.2 მუხლის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პი-

რობებს ანესრიგებს რა 1999 წლის 16 აპრილის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი, რომლის 5.4. მუხლის თანახმად, თავის საქმიანობაში სააღსრულებო დაწესებულება – სააღსრულებო ბიურო ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს ნორმატიული აქტებით და სააღსრულებო ბიუროს დებულებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების სახე მის კანონიერ ძალაში შესვლისას აღსრულების სპეციფიკურ სახეს განეკუთვნება, რა დროსაც სასამართლო აქტი აღსრულდება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო საკითხზე ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამგვარი სასამართლო აქტის აღსრულებისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით შეასრულოს სასამართლოს დავალება. არამედ, ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც სასამართლომ გამოურკვევლად და დაუდგენლად ჩათვალა და ამავდროულად, მათ გამოკვლევა-დადგენა სადავო საკითხის სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტისათვის აუცილებლად მიიჩნია, სათანადო პროცედურების და სამართლებრივი ინსტიტუტების მეშვეობით ჯეროვნად უნდა იქნეს გამოკვლეული, დადგენილი და შეფასებული.

საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ ზემოაღნიშნულის უგულვებლყოფა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ, როგორც ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების არსებით დარღვევად, არამედ, ამავდროულად როგორც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის არაღსრულება, რაც სასამართლო აქტების სავალდებულობის შესახებ კონსტიტუციური დანაწესის იგნორირებას ნიშნავს“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულო ხასიათი გულისხმობს იმას, რომ გადაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს, საჯარო თუ კერძო იურიდიული პირის ან ნებისმიერი თანამდებობის პირის მიერ, ამ ორგანოებსა და პირებს უფლება არ აქვთ სასამართლო გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღონ. მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაში გამოიხატება, სამართლიანი განხილვის უფლება ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც მოიცავს, სასამართლოს

მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად განიხილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოტივებს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ისე მიიღო ახალი 2014 წლის 23 იანვრის №01-19/33 ბრძანება, რომ საერთოდ არ უმსჯელია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, მტკიცებულებებზე და სასამართლოს დავალებაზე, რაც გადაწყვეტილების აღსრულებლობაა, ვინაიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა დაედგინა – დასტურდებოდა თუ არა სადავო საცხოვრებელი ბინის გ. ტ-ოს მიერ კანონიერი სარგებლობის ფაქტი და ისე გამოეცა ახალი ადმინისტრაციული აქტი განმცხადებელ გ. ტ-ოს მიმართ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ კი 2014 წლის 23 იანვარს მიიღო №01-19/33 ბრძანება, რომლითაც გ. ტ-ოს უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ ფართი არ ირიცხება სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო საცხოვრებელ ფონდში ანუ ადმინისტრაციულმა ორგანომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მიიღო ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტი, იმავე საფუძველზე დაყრდნობით, რომელზეც მიუთითებდა იმ ადმინისტრაციულ აქტში, რომელიც სასამართლომ ბათილად ცნო.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა, რომ აღსრულების ფურცლის გაცემა უკანონოა, რამდენადაც მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ნებაყოფლობით აღასრულა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემით, არ შეესაბამება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით გათვალისწინებულ სასამართლო გადაწყვეტილების სახის ნამდვილ ფუნქციას, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით უნდა გამოსცეს აქტი არამედ, გამოიკვლიოს ყველა ის ფაქტები და გარემოებები, რომელთა დაუდგენლობის გამო ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ხელახლა საკითხის განხილვა და კანონიერი ინ-

დივიდუალურ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. ტ-ოს განცხადება ხელახლა უნდა განიხილოს, რამდენადაც გასაჩივრებულ განჩინებაში ჩამოყალიბებულ სასამართლო დასკვნები არ გამომდინარეობს საქმის მასალების ჯეროვანი შესწავლისა და ობიექტური გამოკვლევიდან. სასამართლომ უნდა იმსჯელოს გ. ტ-ს ნების გამოვლენის – სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის – ყადაღის მოხსნის თაობაზე, გარეშე შეუძლია თუ არა ქობულეთის საკრებულოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციული სამართლის თეორიაში ცნობილ და პრაქტიკაში ათასგზის გამოყენებული ე.წ. პირობით გამოცემული ინდივიდუალური აქტის მიღება, როგორც ამის გამორკვევა დაავალა სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით – გ. ტ-ოს მიერ სადავო საცხოვრებელი ბინის კანონიერი სარგებლობის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში.

შესაბამისად, გ. ტ-ოს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 თებერვლის განჩინება და განცხადების განხილვის სტადიიდან საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე, 419-420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გ. ტ-ოს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 თებერვლის განჩინება და განცხადების განხილვის სტადიიდან საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უფლებამონაცვლეობის დადგენა და საალსრულებო
ფურცლის გაცემა**

განჩინება

№ბს-242-239(კს-14)

17 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: უფლებამონაცვლედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ო. თ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების: რ. თ-ის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურისა და გ. მ-ის მიმართ და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 5 ივლისის №101910 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 ივლისის განჩინებით ო. თ-ის სარჩელი განსჯადობით გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

2011 წლის 16 აგვისტოს მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელი, მოპასუხეებად მიუთითა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახური, შპს „...“ და რ. თ-ი და საბოლოოდ მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 5 ივლისის №101910 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სახლის 1/3 ნილისა და მის მიმდებარე 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მოსარჩელის სახელზე დარეგისტრირება.

გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის საოქმო განჩინებით ო. თ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება რ. თ-ი, ხოლო 16.1 მუხლის შესაბამისად, შპს „...“.

გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ო. თ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. თ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინებით ო. თ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. თ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინებით ო. თ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით ო. თ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ო. თ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი რ. თ-ის სახელზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2010 წლის 2 ნოემბერს განხორციელებული ჩანაწერი (№...) 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და 90.40 კვ.მ. შენობა-ნაგებობაზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 5 ივლისის №101910 გადაწყვეტილება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინ-

დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; ო. თ-ს ამ ეტაპზე უარი ეთქვა სადავო საცხოვრებელი სახლის 1/3 ნაწილის მის სახელზე აღრიცხვაზე.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ო. თ-მა, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, გორის სარეგისტრაციო სამსახურმა და რ. თ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ო. თ-ის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, გორის სარეგისტრაციო სამსახურისა და რ. თ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2013 წლის 28 მაისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილების განმარტება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2014 წლის 6 მარტს ო. თ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში ჩაინეროს რ. თ-ის (მესაკუთრის) მაგიერ დღევანდელი მესაკუთრე ი. ჩ-ე, რათა გორის სარეგისტრაციო სამსახურმა ცალ-ცალკე აქტები გამოსცეს მასზე და ი. ჩ-ეზე, რითაც რ. თ-სა და ი. ჩ-ეს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულებიდან გამოიყოფა მისი წილი 1/3 სახლი.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ 2013 წლის 18 აპრილს გორის სააღსრულებო ბიუროს მიმართა სააღსრულებო ფურცლითა და შესაბამისი დოკუმენტაციით, რათა სისრულეში მოეყვანა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. აღსრულების ბიურო უძლური აღმოჩნდა იმ მოტივით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გორის სარეგისტრაციო სამსახურის დახმარებით რ. თ-სა და მის შვილს (ი. ჩ-ეს) შორის გაფორმდა ფიქტიური ჩუქების ხელშეკრულება 2011 წლის 26 სექტემბერს. პირველი სასამართლო კი ჩატარდა 2011 წლის 28 სექტემბერს. არც

გორის სარეგისტრაციო სამსახურმა, არც ეროვნულმა სააგენტომ და არც დედა-შვილმა არ გაამხილეს ამის თაობაზე. მათ იცოდნენ, რომ სასამართლო კანონიერ გადაწყვეტილებას მიიღებდა და ფიქტიური, თვალთმაქცური ჩუქების ხელშეკრულება გააფორმეს, რაშიც გორის სარეგისტრაციო სამსახური დაეხმარათ.

განმცხადებლის აღნიშნით, რ. თ-მა და ი. ჩ-ემ ისარგებლეს მისი იურიდიული გამოუცდელობით, რომ სასამართლო გადაწყვეტილებამდე საჭირო იყო სადავო სახლზე ყადაღის დადება. მან მიმართა სარეგისტრაციო ორგანოებს ფიქტიური ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებაზე და ამ ხელშეკრულებიდან მისი 1/3 წილი სახლის ფართის ცალკე გამოტანის თაობაზე, მაგრამ უარს იღებს იმ მოტივით, რომ კანონიერ გადაწყვეტილებაში შეტანილი უნდა იქნეს ცვლილება და რ. თ-ის დღევანდელი უფლებამონაცვლის – ი. ჩ-ეზე მოხდეს საალსრულებო ფურცლის გაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 31 მარტის განჩინებით ო. თ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებაში მითითებული მხარის შეცვლის (უფლებამონაცვლების დადგენის) თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. ამდენად, მითითებული ნორმა უშვებს საქმეში მონაწილე ფიზიკური პირის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით მაშინ, როდესაც ადგილი აქვს საქმეში მონაწილე ფიზიკური პირის გარდაცვალებას, მოთხოვნის დათმობას, ვალის გადაცემას.

„საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, საალსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემული იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შე-

ადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამონმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამონმებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ არის უფლებამონაცვლეობა, ვინაიდან ადგილი არ აქვს საქმეში მონაწილე ფიზიკური პირის გარდაცვალებას, არც მოთხოვნის დათმობას და ვალის გადაცემას. საქმეში მონაწილე ფიზიკური პირის მიერ უძრავი ქონების გასხვისება თუნდაც საკუთარ შვილზე, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არ წარმოადგენს უფლებამონაცვლეობის დადგენის სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ო. თ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი მოტივით: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი რ. თ-ის სახელზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2010 წლის 2 ნოემბერს განხორციელებული ჩანაწერი (№...) 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და 90.40 კვ.მ. შენობა-ნაგებობაზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 5 ივლისის №101910 გადაწყვეტილება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. მას იმ ეტაპზე უარი ეთქვა სადავო საცხოვრებელი სახლის 1/3 ნაწილის მის სახელზე აღრიცხვაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართვის შედეგად მიღებული პასუხის თანახმად, მისთვის ცნობილი გახდა, რომ რ. თ-მა ისარგებლა რა მისი გამოუცდელობით სამართლებრივ საკითხებში, სასამართლოში მიმდინარე დავის პერიოდში და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, 2011 წლის 26 სექტემბერს

ფიქტიური ჩუქების ხელშეკრულება გააფორმა ი. ჩ-ესთან და სადავო უძრავ ნივთზე 2011 წლის 3 ოქტომბრის №882011469120-03 გადაწყვეტილებით უფლება გადავიდა ი. ჩ-ზე. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, სარეგისტრაციო სამსახური უძღური აღმოჩნდა აღესრულებინა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ო. თ-ი ითხოვდა სასამართლომ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში მიუთითოს რ. თ-ის ნაცვლად, ი. ჩ-ე, რათა მოხდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ო. თ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 31 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა საპროცესო სამართლის ნორმები. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეიცავს დასაბუთებას საქმეში ი. ჩ-ის უფლებამონაცვლედ არცნობის თაობაზე, რის გამოც სახეზეა მისი სსსკ-ის 393-394-ე მუხლებით გათვალისწინებული გაუქმების საფუძვლები.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით ო. თ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი რ. თ-ის სახელზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2010 წლის 2 ნოემბერს განხორციელებული ჩანაწერი (№...) 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და 90.40 კვ.მ. შენობა-ნაგებობაზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 5 ივლისის №101910 გადაწყვეტილება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებე-

ბის გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; ო. თ-ს იმ ეტაპზე უარი ეთქვა სადავო საცხოვრებელი სახლის 1/3 ნაწილის მის სახელზე აღრიცხვაზე.

სასამართლო დავის განმავლობაში, როდესაც ო. თ-მა 2011 წლის 26 ივლისს სადავოდ გახადა სასამართლოში რ. თ-ის სახელზე გორის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელებული საკუთრების ჩანაწერი (№66,59,06,17) 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთსა და 90.40 კვ. მ. შენობა-ნაგებობაზე, რ. თ-მა 2011 წლის 26 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულება გააფორმა საკუთარ შვილზე – ი. ჩ-ეზე, რის საფუძველზეც გორის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 3 ოქტომბრის №88201146912-03 გადაწყვეტილებით სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება გადავიდა ი. ჩ-ეზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92.1 მუხლის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ ნორმაში ამომწურავი სახით არ არის განსაზღვრული საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლები. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცესებში უფლებამონაცვლეობის საფუძველია სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა. საპროცესო უფლებამონაცვლეობა არის მხარეებისა და მესამე პირების შეცვლა იმ პირებით, რომლებზეც მათი უფლებები და მოვალეობები გადავიდა. ამდენად, საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს თავის თავზე წინამორბედის უფლებებს და მოვალეობებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადო უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამონმა ნოტარიუსმა, თუ საქირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამონმებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

კანონის ამგვარი დანაწესი გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც მოვალის უფლებამონაცვლე დგინდება სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების ჯეროვან და ეფექტურ აღსრულებას.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასახუთებულობასა და მიზანშეწონილობას, რისი დაცვაც ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია აქტის გამოცემისას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სასამართლოსათვის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებული პროცესუალური უფლებამოსილების – სადავო ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა დავის გადაუწყვეტლად და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი აქტის გამოცემის დავალება, გამოყენება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მიზნით სრული ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას.

რების ვალდებულებას, ყველა პროცედურული სტადიის გათვალისწინებით, რომელიც კანონით დადგენილია ამგვარი აქტის გამოსაცემად. პროცედურული სტადიების განსაზღვრა არ განეკუთვნება არც ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და არც ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე პირთა შეხედულებებს. იგი კანონით მკაცრად განსაზღვრული ერთიანი პროცედურაა და დაცული უნდა იქნეს უკლებლივ ყველა აქტის მომზადების, მიღებისა და გამოცემისას.

საქმის მასალების მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა განმარტება, თუ ვის მიმართ უნდა გამოეცა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტი რ. თ-ისა თუ ი. ჩ-ის სახელზე, ვინაიდან 2011 წლის 3 ოქტომბერს სადავო უძრავ ქონებაზე 2011 წლის 26 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე უფლება გადასული იყო ი. ჩ-ზე.

აღნიშნული განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტებამ შესაძლებელია შეცვალოს მისი შინაარსი, რაც სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262.1 მუხლის მიხედვით დაუშვებლად მიიჩნია.

ამ ვითარებაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში უფლებამონაცვლის განსაზღვრის თაობაზე უნდა დაემყაროს მსჯელობას – ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საჯარო რეესტრის მიერ ჩასატარებელ ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომელი სუბიექტები უნდა იყვნენ წარმოების მონაწილენი, რის მიხედვითაც სასამართლომ უნდა შეადგინოს დასკვნა განცხადების დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების თაობაზე.

სასამართლომ უნდა იმსჯელოს და შეაფასოს განცხადების არდაკმაყოფილების პირობებში რამდენად შესაძლებელია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს აქტის აღსრულება – ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება ახალი მესაკუთრის ი. ჩ-ის მონაწილეობის გარეშე.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასა-

მართლოს გასაჩივრებული განჩინება სრულიად დაუსაბუთებელია, ამასთან არასრულად ციტირებს სსსკ-ის 92.1 მუხლის ჩამონათვალს, რის გამოც განმცხადებლის მოთხოვნა განხილულია ზედაპირულად, მოთხოვნის არსისა და საფუძვლის გაანალიზების გარეშე.

შესაბამისად, ო. თ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 31 მარტის განჩინება და განცხადების განხილვის სტადიიდან საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე, 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ო. თ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 31 აგვისტოს განჩინება და განცხადების განხილვის სტადიიდან საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უფლებამონაცვლეზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა

განჩინება

№ბს-30-30(კს-14)

24 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: უფლებამონაცვლეობის დადგენა, სააღსრუ-
ლებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამარ-
თლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის
11.07.01 წ. გადაწყვეტილებით ს-ისა და სხვათა სარჩელი შრო-
მითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნე-
ბის მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმა-
ყოფილდა, ი. ს-ის სასარგებლოდ საჩხერის რაიონის გამგეობას
დაეკისრა 1999 წლის 9 თებერვლიდან 2000 წლის 16 ივნისამდე
1 920 ლარის გადახდა, 2000 წლის 16 ივნისიდან ყოველთვიუ-
რად 120 ლარის გადახდა.

17.09.01 წ. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პა-
ლატის 11.07.01 წ. გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო
ფურცლები, მათ შორის, ი. ს-ის მოთხოვნის ნაწილში, სადაც კრე-
დიტორად მითითებულია ი. ს-ი, ხოლო მოვალედ საჩხერის რაი-
ონის გამგეობა.

ჯ. ს-მა 11.04.13 წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპე-
ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას,
რომლითაც კრედიტორისა და მოვალის უფლებამონაცვლის
დადგენა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხო-
ვა.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატის
11.07.01 წ. გადაწყვეტილება ი. ს-ის ნაწილში დღემდე არ არის
აღსრულებული, სააღსრულებო ფურცელში მითითებული კრე-
დიტორი ი. ს-ი 03.07.05წ. გარდაიცვალა, ი. ს-ის სამკვიდრო სრუ-
ლად მიიღო მისმა პირველი რიგის მემკვიდრემ (შვილი) ჯ. ს-მა.

სამკვიდრო მონუმბაში ასევე ცალსახად არის მითითებული, რომ სამკვიდრო ქონებაში შედის მამკვიდრებლის მთელი აქტივები და პასივები, მათ შორის, პენსია, შესაბამისად, სააპელაციო პალატის 11.07.01წ. გადაწყვეტილებაში მოხსენიებული ი. ს-ის უფლებამონაცვლეა ჯ. ს-ი. განმცხადებლის მოსაზრებით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა კრედიტორის უფლებამონაცვლედ მისი, ხოლო მოვალის – საჩხერის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ, საქართველოს მთავრობის 24.03.07წ. დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ 3.1 მუხლით გათვალისწინებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩართვის კანონისმიერი პირობა, რომელსაც 01.03.07წ. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება აღნიშნულ წესის თანახმად აქვს დაკისრებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 11.07.01წ. გადაწყვეტილებაში მოხსენიებული ი. ს-ის უფლებამონაცვლედ ჯ. ს-ის, ხოლო საჩხერის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დადგენა; თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 17.09.01წ. ი. ს-ის სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცელის გაუქმება და ახალი სააღსრულებო ფურცელის გაცემა, სადაც ი. ს-ის უფლებამონაცვლედ მითითებული იქნება ჯ. ს-ი, ხოლო საჩხერის რაიონის უფლებამონაცვლედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისრება ჯ. ს-ისათვის 09.02.99წ.- 16.06.2000წ. 1920 ლარისა და ყოველთვიურად 120 ლარის 16.06.2000 წ.- 03.07.05წ. პერიოდის მიხედვით ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.13წ. განჩინებით ჯ. ს-ის განცხადება უფლებამონაცვლეობის დადგენისა და ახალი სააღსრულებო ფურცელის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილდა; თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 11.07.01 წ. გადაწყვეტილებაში მოხსენიებული ი. ს-ის უფლებამონაცვლედ დადგინდა ჯ. ს-ი, ხოლო ი. ს-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში საჩხერის

რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ დადგინდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 17.09.01 წ. ი. ს-ის სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცელი და გაცა ახალი სააღსრულებო ფურცელი, სადაც ი. ს-ის უფლებამონაცვლედ მითითებული იქნება ჯ. ს-ი, ხოლო საჩხერის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; ახალი სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, საჩხერის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ ჯ. ს-ს უნდა აუნაზღაუროს 1999 წლის 9 თებერვლიდან 2000 წლის 16 ივნისამდე 1 920 ლარი და ყოველთვიურად დაკისრებული 120 ლარი 2000 წლის 16 ივნისიდან 2005 წლის 3 ივლისამდე პერიოდის მიხედვით.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში დაცული სამკვიდრო მონუმბით დადგენილად მიიჩნია, რომ გარდაცვლილი ი. ს-ის სამკვიდრო სრულად მიიღო მისმა პირველი რიგის მემკვიდრემ (შვილი) ჯ. ს-მა. სამკვიდრო მონუმბაში ასევე ცალსახად არის მითითებული, რომ სამკვიდრო ქონებაში შედის მამკვიდრებლის მთელი აქტივები და პასივები, მათ შორის, პენსია, შესაბამისად, სააპელაციო პალატის 11.07.01წ. გადაწყვეტილებაში მოხსენიებული ი. ს-ის უფლებამონაცვლესა ჯ. ს-ი.

სააპელაციო პალატამ, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 11.07.01წ. გადაწყვეტილებაში მოპასუხედ დასახელებული საჩხერის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლის ნაწილში, მიუთითა საქართველოს მთავრობის 24.03.07წ. №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა უზრუნველყო „საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 15.10.95 წ. №429-ა ბრძანებულებისა და „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99 წ. №48 ბრძანებულების 42¹ პუნქტის საფუძველზე 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რე-

გისტრირებული, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდში“. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის ი. ს-ის მიმართ „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99 წ. №48 ბრძანებულების 42¹ პუნქტის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტამდე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებულია უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების არსებობა, რომლის დაფარვის უზრუნველყოფის ვალდებულება ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე დაკისრებული აქვს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სააპელაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნა თბილისის სააპელაციო პალატის 11.07.01წ. გადაწყვეტილებაში მოპასუხედ დასახელებული საჩხერის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიჩნევა.

რაც შეეხება თანხის ოდენობას, სააპელაციო პალატამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ი. ს-ი გარდაიცვალა 03.07.05 წ., აღნიშნა, რომ საჩხერის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ ჯ.ს-ს უნდა აუნაზღაუროს ყოველთვიურად დაკისრებული 120 ლარი 2000 წლის 16 ივნისიდან 2005 წლის 3 ივლისის პერიოდის მიხედვით, რამდენადაც ასანაზღაურებელი პერიოდი არ სცილდება საქართველოს მთავრობის 24.03.07 წ. №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესით“ განსაზღვრულ პერიოდს ანუ 01.03.07 წ., რომლის შემდეგაც სარჩოს გაცემის ვალდებულება შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.13 წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის 24.03.07 წ. №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ 3.1 მუხლის თანახმად, სააგენტომ უზრუნველყო 01.03.07 წ. სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო პერიოდში რეგისტრირებული, ასევე ამ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში

შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 01.03.07წ. პერიოდში. ამავე დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, 01.03.07წ. შეწყდა სარჩოსა და სხვა გასაცემლის გაცემის ვალდებულება და სააგენტოს მიერ დამატებით გაიცა ერთჯერადი კომპენსაცია, დანიშნული სარჩოს ექვსი თვის ოდენობით. სააგენტოს მიერ სრულად იქნა დაფარული 01.03.07წ. პერიოდში, სააგენტოში რეგისტრირებული ყველა დავალიანება, ხოლო 2008 წლიდან ამ სახის ვალდებულება სააგენტოს ბიუჯეტში გათვალისწინებული არ ყოფილა. ამასთანავე, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გასულია სკ-ის 142-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.13წ. განჩინების გაუქმებასა და ჯ. ს-ისათვის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 11.07.01წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 22.10.00 წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საჩხერის რაიონის გამგეობას მოსარჩელების სასარგებლოდ სხვადასხვა ოდენობის თანხის გადახდა დაეკისრა, მათ შორის, საჩხერის რაიონის გამგეობას ჯ. ს-ის სასარგებლოდ 1999 წლის 9 თებერვლიდან 2000 წლის 16 ივნისამდე 1 920 ლარის გადახდა და 2000 წლის 16 ივნისიდან ყოველთვიურად 120 ლარის გადახდა დაეკისრა. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 11.07.01 წ. გადაწყვეტილებაზე 17.09.01 წ. გაიცა სააღსრულებო ფურცლები, მათ შორის, სააღსრულებო ფურცელი გაიცა ი. ს-ის მოთხოვნის ნაწილში, სადაც კრედიტორად მითითებულია ი. ს-ი, ხოლო მოვა-

ლედ საჩხერის რაიონის გამგეობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.13წ. განჩინებით ჯ. ს-ის განცხადება უფლებამონაცვლეობის დადგენისა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილდა; თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 11.07.01 წ. გადაწყვეტილებაში მოხსენიებული ი. ს-ის უფლებამონაცვლედ დადგინდა ჯ. ს-ი, ხოლო ი. ს-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში საჩხერის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ დადგინდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 17.09.01 წ. ი. ს-ის სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცელი და გაცა ახალი სააღსრულებო ფურცელი, სადაც ი. ს-ის უფლებამონაცვლედ მითითებული იქნება ჯ. ს-ი, ხოლო საჩხერის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; ახალი სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, საჩხერის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ ჯ. ს-ს უნდა აუნაზღაუროს 1999 წლის 9 თებერვლიდან 2000 წლის 16 ივნისამდე 1 920 ლარი და ყოველთვიურად დაკისრებული 120 ლარი 2000 წლის 16 ივნისიდან 2005 წლის 03 ივლისამდე პერიოდის მიხედვით.

კერძო საჩივრის ავტორი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო გასაჩივრებული – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.13წ. განჩინებას სადავოდ ხდის და არ ეთანხმება საჩხერის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დადგენის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას.

საქმეში დაცული მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 11.07.01წ. გადაწყვეტილებით, საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ საფუძველზე, საჩხერის რაიონის გამგეობას ი. ს-ის სასარგებლოდ 1999 წლის 9 თებერვლიდან 2000 წლის 16 ივნისამდე 1 920 ლარის გადახდა და 2000 წლის 16 ივნისიდან ყოველთვიურად 120 ლარის გადახდა დაეკისრა. აღნიშნული ბრძანებულება გაუქმდა 2007 წლის 1 მარტიდან და

საქართველოს მთავრობის 24.03.07წ. №53 დადგენილებით დამტკიცდა ახალი „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი“. აღნიშნული წესის 3.1 მუხლის თავდაპირველი რედაქციის თანახმად, სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა უზრუნველყო „საქნახშირის“ დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 15.10.95წ. №429-ა ბრძანებულებისა და „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. №48 ბრძანებულების 42¹ პუნქტის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტამდე ფონდში რეგისტრირებულ, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდზე.

საქართველოს მთავრობის 24.03.07წ. №53 დადგენილებით დამტკიცებულ წესში 25.12.08წ. №257 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებით, აღნიშნული წესის 3.1 მუხლი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო) უზრუნველყოს „საქნახშირის,“ დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 15.10.95 წ. №429-ა ბრძანებულებისა და „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99 წ. №48 ბრძანებულების 42¹ პუნქტის საფუძველზე 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებული, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდში“. ამდენად, სახეზეა საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 42¹ პუნქტის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტამდე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადან-

ყვეტილებით დადასტურებული უდავო მოთხოვნით წარმოქმნილი დავალიანება, რომლის უზრუნველყოფის ვალდებულება ნორმატიული აქტის საფუძველზე ეკისრება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. შესაბამისად, კანონმდებლობით ცალსახადაა გადანყვეტილი უფლებამონაცვლეობის საკითხი, რის გამოც საფუძვლიანია თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 11.07.01წ. გადანყვეტილებაში ი. ს-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში მოპასუხედ დასახელებული საჩხერის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მითითება. ი. ს-ის სამკვიდრო ქონებაზე 19.12.07წ. სამკვიდრო მონაძობის თანახმად, ჯ. ს-ი არის 03.07.05წ. გარდაცვლილი ი. ს-ის I რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, ჯ. ს-მა, როგორც მამკვიდრებლის I რიგის კანონისმიერმა მემკვიდრემ – შვილმა, სრულად მიიღო სამკვიდრო ქონება, სამკვიდრო ქონებაში შემავალი აქტივებით, მათ შორის, მიუღებელი პენსიით. „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის თანახმად, საალსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადანყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის სანინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დამონაწილმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამონაწილ დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენისა და საალსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადანყვეტილების გამომტან სასამართლოს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად საპროცესო უფლებამონაცვლეობა დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის, გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მის აღსრულებამდე.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლობის გამო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობის 24.03.07წ. №53 დადგენილებით დამტკიცებული წესის 3.4 მუხლით იმპერატიულად განისაზღვრა ამ სახის ვალდებულებების ფინანსური უზრუნველყოფა მხოლოდ ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, რომელიც 2008 წლიდან სააგენტოს ბიუჯეტში გათვალისწინებული არ ყოფილა. „საქართველოს

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 32.7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით „სოციალური დახმარებების“ ფარგლებში დაფინანსდა დახმარება შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის, რომლის დანიშნისა და გაცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 31.5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტშიც ანალოგიურად იქნა გათვალისწინებული ამ სახის დავალიანების ფინანსური უზრუნველყოფა. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 01.03.13წ. №45 დადგენილებით დამტკიცდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშნისა და გაცემის წესი“, რომლის მე-2 მუხლის თანახმად ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 24.03.07წ. №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი“, ამასთანავე 01.03.13წ. №45 დადგენილებით დამტკიცებული წესის 5.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს 2007 წლის 1 იანვრამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული ფულადი გასაცემლის მიღების უფლებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს არ ქმნის აგრეთვე სკ-ის 142-ე მუხლი, ვინაიდან სააღსრულებო ფურცელი აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადაში იქნა გაცემული, კერძოდ 17.09.01წ., ამასთანავე მოცემულ შემთხვევაში არსებითად ადგილი აქვს 17.09.01წ. აღებულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანას, სააღსრულებო ფურცელში მითითებული მხარეების უფლებამონაცვლეთა დადგენას, მათი მონაცემების შეტანას სააღსრულებო ფურცელში, რაც არ უკავშირდება სკ-ის 142-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადებს, ვინაიდან ხსენებული მუხლი ეხება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული უფლების ხანდაზმულობის ვადას, ამასთანავე ხდება არა სააღსრულებო ფურცლის, არამედ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება. გარდა ამისა, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს 11.07.01წ. გადაწყვეტილებაზე 17.09.01წ. გაცემული სააღსრულებო ფურცელი წარდგენილი იყო აღსრულებისათვის, გამგეობის ანგარიშიდან

თანხის გადახდევინების მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის სპეციალური ჯგუფის მიერ წარდგენილი იყო საინკასო დავალება (იხ. საჩხერის რაიონის გამგეობის 07.03.03წ. წერილი), გამგეობამ ვერ უზრუნველყო დაკისრებული თანხის გადახდა იმის გამო, რომ თანხების დაფარვა უნდა მომხდარიყო რაიონულ ბიუჯეტზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმოცემული ტრანსფერების თანხებით (იხ. საჩხერის რაიონის გამგებლის 29.07.02 წ. წერილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური ჯგუფის სასამართლოს აღმასრულებლისადმი). ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 27.02.03წ. განჩინებით შეჩერდა სააღსრულებო დეპარტამენტის სპეციალური ჯგუფის მიერ 03.02.03წ. წარდგენილი №01/28-212 საინკასო დავალების მოქმედება. საოლქო სასამართლოს 18.07.03წ. განჩინებით საჩხერის რაიონის გამგეობას უარი ეთქვა 11.07.01წ. გადაწყვეტილების განმარტებაზე იმასთან დაკავშირებით თუ რომელი წყაროდან უნდა მოხდეს გადაწყვეტილების აღსრულების დაფინანსება. გადაწყვეტილების აღსრულების სიძნელების გამო გამგეობამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა საოლქო სასამართლოს 18.07.03წ. განჩინება. საოლქო სასამართლოს 21.11.03წ. განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაფინანსების წყაროს განსაზღვრა გამოიწვევს 11.07.01წ. გადაწყვეტილების შინაარსის შეცვლას, ამასთანავე, სასამართლომ მიუთითა, რომ დავის საგანს არ წარმოადგენდა დაფინანსების წყაროს განსაზღვრა. საკასაციო სასამართლოს 11.03.04წ. განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება სააღსრულებო ფურცლის გადაწყვეტილების აღსასრულებლად წარდგენა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში. უფლებამონაცვლის წინამორბედის მიერ შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ითვლება შესრულებულად უფლებამონაცვლის მიერ.

ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.13წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააღსრულებო ფურცლის გამომშობის თაობაზე

განჩინება

№ბს-667-642(კ-13)

25 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 დეკემბრის სააღსრულებო ფურცლის გამომშობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ოქტომბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 2 მარტის №75 განკარგულება; სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 წერილი და სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

დაევალა სს „...“ შავი სიიდან ამოღება; წინამდებარე გადანყვეტილების მიღებით ძალადაკარგულად გამოცხადდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის დროებითი განჩინება პრევენციული დაცვის გამოყენების თაობაზე; სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაეკისრა სს „...“ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის გადახდა სს „...“ სასარგებლოდ; სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაეკისრა 100 ლარის გადახდა სასამართლო ხარჯების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მითითებული გადანყვეტილების სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული სასამართლო ხარჯების აღსრულების მიზნით, საკასაციო სასამართლოს 2014 წლის 8 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2014 წლის 19 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელმა განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გამოხმობა, იმ მოტივით, რომ საშუალება მისცემოდა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის გადანყვეტილების მე-7 პუნქტის ნებაყოფლობით აღსრულებისა, ვინაიდან, იძულებითი აღსრულების დროს უნდა გადაიხადოს აღსრულების საფასური.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 დეკემბრის სააღსრულებო ფურცლის გამოხმობის თაობაზე, არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის გადანყვეტილებით სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ოქტომბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება; სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ კონკურენციისა და სა-

ხელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 2 მარტის №75 განკარგულება; სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 29 მარტის №2/3-1040 წერილი და სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაევალა სს „...“ შავი სიიდან ამოღება; წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებით ძალადაკარგულად გამოცხადდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის დროებითი განჩინება პრევენციული დაცვის გამოყენების თაობაზე; სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაეკისრა სს „...“ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის გადახდა სს „...“ სასარგებლოდ; სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაეკისრა 100 ლარის გადახდა სასამართლო ხარჯების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 20.2 მუხლის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორზე, ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კრედიტორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სააღსრულებო ფურცლის გაცემა. ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო ხარჯების დაკისრებისას თანხები მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში, შესაბამისად, კრედიტორს წარმოადგენს სახელმწიფო (სახელმწიფო ბიუჯეტი). სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილი თანხების აღსრულების მიზნით გაცემული სააღსრულებო ფურცლები სასამართლოს მიერ უშუალოდ ეგზავნება სააღსრულებო ბიუროს.

განმცხადებელი განცხადების მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითებს, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-ელ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი/აღსასრულებელი გადაწყვეტილება, რომლითაც არ მოხდა ან ნაწილობრივ მოხდა აღსრულება, უბრუნდება კრედიტორს კრედიტორის განცხადებით, ვერ გახდება მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობა, რამდენადაც სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მიხედვით კრედიტორს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახით და ამგვარი ნება სწორედ კრედიტორმა უნდა გამოავლინოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული თანხების აღსრულების

მიზნით გაიცემა სააღსრულებო ფურცელი, რითაც ეცნობება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხებისა და მოვალის თაობაზე, სასამართლო ორგანოები არ ახორციელებენ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების აღსრულების მონიტორინგს, სასამართლო ხელისუფლება არ ფლობს კონტროლის მექანიზმს, რომელმაც მოვალემ აღასრულა ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ნებაყოფლობით და რომელმაც არა. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ხორციელდება სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროში გადაგზავნა. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მოთხოვნის რეალიზაცია არ არის დაცული საპროცესო კანონმდებლობით, შესაბამისად, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 დეკემბრის სააღსრულებო ფურცლის გამოხმობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების პირობები

ბანძინება

№ბს-1922-1875(უს-10)

1 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების
გამოყენებაზე უარის თქმის კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 15 მარტს მ. ბ-ოვამ სარჩელი აღძრა თბილისის
საქალაქო სასამართლოში საჯარო რეესტრის ეროვნული საა-
გენტოს მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის
5 თებერვლის №882010466886-03, 11 თებერვლის №35302 გა-
დანყვეტილებების გაუქმება და თბილისის სარეგისტრაციო სამ-
სახურის დავალდებულება „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგის-
ტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის 65-ე მუხლის საფუძველზე
ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

მ. ბ-ოვას სარჩელი არ ცნო მოპასუხე საჯარო რეესტრის
ეროვნულმა სააგენტომ და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე
უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით მ. ბ-
ოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-
სით გაასაჩივრა მ. ბ-ოვამ და მოითხოვა თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის
28 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება.

2010 წლის 24 სექტემბერს მ. ბ-ოვამ განცხადებით მიმართა
სააპელაციო სასამართლოს და სამოქალაქო საპროცესო კოდექ-
სის 198.2 მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად მოით-
ხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სა-

რეგისტრაციო სამსახურისათვის მოქმედების განხორციელების, კერძოდ, ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 4/5 ნაწილიდან 1/3-ზე გ. ბ-იანის სახელზე აღრიცხვის აკრძალვა საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შემდეგი მოტივით:

განმცხადებლის მითითებით, ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ბინის 1/3 ნაწილს ადევს ყადაღა, მაგრამ გ. ბ-იანის განცხადების საფუძველზე გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. გ. ბ-იანს სურს მითითებული ბინის თავის სახელზე დარეგისტრირება, რის საფუძველსაც ქმნის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გ. ბ-იანის სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერი ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/3 ნაწილის მ. ბ-ოვას სახელზე რეგისტრაციის შესახებ და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა აღნიშნული სახლის გ. ბ-იანის სახელზე დარეგისტრირება. საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით, რომელიც ასევე უცვლელად დარჩა საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განჩინებით და შესულია კანონიერ ძალაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მ. ბ-ოვას სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში ხელი შეეშლება გადაწყვეტილების აღსრულებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინებით მ. ბ-ოვას განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 191.1 მუხლით და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა წინასწარი და დროებითი ხასიათის ღონისძიებაა და ხდება დარღვეული ან სადავო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებლად გადაწყვეტილების გამოტანამდე. ხშირ შემთხვევაში იმ პი-

რისათვის, რომლის სასარგებლოდაც გადაწყდება დავა, სასამართლოს მიერ დადგენილ მოთხოვნას პრაქტიკული ღირებულება ეკარგება, რადგან აღმოჩნდება, რომ სასამართლოში საქმის განხილვის ხანგრძლივობის გამო, ფაქტობრივი ვითარება მის საუარესოდ შეიცვლება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ყველა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე, ასევე აღნიშნულის დადასტურების მიზნით, საქმეში დაცულ მტკიცებულებებზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 5 თებერვლისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, რომლითაც უარი ეთქვა რეესტრის ჩანაწერებში შესწორებისა და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულებაზე ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ იმგვარად, რომ მ. ბ-ოვას სარეგისტრაციო ჩანაწერებში მესაკუთრის განყოფილებაში უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მიეთითოს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 29 სექტემბრის №2/7681 გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების წინაპირობები, ვინაიდან განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა, კერძოდ, ვერ მიუთითა ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებების მიუღებლობა გაართულებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა მ. ბ-ოვამ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება შემდეგი მოტივით:

საჩივრის ავტორის მითითებით, მან დაასაბუთა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, რომ გ. ბ-იანს სურს ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ბინის 4/5 ნაწილიდან 1/3 ნაწილის თავის სახელზე დარეგისტრირება, რის

გამოც მისი განცხადების საფუძველზე ყადაღა მოეხსნა აღნიშნულ ბინას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მ. ბ-ოვას სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება, რადგან სადავო ბინა უკვე დარეგისტრირებული იქნება გ. ბ-იანის სახელზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის განჩინებით მ. ბ-ოვას საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადმოიგზავნა საკასაციო სასამართლოში, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 197¹.1, 197¹.2 მუხლებით და მიუთითა, რომ საჩივრის ავტორმა ვერ გააბათილა გასაჩივრებული განჩინების არგუმენტები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობის თაობაზე, შესაბამისად, არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მ. ბ-ოვას საჩივრის მოტივების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების, საქმის მასალების გაანალიზების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სასამართლოს ნორმები, სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა საქმის მასალებს და განჩინება იურიდიულად დასაბუთებულია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის არგუმენტებს სააპელაციო სასამართლოს განჩინების უკანონობის თაობაზე, მისი ფაქტობრივი და იურიდიული დაუსაბუთებლობის გამო. საჩივრის მოტივები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან და არ ემყარება კონკრეტულ მტკიცებულებებს.

სსსკ-ის 191-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნისას მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებას განეკუთვნება მითითება იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც ამგვარი ღონისძიების მიუღებლობა გააძინებებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული

საკანონმდებლო დანაწესი განპირობებულია სამომავლოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი მიზეზების გამორიცხვის მიზნით და ერთგვარ პრევენციულ საპროცესო ზომას წარმოადგენს. მ. ბ-ოვა უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების აუცილებლობას ასაბუთებს შემდეგი მოტივით, რომ: გ. ბ-იანს სურს ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ბინის 4/5 ნაწილიდან 1/3 ნაწილის თავის სახელზე დარეგისტრირება, რის გამოც მისი განცხადების საფუძველზე ყადაღა მოეხსნა აღნიშნულ ბინას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მ. ბ-ოვას სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება, რადგან სადავო ბინა უკვე დარეგისტრირებული იქნება გ. ბ-იანის სახელზე.

თავის მხრივ, უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება მთლიანად დამოკიდებულია სასამართლო შეფასებაზე, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების წინაპირობა, რამდენადაც სარჩელის საგანს წარმოადგენს სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებათა გაუქმება და მოპასუხის დავალდებულება „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის 65-ე მუხლის საფუძველზე ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ; სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსსკ-ის მე-3 და 248-ე მუხლებიდან გამომდინარე, გაბათილებული იქნება სადავო გადაწყვეტილებები და სარეგისტრაციო სამსახურს დაევალება ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

აღნიშნულის პარალელურად, მოსარჩელისავე მითითებით – გ. ბ-იანს სურს მითითებული ბინის თავის სახელზე დარეგისტრირება, რის საფუძველსაც ქმნის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გ. ბ-იანის სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერი ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/3 ნაწილის მ. ბ-ოვას სახელზე რეგისტრაციის შესახებ და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა აღნიშნული სახლის გ. ბ-იანის სახელზე დარეგისტრირება. საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 23

იანვრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით, რომელიც ასევე უცვლელად დარჩა საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განჩინებით და შესულია კანონიერ ძალაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორი მ. ბოვა ფაქტიურად სასამართლოსგან ითხოვს არა განსახილველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღებას, არამედ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას, რისი შესაძლებლობაც საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. ხოლო, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები მონესრიგებულია სსსკ-ის 266-ე მუხლში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინება შეესაბამება მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას, რის გამოც არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილით, 399-ე, 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ბოვას საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების წესი

ბანრინება

№ბს-993-966(2კ-უს-10)

10 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივლისსა და 2010 წლის 28 აპრილის განჩინებებზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 27 აპრილს გ. ხ-ძემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და სასამართლო დავის საბოლოო გადაწყვეტილებამდე მოითხოვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის“ აეკრძალათ გ. ხ-ძის კუთვნილი ბინის (სარეგისტრაციო ზონა – ადიგენი, კოდი – 61; სექტორი – დაბა ..., კოდი – 11; კვარტლის №06, ნაკვეთის №001, ფართობი – 92,9 კვ.მ) ყოველგვარი გამოყენება, შემდეგი საფუძვლით:

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 28 ივლისის №501 დადგენილების მე-4 პუნქტის შესაბამისად აბასთუმნის ... დამაარსებელსა და ... ე. ხ-ძეს მუდმივ სარგებლობაში გადაეცა ... ტერიტორიაზე მდებარე მის მიერ საბინაო ფონდში დაკავებული 100კვ.მ ბინა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით (№27; 2003 წლის 13 თებერვალი) აღნიშნული ბინა მუდმივ სარგებლობაში გადაეცა გ. ხ-ძეს, რომელიც ე. ხ-ძის კანონიერი მემკვიდრეა. ამავე დადგენილებით გადაწყდა, აღძრულიყო შუამდგომლობა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წინაშე აღნიშნული ბინის მუნიციპალურ საცხოვრებელ ფონდში გატანის მოთხოვნით, რათა შემდგომ დადგენილი წესით საცხოვრებელ ბინად გაფორმებულიყო გ. ხ-ძეზე.

2003 წლის 14 თებერვალს მეცნიერებათა აკადემიამ მიმარ-

თა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ადიგენის რაიონის გამგეობას, ე. ხ-ძისათვის მუდმივ სარგებლობაში გადაცემული აბასთუმნის ... ბინის საბინაო ფონდიდან მუნიციპალურ საცხოვრებელ ფონდში გატანის მოთხოვნით, რათა იგი დადგენილი წესის შესაბამისად საცხოვრებელ ბინად გაფორმებულიყო გ. ხ-ძეზე. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ და ადიგენის რაიონის გამგეობამ თანხმობა გამოთქვა მომხდარიყო აღნიშნული ფართის გადაცემა მუნიციპალურ საცხოვრებელ ფონდში არსებული წესით, რის შესახებაც ეცნობა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის 2003 წლის 30 ივნისის ბრძანებით აბასთუმნის ... 100 კვ.მ საერთო ფართობის ბინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ... საბინაო ფონდიდან მუნიციპალურ საცხოვრებელ ფონდს გადაეცა. ამავ ბრძანებით დაევალა ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ადიგენის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილებას სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, ხოლო ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. 2005 წლის 12 აგვისტოს გაფორმდა სანოტარო აქტი – საცხოვრებელი ბინის პრივატიზების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აბასთუმნის საკრებულომ 100 კვ.მ საცხოვრებელი ბინა უსასყიდლოდ, პრივატიზების წესით გადასცა გ. ხ-ძეს და ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

2009 წლის 18 აპრილს გ. ხ-ძისათვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 21 აპრილის №1-1/635 ბრძანებით, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უზუფრუქტის წესით გადაეცა დაბა-აბასთუმანში, ... მდებარე შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 16269,5 კვ.მ და მასზე დამაგრებული 300 000 კვ.მ მიწის ფართი, რომლის შემადგენლობაში შემავალი საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი ბინის (სარეგისტრაციო ზონა-ადიგენი, კოდი-61; სექტორი-..., კოდი-11; კვარტლის №06 ნაკვეთის №001; ფართობი-92,9 კვ.მ) მესაკუთრეს გ. ხ-ძე წარმოადგენდა. გ. ხ-ძემ 2009 წლის 6 მაისს მიმართა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების (უძრავი) სსიპ „ილიას სახელ-

მნიფო უნივერსიტეტისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორ-
მით გადაცემის შესახებ“ და მოითხოვა აღნიშნული აქტის იმ
ნაწილის ბათილად ცნობა, როლითაც სსიპ „ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტს“ უზუფრუქტის წესით გადაეცა დაბა-აბასთუ-
მანში, ... მდებარე შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 16 269,5
კვ.მ და მასზე დამაგრებული 300 000 კვ.მ მიწის ფართი, ვინაი-
დან აღნიშნული ბრძანების (ინდივიდუალური ადმინისტრაცი-
ულ-სამართლებრივი აქტის) გამოცემისას საქმე არ იყო სრულ-
ყოფილად გამოკვლეული, რადგანაც, ზემოხსენებული შენობა-
ნაგებობის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი საცხოვრე-
ბელი კორპუსის ერთ-ერთი ბინის (სარეგისტრაციო ზონა-ადი-
გენი, კოდი-61; სექტორი-..., კოდი-11; კვარტლის №06, ნაკვე-
თის №001; ფართობი-92,9 კვ.მ) მესაკუთრეს გ. ხ-ძე წარმოად-
გენდა. 2009 წლის 10 ივნისს ეკონომიკური განვითარების სამი-
ნისტროსგან გ. ხ-ძემ მიიღო წერილი, რომ გ. ხ-ძის საჩივარი გა-
დაეგზავნა საქართველოს მთავრობის კანცელარიას შემდგომ-
ში რეაგირებისათვის. საქართველოს მთავრობის კანცელარიი-
დან 2009 წლის 17 ივნისის წერილობით მოსარჩელეს აცნობეს,
რომ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობე-
ბის სარგებლობის უფლების გადაცემის წესის დამტკიცების შე-
სახებ“ საქართველო მთავრობის 2006 წლის 12 ივნისის №110
დადგენილების მე-10 მუხლის თანახმად „სახელმწიფო საკუთ-
რებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლე-
ბით გადაცემის თაობაზე, ასევე კონკურსის ან აუქციონის შე-
დეგებთან სადავო და ბათილად ცნობის საკითხებს (მათ შორის,
ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებ-
ლობის გამო) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განი-
ხილავს სასამართლო.

აღნიშნულის საფუძველზე გ. ხ-ძემ მიმართა თბილისის სა-
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და
მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქარ-
თველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 21
აპრილის №1-1/635 ბრძანების (სახელმწიფო საკუთრებაში არ-
სებული ქონების (უძრავი) სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსი-
ტეტისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის
შესახებ ნაწილობრივ ბათილად ცნობა, კერძოდ, იმ ნაწილში,
რომლითაც სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“ უზუფ-
რუქტის წესით გადაეცა დაბა-აბასთუმანში, ... მდებარე შენო-
ბა-ნაგებობა საერთო ფართით 16 269,5 კვ.მ და მასზე დამაგრე-
ბული 300 000 კვ.მ მიწის ფართი. თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 მარ-

ტის გადაწყვეტილებით მოსარჩელე გ. ხ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 21 აპრილის №1-1/635 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც სსიპ „სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს“ გადაეცა გ. ხ-ძეს საკუთრებაში არსებული ქონება (სარეგისტრაციო ზონა-ადიგენი, კოდი-61; სექტორი-..., კოდი-11; კვარტლის №06, ნაკვეთის №001, ფართობი-92,9 კვ.მ).

2010 წლის 4 მარტს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და გ. ხ-ძემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის სახის გამოყენება, ვინაიდან მოსალოდნელი იყო ისედაც სახეცვლილ ბინაში სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რამდენადაც გადაწყვეტილი იყო მთლიანი კორპუსის სასტუმროდ გადაკეთება, ამიტომ შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისა და სააპელაციო საჩივრის არ დაკმაყოფილების თქმის შემთხვევაშიც, მესაკუთრე ბინის გარეშე აღმოჩენილიყო, იმ უზრალო მიზეზის გამო, რომ ბინა ფაქტობრივად აღარ იარსებებდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის განჩინებით გ. ხ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

2005 წლის 12 აგვისტოს გაფორმდა სანოტარო აქტი – საცხოვრებელი ბინის პრივატიზების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც დაბა აბასთუმნის საკრებულომ უსასყიდლოდ ბინის პრივატიზების წესით გადასცა გ. ხ-ძეს 100 კვ.მ საცხოვრებელი ბინა, მდებარე ადიგენის რაიონში დაბა აბასთუმანში, ..., ხსენებული ბინის მესაკუთრე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, რაზეც გაიცა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 21 აპრილის №1-1/635 ბრძანებით, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს“ უზუფრუქტის წესით გადაეცა დაბა აბასთუმანში, ... მდებარე შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 16 269,5 კვ. მ და მასზე დამაგრებული 300 000 კვ.მ მიწის ფართი, რომლის შემადგენლობაში შემავალი საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი ბინის (სარეგისტრაციო ზონა-ადიგენი, კოდი-61; სექტორი-..., კოდი-11; კვარტლის №06, ნაკვეთის №001, ფართობი-92,9 კვ.მ) მესაკუთრეს გ. ხ-ძე წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და განმარტა, რომ წარმოდგენილ განცხადებაში გ. ხ-ძის მიერ მითითებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ შესაძლოა მოხდეს სა-

დავო შენობა-ნაგებობის სასტუმროდ გადაკეთება და ისედაც სახეცვლილ ბინაში სხვადასხვა სამუშაოების ჩატარება, იყო საფუძვლიანი, რამდენადაც სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანებით სადავო შენობა-ნაგებობა, რომლის ერთ-ერთი ბინის მესაკუთრეს წარმოადგენდა გ. ხ-ძე, უზუფრუქტის წესით გადაეცა სსიპ – „ილიას სახელობის უნივერსიტეტს“, შესაბამისად, არსებობდა აპელანტების – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ – მიერ მასზე სხვადასხვა სამართლებრივი ქმედების განხორციელების გამოყენების შესაძლებლობა, შესაბამისად, გ. ხ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს“ აეკრძალა ყოველგვარი სამართლებრივი მნიშვნელობის ქმედების განხორციელება გ. ხ-ძის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე (სარეგისტრაციო ზონა-ადიგენი, კოდი-61; სექტორი-..., კოდი-11; კვარტლის №06, ნაკვეთის №001, ფართობი-92,9 კვ.მ).

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საჩივრით გაასაჩივრა სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა“, რომლითაც მოითხოვა განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 სექტემბრის №213 დადგენილებით უნივერსიტეტს შეუერთდა საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია, ხოლო საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 21 აპრილის №1-1635 ბრძანებით სსპ სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს“ უზუფრუქტის ფორმით გადაეცა დაბა-აბასთუმანში ... მდებარე უძრავი ქონება (მათ შორის, გასაჩივრებული განჩინებით განსაზღვრული ქონება) – საქართველოს ... განაშენების ფართი – 10379 კვ.მ, საერთო ფართი – 16269.5 კვ.მ საანგარიშო ფართი – 19658.6 კვ.მ; ბრძანების საფუძველზე სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმდა უზუფრუქტის ხელშეკრულება, რომელიც კანონით დადგენილი წესით გატარდა საჯარო რეესტრში, რაზედაც გაიცა შესაბამისი ამონაწერი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი წარმოადგენდა უძრავი ქონების კეთილსინდისიერ მფლობელს სამოქალაქო კოდექსი – 155-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 159-ე მუხლის საფუძველზე და, შესაბამისად, უზუფრუქტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების მიღებისას შეუდგა მის რეაბილიტაციას, შეკეთება – განახლებას. შედგა შენობა-ნაგებობისა და ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების

ხარჯთაღრიცხვა, მათ შორის, გასაჩივრებული განჩინებით განსაზღვრული ქონების, რომელიც წარმოადგენდა და წარმოადგენს დაბა აბასთუმანში, ... ე.წ. პატარა სასტუმროს შემადგენელ ნაწილს, ერთ-ერთ სასტუმრო ოთახს. სამუშაოების შესასრულებლად 2008 წლის 22 მაისს უნივერსიტეტმა გახეთ „24 საათში“ გამოაცხადა ტენდერი. სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 2008 წლის 29 დეკემბრისათვის, რომლის შედეგად სრულიად მოპირკეთდა და გარემონტდა სასტუმრო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლო იყო სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში, უნივერსიტეტს, როგორც არაუფლებამოსილ კეთილსინდისიერ მფლობელს წარმოეშვება უფლება მოსთხოვოს მოსარჩელეს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება, რაც გასაჩივრებული განჩინებით განსაზღვრულ ქონებაზე გაღებულ იქნა ზემოაღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას და რომლის შედეგადაც უნივერსიტეტი უფლებამოსილი გახდა უარი ეთქვა განჩინებით განსაზღვრული ქონების დაბრუნებაზე, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 9 ივლისის განჩინებით სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის განჩინება და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიმართული უნდა იყოს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან მისი შეუძლებლობის თავიდან აცილებისკენ. აღნიშნულ ღონისძიებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს, რომ მისი მიუღებლობა გამოიწვევს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელებას ან შეუძლებელს გახდის მას. წარმოდგენილი საჩივარი კი არ შეიცავდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2010 წლის 28 აპრილის განჩინებაში მოყვანილი მოტივების გამაბათილებელ არგუმენ-

ტებს. საჩივარში მითითებული იყო იმ გარემოებებზე, თუ რა დანახარჯი იქნა გაწეული მხარის მიერ მისთვის უზრუნველყოფის ხელშეკრულებით გადაცემულ ნივთზე და რომ სასარჩელო მოთხოვნის საბოლოოდ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მესაკუთრის მიმართ საჩივრის ავტორს შესაძლოა წარმოეშვას მოთხოვნის უფლება.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, აღნიშნული გარემოებებით არა თუ ვერ ბათილდებოდა სარჩელზე უზრუნველყოფის შესახებ ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა, არამედ საერთოდ არ არის ახსნილი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გამოყენებული ღონისძიების გაუქმების საჭიროება. ამდენად, საჩივარში მოყვანილი არ იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გაუქმების მოტივები და არ არსებობდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 9 ივლისისა და 2010 წლის 28 აპრილის განჩინებები, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 აპრილის განჩინება, რომლითაც სასამართლო დავის საბოლოო გადაწყვეტამდე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს“ აეკრძალა ყოველგვარი სამართლებრივი მნიშვნელობის ქმედების განხორციელება გ. ხ-ძის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე (სარეგისტრაციო ზონა-ადიგენი, კოდი-61; სექტორი-..., კოდი-11; კვარტლის №06, ნაკვეთის №001, ფართობი-92,9 კვ.მ). მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, კერძოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 21 აპრილის ბრძანების იმ ნაწილის ბათილად ცნობა, რომლითაც სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს“ გადაეცა გ. ხ-ძის საკუთრებაში არსებული ქონება (სარეგისტრაციო ზონა – ადიგენი, კოდი-61; სექტორი – ..., კოდი-11; კვარტლის №06,

ნაკვეთის №001, ფართობი-92,9 კვ.მ). ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის საგანს, საჩივრის მოთხოვნიდან გამომდინარე, წარმოადგენს მოპასუხეებისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის“ გ. ხ-ძის კუთვნილი ბინის (სარეგისტრაციო ზონა – ადიგენი, კოდი-61; სექტორი – ..., კოდი-11; კვარტლის №06, ნაკვეთის №001, ფართობი-92,9 კვ.მ) ყოველგვარი გამოყენება, ანუ აღნიშნული მოთხოვნა ემყარება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. იმავე კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. საჩივრის ავტორი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ უნივერსიტეტი წარმოადგენდა უძრავი ქონების კეთილსინდისიერ მფლობელს, უზუფერუქტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების მიღების შემდეგ შეუდგა მის რეაბილიტაციას, შეკეთება – განახლებას. შედგა შენობა-ნაგებობისა და ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, მათ შორის, გასაჩივრებული განჩინებით განსაზღვრული ქონების, რომელიც წარმოადგენდა და წარმოადგენს დაბა აბასთუმანში, ... ე.წ. პატარა სასტუმროს შემადგენელ ნაწილს, ერთ-ერთ სასტუმრო ოთახს. აღ-

ნიშნულიდან გამომდინარე, თუ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება შევიდოდა კანონიერ ძალაში, უნივერსიტეტს, როგორც არაუფლებამოსილ კეთილსინდისიერ მფლობელს წარმოეშვებოდა უფლება მოეთხოვა შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება, რაც გასაჩივრებული განჩინებით განსაზღვრულ ქონებაზე გაღებულ იქნა ზემოაღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას და რომლის შედეგადაც უნივერსიტეტი უფლებამოსილი გახდა უარი ეთქვა განჩინებით განსაზღვრული ქონების დაბრუნებაზე, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებაა, მოპასუხისათვის რაიმე მოქმედების განხორციელების შეზღუდვის გზით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, შესაბამისად, მისი გამოყენება მიმართული უნდა იყოს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან მისი შეუძლებლობის თავიდან აცილებისკენ. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ღონისძიებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, თუ მხარე წარდგინილი მტკიცებულებებითა და ფაქტებით დაამტკიცებს, რომ მისი მიუღებლობა გამოიწვევს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელებას ან შეუძლებელს გახდის მას. თავად ნორმის ზოგად დანაწესზე მითითება, რომ შემდგომში შეუძლებელი გახდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება არ ქმნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. განმცხადებელი ვალდებულია დაასაბუთოს ის მოსალოდნელი რეალური საშიშროება, რაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობებში გამორიცხავს გადაწყვეტილების აღსრულებას, რაც სააპელაციო სასამართლოსათვის წარდგენილი საჩივრით ვერ იქნა უზრუნველყოფილი. საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია რაიმე საფუძვლიანი არგუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა გასაჩივრებული განჩინების საპროცესო ნორმების დარღვევით მიღება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ხ-ძის განცხადების განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა და გამოიტანა დასაბუთებული განჩინება, ვინაიდან სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საჩივარი (სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების თაობაზე) იყო დაუსაბუთებელი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ შეიცავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2010 წლის 28 აპრილის განჩინებაში მოყვანილი მტკიცებულებების უარყოფელ ფაქტებს. საჩივრის ავტორის მითითება, რომ დანახარჯი იქნა გაწეული მხარის მიერ მისთვის უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემულ ნივთზე და სასარჩელო მოთხოვნის საბოლოოდ დაკმაყოფილების შემთვევაში, მესაკუთრის – გ. ხ-ძის მიმართ მოპასუხეს შესაძლებელია წარმოეშვას მოთხოვნის უფლება, საკასაციო სასამართლოს დასკვნით არ აქარწყლებს სარჩელზე უზრუნველყოფის შესახებ ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობას. ამდენად, საჩივარში არ არის მითითებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გაუქმების საფუძვლიანი მოტივები და შესაბამისად არ არსებობს გასაჩივრებული განჩინებების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საჩივარი არის დაუსაბუთებელი, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივლისისა და 2010 წლის 28 აპრილის განჩინებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივლისისა და 2010 წლის 28 აპრილის განჩინებები;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განჩინების განხილვის ნუსი

განჩინება

№ბს-765-759(უს-11)

21 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნეკუპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა შ. ჯ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინებაზე.

**საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის
შედეგად**

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ნ. რ-ამ სარჩელი აღძრა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე კრწანისი-მთაწმინდის გამგეობისა და მესამე პირის – გ. ნ-შვილის მიმართ და მოითხოვა კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის 1987 წლის 18 თებერვლის №102 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ქალაქ თბილისში, ... ქუჩა №10-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის დაბრუნება.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. რ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის მოტივით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. რ-ამ.

ნ. რ-ამ განცხადებით მიმართა საოლქო სასამართლოს და მოითხოვა სადავო სახლზე, მდებარე ... ქუჩა №10-ში, ყადაღის დადება საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის განჩინებით, ნ. რ-ას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა; ყადაღა დაედო ქალაქ თბილისში, ... ქუჩა №10-ში მდებარე სახლის მეორე სართულის ერთ ოთახს (16კვ.მ).

საოლქო სასამართლოში საქმის განხილვისას, 2004 წლის 15

სექტემბრის სასამართლო სხდომაზე, ნ. რ-ამ გაზარდა დავის საგანი და საბოლოოდ მოითხოვა ქ. თბილისის კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის 1987 წლის 18 თებერვლის №102 გადაწყვეტილებისა და 1995 წლის 31 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების აღდგენა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 სექტემბრის საოქმო განჩინებით სასამართლომ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა დავის საგნის გაზრდის თაობაზე და პრივატიზაციის ხელშეკრულების მონაწილენი, გამგეობა და გ. ნ-შვილი, საქმეში ჩააბა მოპასუხეებად, ხოლო ხელშეკრულების დამმონებელი ნოტარიუსი მესამე პირად.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. რ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნ. რ-ას სარჩელი.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. რ-ამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 28 აპრილის განჩინებით ნ. რ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება.

ნ. ნ-შვილმა, 2010 წლის 17 დეკემბერს, განცხადებით მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ქ. თბილისში, ... ქუჩა №10-ში მდებარე სახლის მეორე სართულის ერთ ოთახზე (16.კვ.მ) ყადაღის მოხსნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინებით ნ. ნ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ქ. თბილისში, ... ქუჩა №10-ში მდებარე სახლის მეორე სართულის ერთ ოთახზე (16.კვ.მ) დადებული ყადაღა ჩაითვალა მოხსნი-

ლად, შემდეგი მოტივაციით:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლით, რომლის თანახმად, „სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით“. ამდენად, მითითებული მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გაუქმდეს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კი კონკრეტულ შემთხვევაში თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. რ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის მოტივით. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. რ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნ. რ-ას სარჩელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 28 აპრილის განჩინებით ნ. რ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება. ამდენად, კანონიერ ძალაშია შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. რ-ას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2011 წლის 4 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მომართა შ. ჯ-მა და მიუთითა, რომ ნ. რ-ა გარდაიცვალა 2006 წლის 12 აგვისტოს და მისი უფლებამოსილება ეკუთვნის მას, როგორც კანონიერ მემკვიდრეს და ითხოვს ნ. ნ-შვილის მიერ მითვისებულ ფართზე ყადაღის აღდგენასა და აღნიშნული ფართის მესაკუთრედ ცნობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის განჩინებით შ. ჯ-ის განცხადება დატოვებულ იქნა ხარვეზზე იმ მოტივით, რომ იგი არ აკმაყოფილებდა სსკ-ის 197¹ მუხლის მოთხოვნას და მას ხარვეზის შევსების მიზნით უნდა წარმოედგინა საჩივარი, სადაც აღნიშნული იქნებოდა გასაჩივრებული განჩინების ზუსტი დასახელება და მითითება თუ რაში მდგომარეობდა განჩინების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვდა საჩივრის შემომტანი პირი; ნ. რ-ას გარდაცვალებისა და მისი უფლებამონაცვლეობის (სამკვიდრო მონუმობის მიღების) დამადასტურებელი დოკუმენტი და ასევე სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზის შესავსებად, განესაზღვრა საპროცესო ვადა 7 დღე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინებით შ. ჯ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის განჩინებაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, იმ მოტივით, რომ საჩივრის ავტორის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შ. ჯ-ის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, რაც სსსკ-ის 393-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“, „ე“¹ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საქმის მასალებით დგინდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის

31 იანვრის განჩინებით ნ. ნ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აპრილის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ქ. თბილისში, ... ქუჩა №10-ში მდებარე სახლის მეორე სართულის ერთ ოთახს (16.კვ.მ) მოეხსნა ყადაღა.

2011 წლის 4 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მომართა შ. ჯ-მა და მიუთითა, რომ ნ. რ-ა გარდაიცვალა 2006 წლის 12 აგვისტოს, რომლის უფლებამოსილება ეკუთვნის მას, როგორც კანონიერ მემკვიდრეს და მოითხოვა ნ. ნ-შვილის მიერ მითვისებულ ფართზე ყადაღის აღდგენა და აღნიშნული ფართის მესაკუთრედ ცნობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინებით შ. ჯ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის განჩინებაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი და საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, იმ მოტივით, რომ საჩივრის ავტორის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 197.1 მუხლის შესაბამისად, საჩივრის უზრუნველყოფის გაუქმების განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა, ხოლო ამავე კოდექსის 197¹ მუხლი განსაზღვრავს საჩივრის განხილვის წესს და ადგენს მის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლო საჩივარს წარმოებაში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების თანახმად, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს იგი აკმაყოფილებს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარს საქმის მასალებთან ერთად სასამართლოს განჩინების საფუძველზე გადაუგზავნის ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

ამდენად, მითითებული ნორმის თანახმად, საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ის სასამართლო, რომელმაც განიხილა განცხადება საჩივრის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ხოლო ზემდგომი ინსტანციის სასამართლო უკვე საჩივრის დაუშვებლად და დაუსაბუთებლად ანუ არდაკმაყოფილების პირობებშია უფლებამო-

სილი იმსჯელოს მისი მოტივების საფუძვლიანობაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში კი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინებით შ. ჯ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის განჩინებაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი, იმ მოტივით, რომ საჩივრის ავტორის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო არა საჩივრის დასაბუთებულობის, არამედ, სსკ-ის 197¹.1 მუხლით განსაზღვრული საჩივრის წარმოებაში მიღების პროცესუალური წინაპირობების შემონღმება, ვინაიდან, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს საჩივრის წარმოებაში მიღებას შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, კონკრეტულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოსათვის დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს შ. ჯ-ის საჩივარი სსკ-ის 368.5 შესაბამისად, უნდა დაეტოვებინა განუხილველად დაუშვებლობის მოტივით, ვინაიდან, შ. ჯ-ის მიერ არ იქნა აღმოფხვრილი სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის განჩინებით დადგენილი ხარვეზი, რაც წარმოადგენს საჩივრის განუხილველად დატოვების და არა სსსკ-ის 197¹.2 შესაბამისად, დაუშვებლად ცნობისა და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადაგზავნის საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული საპროცესო კანონი, ვინაიდან საჩივრის დაუშვებლობის მოტივით განუხილველად დატოვებისა და საჩივრის საფუძვლიანობის შემონღმების შედეგად დაუსაბუთებლად და დაუშვებლად ცნობის ანუ დაუკმაყოფილებლობის შემთხვევებში კანონი ითვალისწინებს სხვადასხვა პროცესუალურ შედეგებს, კერძოდ, განჩინება საჩივრის დაუშვებლობის მოტივით განუხილველად რჩება იმ დროს, როცა იგი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 197¹ მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის ფორმალურ წინაპირობებს და განჩინება დაუშვებლობის მოტივით განუხილველად დატოვების თაობაზე საჩივრდება კერძო საჩივრით, ხოლო სსკ-ის 197¹.2 მუხლის შესაბამისად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო უკვე საჩივრის საფუძვლიანობის შემონღმებისას მისი დაუსაბუთებლად

და დაუშვებლად ცნობის ანუ დაუკმაყოფილებლობის პირობებშია უფლებამოსილი იმსჯელოს მის საფუძვლიანობაზე, ამასთან შეამონმოს საჩივრის თაობაზე ქვემდგომი სასამართლოს განჩინების კანონიერება მხოლოდ მის მიერ საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და მისი ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ განჩინების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით, არა აქვს მინიჭებული კომპეტენცია იმსჯელოს წარმოდგენილ საჩივარზე და აღნიშნულზე გავლენას ვერ მოახდენს ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ თავისი განჩინებით არასწორად განმარტა მისი გასაჩივრების წესი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შ. ჯ-ის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინება და საქმე საჩივრის დასაშვებობის შემონმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ. ჯ-ის საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინება და საქმე შ. ჯ-ის საჩივრის დასაშვებობის შემონმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების პირობები

ბანრინება

№ბს-1295-1280(კ-11)

9 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მ. ა-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მონინალმდევე მხარი-სათვის მ. ა-ისა და მისი ოჯახის წევრების სადავო ბინიდან (ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში მდებარე ბინიდან) გამოსახლების აკრძალვის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 16 დეკემბერს მ. ა-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ.

მოსარჩელემ სარჩელის არაერთგზის დაზუსტების შემდეგ საბოლოოდ თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2009 წლის 18 ნოემბრის №01/01-23/09-2189 განკარგულების, 2009 წლის 8 ოქტომბრის №01/01-23/09-1831 განკარგულების, პირველი და განმეორებითი იძულებითი საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ ოქმების, თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ 2009 წლის 18 ნოემბერს გაცემული №01/09-01/23-გ-29683 მიწერილობისა და ლ. ს-ის ექსპერტიზის ბიუროს მიერ შედგენილი 2009 წლის 20 ივლისის №1620/19 ექსპერტიზის დასკვნის ბათილად ცნობა, ასევე მის სახელზე რიცხული, ...ის ქ. №5-ში მდებარე უძრავი ქონების შეფასებაზე გამოცემული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის კანონიერების შესამოწმებლად საინჟინრო-ტექნიკური სასაქონლო ექსპერტიზის დანიშვნა მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ გაზარდა მოპასუხეთა წრე და მოპასუხეებად დამატებით ვ. მ-ე, ნ. ბ-ი და ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურო მიუთითა.

2009 წლის 21 დეკემბერს მ. ა-მა განცხადებით მიმართა თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, ვ. მ-ის, ნ. ბ-ისა და სხვათა სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში მდებარე ბინაზე ყადაღის დადება და სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლო აღმასრულებლისათვის სადავო ბინიდან მ. ა-ის გამოსახლების აკრძალვა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 დეკემბრის განჩინებით მ. ა-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2010 წლის 4 იანვარს მ. ა-მა საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საჩივრის ავტორმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 დეკემბრის განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მისი განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 იანვრის განჩინებით მ. ა-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებით მ. ა-ის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 დეკემბრის და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 იანვრის განჩინებები და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მარტის განჩინებით მ. ა-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ყადაღა დაედო მოპასუხეების – ვ. მ-ისა და ნ. ბ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ნივთს (1/3 ნაწილს) მდებარე ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში (ზონა თბილისი, სექტორი ..., კვარტალი 05); მ. ა-ს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით – მოპასუხეთათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვის გამოყენებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 აპრილის საოქმო განჩინებით სა-

ქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩა-
ებნენ ვ. მე, ნ. ბ-ი, ნ. კ-ა, თ. გ-ი, ვ. ბ-ი, მ. ფ-ე, ს. ჯ-ა, ლ. კ-უ, თ.
გ-ე და ხ. დ-ე, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
მე-16 მუხლის პირველი ნაწილით – სსიპ შემოსავლების სამსა-
ხურის თბილისის რეგიონული ცენტრი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2010 წლის 29 აპრილის განჩინებით მ. ა-ის სარ-
ჩელის მოთხოვნა – თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმას-
რულებლის 2009 წლის 18 ნოემბრის №01/09-01/23-გ-29683 მი-
წერილობისა და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო
ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 20 ივლისის №1620/
19 დასკვნის ბათილად ცნობის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნო-
ბილი და ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით მ. ა-
ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა მ. ა-ის სარჩელთან
დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მარტის განჩინებით გა-
მოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ვ. მ-
ისა და ნ. ბ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ნივთზე (1/3 ნაწილზე)
მდებარე ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში, (ზონა თბილისი, სექტორი
..., კვარტალი 05), ყადაღის დადების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება სააპე-
ლაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული
გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარ-
ჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის საოქმო განჩინებით
სსიპ შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენ-
ტრის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ფი-
ნანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის განჩინებით მ. ა-ის სა-
აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის განჩინება საკასაციო
წესით გაასაჩივრა მ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინე-

ბის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ა-ის საკასაციო საჩივარი.

2012 წლის 6 იანვარს კასატორმა – მ. ა-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. შუამდგომლობის ავტორმა – მოწინააღმდეგე მხარისათვის მ. ა-ისა და მისი ოჯახის წევრების სადავო ბინიდან გამოსახლების აკრძალვა მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა მ. ა-ის შუამდგომლობა და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მ. ა-ის მოთხოვნას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოწინააღმდეგე მხარისათვის (თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის) მ. ა-ისა და მისი ოჯახის წევრების სადავო ბინიდან (ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში მდებარე ბინიდან) გამოსახლების აკრძალვა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა თავად არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს და ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ორ ღონისძიებას, როგორც არის გასაჩივრებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი) და დროებითი განჩინების მიღება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მ. ა-ის მოთხოვნა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოწინააღმდეგე მხარი-

სათვის მისი და მისი ოჯახის წევრების სადავო ბინიდან (ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში მდებარე ბინიდან) გამოსახლების აკრძალვის თაობაზე, თავისი არსით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრულ უზრუნველყოფის ღონისძიებას მიეკუთვნება, ვინაიდან, უფლებრივი დაცვის დროებითი საშუალების მიზანი – დავის საგანზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი (დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ) ითვალისწინებს მხარის უფლებას სარჩელის აღძვრამდე, ან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რათა დავის საგანთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ სარჩელზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაუშვებელია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ პირს აღძრული აქვს სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით განსაზღვრული შეცვლითი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გათვალისწინებულია ამავე კოდექსის 29-ე მუხლით, რომელიც გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას უკავშირდება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი არ იძლევა დროებითი განჩინების მიღე-

ბის შესაძლებლობას საკასაციო ინსტანციის სასამართლოში და იმპერატიულად განსაზღვრავს აღნიშნული განჩინების მიღებაზე უფლებამოსილ სასამართლოთა ჩამონათვალს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დროებითი განჩინების მიღების უფლება ენიჭება საქმის განმხილველ სასამართლოს, მხოლოდ პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში დავის განხილვის დროს, რაც გამორიცხავს საკასაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული ნორმის გამოყენების შესაძლებლობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მ. ა-ი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითხოვს არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მხარეს განუმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს მისი შუამდგომლობის არც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე, განცხადება უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამდენად, აღნიშნული მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანს წარმოადგენს იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შედეგად შეიძლება შეიქმნას საქმეზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების თვალსაზრისით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, მხარემ უნდა წარმოადგინოს იმ ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება განიცადოს მონინა-

აღმდეგე მხარემ, ასევე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით საქმეში ჩაბმულმა მესამე პირებმა, შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მ. ა-ის მიერ არ წარმოდგენილა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული უზრუნველყოფის გარანტია, რაც ასევე გამორიცხავს მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ა-ის შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოწინააღმდეგე მხარისათვის (თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის) მ. ა-ისა და მისი ოჯახის წევრების სადავო ბინიდან (ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში მდებარე ბინიდან) გამოსახლების აკრძალვის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 31-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ა-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოწინააღმდეგე მხარისათვის მ. ა-ისა და მისი ოჯახის წევრების სადავო ბინიდან (ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში მდებარე ბინიდან) გამოსახლების აკრძალვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების პირობები

ბანჩინება

№ბს-1439-1421(კ-კს-უს-11) 28 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე
პ. სილაგაძე

საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამონმა მ. მ-ის, ნ. მ-ის, გ. შ-ის, რ. მ-ის, თ. ტ-ის, ლ. ც-ის, ნ. ც-ის, ნ. დ-ის, ს. ლ-ის, გ. ხ-ის და თ. მ-ის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისისა და 2011 წლის 2 აგვისტოს განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-მა, ნ. მ-მა, გ. შ-მა, რ. მ-მა, თ. ტ-მ, ტ. ქ-მ, თ. ა-მ, გ. ბ-მ, ლ. ც-მ, ნ. ც-მ, მ. გ-მ, ნ. ძ-მა, ს. ლ-მა, ა. გ-მ, ლ. ც-მ და გ. ხ-მა 2009 წლის 22 ივლისს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის- აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ, რომლითაც აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №7 ოქმის, აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2008 წლის 14 იანვარს გაცემული №720ა საკუთრების დამადასტურებელი მონუმობის, 2007 წლის 14 დეკემბრის აუქციონის მიმდინარეობის შესახებ ოქმის, ...ს №74-ში განთავსებული №1 სამუსიკო სკოლის სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის საფუძვლისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის, აუქციონის გამოცხადების ბრძანებისა და 2007 წლის 14 დეკემბრის აუქციონის ოქმის დამტკიცების ბრძანების, როგორც საპრივატიზაციო დოკუმენტაციის შემადგენელი საბუთის ბათილად ცნობა მოითხოვეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 სექტემბრის განჩინებით მ. მ-ის, ნ. მ-ის, გ. შ-ის და სხვების (სულ 16 მოსარჩელის) სარჩელის გამო აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ აღძრულ საქმეში, საქართველოს ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაება ნ. ბ-ი, თ. მ-ი და გ. გ-ე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ის, ნ. მ-ის, გ. შ-ის, რ. მ-ის, თ. ტ-ის, ტ. ქ-ის, თ. ა-ის, გ. ბ-ის, ლ. ც-ის, ნ. ც-ის, მ. გ-ის, ნ. ძ-ის, ს. ლ-ის, ა. გ-ის, ლ. ც-ისა და გ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ: ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო 2007 წლის 14 დეკემბრის №7 ოქმი, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2008 წლის 14 იანვრის №720ა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ნ. ბ-ისათვის ...ს №74-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, 2007 წლის 14 დეკემბრის აუქციონის შესახებ ოქმი, ...ს №74-ში განთავსებული №1 სამუსიკო სკოლის სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის საფუძველი აუქციონის გამოცხადების ბრძანება და 2007 წლის 14 დეკემბრის აუქციონის ოქმის დამტკიცების ბრძანება ... №74-სა და №76-ს შორის არსებული გადასასვლელი გზის გასხვისებისა და ნ. ძ-ის საკუთრებაში არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გასხვისების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. მ-მა, ნ. მ-მა, გ. შ-მა, რ. მ-მა, თ. ტ-მ, ლ. ც-მ, ნ. ც-მ, ნ. დ-იმ, ს. ლ-მა, გ. ხ-მა და თ. მ-მა, რომლებმაც სარჩელზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ასევე გ. გ-მ და ნ. ბ-მა (მესამე პირები), რომლებმაც სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივლისის საოქმო განჩინებით გარდაცვლილი ნ. ბ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა ლ. ბ-ი. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს მ. მ-მა, ნ. მ-მა და სხვებმა (სულ 11-მა პირმა).

2011 წლის 7 ივლისს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გამართულ სასამართლოს

მთავარ სხდომაზე მ. მ-მა, ნ. მ-მა და სხვებმა (სულ 11 პირი) იშუამდგომლეს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერის მოქმედება.

განმცხადებლებმა განმარტეს, რომ მესამე პირის – ნ. ბ-ის მეუღლემ ლ. ბ-მა მათ დაუმალა ნ. ბ-ის გარდაცვალების ფაქტი, 2011 წლის 13 მაისს მან ჩუმად მიიღო სამკვიდრო ქონება და რეგისტრაციაში გატარდა სადავო ქონების მესაკუთრედ. ყოველივე აღნიშნული კი განმცხადებლების მოსაზრებით ეჭვს ბადებს, რომ ლ. ბ-მა შესაძლოა გაასხვისოს სადავო ქონება, რის გამოც მათ მოითხოვეს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეჩერდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერის მოქმედება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 7 ივლისის განჩინებით მ. მ-ს, ნ. მ-ს და სხვებს (სულ 11 პირი) სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაში არსებული ხარვეზის შესავსებად განესაზღვრათ 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადა. აღნიშნულის შემდგომ 2011 წლის 14 ივლისს, განმცხადებლებმა ხარვეზის შევსების მიზნით დაზუსტებული განცხადებით მიმართეს სასამართლოს, სადაც მიუთითეს, რომ მონინააღმდეგე მხარე 8 თვის განმავლობაში მალავდა ნ. ბ-ის გარდაცვალების ფაქტს, ამასთან სადავო ქონება 2011 წლის 20 მაისს სამემკვიდრეო მონმობის საფუძველზე უკვე გადაფორმებული ჰქონდა ნ. ბ-ის მეუღლეს ლ. ბ-ს. ყოველივე აღნიშნული კი ბადებს ეჭვს, რომ შესაძლოა ლ. ბ-მა ჩუმად და სწრაფად გაყიდოს სადავო ქონება საქმის განხილვის დამთავრებამდე, რაც შემდგომში გააძნელებს გადაწყვეტილების აღსრულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლებმა მოითხოვეს ლ. ბ-ის სახელზე 2011 წლის 20 მაისს საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის მოქმედების შეჩერება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის განჩინებით მ. მ-ის, ნ. მ-ის და სხვათა (სულ 11 პირი) განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი თავის მოთხოვნას აგებს მხოლოდ საკუთარ ვარაუდზე, რაც არ არის გამყარებული რაიმე ობიექტური გარემოებებით. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელე მხარეს დროულად არ ეცნობა ნ. ბ-ის გარდაცვალების შესახებ არ ასაბუთებს მათ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მისი უფლება-

მონაცვლე აპირებს ჩუმად და სწრაფად გაყიდოს სადავო ქონება, მით უფრო მაშინ, როდესაც სადავო ქონება წარმოადგენს პირობადებულ საკუთრებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის განჩინებაზე, იმავე სასამართლოში საჩივარი წარადგინეს მ. მ-მა, ნ. მ-მა გ. შ-მა, რ. მ-მა, თ. ტ-მ, ლ. ც-მ, ნ. ც-მ, ნ. დ-იმ, ს. ლ-მა, გ. ხ-მა და თ. მ-მა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება.

საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ გასაჩივრებული განჩინება ფაქტობრივი გარემოებების თვალსაზრისით უსაფუძვლოა, ვინაიდან ლ. ბ-ს ხელთ აქვს სამკვიდრო მოწმობა, რომლის საფუძველზეც გატარებული იქნა საჯარო რეესტრში მესაკუთრედ, მას აქვს რეალური საშუალება ნებისმიერ დროს გაასხვისოს მის სახელზე რიცხული სადავო ქონება, რაც გაართულებს და შეუძლებელს გახდის აღნიშნულ საქმეზე მომავალში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 2 აგვისტოს განჩინებით მ. მ-ის, ნ. მ-ის და სხვათა (სულ 11 პირი) საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის განჩინება. აღნიშნული განჩინება, საქმის მასალებთან ერთად, გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით მ. მ-ის, ნ. მ-ის, გ. შ-ის, რ. მ-ის, თ. ტ-ის, ლ. ც-ის, ნ. ც-ის, ნ. დ-ის, ს. ლ-ის, გ. ხ-ის და თ. მ-ის საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში და დადგინდა საქმის განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ის, ნ. მ-ის, გ. შ-ის, რ. მ-ის, თ. ტ-ის, ლ. ც-ის, ნ. ც-ის, ნ. დ-ის, ს. ლ-ის, გ. ხ-ის და თ. მ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით

სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-
წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპრო-
ცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე
მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია
მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ
განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარე-
მოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა
მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვე-
ტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნ-
ველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩე-
ლეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთე-
ბული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებ-
ლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების
აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველ-
ყოფის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში მ. მ-ის, ნ. მ-ის, გ. შ-ის, რ. მ-ის, თ.
ტ-ის, ლ. ც-ის, ნ. ც-ის, ნ. დ-ის, ს. ლ-ის, გ. ხ-ის და თ. მ-ის მიერ
აღძრულ სარჩელზე დავის საგანია აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკო-
ნომიკის სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის
პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადას-
ტურებელი №7 ოქმის, აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროს მიერ 2008 წლის 14 იანვარს გაცემული №720ა სა-
კუთრების დამადასტურებელი მონაშობის, 2007 წლის 14 დეკემ-
ბრის აუქციონის მიმდინარეობის შესახებ ოქმის, ...ს №74-ში გან-
თავსებული №1 სამუსიკო სკოლის სახელმწიფო საკუთრებაში
რეგისტრაციის საფუძვლისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის,
აუქციონის გამოცხადების ბრძანებისა და 2007 წლის 14 დეკემ-
ბრის აუქციონის ოქმის დამტკიცების ბრძანების, როგორც საპ-
რივატიზაციო დოკუმენტაციის შემადგენელი საბუთის ბათი-
ლად ცნობა. ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის საგანს, საჩივ-
რის მოთხოვნიდან გამომდინარე, წარმოადგენს საქართველოს
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად,
ლ. ბ-ის სახელზე 2011 წლის 20 მაისს საჯარო რეესტრში გან-
ხორციელებული ჩანაწერის მოქმედების შეჩერება. ამასთან,
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას მხარე
ითხოვს იმ საფუძვლით, რომ ლ. ბ-მა შესაძლოა გაასხვისოს სა-
დავო ქონება, რაც შემდგომში გააძნელებს გადაწყვეტილების
აღსრულებას.

საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ გასაჩივრებული გან-
ჩინება ფაქტობრივი გარემოებების თვალსაზრისით უსაფუძ-

ვლოა, ვინაიდან არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების რეალური, სამართლებრივი საფუძველი, – რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ სწორედ ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით არ დაკმაყოფილდა მ. მ-ის, ნ. მ-ის და სხვათა (სულ 11 პირი) განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. ამასთან საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა თავისი არსით წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების ისეთ სახეს, რომლის გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა. შესაბამისად, მისი გამოყენება მიმართული უნდა იყოს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების და/ან მისი შეუძლებლობის თავიდან აცილებისკენ, გარდა აღნიშნულისა მხარის მიერ უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი ნებისმიერი განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში შეუძლებელი გახდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, უპირობოდ არ წარმოადგენს განცხადების დაკმაყოფილების საფუძველს, ვინაიდან მხარე ასევე ვალდებულია მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებითა და ფაქტებით დაამტკიცოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გამოიწვევს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელებას და/ან შეუძლებელს გახდის მას. აღნიშნული კი ვერც სააპელაციო სასამართლოსათვის წარდგენილი განცხადებითა და ვერც საჩივრით ვერ იქნა უზრუნველყოფილი, რამეთუ საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია რაიმე საფუძვლიანი არგუმენტი, რომლითაც დადასტურებოდა გასაჩივრებული განჩინების საპროცესო ნორმების დარღვევით მიღება. ხოლო მარტოოდენ იმის მითითება, რომ ლ. ბ-ს ხელთ აქვს სამკვიდრო მონძობა, რომლის საფუძველზეც გატარებული იქნა საჯარო რეესტრში მესაკუთრედ, და რომ მას აქვს რეალური საშუალება ნებისმიერ დროს გაასხვისოს მის სახელზე რიცხული სადავო ქონება, არ წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებისა და საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მ. მ-ის, ნ. მ-ის, გ. შ-ის, რ. მ-ის, თ. ტ-ის, ლ. ც-ის, ნ. ც-ის, ნ. დ-ის, ს. ლ-ის, გ. ხ-ის და თ. მ-ის განცხადების განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა და მიიღო იურიდიულად სწორი განჩინება, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის

თაობაზე წარდგენილი განცხადება (ლ. ბ-ის სახელზე 2011 წლის 20 მაისს საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის მოქმედების შეჩერების თაობაზე) იყო უსაფუძვლო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. მ-ის, ნ. მ-ის, გ. შ-ის, რ. მ-ის, თ. ტ-ის, ლ. ც-ის, ნ. ც-ის, ნ. დ-ის, ს. ლ-ის, გ. ხ-ის და თ. მ-ის საჩივარი არის დაუსაბუთებელი, საჩივარში არ არის მითითებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გაუქმების საფუძვლიანი მოტივები, შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნული საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისისა და 2011 წლის 02 აგვისტოს განჩინებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. მ-ის, ნ. მ-ის, გ. შ-ის, რ. მ-ის, თ. ტ-ის, ლ. ც-ის, ნ. ც-ის, ნ. დ-ის, ს. ლ-ის, გ. ხ-ის და თ. მ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისისა და 2011 წლის 2 აგვისტოს განჩინებები;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განჩინების აღსრულება

განჩინება

№ბს-727-711(კ-12)

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 28 აპრილს ნ. ლ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, ხოლო მესამე პირად მიუთითა ნ. ფ-ი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მან საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს №11005930-004/002 გადაწყვეტილებაზე ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ნ. ო-ძის მოქმედებებზე, რომლითაც მას მიეცა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებაზე და მოითხოვა უკანონოდ მიჩნეულიყო იძულებითი აღსრულება №129748 სააღსრულებო საქმეზე, ასევე შეჩერებულიყო სააღსრულებო მოქმედებები შემდეგ გარემოებათა გამო: მას ნ. ფ-ის მიმართ სადავო თანხის გადახდა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაეკისრა. გასაჩივრებული სააღსრულებო ფურცლით მას გადასახდელად განესაზღვრა არაგონივრული თანხა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად დაუშვებელია პირს დაეკისროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს გადახდა. აღნიშნული საკითხი და ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი მოსარჩელემ რუსთავის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქმე იმყოფებოდა ნ. ჩ-ას წარმოებაში. მოსარჩელის მითითებით, სანამ სასამართლო წესით არ განისაზღვრება ის თანხა, რომელიც მან უნდა გადაუხადოს კრედიტორს, იძულებითი აღსრულების განხორციელება დაუშვებელია. მოსარჩელის მოსაზრებით, მისი უძრავი ქონების რეა-

ლიზაციის მიზნით აუქციონის დანიშვნა დაარღვევს მის კანონიერ უფლებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მოითხოვა უკანონოდ მიჩნეულიყო აღმასრულებელ ნ. ჩ-ას მოქმედებები იძულებითი აღსრულების წარმოებაზე საბოლოოდ გადასახდელი თანხის განსაზღვრამდე, ასევე, სააღსრულებო მოქმედებათა აკრძალვა, კერძოდ, იძულებითი აუქციონის ჩატარება №129748 საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2011 წლის 28 აპრილს ნ. ლ-მა სასარჩელო უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს და დავის გადაწყვეტამდე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროსათვის აუქციონის ჩატარების აკრძალვა მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინებით ნ. ლ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ დაკმაყოფილდა. 2011 წლის 28 იანვრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე შეჩერდა ქ. რუსთავში, ... გამზ. №...-ში ნ. ლ-ის სახელზე რიცხულ ბინაზე, ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროში დანყებული სააღსრულებო წარმოება №3-171-11 ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2011 წლის 30 მაისს ნ. ლ-მა სასარჩელო უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროსათვის აუქციონზე შეძენილ მის ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ განკარგულების გამოცემის აკრძალვა მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ აუქციონი ჩატარდა კანონის უხეში დარღვევით, კერძოდ, იმის მიუხედავად, რომ არსებობდა სასამართლოს განჩინება სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ. აღნიშნული განჩინება არ გაითვალისწინა აღმასრულებელმა, რითაც დაარღვია კონსტიტუცია და მოახდინა სასამართლო ინსტიტუტის იგნორირება.

მოსარჩელემ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე დააზუსტა სარჩელი და შეცვალა დავის საგანი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ №129748 სააღსრულებო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე 2011 წლის 13 მაისის განჩინებით ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს აეკრძალა სააღსრულებო წარმოების განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის მიერ 16 მაისს აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიაში დაფიქსირდა ეს განჩინება, აღმასრულებ-

ბელმა ნ. ჩ-ამ არ შეაჩერა სააღსრულებო წარმოება და მაინც ჩაატარა აუქციონი, რის შედეგადაც გაიყიდა მოსარჩელის სახელზე რიცხული ბინა, მდებარე ქ. რუსთავში, ... გამზ. №...-ში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ შეცვალა დავის საგანი და აუქციონის ბათილად ცნობა მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის განჩინებით ნ. ლ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ არ დაკმაყოფილდა. უარის თქმის საფუძველად მიეთითა ის გარემოება, რომ 2011 წლის 13 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა ნ. ლ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ და შეჩერდა 2011 წლის 28 იანვრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ქ. რუსთავში, ... გამზ. №...-ში ნ. ლ-ის სახელზე რიცხულ ბინაზე ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროში დაწყებული სააღსრულებო წარმოება. სასამართლომ განმარტა, რომ 2011 წლის 13 მაისის განჩინებით გამოყენებული ღონისძიება – აღსრულების შეჩერება, გულისხმობდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ყველა საპროცესო მოქმედებების შეჩერებას, რაც დაკავშირებულია სააღსრულებო საქმის წარმოებასთან, მათ შორის, მოიაზრება განკარგულების გამოცემა.

2011 წლის 8 ივნისს ნ. ლ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიმართ და მოპასუხისათვის ბინის ღირებულების ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა, რაც 39 000 ლარს შეადგენდა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ №129748 სააღსრულებო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე 2011 წლის 13 მაისის განჩინებით ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს აეკრძალა სააღსრულებო წარმოების განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ 16 მაისს მოსარჩელემ აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიაში დააფიქსირა სასამართლოს ეს განჩინება, აღმასრულებელმა ნ. ჩ-ამ არ შეაჩერა სააღსრულებო წარმოება და აუქციონი მაინც ჩატარდა, რის შედეგადაც გაიყიდა მისი ბინა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის განჩინებით საქმე №3-171-2011 ნ. ლ-ის სარჩელის გამო მოპასუხე ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიმართ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და საქმე №3-218-2011 ნ. ლ-ის სარჩელის გამო მოპასუხე ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ

გაერთიანდა ერთ წარმოებად.

2011 წლის 4 აგვისტოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. ლ-მა, რომლითაც დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოსარჩელემ მოპასუხე ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროსათვის მის სასარგებლოდ 39000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 28 იანვარს ნოტარიუსის თ. ე-ის მიერ გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი კრედიტორ ნ. ფ-ის სასარგებლოდ. აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება, რომ მოვალე ნ. ლ-ს კრედიტორის ნ. ფ-ის მიმართ გააჩნია შეუსრულებელი ფულადი ვალდებულება იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე. აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობამ კი შეადგინა 2600 აშშ დოლარი. იმავე დღეს აღნიშნული სააღსრულებო ფურცელი ნ. ფ-მა წარადგინა აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროში და მოთხოვნის აღსრულება მოითხოვა, რის საფუძველზეც დაიწყო სააღსრულებო წარმოება, №129748 სააღსრულებო საქმეზე. 2011 წლის 28 მარტს, აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიერ აღწერილ იქნა და ყადაღა დაედო ნ. ლ-ის საცხოვრებელ ბინას, მდებარე ქ. რუსთავში, ... გამზირი №... აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის დასკვნით ნ. ლ-ის საცხოვრებელი ბინა შეფასდა 39 000 ლარად.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2011 წლის 28 მარტს მოსარჩელე ნ. ლ-ს წერილით ეცნობა სააღსრულებო საქმის წარმოების დაწყების შესახებ და მიეცა წინადადება ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ. აღნიშნულის შემდგომ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2011 წლის 6 აპრილის განკარგულებით, აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, იძულებითი აუქციონის წესით გაყიდვაში მიექცა ნ. ლ-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 28 აპრილს ნ. ლ-მა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიმართა მოპასუხე – ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროსა და მესამე პირის ნ. ფ-ის მიმართ. ამავე სარჩელს თან ერთვის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენე-

ბის შესახებ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე ნ. ლ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და შეჩერდა 2011 წლის 28 იანვრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ქ. რუსთავში, ... გამზ. №...-ში ნ. ლ-ის სახელზე რიცხულ ბინაზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. 2011 წლის 16 მაისს მოსარჩელე ნ. ლ-მა აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროში წარადგინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინება. 2011 წლის 25 მაისს განმეორებითი აუქციონის საფუძველზე ნ. ლ-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების შემძენი გახდა ე. ჯ-ი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სააღსრულებო ბიურო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით და სააღსრულებო ბიუროს დებულებით. ამავდროულად კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის (დედნის) გარეშე. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიერ სააღსრულებო წარმოება დაიწყო ნ. ფ-ის მიერ წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ ნ. ლ-მა 2011 წლის 16 მაისს აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიაში შეიტანა 2011 წლის 13 მაისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა მოხდა სრული უკანონობა; კერძო აღმასრულებელმა ნ. ჩ-ამ არაფრად ჩააგდო სასამართლო აქტი და მაინც ჩაატარა აუქციონი, რის შედეგადაც გაიყიდა მისი ბინა. აღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიერ მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე იძულებითი აუქციონის დანიშვნა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისგან გათავისუფლება, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველით სააღსრულებო

ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი/აღსასრულებელი გადაწყვეტილება, რომლითაც არ მოხდა ან ნაწილობრივ მოხდა აღსრულება, უბრუნდება კრედიტორს: ა) კრედიტორის განცხადებით; ბ) თუ მოვალე არ ცხოვრობს კრედიტორის მიერ მითითებულ მისამართზე, ან თუ ქონება არ იმყოფება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოვალე იძებნება პოლიციის ორგანოების მეშვეობით; გ) თუ კრედიტორი, აღსრულების ეროვნული ბიუროს გაფრთხილების მიუხედავად, გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაშიც არ ასრულებს ამ კანონით დადგენილ უფლება-მოვალეობებს, რის გამოც შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების აღსრულება; დ) ამ კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ე) თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოებების ან/და სამართლებრივი საფუძვლის გამო. ამ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნების საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე; ვ) თუ ამ კანონის 25-ე მუხლის მე-4 და 4¹ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში კრედიტორი აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსებს წინასწარი საფასურის თანხას იმ ოდენობამდე, რომელიც დადგენილია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასების შედეგად, ან არ შეიტანს წინასწარი საფასურის თანხას, თუკი სააღსრულებო წარმოება დაიწყო კრედიტორის მიერ წინასწარი საფასურის გადახდის გარეშე.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სააღსრულებო საქმის წარმოებისას არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც კანონმდებლობა უშვებს იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ აუქციონის შეჩერების შესაძლებლობას, კერძოდ, ნ. ლ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ (2011 წლის 6 აპრილს) ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის სარჩელის უბრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ

განჩინება, არ წარმოადგენდა იძულებითი აუქციონის შეჩერების კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ ნ. ლ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე ქ. რუსთავეში, ... გამზ. №...) იძულებითი აუქციონის საფუძველზე ქონების რეალიზაციამ გამოიწვია ზიანის დადგომა, კერძოდ, ზიანი ბინის ღირებულების ოდენობით, რაც 39 000 ლარს შეადგენდა. აღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან ვერ გამოვლინდა ადმინისტრაციული ორგანოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მხრიდან ბრალეული ქმედებები, რომლებიც გამოიწვევდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის განჩინებით ნ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება აუქციონის შეჩერების შესახებ ქმნიდა სამართლებრივ წინამძღვრებს იმისთვის, რომ სააღსრულებო ბიუროს შეჩერებინა

საჯაროდ გამოცხადებული აუქციონი, ვინაიდან, სააღსრულებო წარმოებათა კანონის მე-5 მუხლის თანახმად აღმასრულებელმა ამ კანონის გარდა უნდა იხელმძღვანელოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციებისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქეებისათვის და ისინი უნდა აღსრულდეს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ აუქციონის შეჩერების შესახებ სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინებაზე სააღსრულებო ფურცელი გაცემული არ იყო და შესაბამისად, ის სააღსრულებო ბიუროში აღსრულების შეჩერების მიზნით წარდგენილი ვერ იქნებოდა. სააღსრულებო საქმის მასალებით და ადმინისტრაციული საქმის მასალებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სააღსრულებო ბიუროში აღსრულების შეჩერების მოთხოვნით წარდგენილ იქნა მხოლოდ 13 მაისის განჩინება; აღნიშნულიდან გამომდინარე სახეზე არ იყო სააღსრულებო ბიუროს კანონსაწინააღმდეგო ქმედება გამობატული აუქციონის გაგრძელებაში, ვინაიდან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის (დედნის) გერეშე. ამდენად, სააღსრულებო ბიურო არ იყო უფლებამოსილი სააღსრულებო ფურცლის გერეშე განეხორციელებინა 13 მაისის განჩინების აღსრულებისთვის საჭირო მოქმედებები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ მის მიერ სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი იყო სააღსრულებო ფურცელი, ვინაიდან, ადმინისტრაციული საქმის მასალებით არ დგინდება სასამართლოს მიერ 13 მაისის განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის ფაქტი; ასევე სააღსრულებო საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ბიუროში სააღსრულებო ფურცლის წარდგენის ფაქტს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამგვარი ფაქტის მტკიცებულებად ვერ იქნება მიჩნეული აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიის მიღების ბარათი, რომელზეც აპელირებს აპელანტი, ვინაიდან, ამავე ბარათში დაფიქსირებული ფურცლების რაოდენობა: ძირითადი 1 ფურცელი (წერილი) და მისი დანართი 3 ფურცელი ადას-

ტურებს წერილზე 13 მაისის განჩინების და არა სააღსრულებო ფურცლის წარდგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ შესაჩერებელი იყო აღსრულება, მაგრამ საქმეში არსებული მასალები არასწორად შეაფასა და საქმის ირგვლივ არასწორად იმსჯელა. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ დაარღვია ადმინისტრაციული პროცესით დადგენილი მტკიცებების ტვირთი, რომლის თანახმად, მტკიცებების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოს აწევს. კასატორმა განმარტა, რომ მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებით დასტურდება აღსრულების ეროვნულ ბიუროში სააღსრულებო ფურცლის წარდგენის ფაქტი და მის მიერ წარდგენილი მტკიცებულება (აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიის მიღების ბარათი) სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს.

გარდა აღნიშნულისა, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიის მიღების ბარათში მითითებული ფურცლების რაოდენობიდან გამომდინარე, არ დგინდება სააღსრულებო ფურცლის წარდგენის ფაქტი უსაფუძვლოა. კასატორის განმარტებით, ალბათობის მსჯელობაზე დაყრდნობით გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძვლიანობის შემოწმება ყოველად შეუძლებელია; გაუგებარია რატომ მაინცდამაინც სააღსრულებო ფურცელი არ იქნებოდა წარდგენილი; ხომ შესაძლებელია, რომ სააღსრულებო ფურცელი და განჩინება ყოფილიყო ერთად სამი ფურცელი.

კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საქმის მასალები იმყოფებოდა მოპასუხესთან, მას კი ჰქონდა შესაძლებლობა საქმის მასალები თავის სასარგებლოდ წარედგინა, რისი კონტროლის მექანიზმიც არ არსებობს; ამოტომ მის მიერ წარდგენილი მტკიცებულება უნდა შეფასდეს ობიექტურად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინებით ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე მიიღეს გადაწყვეტილება განსახილველ საქმეზე, რომ ვერ დაასაბუთეს ნ. ლ-ის მოთხოვნის უსაფუძვლობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2011 წლის 28 იანვარს ნოტარიუს თ. ე-ის მიერ გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი კრედიტორ ნ. ფ-ის სასარგებლოდ, რომლითაც დასტურდება, რომ მოვალე ნ. ლ-ს კრედიტორი ნ. ფ-ის მიმართ გააჩნია შეუსრულებელი ფულადი ვალდებულება იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მოცულობამაც შეადგინა 2600 აშშ დოლარი. აღნიშნული სააღსრულებო ფურცელი 2011 წლის 28 იანვარს კრედიტორმა წარადგინა აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროში და მოთხოვნის

აღსრულება მოითხოვა. 2011 წლის 28 მარტს აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ აღწერილ იქნა და ყადაღა დაედო ნ. ლ-ის საცხოვრებელ ბინას, მდებარე ქ. რუსთავში, ... გამზ. №.... 2011 წლის 1 აპრილს აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის მიერ ნ. ლ-ის სახელზე რიცხული საცხოვრებელი ბინა 39000 ლარად შეფასდა. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2011 წლის 6 აპრილის განკარგულებით, აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით დაინიშნა იძულებითი აუქციონი და იძულებითი აუქციონის წესით გაყიდვაში მიექცა მოვალე ნ. ლ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება. მოსარჩელე ნ. ლ-ის მიერ 2011 წლის 28 აპრილს რუსთავის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ სარჩელს თან ერთვოდა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. 2011 წლის 13 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა ნ. ლ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და შეჩერდა 2011 წლის 28 იანვრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ნ. ლ-ის სახელზე რიცხულ ბინაზე, მდებარე ქ. რუსთავში, ... გამზ. №... დაწყებული სააღსრულებო წარმოება №3-171-11 ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ნ. ლ-მა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინება აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროში 2011 წლის 16 მაისს წარადგინა. 2011 წლის 25 მაისის განმეორებით იძულებით აუქციონზე აღნიშნული ქონების შემძენი გახდა ე. ჯ-ი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი ადმინისტრაციული საქმის მასალებით ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დადგინდეს ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნიეს, რომ სააღსრულებო ბიუროში აღსრულების შეჩერების მოთხოვნით ნ. ლ-ის მიერ წარდგენილ იქნა მხოლოდ 2011 წლის 13 მაისის განჩინება. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აუქციონის შეჩერების შესახებ 2011 წლის 13 მაისის განჩინებაზე სააღსრულებო ფურცელი გაცემული არ არის და შესაბამისად ის სააღსრულებო ბიუროში აღსრულების შეჩერების მიზნით წარდგენილი ვერც იქნებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და მიუთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილ 2011 წლის 13 მაისის სააღსრულებო ფურცლის ასლზე, რომელიც ადასტურებს რუსთავის საქალაქო სასამარ-

თლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინებაზე აუქციონის შეჩერების შესახებ სააღსრულებო ფურცლის გაცემის ფაქტს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ არგუმენტს.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ სააღსრულებო საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება აღსრულების ეროვნულ ბიუროში სააღსრულებო ფურცლის წარდგენის შესახებ და მითითებას იმის შესახებ, რომ ამგვარი ფაქტის მტკიცებად ვერ იქნება მიჩნეული აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიის მიღების ბარათი, ვინაიდან, ამავე ბარათში დაფიქსირებული ფურცლების რაოდენობა: ძირითადი 1 (წერილი) ფურცელი და მისი დანართი 3 ფურცელი ადასტურებს წერილზე 2011 წლის 13 მაისის განჩინების და არა სააღსრულებო ფურცლის დართვას. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიის მიღების ბარათზე, სადაც მართალია ფურცლების რაოდენობა დაფიქსირებულია ძირითადში 1, დანართში 3, მაგრამ საყურადღებოა, რომ წარდგენილი დოკუმენტის შინაარსად მითითებულია – სააღსრულებო ფურცელი 33-171-11 საქმის წარმოების შეჩერების შესახებ (სააღსრულებო ბიუროში დაწყებულია აღსრულება). საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიუთითებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ შეიძლება ეფუძნებოდეს ვარაუდს და ყოველგვარი ვარაუდი არ უნდა განიმარტოს მხარის საზიანოდ, რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე უთხრეს უარი ნ. ლ-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომ სრულყოფილად არ შეუფასებიათ საქმეში არსებული უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებები, რომელთა შეფასებაც უნდა მოხდეს ურთიერთშეჯერების, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის საფუძველზე. სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. სასამართლომ მხოლოდ მოპასუხე მხარის მითითებებზე დაყრდნობით უარყო სარჩელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყო-

ველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. შესაბამისად, საკაცო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს უნდა მისცეს სრულყოფილი შეფასება და მხოლოდ საქმის გარემოებათა ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას შეფასება უნდა მისცეს აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიის მიღების ბარათს.

ამასთან, საკაცო სასამართლო მიუთითებს, რომ იმ პირობებშიც კი, გაზიარებული რომ ყოფილიყო ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებები, აღსანიშნავია, რომ მათ საერთოდ არ უმსჯელიათ ადმინისტრაციული ორგანოს – სააღსრულებო ბიუროს შესაძლებლობაზე, თავად მოეთხოვა ნ. ლისათვის სააღსრულებო ფურცლის წარდგენა, მაშინ, როდესაც სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინება.

საკაცო სასამართლო ვერ გაიზიარებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ ნ. ლ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად აპელირებას მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიერ უძრავ ქონებაზე იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ (2011 წლის 6 აპრილი) მოსარჩელე ნ. ლ-ის მიერ წარდგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინება არ წარმოადგენს იძულებითი აუქციონის შეჩერების კანონით გათვალისწინებულ საფუძველს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება აუქციონის შეჩერების შესახებ ქმნის სამართლებრივ წანამძღვრებს იმისათვის, რომ სააღსრულებო ბიურომ შეაჩეროს საჯაროდ გამოცხადებული აუქციონი, ვინაიდან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, აღმასრულებელმა ამ კანონის გარდა უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სწარმო-

სათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქეებისათვის და ისინი უნდა აღსრულდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, სააღსრულებო ბიურო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით და სააღსრულებო ბიუროს დებულებებით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისგან განთავისუფლება, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. ამასთან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააღსრულებო ფურცელი/აღსასრულებელი გადაწყვეტილება, რომლითაც არ მოხდა ან ნაწილობრივ მოხდა აღსრულება, უბრუნდება კრედიტორს: ა) კრედიტორის განცხადებით; ბ) თუ მოვალე არ ცხოვრობს კრედიტორის მიერ მითითებულ მისამართზე, ან თუ ქონება იქ არ იმყოფება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოვალე იძებნება პოლიციის ორგანოების მეშვეობით; გ) თუ კრედიტორი, აღსრულების ეროვნული ბიუროს გაფრთხილების მიუხედავად, გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაშიც არ ასრულებს ამ კანონით დადგენილ უფლება-მოვალეობებს, რის გამოც შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების აღსრულება; დ) ამ კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ე) თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოებების ან/და სამართლებრივი საფუძვლის გამო. ამ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნების საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე; ვ) თუ ამ კანონის 25-ე მუხლის მე-4 და 4¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში კრედიტორი აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ

განსაზღვრულ ვადაში არ შეავსებს წინასწარი საფასურის თანხას იმ ოდენობამდე, რომელიც დადგენილია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასების შედეგად, ან არ შეიტანს წინასწარი საფასურის თანხას, თუკი სააღსრულებო წარმოება დაიწყო კრედიტორის მიერ წინასწარი საფასურის გადახდის გარეშე.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით დადგენილია სპეციალური პროცედურა, სააღსრულებო წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სააღსრულებო მოქმედებები. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი ნაწილით კონკრეტულადაა განსაზღვრული ის შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია იძულებითი აუქციონის საფაროდ გამოხცადების დღიდან აუქციონის შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღიდან განთავისუფლება, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება. საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლის დებულება არ გამოირიცხავს იძულებითი აუქციონის საფაროდ გამოცხადების დღიდან აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტას, შეჩერებას, გადადებას სხვა საფუძვლით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ იმსჯელეს წარმოადგენდა თუ არა სწორედ ასეთ საფუძველს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვექონდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლითაც შეჩერდა 2011 წლის 28 იანვრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება №3-171-11 ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული ნორმების სხვაგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ინსტიტუტი აზრს კარგავს. სარჩელის უზრუნველყოფა ესაა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლებების თავიდან აცილება, მოპასუხის მიერ თავისი ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის უფლების შეზღუდვის გზით. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 195-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შე-
სახებ სასამართლოს განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ
ხორციელდება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონ-
სტიტუციის 82.2 მუხლის მიხედვით, სასამართლოს აქტები სა-
ვალდებულოა ყველა სახელწიფო ორგანოსა და პირისათვის
ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო გადაწყვეტილებას
კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გააჩნია სავალდებულო ძა-
ლა ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს მთელ ტერიტორია-
ზე შესასრულებლად, ნებისმიერი პირისათვის. საქართველოს
საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი ადგენს სასამართლო გა-
დაწყვეტილებათა სავალდებულობას საქართველოს მთელ ტე-
რიტორიაზე: კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყ-
ვეტილებები (განკარგულებები, დადგენილებები), აგრეთვე
თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამარ-
თლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალ-
დებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელ-
მწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესე-
ბულებებისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის
და ისინი უნდა შესრულდეს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლო ახორ-
ციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ
ფუნქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დად-
გენილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულის-
ხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. მოქმედი
კანონმდებლობით სასამართლო აქტების აღსრულების კომპე-
ტენცია არ არის სასამართლო სისტემის იურისდიქცია, იგი გა-
ნეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსი-
ლებას, ხოლო, თავის მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილების
აღუსრულებლობა უსაგნოს ხდის სააღსრულებო წარმოებას, რა-
საც შედეგად მოსდევს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით
მძიმე შედეგი – მართლმსაჯულების აღუსრულებლობა, მაშინ,
როცა ჯეროვანი და ეფექტური მართლმსაჯულება მიიღწევა არა
მხოლოდ სასამართლოს მიერ კონკრეტული კონფლიქტების გა-
დაწყვეტის, არამედ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო
აქტების დროული აღსრულების უზრუნველყოფით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო
მიიჩნევს, რომ ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილ-
დეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნის-
ის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბ-

რუნდეს იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლომ თავის მხრივ საქმის ხელახლა განხილვისას საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით საქმეზე უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ყადაღა, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის
საუზუკველი**

ბანჩინება

№ბს-13-13(2კ-უს-14)

27 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე**

საჩივრის ავტორების მოთხოვნა: უზრუნველყოფის ღონის-
ძიების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 13 მარტს მ. ჭემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მ. ჭემ აღნიშნა, რომ 2007 წელს ნ. ა-მა მისგან ისესხა 60000 აშშ დოლარი. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით უნდა დატვირთულიყო მსესხებლის დის – ი. ძ-ის კუთვნილი ბინა, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №15, ბინა №116. ნ. ა-მა მას წარუდგინა საბანკო ჩეკები წარმომდგენზე, რითაც დაარწმუნა კრედიტუნარიანობაში. ნ. ა-ი პერიოდულად ფარავდა სესხის თანხასა და პროცენტებს, შემდგომში თანხის გადახდა შეწყვიტა. მოსარჩელემ მოგვიანებით შეიტყო, რომ 2012 წლის 16 მაისს ნ. ა-ს, ი. ძ-სა და ნ. ტ-ას შორის გაფორმდა ნ. ა-ისა და ი. ძ-ის თანასაკუთრებაში არსებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 მაისის განჩინებით მ. ჭ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, უძრავ ქონებას, მდებარე ქ. თბილისში, ... №61, მე-3 სადარბაზო, მე-4 სართული, ბინა №61, ფართი 31,45 კვ.მ. საკადასტრო კოდი №..., კერძოდ, ნ. ა-ის კუთვნილ წილს ყადაღა დაედო. უძრავ ქონებაზე ყადაღის რეგისტრაცია გახდა ნ. ა-ს, ი. ძ-სა და ნ. ტ-ას შორის დადებული ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რე-

გისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ამავე სასამართლოს 2012 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. ჭ-ის სარჩელი და ნ. ა-ს მის სასარგებლოდ 34500 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ნ. ა-მა გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 11 თებერვლის №A12071742-013/001 განკარგულებით მოვალე ნ. ა-ის საკუთრებაში არსებული ბინა 2013 წლის 8 თებერვალს გამართულ პირველ აუქციონზე პ. ტ-იმ შეიძინა. აღნიშნული აუქციონი ჩატარდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორის – ნ. ტ-ას სასარგებლოდ, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამარტივებული წესით გამოტანილი, გადახდის ბრძანების აღსრულების მიზნით. ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 11 თებერვლის №A12071742-013/001 განკარგულების საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 12 თებერვლის №012013029701/3 გადაწყვეტილებით შეწყდა ყადაღის რეგისტრაცია, ხოლო 2013 წლის 12 თებერვლის №882013054777-03 გადაწყვეტილებით დარეგისტრირდა სააღსრულებო განკარგულება. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 11 თებერვლის №A12071742-013/001 განკარგულებაში მითითება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 75-ე მუხლის მე-5 პუნქტზე არ გულისხმობდა უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული ყადაღის გაუქმებას. ამგვარი ქმედებით უზრუნველყოფის გარეშე დარჩა მისი მოთხოვნა.

მოსარჩელემ სარჩელის დაზუსტების შემდეგ 1. აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 4 დეკემბრის №12111234/8837 ბრძანების; 2. აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 11 თებერვლის №A12071742-013/001 განკარგულების; 3. ყადაღის შეწყვეტის რეგისტრაციის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 12 თებერვლის №102013029701/3 გადაწყვეტილების; 4. რეგისტრაციის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 12 თებერვლის №882013054777-03 გადაწყვეტილებისა და 5. ნ. ტ-ას სა-

კუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 13 თებერვლის №882013057243-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ მოპასუხეებად მიუთითა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 აპრილის განჩინებით ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ნ. ა-ი, ნ. ტ-ა და პ. ტ-ი ჩაებნენ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ჭ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მ. ჭ-ემ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 11 თებერვლის №A12071742-013/001 განკარგულება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 12 თებერვლის №102013029701/3 გადაწყვეტილება ყადაღის შეწყვეტის რეგისტრაციის შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 12 თებერვლის №8820130547777-03 იძულებითი აღსრულების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 13 თებერვლის №882013057243-03 გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ. არ დაკმაყოფილდა მ. ჭ-ის სასარჩელო განცხადება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 4 დეკემბრის №12111234/8837 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა, რომლის თანახმად აღმასრულებელს არ ჰქონდა უფლება მოეხდინა ქონების რეალიზაცია, რადგან უძრავი ქონება, რომლის

შემძენიც სააღსრულებო განკარგულების საფუძველზე გახდა პ. ტი., სასამართლოს განჩინებით სარჩელის უზრუნველსაყოფად დაყადებული იყო. სააპელაციო პალატამ მოიხმო უზენაესი სასამართლოს №ბს-821-805(კ-12) განჩინებაში ასახული სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის სამართლებრივი შეფასება და არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63¹-ე მუხლის პირველი პუნქტის განმარტება. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასამართლო ყადაღა მხოლოდ მესაკუთრის მხრიდან ქონების განკარგვის შეზღუდვას ითვალისწინებს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოდის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადაღის არსსა და მიზნებთან და საფრთხეს უქმნის მოსარჩელის მხრიდან სასამართლოს მიერ დადასტურებული უფლებით სარგებლობას. ამასთან, სასამართლოს მიერ ყადაღის გამოყენების მიზანი არის არა მხოლოდ მოპასუხის შეზღუდვა, არამედ მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება, რაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაში გამოიხატება.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით სააღსრულებო ორგანოს მხრიდან სასამართლოს მიერ დაყადებული უძრავი ნივთის განკარგვა აზრს არ უნდა უკარგავდეს სასამართლოს მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას და საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას. ასეთი მიდგომა ეჭვქვეშ აყენებს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებას და შესაძლებლობას აძლევს მას თავი აარიდოს სასამართლოს მიერ უზრუნველყოფილი ქონებით პასუხისგებას. ამასთან, სადავო საკითხის ამგვარი განმარტება შესაძლებლობას აძლევს არაკეთილსინდისიერ მოვალეს სააღსრულებო ორგანოს მეშვეობით (მოჩვენებითი ხელშეკრულების საფუძველზე) განკარგოს ქონება. სააპელაციო პალატის განმარტებით სარჩელის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს მოთხოვნის არსებობას, მაგრამ სასამართლო დავას აზრი არ უნდა დაეკარგოს და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მით უფრო სარჩელის უზრუნველყოფის არსებობის პირობებში, უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობა. განსახილველ შემთხვევაში არსებობდა არა მხოლოდ სარჩელი, არამედ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც ნ. ა.-ს მოსარ-

ჩელის სასარგებლოდ სესხის ძირითადი თანხის 30 000 აშშ დოლარის და სარგებლის 4500 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის აღძვრის პირობებში მოსარჩელე სარგებლობს ეფექტური და პრევენციული დაცვის უფლებით. ეფექტური დაცვა თავად სარჩელით მოთხოვნილი უფლების მოპოვებას გულისხმობს, ხოლო პრევენციული დაცვისას მოსარჩელე უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ ეს უფლება არ გაუქმდება სანამ მას უფლება აღუდგება. საქალაქო სასამართლოს მიერ კანონის ამგვარმა განმარტებამ მოსარჩელისათვის პრევენციულ დაცვას აზრი დაუკარგა, მან პრევენციული დაცვის უფლებით ვერ ისარგებლა. ფაქტობრივად მ. ჭ-ე სამართლებრივი დაცვის გარეშე დარჩა.

სააპელაციო პალატამ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტსა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-14 მუხლის მე-19 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა სარეგისტრაციო სამსახურს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიუხედავად ნივთზე რეგისტრირებული საჯაროსამართლებრივი შეზღუდვისა, მოახდინოს ამ ნივთზე სხვა რაიმე უფლების/ვალდებულების რეგისტრაცია. ამდენად, აღნიშნული ნორმა რეგისტრაციის საგამონაკლისო წესს ეხება და საალსრულებო ორგანოს ქმედების კანონიერება მასზე დაყრდნობით ვერ შეფასდება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. ჭ-ის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს განჩინებით ყადაღა ჰქონდა დადებული სადავო უძრავ ქონებას, ხოლო აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლოს არ გაუუქმებია. სარეგისტრაციო სამსახურმა სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) იგნორირებით გააუქმა სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ყადაღა. სააპელაციო პალატამ საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტსა და მე-5 პუნქტზე, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლოს განჩინებით დადებული ყადაღის გაუქმებას ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს, ასევე სასამართლო ყადაღის და სარჩელის უზრუნველყოფის არსს, მის მიზნებს. რაც შეეხება აპელანტის მოთხოვნას სსიპ ალსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 4 დეკემბრის №12111234/

8837 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 4 დეკემბრის №12111234/8837 ბრძანებით დავალიანების გადახდევის შესახებ, გამარტივებული წარმოების წესით, ნ. ა-ს დაეკისრა ნ. ტ-ას სასარგებლოდ 100 ლარისა და 20000 დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით დავალიანების გადახდა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ ბრძანებით მ. ჭ-ეს არანაირი პირდაპირი და უშუალო ზიანი არ მისდგომია. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 4 დეკემბრის №12111234/8837 ბრძანებასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 დეკემბრის განჩინებით მ. ჭ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალა ქალაქ თბილისი, ..., მე-2 კვარტალი, კორპუსი 19/ქალაქი თბილისი, ..., №61-ში მდებარე, საკადასტრო კოდი ..., უძრავ ქონებაზე ნებისმიერი სარეგისტრაციო წარმოება ადმინისტრაციულ №3ბ/1217-13 საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (ამ საქმეზე დავის დასრულებამდე).

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამავე კოდექსის 198-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე საფუძვლიანი იყო, ვინაიდან განცხადებაში აღნიშნული გარემოებები შეესაბამებოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის კანონით განსაზღვრულ მიზნებს. ასევე აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს დროებით ღონისძიებას, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს სასამართლო დავის დასრულებამდე გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების საფრთხის თავიდან აცილების საფუძვლით. საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი სახის საფრთხის არსებობა მოცემულ შემთხვევაში დასაბუთებულია, ვინაიდან სადავო უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში შეუძლებელი იქნება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2013 წლის 2 დეკემბრის განჩინება პ. ტ-იმ და ნ. ტ-ამ გაასაჩივრეს. საჩივრის ავტორების მოსაზრებით, სასამართლო განჩინება უხეშად არღვევს მათ უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს, რის გამოც ითხოვენ მის გაუქმებას შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: ქ. თბილისში ... მე-2 კვარტ. კორპ 19 ...ს №61-ში მდებარე მთლიან უძრავ ქონებაზე ს.კ. ..., მათი საკუთრების საფუძველს არ წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ ჩატარებული აუქციონი და მის საფუძველზე მიღებული განკარგულება, რომელიც სასამართლომ ბათილად ცნო. აუქციონზე მათ მიერ შეძენილ იქნა ბინის მხოლოდ 1/2. ხოლო მეორე 1/2 მათ მიერ შეძენილ იქნა მეორე მესაკუთრე ი. ძ-ისაგან, სამოქალაქო გარეგნის დადების გზით. ამრიგად სასამართლო განჩინებით უხეშად ირღვევა მათი უფლებები იმ ქონების მიმართ, რომელზეც მ. ჭ-ეს არანაირი საფუძველი არ ჰქონია ედავა და არც დავობდა. სასამართლომ მისი უზრუნველყოფის საგანი გახადა მთელი ქონება, რომლის მიმართაც არ არსებობს მ. ჭ-ის იურიდიული ინტერესი. სასამართლოს არ გაურკვევია, რამდენად შეეხებოდა უზრუნველყოფის ღონისძიება მესამე პირის – შემძენის ინტერესებს, არ გაითვალისწინა, რომ ისინი დაცული არიან კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის განჩინებით პ. ტ-ისა და ნ. ტ-ას საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე საფუძვლიანი იყო, ვინაიდან სადავო უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება. საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად ზემდგომ სასამართლოს – საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადმოეგზავნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგე-

ნილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, 2012 წლის 15 მაისის მდგომარეობით ქ. თბილისი, ..., მე-2 კვარტალი, კორპ. №19/თბილისი, ... №61, მე-3 სადარბაზო, მე-4 სართული, ბინა №61 (ფართი 31,45 კვ.მ. საკადასტრო კოდი №...) ირიცხებოდა ნ. ა-ისა და ი. ძ-ის საკუთრებად. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა მ. ჭ-ის განცხადება და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ნ. ა-ის კუთვნილ წილ უძრავ ქონებას, მდებარე ქ. თბილისი, ..., მე-2 კვარტალი, კორპ. №19/თბილისი, ... №61, მე-3 სადარბაზო, მე-4 სართული, ბინა №61 (ფართი 31,45 კვ.მ. საკადასტრო კოდი №...). სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით განხორციელდა ყადაღის წარმოშობის რეგისტრაცია უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, ..., კვარტალი 2, კორპუსი 19/ქალაქი თბილისი, ... №61, სადარბაზო 3, სართული 4, ბინა №61, 31,45 კვ.მ. საკადასტრო კოდი №... მესაკუთრე ნ. ა-ის კუთვნილ წილზე. ამასთან, კრედიტორ ნ. ტ-ას სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცლის №12111234/8837 აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით აღმასრულებლის მიერ ყადაღა დაედო ნ. ა-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას, მდებარე ქ. თბილისი, ..., მე-2 კვარტალი, კორპ. №19/თბილისი, ... №61, მე-3 სადარბაზო, მე-4 სართული, ბინა №61 კუთვნილ წილს, საკადასტრო კოდი №...; გარდა ამისა, აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურმა ნ. ა-ის სახელზე რიცხული S წილი შეაფასა უძრავი ქონებიდან, რომლის საკადასტრო კოდია №.... თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 11 თებერვლის განკარგულებით მოვალე ნ. ა-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქ. თბილისი, ..., მე-2 კვარტალი, კორპ. №19/თბილისი, ... №61, მე-3 სადარბაზო, მე-4 სართული, ბინა №61 (საკადასტრო კოდი №...) შემძენი 2013 წლის 6 თებერვალს გამართულ პირველ აუქციონზე შემძენი გახდა პ. ტ-ი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ჭ-ის სარჩელის უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედო მოვალე ნ. ა-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, კერძოდ აღნიშნული ბინის წილზე. ასევე ნ. ტ-ას სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურ-

ცლის საფუძველზე გადახდის ბრძანების აღსრულება განხორციელდა ამავე ქონებაზე. შესაბამისად, სააღსრულებო განკარგულების საფუძველზე საჯარო რეესტრის 2013 წლის 12 თებერვლის №102013029701/3 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ამავე ქონებაზე რეგისტრირებული ყადაღა. აღსანიშნავია, რომ მ. ჭ-ის დავის საგანი არ არის ნ. ტ-ას მიერ სადავო ბინის ნაწილის ი. ძ-ისაგან შეძენის კანონიერება. სასამართლოს მიერ მ. ჭ-ის სარჩელის დაკმაყოფილება ე.ი. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა ვერ გახდება ნ. ტ-ას სახელზე სადავო ბინის ნაწილის (S წილის) რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). ამდენად, უძრავი ქონების იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ნ. ტ-ამ ი. ძ-ისაგან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა, მ. ჭ-ეს არანაირი კანონიერი ინტერესი არ გააჩნია. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 დეკემბრის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ქალაქ თბილისი, ..., მე-2 კვარტალი, კორპუსი 19/ქალაქი თბილისი, ..., №61-ში მდებარე (საკადასტრო კოდი ...) უძრავი ქონების იმ წილზე, რომელიც იყო ი. ძ-ის საკუთრება, ნებისმიერი სარეგისტრაციო წარმოების აკრძალვა არ შეესაბამება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნებს.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო არ არის ის გარემოება, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით ნ. ა-ის კუთვნილი სადავო უძრავი ქონება გასხვისდა და ახალი მესაკუთრის უფლება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში მიუხედავად სადავო უძრავ ქონებაზე მ. ჭ-ის სასარგებლოდ სასამართლოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისა. ამდენად, მ. ჭ-ის სარჩელის მიზანია დადგინდეს ის გარემოება, რომ ნ. ა-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე სასამართლოს განჩინების საფუძველზე რეგისტრირებულ ყადაღას უნდა დაებრკოლებინა სხვა კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწყებული იძულებითი აღსრულება, ასევე დაუშვებელი იყო საჯარო რეესტრის მიერ მოცემულ ქონებაზე რაიმე სარეგისტრაციო წარმოება. მართალია, იძულებითი აღსრულების საფუძველზე მოპოვებული საკუთრების უფლება პ. ტ-იმ გაასხვისა ნ. ტ-აზე და სადღეისოდ სადავო ქონება საჯარო რეესტრში

ირიცხება ამ უკანასკნელის სახელზე, ამასთან პ. ტ-ისა და ნ. ტ-ას შორის არსებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მოცემული დავის ფარგლებში სადავო არ არის, საკასაციო სასამართლო მაინც მიზანშეწონილად მიიჩნევს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 დეკემბრის განჩინებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი მართლმსაჯულების რეალური განხორციელების ამოცანას ემსახურება და სასამართლოს მიერ ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი სიკეთით კრედიტორის სარგებლობის ხელშეწყობაა, რათა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის მისი ინტერესი არ შეილახოს, ხოლო მართლმსაჯულება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს. აღსანიშნავია, რომ მ. ჭ-ის მიზანია შეძლოს სასამართლო გადაწყვეტილებით ნ. ა-ისათვის სესხის საფუძველზე დაკისრებული თანხის მიღება. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მოვალის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გატარებით, ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა მის საკუთრებაში არსებული ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია. ამ მიზნით მ. ჭ-ის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით მოვალის საკუთრებას დაედო ყადაღა, ხოლო სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებით, მ. ჭ-ის მოთხოვნა ნ. ა-ის მიმართ არაუზრუნველყოფილი დარჩა. ამდენად, მოცემული დავის ფარგლებში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა, მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე წარმოშობილი უძრავი ქონების საკუთრება სხვა პირისთვისაა გადაცემული, ხელს შეუშლის მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას და კიდევ უფრო გაართულებს მ. ჭ-ის სამოქალაქო დავაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას თუ თავის მხრივ ქონების ამჟამინდელი მესაკუთრე მას გაასხვისებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მისი რეგულირების ფარგლებში მოქცეულია ასევე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის გარკვე-

ვა. ამავდროულად უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ გარემოების გონივრულ დასაბუთებაზე, თუ რამდენად შეუშლის ხელს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას ამ ღონისძიების გაუტარებლობა.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას (ქონების S წილთან მიმართებით), რომ უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლოს მხრიდან გატარებული დროებითი ღონისძიების სახეა, რომელიც მართლმსაჯულების შედეგის – გადაწყვეტილებით დადგენილი უფლების რეალიზაციის სარწმუნო წინაპირობას წარმოადგენს. რაც შეეხება უზრუნველყოფის სახის გამოყენებას, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ განმცხადებლის მოთხოვნის ფარგლებში მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საჩივრის ავტორებმა ნაწილობრივ დაადასტურეს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების (1/2 წილის ნაწილში) არამართებულობა. შესაბამისად, ნ. ტ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქალაქ თბილისი, ..., მე-2 კვარტალი, კორპუსი 19/ქალაქი თბილისი, ..., №61-ში მდებარე (საკადასტრო კოდი ...) წილზე (ი. ძისაგან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით შექმნილი) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ნებისმიერი სარეგისტრაციო წარმოების ადმინისტრაციულ №... საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (ამ საქმეზე დავის დასრულებამდე) აკრძალვის ნაწილში სადავო განჩინება უნდა გაუქმდეს. ამასთან, უძრავი ქონების იმ წილზე, რომელიც 2012 წლის 15 მაისის მდგომარეობით ირიცხებოდა ნ. ა-ის სახელზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ნებისმიერი სარეგისტრაციო წარმოების აკრძალვა ადმინისტრაციულ №... საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (ამ საქმეზე დავის დასრულებამდე) უნდა დარჩეს ძალაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. პ. ტ-ისა და ნ. ტ-ას საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 დეკემბრის განჩინება ნ. ტ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქალაქ თბილისი, ..., მე-2 კვარტალი, კორპუსი 19/ქალაქი თბილისი, ..., №61-ში მდებარე (საკადასტრო კოდი ...) ნილზე (2012 წლის 15 მაისის მდგომარეობით ნ. ა-ის საკუთრებაში აღრიცხული) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ნებისმიერი სარეგისტრაციო წარმოების ადმინისტრაციულ №... საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (ამ საქმეზე დავის დასრულებამდე) აკრძალვის ნაწილში დარჩეს უცვლელი;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 დეკემბრის განჩინება ნ. ტ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქალაქ თბილისი, ..., მე-2 კვარტალი, კორპუსი 19/ქალაქი თბილისი, ..., №61-ში მდებარე (საკადასტრო კოდი ...) ნილზე (ი. ძ-ისაგან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით შექმნილი) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ნებისმიერი სარეგისტრაციო წარმოების ადმინისტრაციულ №... საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (ამ საქმეზე დავის დასრულებამდე) აკრძალვის ნაწილში გაუქმდეს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უზრუნველყოფის ღონისძიების კანონიერება

განჩინება

№ბს-241-239(კ-12)

26 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 12 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 12 თებერვლის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 12 თებერვლის განჩინებით (საქმე 3/4) დაკმაყოფილდა სს „...“ წარმომადგენლის ნ. მ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ... გამზ. №44-ში მდებარე 173 კვ. მ. არასაცხოვრებელ ფართს და 50 კვ.მ. ფართის სარდაფს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნები შპს „...-ის“ წინააღმდეგ, ხოლო სს „...“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სსრკ ენერგეტიკისა და ტრესტ „...“ შორის 1991 წლის 22 აგვისტოს დადებული №11 ხელშეკრულება – ტრესტ „...“ ბალანსზე რიცხული ქონე-

ბის შრომითი კოლექტივისათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ და ტრესტ „...“ (ერთ-ერთი უფლებამონაცვლე სს „...“) ქონება ცნობილ იქნა საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებად. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მოსარჩელე სს „...“ არ გააჩნდა არანაირი კანონიერი ინტერესი სადავო ფართთან მიმართებაში და ამ მოტივით უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 10 იანვრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს „...-ის“ სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით. განმცხადებლის მითითებით სადავო ფართი რეგისტრირებულია სახელმწიფოს საკუთრებად (საკადასტრო კოდი №... და №...) და მასზე რეგისტრირებულია ყადაღა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 12 თებერვლის №3/4 მიმართვის საფუძველზე. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან სასამართლო დაევა საბოლოოდ დასრულებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით, ამასთან სს „...“ არ გააჩნია იურიდიული ინტერესი ქონების მიმართ და ქონება რეგისტრირებულია სახელმწიფოს სახელზე. განმცხადებლის მოსაზრებით ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით უნდა გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 12 თებერვლის განჩინება ქ. თბილისში ... გამზ. №44-ში მდებარე 173 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართსა და 50 კვ.მ. ფართის სარდაფზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადების საფუძველზე საქმე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხე შპს „...-ის“ მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოთხოვილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოდან და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ეცნობა საკასაციო სასამართლოს, რომ მოკლებულნი იყვნენ საქმის გადმოგზავნის შესაძლებლობას, რადგან შპს „...-ის“ მიერ გასაჩივრებული იყო 2013 წლის 20 სექტემბრის განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემებათა გამო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ. ზემოაღნიშნული კერძო საჩივარი საქმესთან ერთად განსახილ-

ველად იგზავნებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში და საქმე დაბრუნებისთანავე გადმოეგზავნებოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 სექტემბრის მიმართვის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის №3801 წერილით საკასაციო პალატას ეცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კომპიუტერული ბაზის მონაცემებით 2013 წლის 11 სექტემბერს რეგისტრირებულია ადმინისტრაციული საქმე №3/4356-11, განმცხადებლის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „...-ის“ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. ზემოაღნიშნული საქმე, ამ ეტაპზე, არსებითად განხილული/გადაწყვეტილი არ არის და იმყოფება მოსამართლე მ. ე. ძის წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 12 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 12 თებერვლის განჩინებით სს „...“ განცხადება დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ... გამზირის №44-ში მდებარე 173 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართს და 50 კვ.მ. ფართის სარდაფს, რომელიც საკუთრების უფლებით ირიცხებოდა შპს „...-ის“ („...“) სახელზე. საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლზე მითითებით განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანს წარმოადგენს იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შედეგად შეიძლება შეიქმნას საქმეზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების თვალსაზრისით. სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს დროებით ღონისძიებას, რომელიც გამოიყენება სასამართლო დავის დასრულებამდე გადანაცვების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების საფრთხის თავიდან აცილების საფუძველით. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქმეზე, რომელზეც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გან-

ვითარების სამინისტრო ითხოვს 1999 წლის 12 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას წარმოება არ არის დასრულებული, რაც დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის №3801 წერილით, რომლითაც საკასაციო პალატას ეცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კომპიუტერული ბაზის მონაცემებით 2013 წლის 11 სექტემბერს რეგისტრირებულია ადმინისტრაციული საქმე №3/4356-11, განმცხადებლების ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „...-ის“ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. ზემოაღნიშნული საქმე, ამ ეტაპზე, არსებითად განხილული/გადაწყვეტილი არ არის და იმყოფება მოსამართლე მ. ეძის წარმოებაში. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე წარმოება საბოლოოდ არ არის დასრულებული და ვიდრე არსებობს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის ალბათობა, არ არსებობს აღნიშნულ დავაზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საართლებრივი საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 12 თებერვლის განჩინების გაუქმებისა და სადავო უძრავი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 199¹, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
2. ძალაში დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 12 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. აუქციონის კანონიერება
აუქციონის შედეგების გათილად ცნობა
და პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა

განჩინება

№ბს-1816-1771(კ-10)

15 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე
პ. სილაგაძე

დავის საგანი: აუქციონის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 19 დეკემბერს ვ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – თბილისის სააღსრულებო ბიუროს, მ. კ-ის, თ. ე-ის, ნ. მ-ისა და თ. ჟ-ის მიმართ, 2007 წლის 4 დეკემბრის პირველი აუქციონის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

2008 წლის 14 მაისს მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხის – თბილისის სააღსრულებო ბიუროსა და მესამე პირების – მ. კ-ის და თ. ე-ის მიმართ. მოსარჩელემ თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ ვ. მ-ის სახელზე ქ. თბილისში, ..., კორპ. №26-ში მდებარე იპოთეკით დატვირთულ ბინა №32-ზე ჩატარებული აუქციონის და 2007 წლის 4 დეკემბრის №01/09-102 განკარგულების თანმდევი შედეგებით ბათილად ცნობა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლის 26 სექტემბერს თ. ე-ს, ნ. მ-ეს, თ. ჟ-სა და ნ. ს-ს, როგორც ვ. მ-ის რწმუნებულს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება სანოტარო წესით, რომლის თანახმად, ნ. ს-ს, როგორც ვ. მ-ის რწმუნებულს თითოეულისაგან სესხის სახით გადაეცა 4480 აშშ დოლარი, სა-მი თვის ვადით, ყოველთვიური სამი პროცენტის დარიცხვით. ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ..., კორპუსი №26, ბინა №32. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებით განისაზღვრა პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ძირითადი სესხის 0,3%-ის ოდენობით.

სესხის დროულად გადაუხდელობის გამო, იპოთეკარების წარმომადგენელმა თ. გ-მა საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართა იურიდიულ კომპანია საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟ – „...“ და სესხისა და მისგან გამომდინარე შედეგების მოპასუხეზე დაკისრება მოითხოვა.

არბიტრაჟის 2007 წლის 20 აპრილის №01/07-132 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა პრეტენდენტების პრეტენზია. ნ. ს-ს, როგორც ვ. მ-ის რწმუნებულს თ. ე-ის, ნ. მ-ის და თ. ჟ-ის სასარგებლოდ, თითოეულზე 4480 აშშ დოლარის, 2007 წლის 28 მარტიდან ყოველთვიურად გადაწყვეტილების აღსრულებამდე, პირგასამტეხლოს 13,44 აშშ. დოლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებლის 245.7 ლარის გადახდა დაეკისრა. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ თანხის გადახდა მოხდებოდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (ქ. თბილისი ... კორპ. №26, ბინა №32) იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი და იძულებითი აღსრულების მიზნით, წარდგენილ იქნა თბილისის სააღსრულებო ბიუროში. საქმე შესასრულებლად გადაეცა აღმასრულებელ ზ. ა-ს, რომელმაც 2007 წლის 4 დეკემბერს ბინაზე ჩაატარა აუქციონი, რომლის მყიდველი გახდა მ. კ-ი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ აუქციონი ჩატარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე და 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა დაუცველად. მოვალეებს ვ. მ-ს და ნ. ს-ს, სასამართლოს აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო ფურცლის ნებაყოფლობით აღსრულების თაობაზე 5 დღიანი გაფრთხილება კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებიათ. ნ. ს-ის შემთხვევაში, ბინაში ვერავინ ნახეს და გზავნილი უკან გაეგზავნა სააღსრულებო ბიუროს, ხოლო რაც შეეხებოდა ვ. მ-ზე გადასაცემ გაფრთხილებას, მითითებული იყო, თითქოს გზავნილი ჩაბარდა ვ. მ-ის რძალს, გზავნილზე ხელმოწერა გაკეთებული იყო „მ-ი“, თუმცა მოსარჩელეს ასეთი გვარის რძალი არ ჰყავდა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სასამართლო აღმასრულებელს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-17 და 25-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით რომ ჩატარებინა აუქციონი, მოვალისათვის ცნობილი გახდებოდა, რომ ორი კრედიტორის გასტუმრების მიუხედავად ბინა მაინც გაიყიდებოდა აუქციონზე. აღმასრულებლის მიერ ასევე არ იქნა დაცული დასახელებული კანონის 29-ე მუხლის მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ

თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2007 წლის 4 დეკემბრის №01/09-102 განკარგულების თანმდევი შედეგებით ბათილად ცნობა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით ვ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. მ-მა, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2007 წლის 4 დეკემბრის №01/09-102 განკარგულება ვ. მ-ის სახელზე იპოთეკით დატვირთული, ქ. თბილისში, ... მდებარე კორპუსი №26, ბინა №32-ზე ჩატარებული აუქციონის თაობაზე, თანმდევი შედეგებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2010 წლის 21 სექტემბრის განჩინებით ვ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათზე დაყრდნობით განმარტა, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2007 წლის 4 დეკემბერს ჩატარდა პირველი იძულებითი საჯარო აუქციონი, რომლითაც ვ. მ-ის სახელზე რიცხული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, ..., კორპუსი 26, ბინა №32 მესაკუთრე გახდა მ. კ-ი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ №826 შეკვეთილი წერილი 2007 წლის 28 ნოემბერს ჩაბარდა ვ. მ-ის რძალს. ამასთან, ... ფოსტის ფილიალის „...“-ს 2008 წლის 23 ივლისის №04.07 წერილის თანახმად, შეკვეთილი წერილი №12 შესული ვ. მ-ის სახელზე ადრესატის ბინაზე არყოფნის გამო, ჩაბარდა მის რძალს, ხოლო შეკვეთილი წერილი №826 ადრესატ ვ. მ-ის არყოფნის გამო, 2007 წლის 18 აგვისტოს ჩაბარდა მის მეუღლეს ს. მ-ს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ... ფოსტის ფილიალის „...“ 2009 წლის 13 იანვრის №04/07-12 წერილის თანახმად, წერილი №12 ჩაიბარა ვ. მ-ის რძალმა ს. გ-ა-მ-მა, ხოლო მეორე წერილი №826 პირადად ჩაბარდა ვ. მ-ს. ამასთან, საფოსტო განყოფილების ფოსტალიონის მ. ბ-ის ახსნა-განმარტებითა და ...-ე საფოსტო განყოფილების უფროსის ნ. თ-ის მოხსენებითი ბარათით კი დგინდებოდა, რომ შეკვეთილი წერილი №12 ჩაიბარა პირადად ვ. მ-მა, ხოლო შეკვეთილი წერილი №826 ჩაბარდა ვ. მ-ის რძალს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მეორე პუნქტსა და 71-ე მუხლის მე-3 პუნქტზე და განმარტა, რომ აუქციონის დროისა და ადგილის შესახებ მოვალესა და კრედიტორს ეცნობებოდა უწყების გადაცემის გზით. ამავე კანონის 25-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, კი უწყების ჩაბარება უნდა განხორციელებულიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებდა მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პი-

რისათვის ჩაითვლებოდა უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდებოდა უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია, აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ მისთვის ცნობილი არ ყოფილა იძულებითი აუქციონის ჩატარების შესახებ და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, იმ გარემოებების მტკიცების ტვირთი, რომ უწყება ვ. მ-ს კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებია ეკისრებოდა უშუალოდ აპელანტს, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებებიც მისი მხრიდან არ წარმოდგენილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის წერილი და განკარგულება არც მას და არც მისი ოჯახის წევრებს არ ჩაბარებიათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მარტის განჩინებით, ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2011 წლის 14 აპრილს 12:30 საათზე, შემდეგ მხარეთა მორიგების ხელშეწყობის მიზნით არაერთხელ გადაინიშნა და საბოლოოდ ჩაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2006 წლის 26 სექ-

ტემბერს თ. ე-ს, ნ. მ-ეს, თ. ჟ-სა და ნ. ს-ს, როგორც ვ. მ-ის რწმუნებულს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება სანოტარო წესით, რომლის თანახმად, ნ. ს-ს, როგორც ვ. მ-ის რწმუნებულს თითოეულისაგან სესხის სახით გადაეცა 4480 აშშ დოლარი, სამი თვის ვადით, ყოველთვიური სამი პროცენტის დარიცხვით. ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ..., კორპუსი №26, ბინა №32. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებით განისაზღვრა პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ძირითადი სესხის 0,3%-ის ოდენობით. სესხის დროულად გადაუხდელობის გამო, იპოთეკარების წარმომადგენელმა თ. გ-მა საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართა იურიდიულ კომპანია საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟ – „...“ და სესხისა და მისგან გამომდინარე შედეგების მოპასუხეზე დაკისრება მოითხოვა. არბიტრაჟის 2007 წლის 20 აპრილის №01/07-132 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა პრეტენდენტების პრეტენზია. ნ. ს-ს, როგორც ვ. მ-ის რწმუნებულს თ. ე-ის, ნ. მ-ის და თ. ჟ-ის სასარგებლოდ, თითოეულზე 4480 აშშ დოლარის, 2007 წლის 28 მარტიდან ყოველთვიურად გადანყვებილების აღსრულებამდე, პირგასამტეხლოს 13,44 აშშ დოლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებლის 245,7 ლარის გადახდა დაეკისრა. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ თანხის გადახდა მოხდებოდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების – ქ. თბილისი ..., კორპ. №26, ბინა №32-ის იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი და იძულებითი აღსრულების მიზნით, წარდგენილ იქნა თბილისის სააღსრულებო ბიუროში. თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის მიერ, 2007 წლის 4 დეკემბერს ჩატარდა პირველი იძულებითი საჯარო აუქციონი, რომლითაც ვ. მ-ის სახელზე რიცხვული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (მდებარე: ქ. თბილისი, ..., კორპ. №26, ბინა №32) მესაკუთრე გახდა მ. კ-ი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო პერიოდში მოქმედ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტზე და 71-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომელთა თანახმადაც აუქციონის დროისა და ადგილის შესახებ მოვალესა და კრედიტორს ეცნობებათ უწყების გაცემით. ამავე კანონის 25-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად კი, უწყების ჩაბარება უნდა განხორციელდეს საქართველოს სა მოქალაქეო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთათვის სასამართლო უწყების, დოკუმენტების გადაცემისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2007 წლის 6 აგვისტოს №01/09 წინადადება (შეკვეთილი წერილი №12) და აუქციონის დანიშვნის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2007 წლის 8 ნოემბრის განკარგულება (შეკვეთილი წერილი №826) ვ. მ-ს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით – ქ. თბილისი, ..., კორპ. №26, ბინა №32-ში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, თუ როდის ჩაითვლება უწყება ჩაბარებულად მხარეებისა და მათი წარმომადგენლებისათვის, კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ...-ე საფოსტო განყოფილების უფროსის ნ. თ-ის მიერ გაცემულ ცნობაზე, ... ფოსტის ფილიალის „...“ 2008 წლის 23 ივლისის №04-07 და 2009 წლის 13 იანვრის №04-07/12 წერილებზე და 2007 წლის 16 აგვისტოს და 2007 წლის 28 ნოემბრის საფოსტო ყურნალზე. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს საქმეში არსებულ ...-ე საფოსტო განყოფილების ფოსტალიონის მ. ბ-ის ახსნა-განმარტებაზე და ...-ე საფოსტო განყოფილების უფროსის ნ. თ-ის მოხსენებით ბარათზე, სადაც აღნიშნულია, რომ შეკვეთილი წერილი №12 ჩაიბარა პირადად ვ. მ-მა, ხოლო შეკვეთილი წერილი №826 ჩაიბარა ვ. მ-ის რძალმა. სააპელაციო სასამართლოში მონმედ გამოძახებულმა ...-ე საფოსტო განყოფ-

ფილების ფოსტალიონმა, მ. ბ-ემ განმარტა, რომ ერთი წერილი ჩააბარა რძალს, ხოლო მეორე პირადად ვ. მ-ს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. ამასთან, აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს უწყების მიმღები პირის ვალდებულებას დაუყოვნებლივ გადასცეს ადრესატს უწყება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება (მიუხედავად მათ შორის არსებული წინააღმდეგობისა) ადასტურებს იმ გარემოებას, რომ №12 და №826 შეკვეთილი წერილები ნამდვილად გაიგზავნა – ქ. თბილისი, ..., კორპ. №26, ბინა №32-ში და ნამდვილად ჩააბარდა სახლში მყოფ სრულწლოვან პირებს (ვ. მ-ს, მისი ოჯახის სრულწლოვან წევრებს: მეუღლეს და რძალს). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვ. მ-ის რძალი – ს. გ-ა (შვილის მეუღლე, რომელიც წლების მანძილზე ერთ ოჯახად ცხოვრობს ვ. მ-თან და ჰყავს ორი შვილი) და ვ. მ-ის მეუღლე – ს. მ-ი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს წარმოადგენენ. შესაბამისად, ერთ-ერთი მათგანისათვის უწყების ჩაბარება – ვ. მ-ისათვის ჩაბარებად უნდა ჩაითვალოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში რეგლამენტირებულია მტკიცების ტვირთი და იგი დაკავშირებულია მხარის მიერ იმ გარემოებებზე მითითებასთან, რომელსაც ეფუძვნება სასარჩელო მოთხოვნა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. მ-მა ვერ შეძლო დაედასტურებინა ის გარემოება, რომ №12 და №826 შეკვეთილი წერილი მას ან მისი ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს არ ჩააბარებია და მისთვის უცნობი იყო აუქციონის დღის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გა-

დანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გა-
დანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის
დასაბუთებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო
სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებ-
ით დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, მისთვის
კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულების ფაქტი
(მოვალისათვის უწყების გაგზავნა და ჩაბარება), ხოლო აღნიშ-
ნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება კასატორის მხრიდან არ
წარმოდგენილა, რის გამო არ არსებობს გასაჩივრებული განჩი-
ნების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სა-
ფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-
2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის
410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 სექტემბრის
განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-
ჩივრდება.

აუქციონის შედეგების კანონიერება

განჩინება

№ბს-708-693(3კ-12)

4 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა, კანონიერი ნდობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ სარჩელი აღძრა ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და მ. მ-ის მიმართ, რომელშიც აღინიშნა, რომ 12.08.10წ. გამართულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა მ. მ-ი, მას საკუთრებაში გადაეცა 142 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. მოსარჩელე თვლის, რომ მიწის ნაკვეთის აუქციონზე განკარგვა უნდა მომხდარიყო გარკვეული პირობებით, მიწის ნაკვეთის მომიჯნავე ტერიტორიასთან გაერთიანების მიზნით. აღნიშნული მოსარჩელის აზრით დასტურდება არქიტექტურის სამსახურის მოპასუხისათვის გაგზავნილი 24.09.09წ. წერილით, რომლის თანახმად ნაკვეთის განკარგვა შესაძლებელი იყო მხოლოდ მომიჯნავე ნაკვეთთან გაერთიანების მიზნით. ანალოგიური წერილი გაეგზავნა ს. ც-ს. მოსარჩელემ აგრეთვე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 12.08.10წ. აუქციონი ჩატარდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის საფუძველზე მაშინ, როდესაც ხსენებულმა კანონმა ძალა დაკარგა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ 21.07.10წ. კანონით, რომელიც მისი გამოქვეყნების დღეს – 09.08.10წ. შევიდა ძალაში ანუ აუქციონის გამართვამდე (12.08.10წ.). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 22-ე, 25-ე, 26-ე მუხლებზე, სზაკ-ის მე-5, 60¹ მუხლებზე მითითებით მოითხოვა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 02.11.11წ. განჩინებით შპს „...“ დირექტორის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის

ლონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა, მოპასუხე მ. მ-ს აეკრძალა მიწის ნაკვეთზე (მდებარე თბილისი, ..., კვ. ..., კ... ქ. №5 კორპუსის მიმდებარედ) სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.05.12წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი 12.08.10წ. პირობით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ხელშეკრულება) №6-46-172, 17.08.10წ. №1164 საკუთრების დამადასტურებელი მონმობა. გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს აუქციონის ჩატარების დავალდებულების ნაწილში. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. მ-ის, ქ. თბილისის მერიის და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.08.12წ. განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25.5 მუხლის თანახმად იურიდიული ძალა არ აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებულ ნორმატიული აქტებს, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 12.08.10წ. მონყობილი აუქციონი გაიმართა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის საფუძველზე, რომელიც აუქციონის გამართვის დროისათვის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის (ძალაში შევიდა 09.08.10წ.) 50-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ძალადაკარგულად იყო გამოცხადებული. შესაბამისად, სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ აუქციონი ჩატარდა და შემდგომში ხელშეკრულება გაფორმდა ძალადაკარგული კანონის საფუძველზე, რისი უფლებამოსილებაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია. აუქციონი ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჩაეტარებია და შემდგომში ხელშეკრულება უნდა გაეფორმებია სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვერ იქნებოდა გამოყენებული ახალი კანონის აღსასრულებლად გამოცემული ქ. თბილისის საკრებულოს გადაწ-

ყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-17 მუხლი, რომლის თანახმად წესის ძალაში შესვლამდე გამოცხადებული აუქციონის დასრულება ან/და შედეგების გაფორმება აუქციონატორს უნდა უზრუნველყო მანამდე მოქმედი წესის, კერძოდ, ქ. თბილისის საკრებულოს 22.01.10წ. №1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ შესაბამისად. სასამართლომ მიუთითა, რომ 27.08.10 წ. აქტი ვერ გავრცელდებოდა 12.08.10 წ. გაფორმებულ სადავო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე (ხელშეკრულებაზე), ამასთანავე, ქ. თბილისის საკრებულოს 22.01.10წ. №1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესი მიღებულია „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის 6.8 მუხლის შესაბამისად, ხსენებული კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25.5 მუხლის თანახმად, იურიდიული ძალა არ აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია აგრეთვე, რომ ადგილი ჰქონდა სზაკ-ის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას, რაც წარმოადგენს კანონიერი ნდობის საფუძველს. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „...“ დირექტორის განცხადებაზე სსიპ არქიტექტურის სამსახურმა 24.09.09წ. დაინტერესებულ მხარეს აცნობა, რომ 141,68 კვ.მ. და 380.54 კვ.მ. ნაკვეთის განკარგვა ქალაქდაგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია, შემდგომში მომიჯნავე ნაკვეთთან გაერთიანების მიზნით. ანალოგიური შინაარსის იყო არქიტექტურის საინვენტარიზაციო განყოფილების უფროსის მიმართვა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიმართ დაინტერესებულ მხარეს წარმოეშვა კანონიერი ნდობა იმისა, რომ მის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთთან ერთად იყო შესაძლებელი აუქციონზე გატანილი ქონების განკარგვა და მის შეუტყობინებლად არ მოხდებოდა ქონების განკარგვა, ვინაიდან მოსარჩელე იყო აუქციონზე გასხვისებული ქონების მომიჯნავე ნაკვეთის კანონიერი მესაკუთრე. აღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ აუქციონში გამარჯვების დამა-

დასტურებული ოქმი (ხელშეკრულება) და საკუთრების დამა-
დასტურებელი მოწმობა შპს „...“ აყენებს პირდაპირ და უშუალო
ზიანს და უკანონოდ ზღუდავს მის კანონიერ უფლებას.

მიუხედავად იმისა, რომ სადავო აუქციონის გაუქმებით ნაკ-
ვეთი კვლავ აღირიცხებოდა მერიის სახელზე, სააპელაციო სა-
სამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს აქვს კანონიერი ინტე-
რესი დავის საგნის მიმართ, ვინაიდან აუქციონის ბათილად ცნო-
ბით შპს „...“ მიეცემა შესაძლებლობა სხვა პირებთან ერთად მი-
იღოს მონაწილეობა ნაკვეთზე გამოცხადებულ აუქციონში და
იბრძოდეს აუქციონში გამარჯვების მოსაპოვებლად, ამასთან
მის შეუტყობინებლად ვერ მოხდებოდა ნაკვეთის განკარგვა.

მიუხედავად იმისა, რომ მ. მ-ის სახელზე გაცემული საკუთ-
რების მოწმობა არის აღმჭურველი აქტი, სააპელაციო პალატამ
მიიჩნია, რომ იგი არსებითად არღვევს სხვა პირის კანონიერ უფ-
ლებებს, რის გამოც სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახ-
მად არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მ. მ-ის მო-
საზრება, რომ ადგილი ჰქონდა დავის საგნის გაზრდას, სასკ-ის
28¹ მუხლის, სსკ-ის 83.3 მუხლის საფუძველზე სასამართლომ
მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა არა გაზრდას, არამედ დავის საგ-
ნის დაზუსტებას.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივ-
რდა ქ. თბილისის მერიის, მერიის სსიპ ქონების მართვის საა-
გენტოს, მ. მ-ის მიერ.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო საკასაციო საჩივარში აღ-
ნიშნავს, რომ ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის საკუთ-
რებას მიკუთვნებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულე-
ბის მიწა „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“
კანონის 34-ე მუხლის, „ადგილობრივი თვითმართველობის შე-
სახებ“ ორგანული კანონის 46-ე მუხლის, საქართველოს მთავ-
რობის №233 დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად არის ქ. თბი-
ლისის თვითმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაცი-
ის საფუძველი. მმინის ნაკვეთის თვითმართველი ერთეულის
სახელზე დარეგისტრირებამდე თვითმართველი ერთეულის აღ-
მასრულებელი ორგანო ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს
ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ენერგეტიკის სა-
მინისტროსა და გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტროს, რაც მოცემულ შემთხვევაში ადმინის-
ტრაციული ორგანოს მიერ განხორციელდა. ქ. თბილისის მთავ-
რობის 02.07.106. №19.46.951 დადგენილებით ქონების მართვის
სააგენტოს დაევალა აუქციონის ჩატარება, ცნობა ქ. თბილისის

თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ 13.07.10წ. გამოქვეყნდა გაზეთში „...“. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 47.5 მუხლის თანახმად ამ კანონის ამოქმედებამდე დაწყებულ, სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული წესი. ქ. თბილისის საკრებულოს 27.08.10წ. №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის თანახმად ამ წესის ძალაში შესვლამდე გამოცხადებული აუქციონის დასრულება ან/და შედეგების გაფორმება აუქციონატორს უნდა უზრუნველყო საკრებულოს 22.01.10წ. №1-6 გადაწყვეტილებით დადგენილი წესის შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი თვლის, რომ აუქციონი ჩატარდა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. კასატორი აღნიშნავს, რომ არქიტექტურის სამსახური არ არის ნაკვეთის განკარგვაზე უფლებამოსილი პირი, ამასთანავე, არც ძველი და არც ახალი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აუქციონის ჩატარების შესახებ კონკრეტული პირისათვის შეტყობინების გაგზავნას, აუქციონის ჩატარების შესახებ ცნობა გამოქვეყნდა საჯაროდ და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო მასში მონაწილეობის მიღება. კასატორი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე არქიტექტურის სამსახურის 29.10.09წ. №07/78615-13 ქალაქგეგმარებით დასკვნაზე, რომლითაც ნაკვეთის განკარგვა შესაძლებლად არის მიჩნეული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციით, დასკვნაში არ არის მითითებული მომიჯნავე ნაკვეთთან გაერთიანების აუცილებლობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ქ. თბილისის მერიამ, რომელიც ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შპს „...“ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. კასატორი აღნიშნავს, რომ ნაკვეთი არის ქ. თბილისის თვითმმართველობის საკუთრება, მას უფლება გააჩნდა განეკარგა თავის საკუთრებაში არსებული ქონება. აუქციონის შედეგების გაუქმება გამოიწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ნაკვეთის კვლავინდებურად თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემას, სადავო აქტების ბათილად ცნობა გავლენას ვერ მოახდენს შპს „...“ უფლებასა და ინტერესებზე. ამდენად, შპს „...“ არ უნდა იქნეს მიჩნეული დაინტერესებულ პირად. თუ სასამართლო თვლიდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უნდა გაეთვალისწინებინა არქიტექტურის სამსა-

ხურის 24.09.09წ. წერილში მოყვანილი მოსაზრება, მაშინ სასამართლოს უნდა გამოეკვლია არქიტექტურის სამსახურის 29.10.09წ. ქალაქგეგმარებითი დასკვნა, რომლითაც ტერიტორიის განკარგვა შესაძლებლად იქნა მიჩნეული, დასკვნა არ შეიცავს რაიმე მითითებას ტერიტორიების გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. 24.09.09წ. წერილით არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია სადავო ნაკვეთის განკარგვა შემდგომში მომიჯნავე ნაკვეთთან გაერთიანების მიზნით, არანაირი სავალდებულო დანაწესი ამ წერილიდან არ გამომდინარეობს, სამსახური არ არის ნაკვეთის განკარგვაზე უფლებამოსილი პირი. კანონიერი ნდობისათვის ადმინისტრაციულ ორგანოს, როგორც მინიმუმ განკარგვის ფუნქცია უნდა ჰქონოდა, ქონების განკარგვის უფლებამოსილება ქონების მართვის სააგენტოს აქვს მინიჭებული, ქ. თბილისის მთავრობის 22.12.08წ. №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული არქიტექტურის სამსახურის დებულების 3.1 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად არქიტექტურის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქცია არის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების ან სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მუდმივმოქმედი კომისიისათვის დასკვნის ან/და რეკომენდაციების მომზადება. გარდა ამისა, არქიტექტურის სამსახურის წერილში არ წერია, რომ აუქციონი არ ჩატარდებოდა მოსარჩელის შეუტყობინებლად, საჯარო გამოცხადება ნიშნავს, რომ ის ყველასათვისაა ცნობილი ან უნდა იყოს ცნობილი, აუქციონის გამოცხადების შესახებ კონკრეტულად მოსარჩელის შეტყობინება, სზაკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენებდა სხვა პირებს. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის და 22.01.10წ. №1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად 13.07.10წ. გაზეთ „...“ გამოქვეყნდა აუქციონის შესახებ ინფორმაცია, არც ერთ პირს არ გააჩნდა რაიმე უპირატესობა სხვებთან შედარებით. კასატორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ქ. თბილისის საკრებულოს №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის თანახმად წესის ძალაში შესვლამდე გამოცხადებული აუქციონის დასრულება ან/და შედეგების გაფორმება აუქციონატორს უნდა უზრუნველყო მანამდე მოქმედი წესით. 17.08.10წ. №1164 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა არის აღმჭურველი აქტი, რომლის მიმართ მხარეს კანონიერი ნდობა გააჩნია. სზაკ-ის 60¹ მუხლის თანახმად და-

უშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტი არსებითად არღვევს პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს მ. მ-ს გააჩნია კანონიერი ნდობა სადავო აღმჭურველი აქტის მიმართ, სხვა პირის კანონიერი უფლების ან ინტერესის დარღვევა სახეზე არ არის. არც ძალადაკარგული და არც მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იმ საფუძვლით აუქციონის შედეგების გაუქმებას, რა საფუძვლითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ ბათილად ცნო 12.08.10წ. აუქციონის შედეგები. სზაკ-ის 60¹2 მუხლის თანახმად აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის დადგენილი მოთხოვნები. სადღეისოდ მოქმედი კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ არ ადგენს ისეთ განსხვავებულ წესს აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით, რომლის გამოყენების შემთხვევაში დადგებოდა სხვაგვარი შედეგი, შესაბამისად, სახეზე არ არის ის არსებითი დარღვევა, რომელიც განაპირობებდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა აგრეთვე მ. მ-ის მიერ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო აქტით არა მხოლოდ არ არის გაქარწყლებული სააპელაციო საჩივარში გადმოცემული მოსაზრებები, არამედ იგი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე. სააპელაციო პალატის განჩინების სამოტივაციო ნაწილის 8 პუნქტიდან 6-ში სიტყვა-სიტყვით გადმოცემულია გასაჩივრებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტი. სწორედ ამიტომ გაუქარწყლებელი დარჩა მათ საწინააღმდეგო სააპელაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრებანი. სააპელაციო სასამართლომ სწორედ გაკრიტიკებული დასკვნები გადმონერა და ბუნებრივია პასუხგაუცემელი დარჩა საწინააღმდეგო მოსაზრებანი. ის გარემოება, რომ ცალკეული აბზაცების და წინადადებების წინ პალატა უთითებს, რომ „პალატა ეთანხმება“, „პალატა იზიარებს“ არსებითად არა სააპელაციო საჩივრის მოტივებზე პასუხის, არამედ მათი უგულებელყოფის დამადასტურებელია.

კასატორი აღნიშნავს, რომ პირველ ეტაპზე (2 ივლისიდან 9 აგვისტომდე) მოქმედებდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრი-

ვატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონი და მის საფუძველზე გამოცემული, ქ. თბილისის საკრებულოს 25.01.10წ. №1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესი, ამ პერიოდში ჩატარებული მოქმედებები კანონიერია. აღნიშნულმა ნორმატიულმა აქტებმა აუქციონის მხოლოდ მეორე ეტაპზე (9-12 აგვისტო) დაკარგეს ძალა, ამდენად ოქმის შედგენისას აუქციონის საფუძველად „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის გარდა უნდა მითითებულიყო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონიც, ეს უზუსტობა არსებით დარღვევას არ წარმოადგენდა და იგი არ შეიძლება ხელშეკრულების კანონის მოთხოვნათა დარღვევით დადებულად და მის ბათილად ცნობის საფუძველად იქნეს მიჩნეული. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ეს მოტივი უპასუხოდ დატოვა.

კასატორი თვლის, რომ არქიტექტურის სამსახურის 24.09.09წ. წერილი და არქიტექტურის სამსახურის საინვესტიციო განყოფილების უფროსის მიმართვა არ წარმოადგენენ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დაპირების მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებას, რადგანაც მათი პირდაპირი ადრესატი ადგილობრივი ქონების მართვის სამსახური და არა შპს „...“ იყო, წერილში აისახა სამსახურის სარეკომენდაციო ხასიათის პოზიცია, სამსახური არ იყო კომპეტენტური გასხვისების საკითხში, ამასთანავე, ის არაფერს დაპირებია შპს „...“. ამ მიმართებით ყურადსაღებია ის გარემოება, რომ აუქციონის ფორმით პრივატიზების მუდმივმოქმედი კომისიის 02.07.10წ. სხდომას, რომელზედაც დადგინდა აუქციონის ფორმით პრივატიზება, ესწრებოდნენ სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და არქიტექტურის სამსახურის საინვესტიციო განყოფილების უფროსი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მიღებულ გადაწყვეტილებას. სზაკ-ის 9.2 მუხლი გამოორიცხავს კანონიერი ნდობის არსებობას დაპირების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შემთხვევაში, არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ დაპირების გაცემა მისი კანონსაწინააღმდეგობის კონკრეტული გამოვლინებაა. მინის ნაკვეთის განკარგვა მერიის სსიპ ადგილობრივი ქონების მართვის სააგენტოს უფლებამოსილებაში შედის, შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურის დაპირება კანონსაწინააღმდეგოა.

კასატორი მ. მ-ი აღნიშნავს აგრეთვე, რომ თავდაპირველად სასარჩელო მოთხოვნას შეადგენდა აუქციონის ოქმის ბათილად ცნობა, ხოლო დაზუსტების შემდეგ მოსარჩელემ დამატებით

მოითხოვა 17.08.11წ. საკუთრების მონმობის ბათილობა, რაც სსკ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დაზუსტების ნაირსახეობებს სცილდება. სსკ-ის 215-ე მუხლის თანახმად მოსარჩელეს თავად უნდა დაეყენებინა შუამდგომლობა სარჩელის დაზუსტების შესახებ და თავად დაესაბუთებინა იგი, მოსარჩელის ეს პროცესუალური მოვალეობა სასამართლო კოლეგიამ იტვირთა. კასატორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ არც ერთი ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს კონკრეტული პირის პირად ინფორმირებას აუქციონის თაობაზე, ეს ეწინააღმდეგება საჯარო აუქციონის სამართლებრივ ბუნებას, შეუტყობინებლობით მოსარჩელის ინტერესები არ შელახულა. მოსარჩელეს აუქციონში მონაწილეობის შესაძლებლობა შეეზღუდებოდა მხოლოდ აუქციონის თაობაზე ინფორმაციის სათანადო წესით გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში, მაგრამ ინფორმაცია აუქციონის შესახებ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გამოქვეყნდა. კასატორი თვლის, რომ საკუთრების დამადასტურებელი მონმობა არის აღმჭურველი აქტი, რომლითაც მას მიენიჭა საკუთრების უფლება 142 კვ.მ. ნაკვეთზე, ამ აქტის საფუძველზე მან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებანი: შეადგინა მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობების პროექტი, პროექტი შეთანხმდა არქიტექტურის სამსახურის 20.09.11წ. ბრძანებით, 20.09.11წ. გაიცა მშენებლობის სანებართვო მონმობა, კასატორმა დაასრულა მე-2 ტიპის სამშენებლო სამუშაოების საძირკვლისა და სარდაფის მოწყობა, რაც გარდა უშუალოდ სამშენებლო დანიშნულებისა სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელიცაა – აღნიშნული წარმოადგენს შემდგომი ეტაპის და საბოლოოდ მშენებლობის დასრულების წინაპირობას. საკუთრების მონმობის გაუქმებით კასატორს მიადგება მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივრებს და ითხოვეს მათი დაკმაყოფილება. მონინააღმდეგე მხარის – შპს „...“ წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნეს და ითხოვეს მათ დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გა-

რემოებათა გამო:

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის 6.8 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების ცალკეული ფორმების, სარგებლობის უფლებით გადაცემისა და ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული აქციების, წილის მართვის უფლებით გადაცემის წესს ამტკიცებს ქ. თბილისის საკრებულო ქ. თბილისის მერიის წარდგინებით. ხსენებული კანონის 10.1 მუხლისა და ქ. თბილისის საკრებულოს 22.01.106. №1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზაციის წესის“ 9.1 მუხლის თანახმად სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულება (სზაკ-ის 66-ე მუხ., 70-ე მუხ., სზაკ-ის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი, სასკ-ის 25¹.2 მუხლი) და მის საფუძველზე გაცემული სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 17.08.106. №1164 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, სასკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 22-ე მუხლი). ამდენად, დავის გადაწყვეტა საჭიროებს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც თავის მხრივ საჭიროებს სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი კანონმდებლობის განსაზღვრას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აუქციონი – არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ გარკვეულ დროში განვითარებული პროცესი, რომლის ჩატარების კვალდაკვალ გამოიციემა ადმინისტრაციული აქტები (გადაწყვეტილება აუქციონის ჩატარების შესახებ, აუქციონზე გასატანი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, საკუთრების მოწმობა), სრულდება საჯარო მოქმედებები (ობიექტის აუქციონზე გატანის შესახებ ცნობის გამოქვეყნება, აუქციონის ჩატარება), იდება ხელშეკრულება. ხელშეკრულება და საკუთრების მოწმობა, რომელიც ძალაშია ხელშეკრულებასთან ერთად, წარმოადგენენ ამ პროცესის დამაგვირგვინებელ, შემაჯამებელ

დოკუმენტებს. მათი გასაჩივრებით საჩივრდება მთელი პროცესი, მისი გაუქმებით უქმდება აუქციონთან დაკავშირებული მთელი პროცედურა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის მოქმედების პერიოდში, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის ძალაში შესვლამდეა ჩატარებული ხელშეკრულების დადებამდე პროცედურები, კერძოდ, ქ. თბილისის მთავრობის 02.07.10წ. №19.46.951 დადგენილებით ქონების მართვის სააგენტოს დაევალა აუქციონის ჩატარება და შესაბამისად ინფორმაცია ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოქვეყნდა 13.07.10წ. გაზეთ „...“. სააპელაციო პალატამ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ 12.08.2010წ. აუქციონის ჩატარებისას 09.08.10წ. ძალაში შესული „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით ძალადაკარგულად გამოცხადდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონი, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აუქციონი ჩატარდა და ხელშეკრულება გაფორმდა ძალადაკარგული კანონის საფუძველზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ აუქციონის შედეგების გაუქმების საფუძველს არ ქმნის საკანონმდებლო ცვლილება. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის თანახმად, ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე მიღებული (გამოცემული) ყველა ნორმატიული აქტი, იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად. ამასთანავე კანონმდებლობით გათვალისწინებულია სადავო სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი საგამონაკლისო ნორმები, ახალი კანონმდებლობა ითვალისწინებდა გარდამავალ დებულებებს. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 16.4 მუხლის თანახმად ნორმატიული აქტი შეიძლება შეიცავდეს გარდამავალ დებულებებს, თუ განსაზღვრული ვადით დგინდება ძირითადისაგან განსხვავებული

ნორმები ან თუ ამ ნორმატიული აქტის სრულად ასამოქმედებლად გარკვეული პირობები და დროა საჭირო. სწორედ ასეთ ნორმებს ითვალისწინებდა ახალი კანონმდებლობა მის ძალაში შესვლამდე დაწყებული და დაუმთავრებელი აუქციონების მიმართ, რაც განაპირობებს სადავო სამართალურთიერთობების მიმართ ნორმების რეტროაქტიულობას. კერძოდ, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ 30.05.1997წ. კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ 21.07.10წ. კანონის 50-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, ამასთანავე, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებამდე (09.08.10წ.) დაწყებულ, სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული წესი. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლო უთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მხოლოდ 50-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს, სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა და ყოველგვარი შეფასების გარეშე დარჩა იმავე კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 16.4 მუხლის დებულებები, მიუხედავად იმისა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტო თავის სააპელაციო საჩივარში აუქციონის კანონიერების დასადასტურებლად საგანგებოდ უთითებდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის დებულებას.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 47.5 მუხლის ანალოგიურ მოწესრიგებას ადგენს აგრეთვე კანონქვემდებარე აქტი – ქ. თბილისის საკრებულოს 27.08.10 №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-17 მუხლი, რომლის თანახმად ამ წესის ძალაში შესვლამდე გამოცხადებული აუქციონის დასრულება ან/და შედეგების გაფორმება აუქციონატორს უნდა უზრუნველყო მანამდე მოქმედი ნორმატიული აქტის – ქ. თბილისის საკრებულოს 22.01.10წ. №1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ შესაბამისად. ქ. თბილისის საკრებულოს 22.01.10წ. №1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის 1-ლი მუხლის თანახმად, წესი შემუშავებულია „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“

კანონის შესაბამისად და კანონის 6.7 მუხლის თანახმად განსაზღვრავს ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესს (თავის მხრივ, საკრებულოს 22.01.10წ. №1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესი (მე-12 მუხ.) აგრეთვე ითვალისწინებდა წესის ძალაში შესვლამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე მანამდე მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.09.07წ. №1-1/1417 ბრძანებით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ჩფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების გამოყენებას). ამდენად, აუქციონის ჩატარების მომწესრიგებელი კანონმდებლობა საკანონმდებლო ნოვაციების შემთხვევებში ითვალისწინებდა აუქციონის პროცედურების უწყვეტობის უზრუნველყოფელ დებულებებს, შესაბამისად, ის გარემოება, რომ აუქციონი ჩატარდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის და ქ. თბილისის საკრებულოს 22.01.10წ. №1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე არ ადასტურებს 12.08.2010წ. აუქციონის უკანონობას, მის საფუძველზე გამოცემული 17.08.2010წ. №1164 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ბათილობას.

აუქციონის უკანონობას არ ადასტურებს აგრეთვე სააპელაციო პალატის მითითება იმის შესახებ, რომ აუქციონის ფორმით პრივატიზების ახალი წესი მიღებულია ქ. თბილისის საკრებულოს 27.08.10წ. №9-63 გადაწყვეტილებით, ხოლო სადავო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ხელშეკრულება) 12.08.10 წ. არის გაფორმებული. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატის განჩინება წინააღმდეგობრივია, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აუქციონის მიმართ ახალი კანონის და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტის ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული, ამასთანავე, სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ ახალი კანონის საფუძველზე კანონქვემდებარე აქტი აუქციონის ჩატარების (12.08.2010წ.) შემდეგ, კერძოდ, 27.08.10წ. იყო გამოცემული, რაც სააპელაციო პალატის აზრით გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობისაღმომისი გამოყენების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 47. 5 მუხლს, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მიხედვით პირდაპირი მოქმედების ძალა გააჩნდა, მიუხედავად იმისა თუ როდის იქნა მის შესასრულებლად მიღებული კანონქვემდებარე აქტი (22-ე მუხლის მე-10 პუნქტი), დაუშვებელია

საკანონმდებლო აქტით დადგენილი ნორმის შესრულებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მის შესასრულებლად მიღებული არ არის კანონქვემდებარე აქტი (22-ე მუხლის მე-11 პუნქტი). ამასთანავე, ქ. თბილისის საკრებულოს 27.08.10წ. №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლს თავისი შინაარსით უკუძალის ეფექტი აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს თავის დანიშნულებას, ნორმის უკუძალა პირდაპირ არის დადგენილი მისი შინაარსით, რაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად არის ნორმატიული აქტისათვის უკუძალის მინიჭების საფუძველი.

არ არის დასაბუთებული აუქციონის შედეგების გაუქმება თბილისის არქიტექტურის სამსახურის – ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 24.09.09წ. №12/51496-13, აგრეთვე არქიტექტურის სამსახურის საინვესტიციო განყოფილების უფროსის 26.06.10წ. №07/18186.13 წერილისადმი მოსარჩელის კანონიერი ნდობის არსებობით. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ სსიპ არქიტექტურის სამსახურის წერილი მიიჩნია კანონიერი ნდობის საფუძვლად, სასამართლოს მესამე პირად არ ჩაუბია იგი საქმეში. საქმეში დაცული არქიტექტურის სამსახურის წერილები არ წარმოადგენენ აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, შპს „...“ არ იყო აღმჭურველი აქტის ადრესატი, ხსენებული წერილით მას არ მოუპოვებია ხელსაყრელი სამართლებრივი მდგომარეობა, შესაბამისად არ საბუთდება კანონიერი ნდობით ხელსაყრელი მდგომარეობის შენარჩუნების მოთხოვნა, მოსარჩელეს არ განუხორციელებია რაიმე იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედება, შესაბამისად დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის კანონიერი ნდობის გამო 12.08.2010წ. №6-46-172 ოქმი (ხელშეკრულება) და მის საფუძველზე ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 17.08.2010წ., №1164 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა მოსარჩელე შპს „...“ აყენებს პირდაპირ და უშუალო არსებით ზიანს და უკანონოდ ზღუდავს მის კანონიერ უფლებას. საკასაციო ცხადია აღნიშნავს, რომ კანონიერი ნდობის საფუძველს შესაძლოა ქმნიდეს არა მხოლოდ აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი (სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-4, მე-5, მე-6 ნაწილები), არამედ აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება, რომელიც სზაკ-ის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს და-

ინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი. დაპირების შინაარსიდან აშკარად უნდა მომდინარეობდეს, რომ ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია იღებს შესაბამის რაიმე ქმედებას. ქმედების შესრულებაში იგულისხმება აგრეთვე რაიმე მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავება ანუ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უნდა იღებდეს არ განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებისაგან რომელიმე. სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლომ მოსარჩელის კანონიერი ნდობის არსებობა დადგენილად მიიჩნია დაპირების გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ არქიტექტურის სამსახურის კომპეტენციის და კონკრეტულად, არქიტექტურის სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის წერილის ხელმომწერი თანამდებობის პირების უფლებამოსილების გარკვევის გარეშე. სსიპ არქიტექტურის სამსახური, ქ. თბილისის მთავრობის 22.12.08წ., №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, არ წარმოადგენს მინის ნაკვეთის განკარგვაზე უფლებამოსილ ორგანოს. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონის 33-ე მუხლის მიხედვით, ქ. თბილისის თვითმმართველობის საკუთრებაშია ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ამდენად, არქიტექტურის სამსახური არ იყო მინის ნაკვეთის მესაკუთრე, ნაკვეთის განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო, ნაკვეთის მესაკუთრეს – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, უძრავი ქონების განკარგვაზე უფლებამოსილ პირს – მერიის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს ნება მოსარჩელისათვის ნაკვეთის მიკუთვნებაზე არ გამოუვლენია, შესაბამისად არ დასტურდება არქიტექტურის სამსახურის წერილით ნაკვეთის მოსარჩელისათვის მიკუთვნების მოლოდინის შექმნა, მოსარჩელის დაცვის ღირსი კანონიერი ნდობა და მასასადამე არ იკვეთება აუქციონის ჩატარებით ნდობის საწინააღმდეგო ქცევის შესრულება მინის ნაკვეთის მესაკუთრის მხრიდან. სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 24.09.09წ. №12/51496.13 წერილით ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურმა მითითებული ტერიტორიის განკარგვა შესაძლებლად მიიჩნია შემდგომში მომიჯნავე ნაკვეთთან გაერთიანების მიზნით. სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.09.09წ., 19.02.10წ. წერილებში საუბარია ნაკვეთის შესაძლო განვითარებაზე და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ და უსათუოდ მომიჯნავე ნაკვეთთან სადავო ნაკვეთის გაერთიან-

ნების შესახებ ვალდებულების აღებაზე, ამასთანავე, სადავო მიწის ნაკვეთი არ ყოფილა ცნობილი ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.09 წ. №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის“ 27.5 მუხლით გათვალისწინებული ე.წ. შეუსაბამო სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთად. სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცეს დაპირება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მხოლოდ დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემად. სწორედ აღნიშნულის გამო არქიტექტურული სამსახურის 24.09.09წ. №12/51496.13 წერილის ტექსტის თანახმად, საკითხი შემდგომი მსვლელობისათვის გაეგზავნა ქონების მართვის საქალაქო სამსახურს, რაც დამატებით ადასტურებს უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის საჭიროებას. სააპელაციო პალატა მოსარჩელის კანონიერი ნდობის არსებობას ადგენს მხოლოდ სზაკ-ის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დებულება იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ დაპირების გაცემის თაობაზე, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. სასამართლომ არქიტექტურის სამსახურის საინვესტიციო განყოფილების უფროსის 26.02.10წ. №07/18186.13 წერილი მიიჩნია ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებად, თუმცა წერილის მიხედვით მოსარჩელე არ არის წერილის ადრესატი. ამასთანავე, აპელანტის, მ. მ-ის მოთხოვნის მიუხედავად სასამართლოს არ დაუდგენია ხსენებული 26.02.10წ. წერილის კავშირი სადავო ნაკვეთის მიმართ, არ გამოუთხოვია წერილის დანართი. საკასაციო პალატა თვლის, რომ 26.02.10წ. წერილის შინაარსის სადავო ნაკვეთისადმი კავშირის გარკვევას საჭიროებდა იმის გათვალისწინებით, რომ მანამდე სსიპ არქიტექტურის სამსახურმა განიხილა საკითხი და 29.10.09წ. №07/78615-13 ქალაქგეგმარებითი დასკვნით 142 კვ.მ. ტერიტორიის განკარგვა შესაძლებლად მიიჩნია.

ზოგადად ბუნდოვანია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმაზე, რომ „დაინტერესებულ მხარეს წარმოუშვა კანონიერი ნდობის საფუძველი იმის შესახებ, რომ მის საკუთრებაში არსე-

ბული მიწის ნაკვეთთან ერთად იყო შესაძლებელი აუქციონზე გატანილი ქონების განკარგვა და მის შეუტყობინებლად არ მოხდებოდა ქონების განკარგვა“. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (მომზადების თარიღი 12.10.10წ.) სადავო ნაკვეთის მიმდებარე 2491.00 კვ.მ. მომიჯნავე მიწის ნაკვეთი იმყოფება შპს „...“ საკუთრებაში, პრივატიზაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი და არა კერძო საკუთრებაში მყოფი ქონების პრივატიზაციას, ამდენად გაუგებარია სასამართლოს მითითება აუქციონზე მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ნაკვეთთან ერთად ქონების განკარგვის შესაძლებლობის შესახებ. რაც შეეხება აუქციონის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას, სსიპ არქიტექტურის სამსახურის წერილი არ შეიცავს რაიმე მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის შეუტყობინებლად აუქციონი არ ჩატარდებოდა, კანონმდებლობის თანახმად საჯარო გამოცხადებით ხდება პრეზიუმირება იმისა, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ყველასათვის ცნობილია. ინფორმაცია ქ. თბილისში, ..., ... კვ. კ... ქ. №5 კორპუსის მიმდებარედ არსებული 142 კვ.მ. ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...) აუქციონზე გატანის შესახებ, იმჟამად მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის, საკრებულოს 22.01.10წ. №1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად არის გამოქვეყნებული. ინფორმაცია აუქციონის შესახებ განთავსდა 13.07.10წ. გაზეთ „...“. აღსანიშნავია, რომ სადავო ნაკვეთის აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ პრესაში მანამდეც გამოქვეყნებულა, კერძოდ, ინფორმაცია ქ. თბილისში, ..., ... კვ., კ... ქ. №5 კორპუსის მიმდებარედ 142 კვ.მ. ნაკვეთის აუქციონის წესით (ლოტი №4) გაყიდვის შესახებ განთავსდა 30.11.09წ. გაზეთ „ს...“. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აუქციონის ჩატარების შესახებ კონკრეტული პირისათვის შეტყობინების გაგზავნის ვალდებულებას, აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ცნობილი ხდება მისი საჯარო გამოქვეყნებით და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო მასში მონაწილეობის მიღება. მოსარჩელეს აუქციონში მონაწილეობის უფლება შეეზღუდებოდა აუქციონის თაობაზე ინფორმაციის სათანადო წესით გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობრივია, სასამართლო ერთი მხრივ, დაუშვებლად მიიჩნევს სადავო ნაკვეთის განკარგვას მოსარჩელის საკუთრებაში

მყოფი მომიჯნავე მიწის ნაკვეთის გარეშე, ხოლო მეორე მხრივ აღნიშნავს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით სადავო ნაკვეთი კვლავ აღირიცხება ქ. თბილისის მერიის სახელზე, რის შედეგადაც შპს „...“ მიეცემა შესაძლებლობა, სხვა პირებთან ერთად, კანონით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს სადავო მიწის ნაკვეთზე გამოცხადებულ აუქციონში და იბრძოლოს აუქციონში გამარჯვების მოპოვებისათვის. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უკეთეს სადავო მიწის ნაკვეთის განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ მიმდებარე ნაკვეთთან ერთად, გაუგებარია თუ როგორ მიიღებს სხვა პირებთან ერთად მოსარჩელე ახლად გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობას, საერთოდ როგორ მოხდება ახალი აუქციონის გამოცხადება მაშინ, როდესაც შემდეგი განკარგვა სადავო ნაკვეთისა შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ მოსარჩელისათვის, როგორც მეზობლად მიმდებარე ნაკვეთის მესაკუთრისათვის, ფაქტიურად პირდაპირი მიყიდვით. აუქციონის ფორმით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების მიზანია კონკურენტულ გარემოში იმ მიყიდვლისათვის საკუთრების უფლების გადაცემა, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადდა პირობებით – საკუთრების უფლება მიენიჭება იმ მიყიდველს, რომელიც აიღებს პირობების დაკმაყოფილების ვალდებულებას და ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ამდენად, სასამართლოს დასკვნა სადავო ნაკვეთის მომიჯნავე ნაკვეთის გარეშე განკარგვის შეუძლებლობის შესახებ თავის მხრივ გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას შპს „...“ სხვა პირებთან ერთად ნაკვეთზე გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის შესახებ. რაც შეეხება ქონების პირდაპირ მიყიდვას, ის სცილდება ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების ფარგლებს, აუქციონის გამოცხადების დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის მე-6, 6¹ მუხლების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდებოდა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, განსაკუთრებულ შემთხვევაში – საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე. ამჟამად მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეუ-

ლის ქონების შესახებ“ კანონის 19¹ მუხლი პირდაპირი მიყიდვის ფორმით თვითმმართველი ქონების პრივატიზებას ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, იმავე წესს ითვალისწინებს აგრეთვე „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონი, რომლის დებულებები „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის 19¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ვრცელდება თვითმმართველი ერთეულის პრივატიზაციის პროცესზე იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონს.

იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირის) კანონსაწინააღმდეგო დაპირება არ შეიძლება გახდეს კანონიერი ნდობის საფუძველი (სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი), აგრეთვე კანონიერი ნდობისა და მმართველობის კანონიერების პრინციპის მჭიდრო ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა დაპირების კანონიერებაზე ანუ იმაზე თუ რამდენად შესაბამება დაპირება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამდენად მოთხოვნის დაკმაყოფილების სავალდებულო პირობას წარმოადგენს დაპირების მართლზომიერების გარკვევა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა საკითხის სუბიექტურ მხარეს ანუ იმას თუ რამდენად იყვნენ გარკვეულნი დაპირების მიმცემი და დაინტერესებული მხარე დაპირების კანონმდებლობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობაზე, არამედ იმას თუ ობიექტურად რამდენად შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს დაპირება. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ნაკვეთის სივრცობრივ-ტერიტორიული მოწყობა, ქალაქგეგმარება მოცემული დავის მნიშვნელოვანი ასპექტია, სააპელაციო სასამართლოს სადავო ნაკვეთის პრივატიზაციის კანონიერების გარკვევის თვალსაზრისით უნდა იქნეს შესწავლილი საკითხის ქალაქგეგმარებითი ასპექტი, ამ თვალსაზრისით ტერიტორიის განკარგვის მართლზომიერების დასადგენად სასამართლოს უნდა ემსჯელა სადავო ნაკვეთის განკარგვის „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის, აგრეთვე ამ კანონის საფუძველზე ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.09წ. №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ნორმებთან შესაბამისობაზე.

სააპელაციო სასამართლომ სსიპ არქიტექტურის სამსახურის 24.09.09წ. წერილი მოსარჩელის კანონიერი ნდობის საფუძველად მიიჩნია, ამასთანავე, სასამართლოს შეფასების მიღმა

დარჩა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.10.09წ. ქალაქგეგმარებითი დასკვნა, რომლის მიხედვით სამსახურმა განიხილა ქ. თბილისში, ..., ... კვ., კ... ქ. მე-5 კორპუსის მიმდებარედ 142 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით განკარგვის საკითხი, სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მითითებული ტერიტორიის განკარგვა შესაძლებლად მიიჩნია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ-1) ფუნქციით. დასკვნა არ შეიცავს რაიმე მითითებას ნაკვეთის მომიჯნავე ნაკვეთთან გაერთიანების მიზნით განკარგვის საჭიროების შესახებ. სასამართლოს არ უმსჯელია არქიტექტურის სამსახურის 29.20.09წ. ქალაქგეგმარებითი დასკვნის კანონიერებაზე, ქალაქგეგმარებითი დასკვნის მოპასუხის – მ.მ-ის კანონიერი ნდობის საფუძვლად მიჩნევის შესაძლებლობაზე. სასამართლომ მსჯელობა იქონია მხოლოდ მოსარჩელის კანონიერ ნდობაზე, სააპელაციო პალატა მოწინააღმდეგე მხარის მ. მ-ის კანონიერ ნდობაზე მსჯელობისას შემოიფარგლა მითითებით იმაზე, რომ სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით აღმჭურველი აქტი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შპს „...“ კანონიერი უფლების არსებითი დარღვევის გამო, პალატას არ დაუსაბუთებია მოსარჩელის უფლების ან კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა. სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიაღდა ზიანი, კანონიერი ნდობა არ არსებობს თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება. საქმის მასალებით არ დასტურდება მ.მ-ის მიერ რაიმე უკანონობის ჩადენა, ამასთანავე სადავო აქტის საფუძველზე მას განხორციელებული აქვს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება. კერძოდ, ნაკვეთი საჯარო რეესტრში აღირიცხა მ. მ-ის სახელზე, მან წარუდგინა ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი პროექტი, არქიტექტურის სამსახურის მიერ 20.09.11წ. გამოცემული ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის პროექტი, სადავო ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. აღნიშნულის საფუძველზე მ. მ-ს დაწყებული აქვს ობიექტის მშენებლობა. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის 19⁴ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატი-

ზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა ჩატარებული აუქციონის შედეგების, აგრეთვე არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებული პროექტის და გაცემული მშენებლობის ნებართვის მიმართ მ. მ-ის კანონიერი ნდობის არსებობაზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს შპს „...“ წარმომადგენლის მოსაზრებას სადავო ნაკვეთის მ. მ-ის საკუთრებაში გადაცემით შპს „...“ საკუთრებაში აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების აღკვეთის შესახებ. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.04.11წ. გადაწყვეტილებით შპს „...“ შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა მ. მ-ის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე აუცილებელი გზით სარგებლობის უფლებას, არ დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილების ეს ნაწილი უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.02.12წ. გადაწყვეტილებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს შპს „...“ საჭიროებისათვის მ. მ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზის გამოყოფის საჭიროება. ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ბიუროს №025691-2011/03/1 საექსპერტო დასკვნის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ნაკვეთს, რომელიც ეკუთვნის შპს „...“, ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება კ... ქუჩა, ხოლო აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება საავტომობილო ასფალტირებული გზა, ნაკვეთს ფაქტობრივი მდგომარეობით აღმოსავლეთის მხრიდან გააჩნია ეზოში შესასვლელი ჭიშკარი. შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნაკვეთს გააჩნია ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან, არ არსებობს სკ-ის 180-ე მუხლის კვალიფიკაციისათვის ფაქტობრივი გარემოებები. სსკ-ის 226-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს არ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. ხსენებული სასამართლო გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ სასამართლო დავის აღძვრამდე შპს „...“ ანალოგიური (შპს „...“ ტერიტორიაზე მისასვლელი საავტომობილო გზის ხელის შეშლის აღკვეთის) მოთხოვნით მიმართა შს სამინისტროს, რომლის გადაწყვეტილებით შპს „...“ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა, საჩივრის ავტორს მიეთითა, რომ გზა შეიძლება მოენწყოს სხვა მხრიდანაც, რის საშუალებასაც იძლევა შპს „...“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და მისი პარამეტრები. სა-

სამართლოს აქტივით გადაწყვეტილია აგრეთვე ნაკვეთების საზღვრების გადაფარვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.08.12წ. განჩინება გამოტანილია სამართლის ნორმების დარღვევით (სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სააპელაციო სასამართლო არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, განჩინება დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მიღებულია სსკ-ის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით, სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივრის მოტივებზე და ძირითადში შემოიფარგლა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მოსაზრებების გამეორებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი, მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, შესაბამისად არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ქ.თბილისის მერიის, ქ.თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, მ. მ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.08.2012წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჩატარებული აუქციონის კანონიერება

განჩინება

№ბს-500-494(კ-12)

20 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 5 ოქტომბერს კ. ს-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – თბილისის სააღსრულებო ბიუროს, შპს „...“, ნოტარიუს – ე. შ-ის, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს, სპს „ი...“, აღმასრულებელ ო. ჩ-ის, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის, გ. მ-ისა და დ. მ-ის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2005 წლის 23 თებერვალს გ. მ-თან გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომელშიც არასწორად მიეთითა სესხის თანხად 37950 აშშ დოლარი, რამდენადაც მოსარჩელემ გ. მ-ისაგან რეალურად ისესხა 33000 აშშ დოლარი თვიური 5%-ის სარგებლის დარიცხვით, 3 თვის ვადით. ასევე საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათების საფუძველზე ხელშეკრულებაში არასწორად მიეთითა იპოთეკის საგნის – მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების ფართი 170 კვ.მ., რამდენადაც ბინის საერთო ფართია 218 კვ.მ. გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელის მითითებით, მისთვის არ იყო ცნობილი ხელშეკრულების მე-9 პუნქტის დათქმის შესახებ, რომ მხარეთა შორის შესაძლო დავა უნდა წარმართულიყო შპს „...“.

მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია მის მიერ ვალის გადაუხდელობის გამო, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ მიღებული განწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებული აუქციონი.

მოსარჩელის მითითებით, აღმასრულებლის მიერ დაირღვა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, რამდენადაც აღმასრულებელს არ შეუდგენია განგარიშება გადაწყვეტილების აღსრულების ხარჯების ოდენობის შესახებ. ასევე დაირღვა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მოთხოვნა, რამდე-

ნადაც მოვალეს არ განემარტა აღმასრულებლის აცილების უფლების შესახებ. აღმასრულებელმა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, არ აწარმოა მოვალის ქონების აღწერა. გარდა მითითებულისა, დაირღვა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გაწესებული უფლება, რამდენადაც კ. ს-ემ სადავოდ გახადა ქონების შეფასება, რის გამოც საჩივრით მიმართა სააღსრულებო ბიუროს, მაგრამ საჩივარი აუქციონის ჩატარების შემდეგ დარეგისტრირდა სააღსრულებო ბიუროში.

მოსარჩელის მითითებით, აღმასრულებელმა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, თვითონ არ შეაფასა იპოთეკით დატვირთული მოვალის კუთვნილი ქონება და მიმართა შპს „ი...“, რომელიც უფლებამოსილი არ იყო განეხორციელებინა ქონების შეფასება.

ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის გადაწყვეტილების, მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის, აუდიტორული შეფასებისა და იძულებითი აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით კ. ს-ის სარჩელიდან ცალკე წარმოებად გამოიყო მოთხოვნები სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, სააღსრულებო ფურცლის და აუდიტორული შეფასების აქტის ბათილად ცნობის ნაწილში და განსახილველად გადაეცა სა მოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის განცხადება და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე ბინა №6-ს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება დ. მ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 თებერვლის საოქმო განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა მოსარჩელე კ. ს-ის გარდაცვალების გამო ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2010 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით კ. ს-ის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაებნენ ნ. და რ. ს-ეები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. და რ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით დამტკიცდა მოდავე მხარეებს შორის მორიგების აქტი, რომლის თანახმად, კ. ს-ემ იკისრა ვალდებულება გ. მ-ისათვის გადაეხადა 39600 აშშ დოლარი 2005 წლის 19 აგვისტომდე, ხოლო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში გ. მ-ს ენიჭებოდა უფლებამოსილება მოსთხოვა სააღსრულებო ფურცელი.

2005 წლის 23 აგვისტოს გ. მ-მა მიმართა სააღსრულებო ბიუროს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით. 2005 წლის 23 აგვისტოს მოვალეს – კ. ს-ეს მიეცა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით 5-დღიან ვადაში აღსრულების შესახებ. 2005 წლის 9 სექტემბერს აღმასრულებელმა მიმართა შპს „ი...“ კ. ს-ის კუთვნილი, ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე №6 ბინის შეფასების მოთხოვნით. აუდიტორული დასკვნის თანახმად, მითითებული უძრავი ქონება შეფასდა 85000 აშშ დოლარად. შეფასების შესახებ წერილობით ეცნობა მოვალეს 2005 წლის 12 სექტემბერს, რომელსაც განემართა, რომ შეეძლო ედავა ქონების ფასზე.

2005 წლის 14 სექტემბერს კრედიტორმა გ. მ-მა განცხადებით მიმართა აღმასრულებელს კ. ს-ის კუთვნილ საცხოვრებელ ბინაზე იძულებითი აუქციონის დანიშვნის შესახებ. აღმასრულებლის 2005 წლის 14 სექტემბრის განკარგულებით დაინიშნა პირველი იძულებითი აუქციონი 2005 წლის 27 სექტემბერს. იძულებით აუქციონზე იპოთეკით დატვირთული, კ. ს-ის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა შეიძინა დ. მ-მა 59500 აშშ დოლარის ექვივალენტ თანხად ლარში.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2005 წლის 9 სექტემბრის მიმართვის საფუძველზე, შპს „ი...“ მიერ 2005 წლის 12 სექტემბერს კ. ს-ის კუთვნილი, 170 კვ.მ. ფართის უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში, საბაზრო ფასებიდან გამომდინარე შეფასდა 85000 აშშ დოლარად, რაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, მოსარ-

ჩელეს სადავოდ არ გაუხდია.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოვალის მიერ სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის გამო, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის შესაბამისად, დაინიშნა იძულებითი აუქციონი. აუქციონის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „სიტყვა და საქმეში“, ასევე შეტყობინება ჩაბარდა კ. ს-ის რძალს, 2005 წლის 18 სექტემბერს. 2005 წლის 27 სექტემბერს გამართულ პირველ იძულებით აუქციონზე, კ. ს-ის კუთვნილი ბინა ბოლო შეთავაზებულ ფასად – 59500 აშშ დოლარის ექვივალენტ თანხად ლარში შეიძინა დ. მ-მა, რომელიც 2005 წლის 13 ოქტომბერს ბინის მესაკუთრედ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს სასამართლოში სადავოდ არ გაუხდია აღმასრულებლის თითოეული დამოუკიდებელი მოქმედება. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება აღმასრულებლის მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-10, 25-ე, მე-15, მე-17, 47-ე, 63.1 მუხლების დარღვევის შესახებ და მიიჩნია, რომ არ არსებობდა აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის საფუძველი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. და რ. ს-ეებმა, რომლებმაც მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 26 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა ნ. ს-ის გარდაცვალების გამო.

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის საოქმო განჩინებით საქმის წარმოება განახლდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინებით რ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შე-საბამისად, მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია აღმასრულებ-ლის თითოეული დამოუკიდებელი მოქმედება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზ-რება, რომ აღმასრულებლის მიმართ დისციპლინური პასუხის-მგებლობისა და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან და-კავშირებით და აღნიშნა, რომ აღნიშნული ვერ წარმოშობს სარ-ჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა-ასაჩივრა რ. ს-ემ, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარ-ტის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გა-მოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არ შეფასა საქ-მეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, სისხლის სა-მართლის საქმის მასალები, რომელთა თანახმად, აღმასრულე-ბელმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება – მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბორო-ტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სხვის-თვის უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ჰირისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გა-მოიწვია.

სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამარ-თლოს 2010 წლის 23 თებერვლის სხდომის ოქმის მიხედვით, აღ-მასრულებელი თავს მთლიანად ცნობდა დამნაშავედ წარდგე-ნილ ბრალდებაში. ამ უკანასკნელმა აღიარა, რომ არ აღუწერია და არ დაუყადაღებია ქონება, რითაც დაარღვია კანონის მოთ-ხოვნა. ასევე აღმასრულებელმა აღიარა, რომ მისი მიზანი იყო აუქციონზე ბინის იაფად გაყიდვა კრედიტორის სასარგებლოდ.

გარდა აღნიშნულისა, კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მას სადავოდ არ გაუხდია აღ-მასრულებლის თითოეული ქმედება. კასატორის განმარტებით, სარჩელი მოიცავს პრეტენზიას ქონების შეფასების ოდენობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 ივნისის განჩინებით, საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარ-მოებაში იქნა მიღებული რ. ს-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რ. ს-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2005 წლის 23 თებერვალს გ. მ-სა და კ. ს-ეს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა კ. ს-ის კუთვნილი, ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე, 170 კვ.მ. ფართის საცხოვრებელი ბინა №6. ვალის გადაუხდელობის გამო, მხარეთა შორის დავა წარიმართა სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედ არბიტრაჟში, სადაც მხარეთა შორის მიღწეულ იქნა მორიგება. მორიგების პირობების თანახმად, კ. ს-ემ იკისრა ვალდებულება 2005 წლის 19 აგვისტომდე გ. მ-ისათვის გადაეხადა 39600 აშშ დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილი იქნებოდა მიეღო საარბიტრაჟო სასამართლოსაგან სააღსრულებო ფურცელი. მოვალის მიერ მორიგების პირობების შეუსრულებლობის გამო, 2005 წლის 22 აგვისტოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი და არბიტრაჟის გადაწყვეტილება, კ. ს-ისათვის თანხის დაკისრების შესახებ, მიექცა აღსასრულებლად.

2005 წლის 23 აგვისტოს მოვალე კ. ს-ეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მიექცა წინადადება 5 დღის ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, რაც მოვალის მიერ არ შესრულდა და არბიტრაჟის გადაწყვეტილება მიექცა იძულებით აღსასრულებლად.

2005 წლის 9 სექტემბერს აღმასრულებელმა იპოთეკის საგნის – მოვალე კ. ს-ის კუთვნილი საცხოვრებელი ბინის შესაფასებლად მიმართა შპს „ი...“. 2005 წლის 12 სექტემბრის აუდიტორული შეფასების დასკვნის თანახმად, სარეალიზაციო ბინა შეფასდა 85000 აშშ დოლარად. აღნიშნული შეფასების აქტი აღსრულების მონაწილე მხარეებს – კრედიტორსა და მოვალეს ჩა-

ბარდათ 2005 წლის 12 სექტემბერს.

2005 წლის 14 სექტემბერს აღმასრულებელს იძულებითი აუქციონის დანიშვნის მოთხოვნით მიმართა კრედიტორმა – გ. მ-მა. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2005 წლის 14 სექტემბრის განკარგულებით დანიშნა პირველი იძულებითი აუქციონი 2005 წლის 27 სექტემბერს, რის შესახებაც კ. ს-ეს ეცნობა 2005 წლის 19 სექტემბერს. 2005 წლის 27 სექტემბერს ჩატარებულ პირველ იძულებით აუქციონზე, მოვალის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა, ბოლო შეთავაზებულ ფასად – 59500 აშშ დოლარის ექვივალენტ თანხად ლარში, შეიძინა მოქალაქე დ. მ-მა და 2005 წლის 13 ოქტომბერს სადავო ბინა დარეგისტრირდა ამ უკანასკნელის სახელზე.

2005 წლის 5 ოქტომბერს აღძრული სარჩელით კ. ს-ემ მოითხოვა აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა. წარმოდგენილი სარჩელის ძირითად საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ აღმასრულებლის მიერ იძულებითი აუქციონი ჩატარდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, აუქციონზე სარეალიზაციო ბინა შეფასდა საბაზრო ღირებულებასთან შედარებით ნაკლებ ფასად, რითაც მას მიადგა ზიანი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოებმა მოცემული სარჩელის ფარგლებში მხოლოდ ფორმალურად იმსჯელეს ჩატარებული აუქციონის კანონიერებაზე და არ უმსჯელიათ მოსარჩელის მიერ მითითებულ ძირითად არგუმენტებზე, ასევე არ გამოუკვლევიათ და არ შეუფასებიათ დავის გადანწყვეტისათვის არსებითი გარემოებები. სასამართლოებმა ზოგადად მიუთითეს, რომ მოსარჩელეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, სადავოდ არ გაუხდია აღმასრულებლის ცალკეული მოქმედებები, თუმცა სასამართლოს გადანწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას, რომელი მოქმედება არ იქნა გასაჩივრებული მოსარჩელის მიერ კანონით დადგენილი წესით.

სასარჩელო მოთხოვნა ემყარება იმ ძირითად არგუმენტს, რომ აღმასრულებელი დაეყრდნო სადავო, მოვალის კუთვნილი ბინის ღირებულების არასწორ შეფასებას, რომელიც განახორციელა შპს „ი...“ და შესაბამისად, აუქციონზე ბინა გაიყიდა მის რეალურ ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სასამართლოთა შეფასებას, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია აღმასრულებლის მოქმედება.

აუქციონის ჩატარების დროისათვის მოქმედი „სააღსრულებ-

ბო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ფულის ან ქონების გადახდევინებისას აღსასრულებელი გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ მოვალისათვის წინადადების ჩაბარებასთან ერთად სასამართლო აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების აღწერას ან დაყადაღებას კანონით დადგენილი წესით, რაც მოცემულ შემთხვევაში აღმასრულებელს არ განუხორციელებია. ამავე კანონის 63¹ მუხლის თანახმად, უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვნის, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების აკრძალვას. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დადგენილი წესით. ყადაღადადების აქტის ასლი იგზავნება საჯარო რეესტრში.

მითითებული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, ყადაღადადებულ ნივთებს შეაფასებს სასამართლო აღმასრულებელი ჩვეულებრივი საბაზრო ფასებით. სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია შეფასება დაავალოს ექსპერტს ან აუდიტს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მონინაალმდევე მხარის მითითებას, რომ აღმასრულებელი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის (აუქციონის ჩატარების დროისათვის მოქმედი რედაქცია) შესაბამისად, უფლებამოსილი იყო სარეალიზაციო ბინის ღირებულების შესაფასებლად მიემართა აუდიტისათვის, რამდენადაც მითითებული ნორმა ანიჭებს უფლებამოსილებას აღმასრულებელს ქონების ღირებულება განსაზღვროს აუდიტის დასკვნის საფუძველზე და არ შეიცავს იმპერატიულ მოთხოვნას აღმასრულებელმა თავად შეაფასოს სარეალიზაციო ქონება. განსხვავებით მითითებული ნორმის ამჟამად მოქმედი რედაქციისა, რომლის თანახმად, ქონების აღწერის დროს მისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესაძლებლობის შემთხვევაში, აღწერისა და დაყადაღების აქტში მიეთითება ქონების საბაზრო ღირებულება, ხოლო შეფასებას ახორციელებს სააღსრულებო ბიურო ან სხვა კომპეტენტური პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონების ფასის დადგენა შეუძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში აღმასრულებელმა 2005 წლის 9 სექტემბერს მიმართა შპს „ი...“ მოვალის კუთვნილი საცხოვრებელი ბინის შეფასების მიზნით. 2005 წლის 12 სექტემბრის აუდიტის დასკვნის თანახმად, ბინის საბაზრო ღირებულება შეად-

გენდა 85000 აშშ დოლარს. მითითებული შეფასების აქტი 2005 წლის 12 სექტემბერს გაეცნო რა მოვალეს, 2005 წლის 17 სექტემბერს კ. ს-ემ თავად მიმართა შპს „ა...“ ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე ბინა №6-ის შესაფასებლად. 2005 წლის 21 სექტემბრის აუდიტორული დასკვნის თანახმად, ბინის ღირებულება, საბაზრო ფასების გათვალისწინებით, შეადგენდა 190000 აშშ დოლარს.

ამდენად, მითითებული აუდიტორული დასკვნები სრულიად განსხვავებულ მონაცემებს შეიცავდა შესაფასებელი ბინის მიმართ. შპს „ი...“ დასკვნის თანახმად, ბინა განეკუთვნება ე.წ. „სუფთა ბინების“ კატეგორიას, ძველი რემონტით, ხოლო შპს „ა...“ დასკვნის მიხედვით, რომელიც შედგენილია პირველი აუდიტორული შეფასებიდან 10 დღის შემდეგ, ბინას ჩატარებული ჰქონდა ევრო რემონტი. ამასთან, მართალია შპს „ი...“ ბინის შეფასებისას დაეყრდნო საჯარო რეესტრის მონაცემებს, რომლის თანახმად, შესაფასებელი ბინის ფართი შეადგენდა 170 კვ.მ., ხოლო შპს „ა...“ დაეყრდნო ფაქტობრივ მდგომარეობას და შეფასება განახორციელა ბინის საერთო ფართის – 218 კვ.მ. მიხედვით, თუმცა, ფართებს შორის განსხვავების მიუხედავად, ბინის ღირებულების ნაწილში მითითებული აუდიტორული შეფასებები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასეთ ვითარებაში, მოვალემ აუქციონის ჩატარებამდე, 2005 წლის 26 სექტემბერს განცხადებით მიმართა აღმასრულებელს, სადაც მიუთითებდა, რომ შპს „ი...“ მიერ ჩატარებული შეფასება არ შეესაბამებოდა რეალობას, რაც დასტურდებოდა შპს „ა...“ დასკვნით. შესაბამისად, მოვალემ წარდგენილი განცხადებით მოითხოვა ბინის განმეორებითი შეფასება და 2005 წლის 27 სექტემბერს დანიშნული აუქციონის გადადება.

მოვალის მიერ წარდგენილ განცხადებაზე აღმასრულებელმა აუქციონის ჩატარების შემდეგ, 2005 წლის 29 სექტემბერს წერილით აცნობა, რომ ბინა შეფასდა შპს „ი...“ მიერ, შეფასების შედეგები მას ეცნობა 2005 წლის 12 სექტემბერს და განემარტა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებები. ასევე მოვალეს განემარტა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, კრედიტორის წერილობითი განცხადების გარეშე აღმასრულებელს არ შეეძლო შეეჩერებინა ან შეენწყვიტა აღსრულება, დაებრუნებინა კრედიტორისათვის სააღსრულებო საბუთი, სხვა დროისათვის გადაედო სააღსრულებო მოქმედების შესრულება. მითითებული მოქმედებების შესრულება აღმასრულებელს შეეძლო სასამართლოს

განჩინების საფუძველზე.

აღნიშნულის შესაბამისად, მოვალემ 2005 წლის 5 ოქტომბერს აღძრული სარჩელით აუქციონის შედეგების ბათილად ცნობასთან ერთად მოითხოვა შპს „ი...“ შეფასების აქტის ბათილად ცნობაც. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სასამართლოთა შეფასებას, რომ კ. ს-ეს კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუხდია აღმასრულებლის მოქმედება.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ დაესწრონ აღსრულების მიმდინარეობას, გაეცნონ სააღსრულებო მასალებს, მიიღონ აუცილებელი ცნობები, რომლებიც შეეხება აღსრულებას, მორიგდნენ, იდავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფაზზე. გაასაჩივრონ სასამართლო აღმასრულებლის მოქმედება სასამართლოში სააღსრულებო მოქმედების განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში. ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა ან უნდა გამხდარიყო მისი უფლების დარღვევის შესახებ.

საქმის მასალების მიხედვით, კ. ს-ეს შპს „ი...“ შეფასების აქტი ჩაბარდა 2005 წლის 12 სექტემბერს, ხოლო სარჩელი აღიძრა 2005 წლის 5 ოქტომბერს, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ერთთვიანი ვადის დაცვით. მით უფრო, რომ სარჩელის აღძვრამდე მოსარჩელემ აღმასრულებელს მიმართა განცხადებით, რომლითაც სადავოდ ხდიდა ჩატარებული შეფასების სისწორეს.

შესაბამისად, გაურკვეველია სასამართლოთა შეფასება, რომ მოსარჩელეს კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუხდია აღმასრულებლის მოქმედება. მან გარდა იმისა, რომ საეჭვოდ მიიჩნევდა რა მისი კუთვნილი ქონების შეფასებას, აუქციონის ჩატარებამდე თავისი ხარჯებით უზრუნველყო დამატებითი აუდიტორული შეფასების ჩატარება, აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობა აღმასრულებელს და წარუდგინა შესაბამისი შეფასების აქტი, ამასთან, კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დაცვით სასარჩელო წესით გაასაჩივრა აღმასრულებლის ქმედება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარეთა მოსაზრებას, რომ ბინის ღირებულების შეფასება არ წარმოადგენს მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს განსჯის საგანს, რამდენადაც მოთხოვნის ამ ნაწილში საქმე განსახილველად გადაეცა სამოქალაქო საქ-

მეთა კოლეგიას, სადაც მოსარჩელემ გაიხმო მოთხოვნა შეფასების აქტის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული სარჩელის ფარგლებში დავის საგანს წარმოადგენს ჩატარებული აუქციონის კანონიერება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნის საფუძველია აღმასრულებლის მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევა და ქონების ნაკლებ ფასად გატანა იძულებით აუქციონზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოთა შეფასების საგანს წარმოადგენს რეალურ ფასად მოხდა თუ არა ქონების აუქციონზე განკარგვა და შეილახა თუ არა მოვალის – სარეალიზაციო ქონების მესაკუთრის უფლება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააღსრულებო წარმოების მიზანს წარმოადგენს აღსასრულებელი აქტების სწრაფად და რეალურად აღსრულება. ამ მიზნის მისაღწევად, აღმასრულებელი ახორციელებს იძულებით აღსრულებას კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. თუმცა აღსრულების მიზანი, სწრაფად და რეალურად აღსრულება, გულისხმობს აღნიშნული სააღსრულებო მოქმედების კანონის ზუსტი დაცვით განხორციელებას, სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა უფლებების დაცვას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში. მით უფრო, როდესაც საქმე ეხება ისეთ ძირითად უფლებებს, როგორცაა საკუთრება, საცხოვრებლის უფლება და სხვა, აღმასრულებელი ვალდებულია დაიცვას თანაზომიერების პრინციპი – წარმოების მონაწილეთა დაცულ პოზიციებს შორის აუცილებელი ბალანსი, ხოლო თავის მხრივ, სასამართლომ უნდა განახორციელოს ეფექტური სასამართლო კონტროლი სააღსრულებო წარმოებაზე.

აღმასრულებლის მოქმედების (უმოქმედობის) გასაჩივრება და სადავოდ გახდა, სააღსრულებო წარმოების მხარეთა და სხვა პირთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა. მართალია, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი ანიჭებდა მოვალეს უფლებას სასამართლოში გაესაჩივრებინა აღმასრულებლის მოქმედება, რისთვისაც განსაზღვრული იყო ერთთვიანი ვადა, იძულებითი აუქციონი კი ჩატარდა ორ კვირაში იმ მომენტიდან, როდესაც მხარისათვის

ცნობილი გახდა მისი უფლების დარღვევის შესახებ. შესაბამისად, მართალია კანონმდებლობა ანიჭებდა მოვალეს უფლებას სადავოდ გაეხადა აღმასრულებლის მოქმედება, თუმცა ფაქტობრივად აღნიშნული უფლების რეალიზაცია აუქციონის ჩატარებამდე ვერ განხორციელდებოდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უფლების დაცვის შესაძლებლობა მხარეს უნდა მიეცეს სასამართლო კონტროლის განხორციელების ფარგლებში. იმ ვითარებაში, როდესაც საქმეში წარმოდგენილია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აუდიტორული დასკვნა, ერთი, რომელსაც დაეყრდნო აღმასრულებელი, ხოლო მეორე, რომელზეც აპელირებს მოვალე, არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია და შეუფასებია აღნიშნული მტკიცებულებები დავის გადაწყვეტისათვის არსებითი გარემოების დასადგენად – მოვალის ქონების რეალიზაცია იძულებით აუქციონზე განხორციელდა თუ არა რეალურ ფასად და იმ პირობებში, როდესაც აღმასრულებლისათვის ცნობილი გახდა აუქციონის ჩატარებამდე სარეალიზაციო ქონების შეფასებასთან დაკავშირებით სრულიად საწინააღმდეგო დასკვნის არსებობის შესახებ, მის მიერ ყველა ზომა იქნა თუ არა მიღებული მოვალის უფლებების დასაცავად.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის (აუქციონის ჩატარების დროისათვის მოქმედი რედაქცია) თანახმად, სასამართლო აღმასრულებელს გარდა ამავე კანონის 34-ე და 35-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ შეუძლია კრედიტორის წერილობითი განცხადების გარეშე შეაჩეროს ან შეწყვიტოს აღსრულება, დაუბრუნოს კრედიტორს სააღსრულებო საბუთი, სსვა დროისათვის გადადოს სააღსრულებო მოქმედების შესრულება, ამორიცხოს ყადაღადადებული ქონება აღწერის სიიდან, ასეთი მოქმედებები სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია შეასრულოს სასამართლო განჩინების საფუძველზე. მითითებული ნორმა აღმასრულებელს ზღუდავს, გადადოს სააღსრულებო მოქმედების ჩატარება კრედიტორის მოთხოვნის არარსებობისას. ამავე კანონის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებდა იძულებითი აუქციონის დროებითი შეჩერების შესაძლებლობას კრედიტორის თანხმობის არსებობისას. ასეთ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს და შეაფასოს, იმ ვითარებაში, როდესაც აღმასრულებელს მოვალემ წარუდგინა აუდიტორული დასკვნა და მოითხოვა აუქციონის გადადება, აღმასრულებელს შეეძლო თუ არა თუნდაც კრედიტორისათვის მიემართა, თანახმა იქნებოდა თუ არა იგი დრო-

ებით შეჩერებულიყო აუქციონი არსებული ვითარების გათვალისწინებით და აღმასრულებელს სათანადო ზომები გაეტარებინა სარეალიზაციო ქონების რეალური ღირებულების დასადგენად.

გარდა აღნიშნულისა, კასატორი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ აღმასრულებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის, სახეზე იყო აუქციონის ბათილად ცნობის საფუძველი, რამდენადაც აღმასრულებლის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ აღმასრულებლის მიზანს წარმოადგენდა აუქციონზე ბინის იაფად გაყიდვა კრედიტორის – გ. მ-ის სასარგებლოდ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლში 2010 წლის 24 სექტემბერს შეტანილი ცვლილების შესაბამისად, ადმინისტრაციულ საქმეზე პრეიუდიციული მნიშვნელობა აღარ ენიჭება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს. მით უფრო, მოცემულ შემთხვევაში აღმასრულებლის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ განაჩენი მიღებული არ არის.

გარდა აღნიშნულისა, მხოლოდ ის გარემოება, რომ აღმასრულებელი მისი დაკითხვის ოქმში, ასევე სასამართლოზე აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, რომ მისი მიზანი იყო აუქციონზე ქონების იაფად გაყიდვა კრედიტორის სასარგებლოდ, საკმარისი არ არის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, რამდენადაც ადმინისტრაციული სასამართლო იხილავს აუქციონის კანონიერების საკითხს, მისი ბათილად ცნობისათვის არსებითია არა აღმასრულებლის განზრახვის ფაქტის დადასტურება – მისი სურვილი იაფად გაეყიდა სარეალიზაციო ქონება, არამედ შედეგი – რეალურად განხორციელდა თუ არა ქონების საბაზრო ფასზე შედარებით ნაკლებ ფასად გატანა აუქციონზე, რაზეც უნდა იმსჯელოს საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე, სასამართლომ ისე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასაბუთება, რომ სათანადოდ არ შეუძომნებია საქმეში წარმოდგენილი მტკი-

ცეზულებები, შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე საქმეზე ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილების დასადგენად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის კანონიერება

განჩინება

№ბს-818-802(კ-12)

27 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

ე. თ-ემ სარჩელი აღძრა მოპასუხე – შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხის 29.12.11წ. №1-136 ბრძანების მის ნაწილში ბათილად გამოცხადება, ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა ანდა მოპასუხის დავალდებულება განახორციელოს შესაბამისი ქმედება, რომლის საფუძველზე უძრავი ქონება მდებარე დაბა შუახევი, ... ქ. №22 საკუთრების უფლებით დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში მოსარჩელის სახელზე. შემდგომში სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებით მოსარჩელემ მოითხოვა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 09.03.12 წ. და 15.03.12წ. მიმართვების, შუახევის საკრებულოს 12.03.12 წ. №15 განკარგულების ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მონაწილეობა აქვს მიღებული შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით განკარგვის კომისიის მიერ გამოცხადებულ საჯარო აუქციონში, შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის 01.12.11წ. №12 ოქმის თანახმად მოსარჩელე გამარჯვებულად გამოცხადდა, რომელმაც 01.12.11წ. №12 ოქმის საფუძველზე განცხადებით მიმართა შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით განკარგვის მუდმივმოქმედ კომისიას და მოითხოვა საკუთრების მოწმობის ან სხვა შესაბამისი დოკუმენტა-

ციის გაცემა, რათა ორსართულიანი კაპიტალური არასაცხოვრებელი ფართი მისი საკუთრების უფლებით დარეგისტრირებულიყო საჯარო რეესტრში. აღნიშნულის მიუხედავად მოპასუხემ 29.12.12წ. №1-136 ბრძანებით ბათილად გამოაცხადა 01.12.11წ. №12 ოქმი, ბრძანებას საფუძვლად დაედო აუქციონში მონაწილე და მისი შედეგებით უკმაყოფილო დ. დ-ის საჩივარი.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 24.04.12წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ე. თ-ის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 04.09.12 წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 24.04.12წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის 19⁴ მუხლის თანახმად თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. სზაკ-ის 9.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ შუახვევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის 01.12.11წ. №12 სხდომის ოქმით, რომლითაც აუქციონში ერთერთ გამარჯვებულად გამოცხადდა ე. თ-ე, არ არის ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, ოქმი არ შეიცავს ქონების პრივატიზების ძირითად პირობებს და მხარეთა უფლება-მოვალეობებს, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ოქმი არ წარმოადგენს „აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს“ – ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას, მის მიმართ პირს არ წარმოშობა კანონიერი ნდობა. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონის 3.1 მუხლის თანახმად, სამინისტრო არის აჭარის ა.რ. უფლებამოსილი ხელისუფლების ორგანო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და აჭარის ა.რ. სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის 19¹ მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, საკრებულო უფლებამოსი-

ლია საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, აქციებისა და წილების სახელმწიფოსთვის, აფხაზეთის ან აჭარის ა.რ. და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენდა შუახევის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, შესაბამისად იგი უფლებამოსილი იყო მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება განეკარგა და უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის. თავის მხრივ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო იყო უფლებამოსილი, როგორც აჭარის ა.რ. ქონების განმკარგავი ორგანო, მიემართა თხოვნით გადაცემაზე და დაერეგისტრირებია საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 04.09.12წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე.თ-ემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების გზით ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაკმაყოფილდება სარჩელი. კასატორი მიუთითებს, რომ საქმეზე უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის 01.12.11წ. №12 ოქმი არის აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის გასაჩივრება შესაძლებელი იყო გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, რაც არ განხორციელებულა. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.09.2007წ. ბრძანებით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულება“, რომელიც დღესაც ძალაშია. სასამართლომ არ იმსჯელა „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25.4 მუხლის მოთხოვნებზე. მუდმივმოქმედი კომისიის 01.12.11 წ. №12 ოქმი შედგენილია კანონის მოთხოვნათა დაცვით, კასატორი არის კეთილსინდისიერი შემძენი. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა კანონმდებლობით დადგენილ იმ შემთხვევებზე, როდესაც შესაძლებელია აუქციონის შედეგების გაუქმება. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.03.12წ. №13 განკარგულების კანონიერების საკითხზე. ეს აქტი არის არაუფლებამოსილი პირის – საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაცემული აქტი, რაც მითითებული ბრძანების უკანონობას და არარაო-

ბას ადასტურებს. 01.12.11 წ. №12 ოქმი სრულად პასუხობს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის მე-19 პუნქტი, ვინაიდან აჭარის ა.რ. საკუთრებაში მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონება წარმოადგენს უძრავ და არა მოძრავ ქონებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.02.13წ. განჩინებით ე. თ-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება. მონინალმდევე მხარეების – შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნეს და მოითხოვეს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სააპელაციო პალატის განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის მიზნით, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 13.10.11წ. №1-093 ბრძანებით გამოცხადდა საჯარო აუქციონი. 31.10.11წ. ჩატარებულ საჯარო აუქციონზე ქონების ნაწილი არ გაიყიდა. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 14.11.11წ. №1-101 ბრძანებით, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის 19³ მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე გამოცხადდა განმეორებითი საჯარო აუქციონი, დამტკიცდა აუქციონზე გასატანი უძრავი ქონების ნუსხა, საწყისი გასაყიდი ფასი და ბეს ოდენობა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 01.12.11წ. საჯარო

აუქციონზე სარეალიზაციოდ, სხვა უძრავ ქონებასთან ერთად, გატანილი იქნა შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორსართულიანი კაპიტალური არასაცხოვრებელი ფართი (მისამართი: დ. შუახევი, ... ქ. №22, სარეგისტრაციო კოდი ...), მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: დ. დემ და ე. თემ. მესამე ბიჯზე ე. თ-ის მიერ შემოთავაზებულ იქნა 20 450 ლარი, ვაჭრობა შეწყდა. შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის 01.12.11წ. №12 ოქმის მე-2 პუნქტით ორსართულიან კაპიტალურ არასაცხოვრებელ ფართზე აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა ე. თ-ე, რომელმაც გადაიხდა ობიექტის შესყიდვის საფასური.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ, დ. დ-ის საჩივრის საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სადავოდ გამხდარი 29.12.11წ. №1-136 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი 01.12.11წ. ჩატარებული აუქციონის შედეგები, ბათილად იქნა ცნობილი აგრეთვე მისი მიღების დღიდან შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის 01.12.11წ. №12 ოქმი. ბრძანებაში აღინიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/1487 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ“ დებულება საერთოდ არ ითვალისწინებს გამარჯვებულის გამოსავლენად კომისიის სხდომის ოქმის შედგენას, ხოლო, თუ კომისია ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრის №1-1/1417 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით, რომელიც ითვალისწინებდა სხდომის ოქმის შედგენას, აღნიშნულ ბრძანებას იურიდიული ძალა აღარ გააჩნია, ვინაიდან ის საკანონმდებლო აქტი, რომლის საფუძველზე გამოიცა აღნიშნული ბრძანება, კერძოდ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონი, ძალადაკარგულად არის გამოცხადებული. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25.4 მუხლის თანახმად, ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული ყველა ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი. საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებაში მითითებულია ავ-

რეთვე, რომ მოცემულ შემთხვევაში აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არ გამოცემულა, ხოლო მუდმივმოქმედი კომისიის 01.12.11წ. სხდომას არ ესწრებოდა და არც ხელი აქვს მოწერილი კომისიის თავმჯდომარეს. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე მიჩნეულ იქნა, რომ კომისიის ოქმი არ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საქმის მასალების მიხედვით, 09.03.12წ. №01-10/1205 წერილით აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა მიმართა შუახვევის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომლითაც დაბა შუახვევში, ... ქ. №22-ში მდებარე 505,72 კვ.მ. შენობა-ნაგებობის და მასზე დამაგრებული 743 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ა.რ. საკუთრებაში გადმოცემა მოითხოვა. შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.03.12წ. №15 განკარგულებით აჭარის ა.რ. საკუთრებაში გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა შუახვევში, ... ქ. №22-ში მდებარე 505,72 კვ.მ. შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 743 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სამინისტრომ 15.03.12წ. №01-10/1321 წერილით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუახვევის სარეგისტრაციო სამსახურს, რომლითაც საკრებულოს 12.03.12წ. განკარგულების საფუძველზე მოითხოვა ობიექტის აჭარის ა.რ. საკუთრებად დარეგისტრირება. სამინისტროს 15.03.12წ. მიმართვისა და საკრებულოს 12.03.12წ. განკარგულების საფუძველზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 743 კვ.მ. ნაკვეთი, მდებარე დაბა შუახვევი, ... ქ.№22, აღირიცხა აჭარის ა.რ. საკუთრებად. საქმის მასალებით დასტურდება ასევე, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 17.03.11წ. №1-1/379 ბრძანებით შუახვევის მუნიციპალიტეტს დამატებით საკუთრებაში გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მათ შორის, სადავო 743 კვ.მ. მიწის ფართი მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობით (505,72 კვ.მ.).

საკასაციო პალატა არ იზიარებს შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 29.12.11წ. №1-136 ბრძანებაში აღნიშნულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გამარჯვებულის გამოსავლენად კომისიის სხდომის ოქმის (ხელშეკრულების) შედგენას. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების პროცესში

თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონით, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დებულებებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კანონს და სხვა ნორმატიული აქტებით. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19⁴ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას დგება აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, რომელიც არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. ანალოგიურ დებულებას შეიცავს აგრეთვე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 22.1 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტი. თავის მხრივ დაპირება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არის პირის კანონიერი ნდობის საფუძველი. კერძოდ, სზაკ-ის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი. ამდენად მოსარჩელის მიერ აუქციონში მონაწილეობის მიღება, მასში გამარჯვება, მის მიერ დადგენილ ვადაში ობიექტის ღირებულების თანხის გადახდა ცხადია უქმნიდა მას კანონიერ ნდობას ჩატარებული აუქციონის მიმართ, კანონიერ მოლოდინს იმისა, რომ აუქციონის პროცედურა შეჯამდებოდა. აუქციონის შედეგების შეჯამება აუქციონის პროცედურის დამაგვირგვინებელი სტადიაა, ჩატარებული აუქციონის შედეგების შეჯამება არის ადმინისტრაციული ორგანოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულება და არა დისკრეციული უფლებამოსილება.

ვინაიდან აუქციონის შეჯამების ვალდებულება ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, აუქციონის შედეგების გაუქმების პირობას არ ქმნიდა ოქმზე კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერის არარსებობა. კომისიის თავმჯდომარის მიერ ოქმზე ხელის მოწერის ვალდებულების შეუსრულებლობა არ წარმოადგენს აუქციონის შედეგების გაუქმების საფუძველს. რაც შეეხება აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადებული ე.თ-ის ოქმზე ხელმოწერის არარსებობას, საქმეში არ მოიპოვება ოქმზე, ე.თ-ის ხელმოწერაზე უარის თქმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, მისთვის არავის შეუთავაზებია ოქმის ხელმოწერა, მონინალმდევე მხარეს არ წარმოუდგენია ე. თ-ის მიერ ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვინაიდან „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების

შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვას, განკარგვას, მათ შორის, პრივატიზებას და სარგებლობის უფლებით გადაცემას ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ყველა საჭირო პროცედურის, მათ შორის ოქმის კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმების კანონისმიერი ვალდებულება გააჩნდა თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოს, რომლის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულება არ ქმნის აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის საფუძველს. აუქციონი თავისი არსით არის საჯარო მონვევა, ხელშეკრულების დასადებად მიცემული წინადადება, მიმართული პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, აუქციონი უქმნის მის მონაწილეებს გარკვეულ უფლება-მოვალეობებს, აუქციონის საჯარო გამოცხადება, აუქციონში მონაწილეობის მიღება და გამარჯვება ავალდებულებს აუქციონის ორგანიზატორს სათანადო წესით შეაჯამოს მისი შედეგები. აუქციონის ფორმით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების მიზანია კონკურენტულ გარემოში იმ მყიდველისათვის საკუთრების უფლების გაცემა, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ამდენად, აუქციონის ორგანიზატორს, პირის აუქციონში მონაწილეობის მიღებისა და გამარჯვების შემთხვევაში, წარმოეშობა ობიექტის მიყიდვის ვალდებულება. სადავო აქტში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი აუქციონის შედეგი, საერთოდ არ არის საუბარი მოსარჩელის მხრიდან აუქციონის წესების რაიმე დარღვევაზე, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის 19³ მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აუქციონის შედეგები უქმდება თუ აუქციონში გამარჯვებულმა ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგინა ქონების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა. სააპელაციო პალატამ ისე მიიჩნია კანონიერად აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა, რომ არ დაუსაბუთებია ზემოაღნიშნული აუქციონის შედეგების გაუქმების პირობებიდან რომელიმეს არსებობა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ არის დასაბუთებული აგრეთვე შუახვევის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის 12.03.12⁵. №15 განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში. სასამართლოს არ გაურკვევია თვითმმართველი ერთეულის ქონების რომელ კატეგორიას – ძირითადად თუ დამატებითს ეკუთვნის სადავო აუქციონზე გატანი-

ლი ქონება, რასაც უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების წესი. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს საკრებულოს უფლებამოსილებას საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მხოლოდ მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ (მე-19¹ მუხ. მე-19 პუნქტი). ამდენად, სააპელაციო პალატის მითითება მე-19¹ მუხლის მე-19 პუნქტზე საფუძველს არის მოკლებული. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16.2 მუხლის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ, საკუთარ უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვის და განკარგვის შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონის მე-3 მუხლზე, რომლის მიხედვითაც სამინისტრო აჭარის ა.რ. სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას, არ ადასტურებს სადავო აქტის – მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.03.12წ. №15 განკარგულების კანონიერებას. მით უფრო, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 46-ე მუხლის, აგრეთვე „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, თვითმმართველი ერთეულები საკუთრების უფლების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან, დაუშვებელია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩარევა თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, მართვის და განკარგვის საკითხებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან თვითმმართველი ერთეულის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკრებულოს განკარგულება ორგანული კანონის 43.3 მუხლის თანახმად, განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოსა და თანამდებობის პირების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების კატეგორიას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულებას ხელს აწერს საკრებულოს თავმჯდომარე, 12.03.12წ. №15 განკარგულებასთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს მისი მიმღები (გამომცემი) პირი (საკრებულო თუ საკრებულოს თავმჯდომარე), აქტის გამოცემის წესი.

საკასაციო პალატას მიაჩნია აგრეთვე, რომ სახეზეა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სსკ-ის 394-

ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, ვინაიდან საქმის განხილვაში არ არის ჩაბმული დაინტერესებული მხარე, რომლის საჩივრის საფუძველზე ჩატარებული წარმოების შედეგად გამოიცა სადავო აქტი (შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 29.12.11წ. №1-136 ბრძანება) აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შუახვევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის 01.12.11 წ. №12 ოქმის თანახმად დაბა შუახვევში, ... ქ. №22-ში მდებარე უძრავ ქონებაზე გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: დ. დ-ემ და ე.თ-ემ. აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა ე.თ-ე. შემდგომში სწორედ დ. დ-ის საჩივრის საფუძველზე გამოიცა გასაჩივრებული ბრძანება, რომლითაც მოხდა აუქციონის შედეგის ბათილად ცნობა. ამდენად სახეზეა დ. დ-ის კანონიერი ინტერესი გასაჩივრებული აქტების მიმართ, სადავო სამართალურთიერთობაში ის დაინტერესებულ პირს წარმოადგენს. აღნიშნულის მიუხედავად სასამართლოს არ ჩაუბია იგი საქმეში, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევიდა საქმის გარემოებები და არ მისცა მათ სამართლებრივი შეფასება, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველები, რაც თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 04.09.2012წ. გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ე.თ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.09.2012წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა და „ბეს“ დაბრუნება

განჩინება

№ბს-843-827(კ-12)

25 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა და გადახდილი „ბეს“ დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ც-ამ 2011 წლის 27 ივლისს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ და მოითხოვა, ბათილად იქნეს ცნობილი 2011 წლის 13 მაისს ჩატარებული აუქციონი და აუქციონში გამარჯვებულ პირს – თ. ც-ას დაუბრუნდეს გადახდილი „ბეს“ თანხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ც-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2011 წლის 13 მაისს ჩატარდა ელექტრონული ფორმით აუქციონი, რომელზეც გატანილი იყო ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: 615 კვ.მ.

მინის ნაკვეთი ქ. თბილისში, ... ქუჩის მიმდებარედ, საკადასტრო კოდით: №..., ფუნქცია – საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა. „ბეს“ თანხამ შეადგინა 6273 ლარი. ქალაქგეგმარებითი და ქალაქმშენებლობითი შეზღუდვები ან/და ვალდებულებები სააუქციონო განაცხადში მითითებული არ იყო.

2011 წლის 13 მაისს ჩატარებულ აუქციონში გაიმარჯვა თ. ც-ამ. აუქციონის პირობების თანახმად, საპრივატიზებო თანხის გადახდა უნდა განხორციელებულიყო 2011 წლის 10 დეკემბრამდე. 2011 წლის 13 მაისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №ე-24-94-613 ოქმის თანახმად, ქონება მდებარეობს ქ. თბილისში, ... ქუჩის მიმდებარედ, ფართობით 613 კვ.მ. საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში.

2011 წლიდ 16 მაისს თ. ც-ამ განცხადებით მიმართა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა აუქციონზე შეძენილი მინის ნაკვეთთან მისასვლელი გზის განსაზღვრა და მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ ქალაქ-გეგმარებითი დასკვნის გაცემა, ვინაიდან ჰაერში კვეთს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი.

2011 წლის 20 მაისის №12/55776-13 წერილით თ. ც-ას სსიპ არქიტექტურის სამსახურმა აცნობა, რომ სამსახურში არსებული ინფორმაციით მინის ქვეშ გადის მაღალი წნევის წყალმომარაგების მილები, ხოლო ჰაერში იკვეთება მაღალი ძაბვის გადამცემი ელექტრო-სადენი, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მინის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებას. სამსახურს მინის ნაკვეთის შესახებ სრულყოფილი ქალაქგეგმარებითი დასკვნის გაცემა შეუძლია მას შემდეგ, რაც სამსახურში განსახილველად წარმოდგენილი იქნება მინის ნაკვეთის ტოპო-გეოდეზიური ანაზომი, სადაც ნაჩვენებია იქნება ყველა სახის ხაზოვანი ნაგებობის ადგილმდებარეობა, რომელიც უშუალო კავშირშია გასხვისებულ ტერიტორიასთან და შესაბამისი ორგანიზაციების მიერ (სს „...“, „ჯ...“) გაცემული დასკვნები ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობის შესახებ. განმცხადებელს ეცნობა, რომ მინის გასხვისება განხორციელდა მომიჯნავედ არსებულ ტერიტორიასთან გაერთიანების პირობით და მისი დამოუკიდებლად განვითარება სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

სს „...“ 2011 წლის 23 მაისის წერილის თანახმად, სადავო ტერიტორიაზე გადის 110 კვ-იანი საჰაერო ელ-გადამცემი ხაზი „დ...“, რომელიც ირიცხება სს „...“ ბალანსზე.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 10 ივნისის წერილით თ. ც-ას ეცნობა, რომ აუქციონში გამარჯვების დამადას-

ტურებელი 2011 წლის 13 მაისის №ე-24-94-613 ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) გაუქმდა და გადახდილი „ბე“ დაბრუნებას არ ექვემდებარება იმ საფუძვლით, რომ თ. ც-ა, აუქციონში გამარჯვებული პირი, არ ეთანხმება აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს და ამის შესახებ აცნობა სააგენტოს.

საქალაქო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესით“, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესზე“, რომელიც შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესს. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების მიზანია საკუთრების უფლება გადაეცეს აუქციონის გამარჯვებულს, რომელიც სააუქციონო კონკურენციისას აუქციონატორს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადდა პირობებით – საკუთრების უფლება მინიჭოს იმ მონაწილეს, რომელიც აიღებს ვალდებულებას დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და აუქციონატორს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს (წესის 1.3. მუხლი). ამავე წესის 4.2 მუხლით დადგენილია აუქციონის გამოცხადებისა და სავალდებულო ინფორმაციის გამოქვეყნების წესი; 15.1 მუხლის თანახმად, აუქციონატორი უფლებამოსილია აუქციონის განაცხადების მიღება, ჩატარება და შედეგების გაფორმება მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს ელექტრონული ფორმით; 5.2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, აუქციონის პირობაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ქალაქგეგმარებითი და ქალაქთმშენებლობითი შეზღუდვები ან/და ვალდებულებები. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ქონება არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, მათ შორის, ქონება, რომელსაც თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადასცემს სახელმწი-

ფო, ან რომელსაც თვითმმართველი ერთეული შექმნის ან შეიძენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თვითმმართველი ერთეულის ქონება იყოფა ორ კატეგორიად – ძირითად (განუსხვისებელ) და დამატებით ქონებად: ა) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება – თვითმმართველი ერთეულის ქონება, რომელიც არის თვითმმართველობის განხორციელების საფუძველი და რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ თავისი საჯარო ფუნქციებისა და უფლებამოსილების განხორციელების მიზნით; ბ) დამატებითი ქონება – თვითმმართველი ერთეულის ქონება, რომელიც არ არის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების ნაწილი და რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ შეიძლება გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისება დაუშვებელია, გარდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და ამ კანონით დადგენილი შემთხვევებისა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის დამატებითი ქონების გასხვისება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ სადავო აუქციონზე გატანილი არ იყო ის ქონება, რომლის გასხვისებაც აკრძალული იყო. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ქალაქგეგმარებითი ან ქალაქთმშენებლობითი შეზღუდვები ან/და ვალდებულებები არ იყო მითითებული სააუქციონო განაცხადში ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ მიხედვით გასასხვისებელი ქონების ხსენებული მახასიათებლის მითითება არ წარმოადგენს სავალდებულოს. სასამართლომ მიიჩნია, რომ წესის თანახმად, აუქციონატორი უფლებამოსილია მიუთითოს ქალაქგეგმარებითი და ქალაქთმშენებლობითი შეზღუდვები ან/და ვალდებულებები.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ც-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინებით თ. ც-ას საა-

პელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები და დამატებით აღნიშნა, რომ ქალაქგეგმარებითი ან ქალაქთმშენებლობითი შეზღუდვები ან/და ვალდებულებების არ მითითება სააუქციონო განაცხადში ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ მიხედვით არ წარმოადგენს სავალდებულოს და რომ ამ წესის თანახმად, აუქციონატორი უფლებამოსილია მიუთითოს ქალაქგეგმარებითი და ქალაქთმშენებლობითი შეზღუდვები ან/და ვალდებულებები.

სააპელაციო პალატამ „ბეს“ სახით გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, აუქციონის შედეგები ავტომატურად უქმდება და ქონების შემძენს გადახდილი „ბე“ არ უბრუნდება ან კარგავს საბანკო გარანტიას, თუ ქონების შემძენი არ ეთანხმება აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს/ოქმის პირობებს ან აუქციონის შედეგებს. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ც-ას განცხადების საფუძველზე, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 13 მაისის №ე-2-94-613 ოქმი გაუქმდა; ამდენად, ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-10 მუხლის შესაბამისად, უსაფუძვლოა მისი მოთხოვნა „ბეს“ დაბრუნების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ ვერ იქნა გაბათილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, რისი გათვალისწინებითაც არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინება საკასაციო

ნესით გაასაჩივრა თ. ც-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ უგულვებლყო და საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ნაკვეთის ფუნქცია არის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა და მას აუქციონის ჩატარებამდე შეგნებულად არანაირი შეზღუდვა არ ჰქონია დარეგისტრირებული, შემდგომში კი აღმოჩნდა, რომ ეს ნაკვეთი არათუ კომერციული საქმიანობისათვის, არამედ სკვერის გასაშენებლადაც კი არ გამოდგება. ეს იყო მიზანმიმართული ქმედება აუქციონატორის მიერ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ნაკვეთი სხვანაირად ვერ გაიყიდებოდა აუქციონზე, რადგან ის მომიჯნავე მიწის ნაკვეთები, რომლებსაც ასეთი შეზღუდვები აქვთ დარეგისტრირებული დღემდე არ გაყიდულა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 5.2. მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, აუქციონის პირობა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ქალაქგეგმარებითი და ქალაქმშენებლობითი შეზღუდვები, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი შეზღუდვის დამალვა არსებითად ცვლის ნივთის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით თ. ც-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მისი განხილვა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ც-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394-ე „ე“ მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

საკასაციო სასამართლო დავის არსის განსაზღვრისა და საქმის შინაარსში სრულყოფილი წვდომის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2011 წლის 13 მაისს ჩატარდა აუქციონი ელექტრონული ფორმით, რომელზეც გატანილ იქნა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – 615 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარე, ქ. თბილისში, ... ქუჩის მიმდებარედ, საკადასტრო კოდით: ..., ფუნქცია-საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა. „ბეს“ თანხა შეადგენდა 6273 ლარს. ქალაქგეგმარებითი და ქალაქთმშენებლობითი შეზღუდვები ან/და ვალდებულებები სააუქციონო განაცხადში მითითებული არ იყო. 2011 წლის 13 მაისს ჩატარებულ აუქციონში გაიმარჯვა თ. ც-ამ. აუქციონის პირობების თანახმად, საპრივატიზებო თანხის გადახდა უნდა განხორციელებულიყო 2011 წლის 10 დეკემბრამდე. 13.05.2011წ. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №ე-24-94-613 ოქმის თანახმად, ქონება მდებარეობს ქ. თბილისში, ... ქუჩის მიმდებარედ, ფართობით 613 კვ.მ საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში. 2011 წლის 16 მაისს, თ. ც-ამ განცხადებით მიმართა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა აუქციონზე შექნილი მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის განსაზღვრა და მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ ქალაქგეგმარებითი დასკვნის გაცემა, ვინაიდან ჰაერში კვეთდა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი. 2011 წლის 20 მაისის №12/55776-13 წერილით

თ. ც-ას სსიპ არქიტექტურის სამსახურმა აცნობა, რომ სამსახურში არსებული ინფორმაციით მიწის ქვეშ გადიოდა მაღალი წნევის წყალმომარაგების მილები, ხოლო ჰაერში იკვეთებოდა მაღალი ძაბვის გადამცემი ელექტროსადენი, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებას. სამსახურს მიწის ნაკვეთის შესახებ სრულყოფილი ქალაქგეგმარებითი დასკვნის გაცემა შეეძლო მას შემდეგ, რაც სამსახურში განსახილველად წარმოდგენილი იქნებოდა მიწის ნაკვეთის ტოპო-გეოდეზიური ანაზომი, სადაც ნაჩვენები იქნებოდა ყველა სახის ხაზოვანი ნაგებობის ადგილმდებარეობა, რომლებიც უშუალო კავშირში იყო გასხვისებულ ტერიტორიასთან და შესაბამისი ორგანიზაციების მიერ (სს „...“, „ჯ...“) გაცემული დასკვნები ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობის შესახებ. განმცხადებელს ეცნობა, რომ მიწის გასხვისება განხორციელდა მომიჯნავედ არსებულ ტერიტორიასთან გაერთიანების პირობით და მისი დამოუკიდებლად განვითარება სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. სს „...“ 2011 წლის 23 მაისის წერილით ირკვევა, რომ სადავო ტერიტორიაზე გადის 110 კვ-იანი საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზი „დ...“, რომელიც ირიცხება სს „...“ ბალანსზე. 2011 წლის 16 ივნისს, თ. ც-ამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა, 2011 წლის 13 მაისის აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა და აუქციონზე გადახდილი „ბეს“ – 6 273 ლარის დაბრუნება. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 10 ივნისის წერილით თ. ც-ას ეცნობა, რომ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 13 მაისის №ე-24-94-613 ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) გაუქმდა და გადახდილი „ბე“ დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა იმ საფუძვლით, რომ თ. ც-ა, აუქციონში გამარჯვებული პირი, არ დაეთანხმა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს და ამის შესახებ შეატყობინა სააგენტოს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა და გადახდილი „ბეს“ დაბრუნება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო არასწორად მიუდგა სადავო საკითხს და არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელა-

ციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის გარეშე.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი, რაც მოცემულ შემთხვევაში უფლებელყოფილ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს, კერძოდ კი ქ. თბილისის მერიის მხრიდან. საკასაციო პალატა მიუთითებს ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-63 გადაწყვეტილებაზე „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველ ნაწილზე სადაც აღნიშნულია, რომ ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საპრივატიზაციო ლოტის გარკვეული პირობებით რეალიზაციის თაობაზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით აუქციონის პირობებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს: „ე“ ქალაქგეგმარებითი და ქალაქთმშენებლობითი შეზღუდვები ან/და ვალდებულებები და „ვ“ სხვა პირობები, რაც მიზანშეწონილია სააუქციონო ლოტის საპრივატიზაციოდ.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გამოცხადებული აუქციონის პირობებში არ არსებობდა არანაირი აღნიშვნა იმის შესახებ, თუ რა შეზღუდვა ან ვალდებულება ჰქონდა აუქციონზე გამოტანილ მიწის ნაკვეთს. კასატორის განმარტებით, სხვა მიწის ნაკვეთებზე, რომელზეც არსებობდა აღნიშნული შეზღუდვები მითითებული იყო აუქციონის პირობებში, რის გამოც მან შეიძინა ის მიწის ნაკვეთი, რომელიც დოკუმენტაციის მიხედვით ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო იყო. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციების მსჯელობას იმის თაობაზე, რომ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო და მას არანაირი ვალდებულება არ ეკისრებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ აუქციონის პირობებში მიეთითებინა ის შეზღუდვები და ვალდებულებები, რისი აღნიშვნაც იმოქმედებდა აუქციონის შედეგებზე. საკასაციო პალატა თვლის, სააპელაციო სასამართლომ სწორი შეფასება უნდა მისცეს იმ ფაქტს თუ რამდენად დიდი იყო ზიანი მოცემულ შემთხვევაში, რომელიც მხარეს ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედებით თუ უმოქმედობით მიადგა.

საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს მიუთითებს,

რომ საქმის ხელახალი განხილვისას ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, თუ რამდენად მიშანშენონილი იყო მოცემულ შემთხვევაში „ბეს“ დაბრუნებასთან დაკავშირებით „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის გამოყენება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ თუ „ბეს“ მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, „ბე“ ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. ასევე თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია „ბეს“ მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან „ბე“ უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, „ბეს“ მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გამორკვევას მნიშვნელობა აქვს დავაზე სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევის შედეგად სწორი შეფასება უნდა მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და უნდა მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ც-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიეპელი

1. სააღსრულებო წარმოება

აღსრულების კანონიერება	3
აღსრულების საფასურის გადახდის წესი	13
გადაწყვეტილების აღსრულების დავაღდებულება	29
სააღსრულებო წარმოების შეჩერება	55
აღსრულების საფასური	67

2. სააღსრულებო ფურცელი

სააღსრულებო ფურცლის გაცემა	85
კერძო საჩივარი სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე	95
უფლებამონაცვლეობის დადგენა და სააღსრულებო ფურცლის გაცემა	105
უფლებამონაცვლეზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა	115
სააღსრულებო ფურცლის გამოხმობის თაობაზე	125

3. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების მიღების პირობები	129
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების წესი	135
სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განჩინების გასაჩივრების წესი	145
სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების მიღების პირობები	152; 159
სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განჩინების აღსრულება	166
ყადაღა, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველი	183
უზრუნველყოფის ღონისძიების კანონიერება	195

4. აუქციონის კანონიერება

აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა და პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა	199
აუქციონის შედეგების კანონიერება	208
ჩატარებული აუქციონის კანონიერება	230
აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის კანონიერება	244
აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა და „ბეს“ დაბრუნება	254